

საქართველოს განათლების მეცნიერებათა  
აკადემია

საერთაშორისო სამეცნიერო  
კონფერენცია

„ცხოვრების ახალი გამოწვევები და  
აღმზრდელობითი სწავლება“

ACADEMY  
OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA

INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

“NEW CHALLENGES OF LIFE AND VALUES AND  
KNOWLEDGE EDUCATION”

თბილისი-2024  
TBILISI-2024

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა  
აკადემია**

**საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

**„ცხოვრების ახალი გამოწვევები და აღზრდითი სწავლება“**

----- დეკემბერი, 2024, საქართველო, თბილისი

**ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA**

**INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE**

**“New Challenges of Life and Values and Knowledge Education”**

----- December, 2024, GEORGIA, TBILISI

**ISBN 978-9941-508-07-33**

## კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

**ზურაბ ხონელიძე** – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

**აფთხანდილ ასათიანი** – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი

**ლია მენტეშაშვილი** – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

**ლუბა ბიბილეიშვილი** – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

**ინდირა ძაგანია** – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

**იმერი ბასილაძე** – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

**ვაჟა გიგაური** – პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

**გიორგი ბერძულიშვილი** – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

**ივანა პეტკოვა** – პლოდღის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

## სარედაქციო საბჭო

**ნათელა ვასაძე** – აკადემიკოსი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი

**ზურაბ ხონელიძე** – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

**აფთხანდილ ასათიანი** – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი

**ლია მენტეშაშვილი** – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

**ლუბა ბიბილეიშვილი** – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

**ინდირა ძაგანია** – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

**თემურ ჯაგოდნიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

**მაია ახვლედიანი** – პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

**ლია ახალაძე** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

**ვაჟა დანელია** – სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

**ლალა ახმედოვა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (აზერბაიჯანი)

**ლუდმილა ბეჟენარუ** – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, უცხოენებისა და ლიტერატურის კათედრის დოცენტ (რუმინეთი)

## ORGANIZING COMMITTEE OF THE CONFERENCE

**Zurab Khonelidze** – Professor, President of the Academy of Educational Sciences of Georgia, Rector of Sokhumi State University.

**Avtandil Asatiani** - Professor, Co-President of the Academy of Educational Sciences of Georgia

**Lia Menteshashvili** – Professor, Vice-president of the Academy of Educational Sciences of Georgia

**Luba Bibileishvili** - Professor, Academician-Secretary of the Academy of Educational Sciences of Georgia

**Indira Dzagania** - Professor Sokumi State University, Vice-President of the Georgian Academy of Education

**Imeri Basiladze** – Professor of Kutaisi Akaki Tsereteli State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

**VaJa Gigauri** – Doctor of Pedagogy, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

**Giorgi Berdzulishvili** - Akaki Tsereteli State University professor, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

**Irena Petkova** - Assistant Professor Plovdiv University

## EDITORIAL BOARD

**Natela Vasadze** – Academician, Honorary President of the Georgian Academy of Education.

**Zurab Khonelide** – Professor, President of the Academy of Educational Sciences of Georgia, Rector of Sokhumi State University.

**Avtandil Asatiani** - Professor, Co-President of the Academy of Educational Sciences of Georgia

**Lia Menteshashvili** – Professor, Vice-president of the Academy of Educational Sciences of Georgia

**Luba Bibileishvili** - Professor, Academician-Secretary of the Academy of Educational Sciences of Georgia

**Indira Dzagania** - professor, member of the Academy of Educational Sciences of Georgia

**Temur Jagodnishvili** - Professor of Georgian Technical University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

**Maia Akhvlediani** – Associate Professor of Kutaisi Akaki Tsereteli State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

**Lia Akhaladze** - Associate Professor Sokhumi State University, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

**Vaja Danelia** - Doctor of Social Sciences, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia

**Lala Akhmedova** - Doctor of Philological Sciences, Professor (Azerbaijani)

**Ludmila Beczhenaru** – Doctor of Philology Sciences, Professor (Romania)

შ ი ნ ა ა რ ს ი

**თაურ ჯამოღნიშვილი** - თანამედროვე ქართული უმაღლესი განათლების პრაქტიკა და აღმზრდელობითი სწავლება..... 8

**ავთანდილ ასათიანი** - ღირებულებათა ფორმირების პრობლემები უმაღლეს განათლებაში ... 14

**ნოდარ ბარამიძე** - სწავლებისა და განვითარების პრობლემის მეცნიერული კვლევის ისტორიიდან ..... 21

**თაბარ ღვინიაძე** - სტილიზაციისა და სოციალიზაციის როლი მოსწავლის აზროვნების ფორმირებაში ..... 27

**ირინა გომიბერიძე** - თანამედროვე სკოლის მოზარდთა ოჯახური და სასკოლო კავშირების ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტი ..... 30

**პაატა ჟურდაძე** - აღზრდა: სკოლა, ოჯახი და საზოგადოება ..... 36

**ნინო ჭოხონელიძე, ნინო ყანჩელი** - რემედიაციის მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში ..... 40

**თაბარ შანიძე** - აღსაზრდელის პიროვნების ჩამოყალიბება ..... 45

**ოპარ ცხადაძე** - ტურიზმი მოსწავლე-ახალგაზრდობის ყოველმხრივი აღზრდის საშუალება ..... 48

**მარინა სურმავა** - რას ნიშნავს კლიპური აზროვნება და რა სარგებელის მიღებაა შესაძლებელი ..... 55

**ნათელა გაღლაკალიძე** - დავუბრუნდეთ თუ არა სკოლებში ქართული ენის გრამატიკის სწავლებას? ..... 60

**მანანა ქაჩაია** - ქართულის, როგორც მეორე ენის, ანუ სახელმწიფო ენის სწავლებასთან დაკავშირებული ერთი ასპექტი სწავლების პროცესში და მათი გადაჭრის სტრატეგიები ..... 66

**ლალა ახმედოვა** - სტუდენტთა ინტერკულტურული კომპეტენციის ფორმირება უცხო ენის სწავლების პროცესში ..... 71

**ლუდვილა ბაქინარუ**- ლინგვისტი ეუჟენიუ კომერიუ - ფილოლოგი - რომანისტი მსოფლიო სახელით ..... 78

**ოქსანა ფაის-ლაუცაია** - სიცილიური ენის სწავლება სკოლებში სიცილიის რეგიონში (იტალია): პრობლემის სპეციფიკა, საგანი და მეთოდები ..... 82

<b>თავარ შაიშვალაშვილი</b> - მომავალი თაობის აღზრდის საკითხები ლევან გოთუას შემოქმედებაში .....	90
<b>მარიამ კაკანაძე</b> - მოტივაციის ამადლება მოსწავლეებში თვალსაწიერის გაფართოების მიზნით მხატვრული ლიტერატურის ფონზე .....	96
<b>ბაკურ ბაკურაძე</b> - ერთი სახის არასტანდარტული განტოლების ამოხსნა პარამეტრის მეთოდით .....	100
<b>გიორგი ბარძულიშვილი</b> - კონტრ-მაგალითი როგორც საძიებო ამოცანების ამოხსნის მეთოდი .....	106
<b>გიორგი ბარძულიშვილი, გიორგი ბრეგაძე</b> - მთელკოეფიციენტებიანი მრავალწევრების შემცველი არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის მეთოდიკური თავისებურებები .....	111
<b>ვლადიმერ აღიშვილი, ივანე გოქაძე</b> - ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში განსახილავ განტოლებათა ამოხსნის ერთი მეთოდის შესახებ .....	118
<b>ირმა ჩხიკვაძე</b> - ერთი სახის საძიებო ტექსტური მათემატიკური ამოცანები და მათი ამოხსნის მეთოდური თავისებურებები .....	122
<b>ნანა ონიანი-საღინაძე</b> - ერთი სახის არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდიკური თავისებურებები .....	128
<b>თაიშურაჷ გიორგაძე</b> - მათემატიკის სწავლების პროცესში ამოცანების როლისა და მნიშვნელობის შესახებ .....	134
<b>თაონა აბრამიშვილი</b> - საძიებო ამოცანები, როგორც დაწყებითი კლასების მოსწავლეების მათემატიკური აზროვნების განვითარების საშუალება .....	139
<b>გაშული ბუჭუხიშვილი</b> - ცნებათა კლასიფიკაციის შესახებ .....	143
<b>თავარ დობრაშვილი</b> - კერძო დაწყებითი სკოლები XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის დასავლეთ საქართველოში .....	148
<b>მაია ახვლედიანი, ნინო ორაონიკიძე, ლალი აბდალაძე</b> - ალექსი ჭიჭინაძის ეროვნულ-საგანმანათლებლო იდეები, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა .....	154

## CONTENT

<b>TEMUR JAGODNISHVILI</b> - Modern Georgian higher education practice and upbringing teaching ... ..	8
<b>AVTANDIL ASATIANI</b> - Problems of value formation in higher education.....	14
<b>NODAR BARAMIDZE</b> - From The History of Scientific Research on the Problem of Teaching and Development . .....	21
<b>TAMAR GVINIANIDZE</b> - The role of stylization and socialization in the formation of the student’s thinking .....	27
<b>IRINE GOGIBERIDZE</b> - Some aspects of the relationship between family and school relationships of modern school adolescents .....	30
<b>PAATA QURDADZE</b> - Education: school, family and society .....	36
<b>NINO CHOKHONELIDZE, NINO KANCHELI</b> - The importance of remediation in the teaching-learning process . .....	40
<b>TAMAR SHANIDZE</b> - Formation of the personality of the child .....	45
<b>OMAR TSKHADADZE</b> - Tourism is a means of all-round education of pupil and youth .....	48
<b>MARINE SURMAVA</b> - What does clip thinking mean and what benefits can be gained .....	55
<b>NATELA MAGLAGELIDZE</b> - Should we go back to teaching Georgian grammar in school .....	60
<b>MANANA KAJAIA</b> - One aspect related to the teaching of Georgian as a second language, i.e. the state language, in the teaching process and strategies to solve them .....	66
<b>LALA AKHMEDOVA</b> - Formation of intercultural competence of students in the process of teaching a foreign language .....	71
<b>LUDMILA BEJENARU</b> - Linguis Eugeniu Coscheriu – world-famous philologist-novelist .....	78
<b>OKSANA FAIS- LEUTSKAIA</b> - Teaching the Sicilian language in schools in the Sicily region (Italy): the specifics of the problem, subject and methods . .....	82
<b>TAMAR SHAISHMELASHVILI</b> - Issues of raising of the Next Generation in the works of Levan Gotua ...	90
<b>MARIAM KAPANADZE</b> - Raising motivation among students to expand their horizons in the background of fiction literature .....	96

---

<b>BAKUR BAKURADZE</b> - Solving a non-standard equation of one kind by the parameter method .....	100
<b>GIORGI BERDZULISHVILI</b> - Counter-example as a method of solving search problems .....	106
<b>GIORGI BERDZULISHVILI, GIORGI BREGADZE</b> - Methodological features of solving non-standard problems containing polynomials with integer coefficients .....	111
<b>VLADIMIR ADEISHVILI, IVANE GOKADZE</b> - About one method of solving equations in the set of natural numbers .....	118
<b>IRMA CHKHIKVADZE</b> - One type of exploratory textual mathematical problems and methodical features of their solution .....	122
<b>NANA ONIANI-SAGINADZE</b> - Non-standard problems on the division of numbers and methodical features of their solution .....	128
<b>TEIMURAZ GIORGADZE</b> - About the role and importance of tasks in the process of teaching mathematics	134
<b>TEONA ABRAMISHVILI</b> - Search tasks as a means of developing mathematical thinking of primary school students .....	139
<b>MAMULI BUCHUKHISHVILI</b> - About the classification of concepts .....	143
<b>TAMAR DOGRASHVILI</b> - Private primary schools of the last quarter of the 19 th century in the western part of the country .....	148
<b>MAYA AKHVLEDIANI, NINO ORJONIKIDZE, LALI ABDALADZE</b> - Alexi Chichinadze’s national - educational ideas, pedagogical and public activities .....	154



თემურ ჯაგოდნიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,  
საქართველო, თბილისი

## თანამედროვე ქართული უმაღლესი განათლების პრაქტიკა და აღმზრდელობითი სწავლება

თანამედროვე საქართველოს უდიდესი ისტორიული მონაპოვარი დამოუკიდებლობის აღდგენა და მსოფლიოს სახელმწიფოთა მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის სტატუსის აღიარება გახდა. ქვეყანამ დაიბრუნა ისტორიული გეოპოლიტიკური ღირებულება და განვითარების პერსპექტივები, გაიცნობიერა და განისაზღვრა მომავლის სვლაგეზი და იგი ევროპული ცივილიზაციის წიაღში დამკვიდრებით შემოფარგლა. შესაბამისად გაშინაარსიანდა კულტურული მყოფობის ვექტორი და ღირებულებები, მათ შორის განათლების პოლიტიკური ფილოსოფია თუ კონცეპტუალიზმი.

დეკლარირების დონეზე გააზრებულ ამ უდავოდ პროგრესულ გადაწყვეტილებებს საფუძველი შეერყა მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა და საქართველო განვითარებად ქვეყნებს შორის აღმოჩნდა. ამ გარემოებამ დალი დაასვა ქართულ განათლებასაც. იგი კონცეპტუალურად განვითარებადი ქვეყნებისადმი წაყენებული ამოცანებით განისაზღვრა, შესაბამისად ჩამოყალიბდა ამოცანები და მიზნები. ისინი ტრადიციული, საბჭოური (რეალურად კლასიკური გერმანული) განათლების ტოლფასი არ აღმოჩნდა და დაირღვა სულ ცოტა ორასწლიანი განათლების კონცეპტუალიზმი და ტრადიციები. განათლების ამ სისტემის კეთილნაყოფიერება განსაკუთრებული სიცხადით სსრ კავშირის დაშლის შემდეგ გაცხადდა, როცა ამ სისტემას ჩამოშორდა იდეოლოგიური მდგენელი და ეროვნული შინაარსი გამოიკვეთა, თუმცა ეს პროცესი, სამწუხაროდ, მხოლოდ ორიოდ ათწლეულს გაგრძელდა.

ევროატლანტიკურ სივრცეში ჩვენი კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს ინტეგრირების პოლიტიკამ ქართული განათლება ე. წ. „ბოლონიის პროცესის“ თანამონაწილე გახდა. ქართველი საზოგადოება მენტალურად მოუზმადებელი (და როგორც დღევანდელი გვიჩვენებს - შეუთავსებელიც) აღმოჩნდა ამ თავისთავად პროგრესულ მოვლენასთან. მისი პროგრესულობა კი იმაში გამოიხატება, რომ განათლების უნიფიცირება და განათლების ეროვნული კონცეფციები მსოფლიო მასშტაბით თავსებადია უცხოურ უნივერსიტეტებთან.

აღნიშნული საგანმანათლებლო პოლიტიკის დამკვიდრებიდან არც ისე დიდი დროა გასული და უკვე შემამოფოთებელი მასშტაბები შეიძინა ცოდნის (წიგნიერების) საერთო დონის დაქვეითებამ. ამაზე ბევრს ბჭობენ, წერენ, გამოსავალს ეძებენ, აზრთა სხვადასხვაობა კი არ ცხრება, არც გამოსავალი ჩანს, ჯერჯერობით მაინც.

ერთი შეხედულებით ქართული განათლების ევროატლანტიკურ კულტურულ სივრცეში ინტეგრირების მისწრაფებამ ტრადიციული საშუალო განათლება და სკოლა საკვირაო-საჯარო სკოლად გარდასახა, კლასიკური საუნივერსიტეტო განათლება კი საინსტიტუტოს გაუთანაბრა იმ გაგებით, რომ უნივერსიტეტს **აღმზრდელობითი სწავლების ფუნქცია**, ანუ მოსწავლეში/სტუდენტში მსოფლმხედველობის ფორმირების, ჰარმონიულ პიროვნებად ჩამოყალიბების, მოქალაქეობრივი აქტივობის ცნობიერების ფორმირებაზე ზრუნვისაგან გაათავისუფლა და აქცენტი კონკრეტული სპეციალური განათლების მიღებაზე იქნა გადატანილი. თუმცა აღმზრდელობითი სწავლების ელემენტებს ჩვენში მანამდე არც საინსტიტუტო უმაღლესი განათლება გამორიცხავდა. ოღონდ ერთი ის იყო, აღმზრდელობითი სწავლება უმეტესწილად იდეოლოგიზებული იყო, შენიღბული პატრიოტიზმის იდეებითაც (პოლიტიკის მეცნიერებების გარდა). თუმცა აღნიშნული ერთი მიზეზია და არა ერთადერთი. ამას ცხადყოფს თავად ევროატლანტიკური სივრცის ქვეყნების განათლების თანამედროვე პრაქტიკა, ასევე კონტაქტები ბოლონიის პროცესში ჩართული ევროპული უნივერსიტეტების საგანმანათლებლო ტრადიციებთან, კონცეფციებთან... მათ შორის მსოფლიოში აღიარებული უნივერსიტეტების სწავლება/სწავლის პროცესების ხარისხობრიობასთან. განათლების დონე იქაც

დაქვეითებულია. ასე რომ, მიზეზი სხვა უნდა იყოს. და ეს მიზეზი გლობალიზმის წიაღშია საძიებელი.

გლობალიზმმა ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროში პრაგმატიკა გააფეტვირა. განათლების სფეროში ეს გულისხმობდა კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მიცემას უმოკლეს დროში, განათლების ჰუმანიტარული მდგენლის უგულვებლყოფის ხარჯზე (აუცილებლობის შემთხვევაში მის შემდგომისათვის გადატანაში ცოდნის მაძიებლის სურვილის შესაბამისად, პრინციპით „სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე“).

განათლებით ცოდნის აკუმულირებულობის რეალური და ბუნებრივი პროცესის რეალიზებას შეუძლებელს ან ძნელად შესაძლებელს სულ ცოტა ორი გარემოება ხდის. პირველია დროის ფაქტორი ადამიანის პროფესიულ საქმიანობასთან სწავლის (ჰუმანიტარული განათლების) შეუთავსებლობის თვალსაზრისით. მეორეა ცოდნის მაძიებლის ასაკი და მენტალიტეტი - პრაგმატიკოსად მისი ჩამოყალიბება გლობალისტური პროცესების ზემოქმედების გამო. მისი მოქცევა თანამედროვე ჭარბი ინფორმაციული ნაკადების ტყვეობაში და ინფორმირებულობის აღქმა განათლებულობად.

ინფორმაციის ცოდნასთან გატოლების ილუზორულობა გახდა საზოგადოდ არა უბრალოდ ახალი ეპოქის, არამედ რაღაც უფრო დიდის დასაწყისი და ზღვარგამყოფი. XXI საუკუნის ქართველები (და არა მარტო) განათლების, წიგნიერების, ინტელექტუალიზმის სამყაროს შვილები არ არიან, იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ დაიბადნენ ინფორმაციის ეპოქაში. მათთვის ყველაზე დიდი კაპიტალი ინფორმაციაა. აქედან გამომდინარე, ისინი სხვა ღირებულებებით ხელმძღვანელობენ. განათლების ეპოქამ თავისი ისტორია დაასრულა, ისე როგორც განმანათლებლობის, კლასიციზმის, რომანტიზმის თუ სხვა ამავე რიგის ეპოქებმა. წიგნიერების ეპოქა თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის და იგი XX საუკუნეში დაბადებული და ჯერ კიდევ ცოცხლადმყოფი ადამიანების ყოველდღიურობაშია შემორჩენილი ვითარცა ღირებულებების სისტემა და ფილოსოფია. ერთი სიტყვით **წიგნობრობის ეპოქა უკანასკნელ დღეებს ითვლის. ინფორმაციის ერა აბსოლუტური გაგებით დადგა. ინფორმაციულობა უკვე ჩაენაცვლა წიგნიერებას და ცოდნას გაუტოლა თავი.**

თანამედროვე გლობალიზმმა მნიშვნელოვნად „დააჩქარა“ დროის ტრადიციული სვლა და „გაზარდა“ მისი სისწრაფე, დაამკვიდრა საქმის უმოკლეს დროში კეთების პრაქტიკა. ამის შესაბამისად შეიკვეცა ცოდნის შეძენის აკადემიური დრო და იგი ინფორმაციის მიღების დროს გაუტოლდა. ცოდნის მაჩვენებლად (შეფასების კრიტერიუმებად) უნარ-ჩვევები და კომპეტენტურობა გახდა ინტელექტუალურობისა და სულიერების მიღმიურობის კვეთილობით. სულიერებას არსებობისა და სრულქმნილობისაკენ ლტოლვის საკუთარი მსვლელობა აქვს. დროის აჩქარება მას აღარიბებს, რადგან გონი ინფორმაციის მიღებაზე გადაირთვება და აღარ ახდენს ინფორმაციის **გაცნობიერება-გათავისებას, ფილტრაციას, ცოდნად ქცევას. ამ პროცესს XX საუკუნის ადამიანები ცოდნის, წიგნიერების ეპოქიდან ვუჭკრეტთ და არ გვესმის. ჩვენი საზომი ცოდნისა, განათლებისა წიგნიერება რჩება და არა კომპეტენტურობა. აქედანაა თაობათა იმთავითური მარადიული „ხიდჩატეხილობა“ და გაუცხოება. დამაფიქრებელი კი ის არის, რომ ამჟამინდელი „ხიდჩატეხილობა“ და თაობათა შორის გაუცხოება რეგრესულია და არა ევოლუციური, პროგრესული, რადგან ქვეყნისადმი, სამშობლოსადმი გაუცხოებასაც შეიცავს. ახალგაზრდობა ტრადიციულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღირებულებებს ეუცხოება და შორდება, უცხო და საეჭვო ღირებულებებს ირევს ორიენტირებად. მოქალაქეობრივი ცნობიერების დეფიციტი აშკარა და ყოველმხრივია.**

სამოქალაქო ცნობიერების აღზრდის უტყუარი და ნაცადი გზა ცოდნისაკენ - განათლებისაკენ, წიგნიერებისაკენ, აკადემიზმისა და ინტელექტუალიზმისაკენ მიზრუნებაა, რაც მხოლოდ გუტენბერგის ფორმატს (ბეჭდურ წიგნს) კი არ გულისხმობს, არამედ თანამედროვე ფორმატით - ელექტრონული წიგნის მეშვეობასაც. ორივე ფორმატის რეალიზების გზა სკოლაში აღმზრდელობითი სწავლების პრინციპის დაბრუნებაა.

ცნობილია, რომ სწავლება აღზრდის ნაწილია. სწავლება მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემისა და სწავლის მსურველთა მიერ ამ

ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეთვისების ორგანიზებული პროცესია. სწავლება კი ოთხ ურთიერთგანმაპირობებელ ფუნქციას ასრულებს.

1. **პირველია საგანმანათლებლო ფუნქცია** - ცოდნისა და უნარ-ჩვევების გააზრებული შეძენა - განათლების მიღება. ამის შედეგად ცოდნის მამიებელნი უნდა ერკვეოდნენ:
  - საგნებისა და მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კანონზომიერებებში;
  - უნდა შეეძლოთ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;
  - უნდა ერკვეოდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინფორმაციის რაობაში.
2. მეორეა **აღმზრდელობითი ფუნქცია**, რომელიც პირველზეა გადაჯაჭვული. იგი უზრუნველყოფს:
  - ცოდნის მამიებლის მსოფლმხედველობის ფორმირებას;
  - ჰარმონიული პიროვნების აღზრდას;
  - მოქალაქეობრივ აქტივობას;
3. მესამე ფუნქციაა „**შრომითი მომზადება**“-სწავლების მთელი შინაარსის გაჯერება შრომისათვის მომზადების სულისკვეთებით, საამისო უნარ-ჩვევების ფორმირების გზით;
4. მეოთხე ფუნქცია არის **განმავითარებელი სწავლება**, თანდაყოლილი ბიოფსიქიკური უნარების განვითარება.

აღზრდა ვიწრო გაგებით, როგორც ცნობილია, **განმავითარებელ** ფუნქციას ასრულებს, აზროვნებისა და მეტყველების განვითარებას ემსახურება მეცადინეობით, კითხვით მეცნიერებასთან და კულტურასთან ზიარებას, ადამიანთა შორის კომუნიკაციებს. ხოლო აღზრდა ფართო გაგებით ჰარმონიული პიროვნების ფორმირების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის ინტელექტუალურობის განმსაზღვრელი პროცესია, სადაც ინტელექტუალიზმი გაგებულია როგორც გონებრივად (პროფესიონალი) და სულიერად (ეროვნული და საკაცობრიო კულტურული ღირებულებების მცოდნე ნაზიარები) სრულქმნილი პიროვნების აღზრდა.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ აღმზრდელობითი სწავლება მიზნად ისახავს მოწაფეში მსოფლმხედველობის ფორმირებას, ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებას, სამოქალაქო ცნობიერების და მოქალაქეობრივი აქტივობის უნარ-ჩვევების განვითარებას.

მსოფლმხედველობის ფორმირება, ერთი შეხედვით, მოწაფის კონკრეტული იდეოლოგიის მატარებლად გადაქცევის საფრთხის შემცველია, მაგრამ აღმზრდელობითი სწავლების მიზანი მსოფლმხედველობაში სამოქალაქო ცნობიერების და სახელმწიფოებრივი აზროვნების სწავლებას გულისხმობს. ამით არის იგი მნიშვნელოვანი და კიდევ იმით, რომ ჰარმონიული პიროვნება საკაცობრიო და ეროვნული სოციოკულტურული ღირებულებების მცოდნე და დამფასებელი, ინტელექტუალი პიროვნებაა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აღმზრდელობითი სწავლების კიდევ ერთი ამოცანა - მოქალაქეობრივად აქტიური და მოაზროვნე ადამიანის აღზრდა. მოქალაქეობრივად მოაზროვნე ადამიანის აღზრდა ყველა ეპოქისათვის წარმოადგენდა აქტუალურ პრობლემას. გლობალიზმის პოლიტიკური ფილოსოფიით განსაზღვრული თანამედროვე (სამოქალაქო) საზოგადოების ფორმირება კი მოქალაქეობრივად აზროვნების და მოქალაქეობრივი ცნობიერების მქონე პიროვნების გარეშე შეუძლებელია.

თანამედროვე განათლების ფილოსოფია და პრაქტიკა ამ ამოცანებს არ ცნობს და ამიტომ ხდება სტუდენტობა ნაირგვარი პოლიტიკური ძალების პოლიტიკური ინსინუაციების მსხვერპლი. ერთი გამოსავალი სკოლაში აღმზრდელობითი სწავლების დაბრუნებაშია. სამოქალაქო ცნობიერების ფორმირების თვალსაზრისით მიზანშეწონილია უმაღლესი სკოლის ბაკალავრიატის საფეხურზე დაინერგოს სასწავლო კურსი „ქართული სახელმწიფოებრიობა“, რომელიც შეასწავლის ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკას და ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ ეკონომიკურ, კულტურულ მისიას ისტორიული ეპოქების ჭრილში და ჩვენს თანამედროვეობაში. ეს სასწავლო კურსი მოსწავლეს/სტუდენტს შეასწავლის და გაარკვევს თუ რა ადგილი უკავია ქვეყანას მსოფლიო ქვეყნებს შორის, რით არის გამორჩეული, რა წვლილი შეაქვს ცივილიზაციაში,

რით არის იგი, მისი ეკონომიკა თუ კულტურა თანამედროვე მსოფლიოსათვის მნიშვნელოვანი და ა. შ.

უნივერსიტეტის, როგორც ინსტიტუციის საუკუნოვანი ტრადიციებით განმტკიცებული მისიაა აღმზრდელობითი სწავლება. თანამედროვე სწავლება კი დასპეციალებას - კონკრეტულ დარგში ცოდნის მიღებას, რაც უწინ ინსტიტუტის მისიას შეადგენდა. თანამედროვე უნივერსიტეტები ამ გაგებით უფრო კოლეჯების შესაფერ ცოდნას სთავაზობენ ცოდნის მაძიებელს.

თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების კიდევ ერთი თავსატეხია პროფესორის წოდების გაუქმება და თანამდებობად გადაქცევა. ამით მისი უფლებების შეზღუდვა, აღმზრდელობითი ფუნქციის ჩამორთმევა, პროფესორის გაჩინოვნიკება, სწავლების გადაქცევა მომსახურებად.

პროფესორის პროფესიონალიზაცია საკონკურსო დროით არის შემოფარგლული. როგორც კი საარჩევნო ვადა გაუვა, პროფესიონალიზაცია უქმდება მორიგ კონკურსში გამარჯვებამდე. ეს გარემოება პროფესორს მუდმივად სტრესულ მდგომარეობაში ამყოფებს, ფსიქოლოგიურ ტრამვას აყენებს, საკუთარი სოციალური მდგომარეობის არასტაბილურობის განცდას ბადებს. აქ და ამ შემთხვევაში ბიზნესისათვის ბუნებრივი კონკურენციის მასტიმულირებელ როლზე მითითებაც უადგილოა, რადგან განათლების სამყარო, სწავლების პროცესი კონსერვატიზმის აუცილებლობით არის ყოველთვის შედეგიანი. არა და სწორედ აღნიშნულის მიზანდასახულობა იმზირება პროფესორის საჯარო წარდგენა წოდების გარეშე, უბრალოდ გვარ-სახელით, აკადემიური სტატუსის გარეშე.

სწავლების ათასწლეულების პრაქტიკაც მოძღვარს - მასწავლებელს, პროფესორს, პედაგოგს სახავდა მოწაფისათვის მიზანმიმართულ ორიენტირად, ავტორიტეტად, სანუკვარი მიზნის - განათლებულობის მეტრად, ცდილობდა მიეზამა მასწავლებლისათვის. ახლა ეს ათასწლეულების პრაქტიკა დაირღვა, უკუღმა შეტრიალდა, - ახლა ზოგიერთი პროფესორი იქით „ეკრანჭება“ თავის მოწაფეებს - ჩაცმულობით (დაფლეთილი სამოსით, სვირინგებით, აუდიტორიაში ძმაბიჭური მოქცევით, მაგიდაზე შესკუპულად ლექციის კითხვით).

პრაგმატიზმმა პროფესორს წაართვა აღმზრდელობითი ფუნქცია, მთლიანად „დამკვეთზე“ - მოწაფეზე, სტუდენტზე გახადა დამოკიდებული. ამგვარი მიდგომით სტუდენტი (როგორც ცოდნის მყიდველი) ყოველთვის მართალია.

პროფესორი სტუდენტისათვის ავტორიტეტი უნდა იყოს, წოდება უნდა იყოს და არა მხოლოდ თანამდებობა. ისეთი რთულია გზა პროფესიონალიზაციის მისაღწევად, რომ პროფესორი იმსახურებს პატივისცემას, აღიარებას, მით უფრო, რომ მისი ავტორიტეტი ბევრად განსაზღვრავს ცოდნის მაძიებლის ინტერესს იმ უნივერსიტეტისადმი, სადაც ეს პროფესორი მოღვაწეობს.

პროფესორის ამჟამინდელი მდგომარეობის ერთ და მთავარ მიზეზად მიჩნეულია განათლების მართვა უნივერსალური მენეჯმენტით, ანუ ის, რომ არ არსებობს განსხვავება სახელმწიფოს, ბანკისა და სკოლის მართვაში. უნივერსიტეტის საქმიანობა შემოსავლის ოდენობით ფასდება. მენეჯმენტის უნივერსალურობის პრინციპი ეწინააღმდეგება მენეჯმენტის არსს, რადგან დიფერენცირებული მიდგომის, მართვის ობიექტის სპეციფიკის გარეშე შეუძლებელია სწორი გადაწყვეტილების მიღება და მართვა. მენეჯმენტის უნივერსალურობა დილეტანტობას ბადებს, ხოლო დილეტანტებთან მუშაობა პროფესიონალების დემორალიზაციას იწვევს [1, 27-28].

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ უნივერსიტეტში აუცილებელია აღმზრდელობითი სწავლების პრინციპების დაბრუნება. მიზანშეწონილია სტუდენტებისათვის სახელმწიფოებრივი აზროვნების, სამოქალაქო ცნობიერების განვითარება, ამ მიზნით უნივერსიტეტებში ყველა საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსის „ქართული სახელმწიფოებრიობის“ შემოღება. ამასთან უნივერსიტეტების წამყვანი აკადემიური ძალის - პროფესორის წოდების დაბრუნება და მისი პროფესიონალური ავტორიტეტის უზრუნველყოფა. და ბოლოს, უნივერსიტეტის განათლების მენეჯმენტის საფუძველზე მართვა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ჯაგოდნიშვილი თ., მოწოდებით სწავლული, კრებული, გამომცემლობა „საარი“, თბილისი, 2024, გვ. 27-28;

1. სწავლება. სწავლების ფუნქციები. სწავლების ორი ფუნქციის კავშირი მაგალითის საფუძველზე. 2020, 9 ნოემბერი, 12:32.

<https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/131969->

[%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-](#)

[%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-](#)

[%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-](#)

[%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98-](#)

[%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98-](#)

[%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-/191/](#)

## რეზიუმე

მოხსენებაში განხილულია თანამედროვე ქართულ უნივერსიტეტებში დამკვიდრებული განათლების პრაქტიკა. მის არსებით მახასიათებლად მიჩნეულია სპეციალური ცოდნის კონკრეტულ სფეროში ცოდნის მიცემა უმოკლეს დროში. ამის გამო უგულვებელყოფილია ტრადიციული აღმზრდელობითი სწავლება.

კიდევ ერთ თავისებურებად მიჩნეულია უნივერსიტეტების მართვა უნივერსალური მენეჯმენტის მეშვეობით, ისე, როგორც სახელმწიფოს, ბანკის, კორპორაციის, ფორმის მართვა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ უნივერსიტეტის ორიენტირება მოგებაზე, სადაც საუნივერსიტეტო ცოდნის მყიდველია სტუდენტი, რომელიც ყოველთვის მართალია (და რამაც შეიძინა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელი). აღნიშნულია, რომ ამ გარემოებამ პროფესორს ჩამოართვა მოძღვრის ფუნქცია, გადააქცია მომსახურე პერსონად. პროფესორის წოდება დაიკარგა და გახდა თანამდებობა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ უნივერსიტეტში აღდგეს აღმზრდელობით სწავლების პრინციპი, დაბრუნდეს პროფესორის წოდება; შემოდებულ იქნეს სასწავლო კურსი „ქართული სახელმწიფოებრიობა“, რომელიც ცოდნის მამიებელს გაუცნობიერებს ქართული სახელმწიფოს მისიას, ადგილს, როლს თანამედროვეობაში და ამგვარად უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტობა აღარ გახდება პოლიტიკური ძალების ინსინუაციების მსხვერპლი.

**საკვანძო სიტყვები:** უნივერსიტეტი, აღმზრდელობითი სწავლება, უნივერსალური მენეჯმენტი, პროფესორი, სახელმწიფოებრივი აზროვნება.

**Temur Jagodnishvili**  
**Professor of Georgian Technical University**  
**Georgia, Tbilisi**

### **Modern Georgian higher education practice and upbringing teaching**

#### **Summary**

The report discusses the education practice established in modern Georgian universities. Its essential feature is considered to provide knowledge in a specific field of special knowledge in the shortest time. Because of this, the traditional upbringing teaching is neglected.

Managing of universities is considered another peculiarity through universal management, like the management of the state, bank, corporation, form. The expressed opinion about the university orientation on profit, where a student is the buyer of university knowledge, is always true (and which obtained the name of student-oriented teaching). It is noted that this circumstance deprived the professor of the function of a confessor, turning him into a service person. The title of professor was lost and it became a position.

The opinion is expressed suggesting that the principle of upbringing teaching should be restored in the university, the title of professor should be returned; The educational course "Georgian Statehood" should be introduced, which will get the seeker of knowledge known the mission, place and role of the Georgian state in modern times and thus ensures that the studentship no longer becomes a victim of the insinuations of political forces.

**Key words:** university, upbringing teaching, universal management, professor, state thinking.

## ღირებულებათა ფორმირების პრობლემატი უმაღლეს ბანათლებაში

სამი ათეული წელია ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში ღირებულებათა ტრანსფორმაციის პროცესი მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დაჩქარდა ამ საუკუნეში. აღნიშნულმა გარემომამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მიწიერ სამყაროში რომ ყველაზე აღმატებული ადამიანია და ყველა ღირებულება მას უკავშირდება საყოველთაოდაა აღიარებული. ამის თაობაზე მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე წერდა: „გამხდარ თხას, დაკოჭლებულ ცხენს, ჩახმახდამტვრეულ თოფს ფასი ეკარგება; ადამიანს კი ერთი და იგივე ფასი აქვს ყოველთვის და ყველგან, იმერეთის მეფობას არგუნებს თუ დანელიას მეღორედ გააჩენს უფალი, დადიანის სასახლე ათას ფაცხაში არ გაიცვლება; ადამიანი კი იმდენივე ღირს, რაც მთელი კაცობრიობა, ადამიანის არც გაცვლა შეიძლება, არც დაფასება, არც გამრავლება, არც გამოკლება. იგი უფასოა...“ [1.133]. როგორც ვხედავთ, მწერლის შეხედულებაც ღირებულების იდეალურ საწყისებზე მიგვანიშნებს. თითოეული ადამიანი არის ერთადერთი უმაღლესი, უნიკალური ღირებულება. ამიტომ ყველა ეპოქაში მეტ-ნაკლებად ზრუნავდნენ მომავალი თაობის ღირებულებით ორიენტაციაზე, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ზოგადი განათლების საფეხურზე ზნეობრივ აღზრდას უკავშირდება, ხოლო უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა სოციალიზაციას. სწორედ ამიტომაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ღირებულების ფორმირება-დამკვიდრებას საგანგებო ყურადღება ექცევა ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების (ბოლონიის პროცესის) ფარგლებშიც, რომელიც მიზნად ისახავს ცოდნის საზოგადოების მშენებლობაში ხელშეწყობას, რაც ცოდნის ეკონომიკის განვითარების წინაპირობად არის მიჩნეული და მისი საბოლოო მიზანი ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ენობრივი ნაირფეროვნების დაცვაა, რაც ევროპის მრავალფეროვანი ტრადიციების მემკვიდრეობაზეა დაფუძნებული” [2.72].

საქართველოს კანონის თანახმად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ უმაღლესი განათლების უპირველეს მიზანს წარმოადგენს ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის [3. მუხლი].

თუმცა, ერთია რისამე დეკლარირება, მაგრამ მთავარი მაინც მისი შესრულებაა. ამ მხრივ მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა. ამჟამად საქართველოში მასობრივი უმაღლესი განათლების შედეგად მზადდება ინფორმირებული ფუნქციონერი და არა მცოდნე სპეციალისტი. უნივერსიტეტის ამოცანა აღარ არის სტუდენტის, მოქალაქის აღზრდა, მისი სოციალიზაცია და იგი კონფორმიზმის ჩარჩოებში მოქცეული ფუნქციონერი მენეჯერის მომზადებით ამოიწურება. დღეს უნივერსიტეტი ამზადებს არა განათლებულ, არამედ „უნარ-ჩვევების მქონე“ ინდივიდს, რომელსაც ძალუძს საბაზრო კონიუნქტურის გამოცნობა. აქ მთავარი ის როდია, რომ „ცოდნა“ წარმოადგენს „პროდუქტს,“ რომელიც კარგად უნდა გაიყიდოს - მთავარი პროდუქტი უკვე თავად ადამიანია. სწორედ ის უნდა გაიყიდოს წარმატებულად და ამით სპეციალისტის გამომშვები უნივერსიტეტის რეიტინგი ამაღლდეს, რაც კარგია, თუმცა არასაკმარისი.

„ამჟამდე ტრადიციული უნივერსიტეტი ემსახურებოდა უნივერსალურად განათლებული ადამიანის აღზრდა-განათლებას, - წერს მკვლევარი ზ. შათირიშვილი, - რომელმაც იცის მსოფლიოს ცივილიზაცია და ეროვნული კულტურა, მისი ანტიკური და ქრისტიანული

სათავეები. „განათლებულმა ადამიანმა“ იცის საკუთარი კულტურის გენეზისი და სტრუქტურა. რაც შეეხება „უნარ-ჩვევების მქონე ადამიანს“, მან იცის როგორ „მიაწოდოს“ საკუთარი თავი დამჭირავებელს. მას აქვს არა იმდენად ერუდიცია, რამდენადაც „კრიტიკული აზროვნება“ - „კრიტიკული აზროვნება“ ნიშნავს არა იმდენად საკუთრივ „აზროვნებას“, რამდენადაც გარკვეული საკითხებისადმი (მაგალითად, რაღაც ფაქტებისადმი) ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებას ან ამ დამოკიდებულების ადეკვატურად ჩამოყალიბების უნარს“ [4].

სტუდენტთა შორის ჯანსაღი ეროვნული და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას სხვადასხვა გარემოება უშლის ხელს. მათგან ერთ-ერთია უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებაში სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის შემცირება. დღეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში წამყვანია საბაზრო მეთოდები, რაც სასწავლო დაწესებულებათა შორის კონკურენციის სტიმულირებას განაპირობებს და საბოლოოდ სახეზე გვაქვს განათლების სისტემის კომერციალიზაცია. სწორედ ბაზარი, როგორც ინსტიტუტი, განსაზღვრავს სწავლების მიმართ საერთო მოთხოვნებს, ხოლო, აქედან გამომდინარე, შემდეგ ყალიბდება სწავლების კონკრეტული მიზან-ამოცანები. აღნიშნული გარემოება სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს განათლების სფეროში, რაც გამოწვეულია კერძო სტრუქტურების გაძლიერებით და სახელმწიფოს გავლენის შესუსტებით. ბიზნესის წარმომადგენლები სტუდენტებს განიხილავენ, არა როგორც განათლების მიღების უფლებების ბუნებრივ, კანონიერ მფლობელებს, არამედ საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლებს, რომელთაც შეუძლიათ შეიძინონ საგანმანათლებლო ბაზრის პროდუქტი - ცოდნა, ან შეისწავლონ კონკრეტული პროფესია. სწორედ ასეთი ურთიერთობის წესებს ამკვიდრებს გლობალიზაცია, რომელთა საფუძველზე ყალიბდება საგანმანათლებლო სისტემა. აქედან გამომდინარე, ჩვენშიც მყარად დამკვიდრდა ისეთი ცნებები, როგორიცაა: „საგანმანათლებლო ბაზარი“, „საგანმანათლებლო ბიზნესი“, „საგანმანათლებლო წარმოება“, „სასწავლო ბიზნესი“ და სხვა [5.86].

სამწუხაროდ განათლების მესვეურები არ ასრულებენ უმაღლესი განათლების დეკლარირებულ მიზნებს ღირებულების ფორმირების შესახებ, რაც ასევე, კანონით არის განსაზღვრული. თუმცა ღირებულებითი სწავლების საჭიროება კაცობრიობამ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაინახა. სწორედ ამიტომაც მიიჩნევდნენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ცოდნას სათნოებად. ხოლო ეპიკურე აკრიტიკებდა მათ, რომლებით მიელტვოდნენ „ცოდნას ცოდნისთვის“.

მართალია პლატონი და მისი მიმდევრები ცოდნას სათნოებად აღიარებდნენ, მაგრამ, როგორც მოგვიანებით დადასტურდა, უპირობოდ არც ცოდნა ყოფილა სათნოება. ამის თაობაზე ჩვენი დიდი განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე წერდა: „...სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთვნიდეს კიდევ ბავშვსა და ასწავლიდეს კიდევ. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში“. თუმცა ილიამ კარგად იცის, რომ წურთვნას ანუ აღზრდას და სწავლას სხვადასხვა საგანი და ამოცანა აქვს: „... წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა-კი გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე“ [6.208]. სკოლა ზნეობასაც უნდა სწვრთნიდეს და გონებასაც, ხოლო თუ საქმე არჩევანზე მიდგება, ილია ზნე-ხასიათ გაუწვრთნელ ადამიანს ისევ გონებაგანუვითარებელ ადამიანს ამჯობინებს, რადგან კაცობა მხოლოდ ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. ხოლო, წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) განმარტავდა: „... სჯობია კაცი უსწავლელი იყოს, სხვა-და-სხვა მეცნიერება არ იცოდეს, და საქმით კარგი იყოს, ვიდრე სწავლული და საქმით ცუდი. გარნა ყველაზე უმჯობესი და უმშვენიერესი არ არის, თუ კაცი გონებითაც განათლებულია და საქმენიც, ყოფა-ქცევაც განათლებული, კეთილი აქვს.“ [7.352].

და მაინც, ეპოქალური ცვლილებების პირობებში, რა არის ის მთავარი ღირებულებები, რომელთა ფორმირება ასე საშური საქმეა ჩვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის და რა უნდა გაკეთდეს ამისთვის?

იმის მიუხედავად, რომ ღირებულებითი ორიენტაცია არ არის მყარი და მასზე გავლენას ეპოქალური ცვალებადობა და პოლიტიკური რეჟიმები ახდენენ, მაგრამ საზოგადოებრივი ცნობიერების ველზე გადამწყვეტი როლი მაინც ისეთ მარადიულ ღირებულებებს უჭირავს,



როგორცაა სიცოცხლე, თავისუფლება, ჭეშმარიტება, სამშობლო, მშვენიერება და სიკეთე, ხოლო თანამედროვეობის უმთავრეს ლიბერალურ ღირებულებებად გამოხატვის თავისუფლებას, საკუთრებას და ღირსებას მიიჩნევენ. სწორედ ეს სამი ღირებულება ითვლება დემოკრატიის საფუძვლად.

საქართველოს სახელმწიფო როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეთა უმაღლესი ღირებულება, თავის თავში აერთიანებს ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორცაა: სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, თავისუფლება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, უსაფრთხოება, კეთილდღეობა და მშვიდობა.

ქართველები მცირერიცხოვან ერად ვითვლებით და აქედან გამომდინარე, ყოველთვის სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ეროვნული იდენტობას. თუმცა, ეროვნული და რელიგიური იდენტობა არა თუ ხელს უშლის დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეების აღზრდას, პირიქით, ხელს უწყობს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას, შემწყნარებლობას, თანადგომას და ურთიერთპატივისცემას. სამოქალაქო საზოგადოება პიროვნების უფლებებისა და პასუხისმგებლობის თანაფარდობაზეა დაფუძნებული, რაც უმცირესობისა და უმრავლესობის აღმსარებლობის პატივისცემასა და თითოეული მოქალაქისაგან ქვეყნის ისტორიისა და სახელმწიფოს მიმართ პასუხისმგებლობას გულისხმობს.

ჩვენ მომავალი თაობა ამ მისიას ვერ შეასრულებს თუ არ მოვუფრთხილდებით ეროვნულ ტრადიციებს და უფრო მეტიც, თუ მას წარსულის მანვე გადმონაშთად მივიჩნევთ. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში არც თუ ცოტაა ისეთი პიროვნება თუ საზოგადოებრივი გაერთიანება, ვისაც პატრიოტიზმზე საუბარი დრომოჭმულად, ჩამორჩენილობად მიაჩნიათ. კიდევ უფრო მძიმდება სიტუაცია, როცა ასეთ იდეოლოგიას საზოგადოებაში ე. წ. „პოპულარული სახეები“ ამკვიდრებენ და მას მასმედია აქტიურად აშუქებს. ამიტომაც სახეზე გვაქვს ეროვნული ნიჰილიზმი, რაც სახიფათოა როგორც ეროვნული, ისე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. მხოლოდ განათლებაზე ორიენტაციამ და აღზრდის განდევნამ საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ადამიანის სულიერებას, მის ჰარმონიულ განვითარებას საფრთხე შეუქმნა. ღირებულებების გარეშე ცოდნა-განათლებას და სწავლება-სწავლას კოსმოპოლიტური ხასიათი აქვს, ხოლო მასთან კავშირში - ეროვნული.

ბოლო დროს ხშირად გვესმის, თითქოს საქართველოს დომინანტი რელიგია - მართლმადიდებლობა ეწინააღმდეგებოდეს ევროპულ ღირებულება ან ევროპული ღირებულებები საფრთხეს უქმნიდეს ჩვენს რელიგიას და ტრადიციებს, რაც არ არის მართალი. პირიქით დემოკრატიულ ღირებულებებს არა თუ ეწინააღმდეგება ქრისტიანული ზნეობა, არამედ მისთვის მყარ საფუძველსაც ქმნის, რადგან ევროპული დემოკრატიის საფუძველი ქრისტიანული ზნეობაა, ხოლო რაც შეეხება ტრადიციებს, ევროპაში დღესაც წარმატებით ფუნქციონირებენ კონსტიტუციური მონარქიები. ამიტომ ღირებულებათა ფორმირების პროცესში შეუძლებელია რაიმე დაბრკოლება არსებობდეს ერთი მხრივ, ჭეშმარიტ დემოკრატიულ ღირებულებებსა და მეორეს მხრივ - ქრისტიანულ და ტრადიციულ ეროვნულ ღირებულებებს შორის [8.22].

როცა ახალგაზრდები მოწყვეტილნი არიან ჯანსაღ ზემოქმედებას, მათ სულიერებას არ კვებავს ეროვნული ტრადიციები და ჭეშმარიტი რელიგია, მათ ადგილს იჭერს მაგია, სექტანტობა და სხვა ანტიჰუმანური გაერთიანებები, რაც სავალალო გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე.

ხანგრძლივი გამოცდილებით დადასტურებულია, რომ საზოგადოების სოციალური და კულტურული გარემო მხოლოდ მაშინაა მყარი, თუკი შეხედულებები და წარმოდგენები ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადაეცემა თაობიდან თაობას, ხოლო მათ შორის ესტაფეტის წყვეტა, ცოდნისა და შეხედულებების გადაცემაში ფრაგმენტულობა, პირიქით, ხელს უწყობს არასტაბილური და არამყარი ეთიკური, სოციალური და კულტურული ღირებულებების აღმოცენებას.

სწორედ ამ თვალსაწიერიდან უნდა აღვიქვათ ის გარემოება, რომ გარკვეული ცვლილებები განიცადა ისეთმა ტრადიციულმა ღირებულებამ, როგორცაა მოწიწება უფროსების

მიმართ. წინააღმდეგობამ აშკარად იჩინა თავი მშობლებისა და შვილების, ზოგადად უფროსი თაობისა და ახალგაზრდების ურთიერთობაში, რაც მეტ-ნაკლებად ყველა ეპოქას ახასიათებს.

რაკი უფროსებს ჰგონიათ, რომ მათ დიდი გამოცდილება აქვთ, ამიტომ შვილებმა მათი მითითებები უნდა შეასრულონ, ხოლო შვილებს მიაჩნიათ, უფროსი თაობის გამოცდილება თანამედროვე პირობებში უსარგებლოა, მათ უკეთ იციან რა უნდა აკეთონ და როგორ მოიწყონ ცხოვრება.

ამის თაობაზე საყურადღებო დასკვნა შემოგვთავაზა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ: „...თაობათა ურთიერთობა მანამდე იქნება პრობლემური, ვიდრე ორივე მხარე ერთმანეთში არ დაინახავს იმ უმნიშვნელოვანესს, რაც პირადად მათ აკლიათ და რაც შეიძლება და აუცილებელიცაა, ისწავლონ ერთმანეთისაგან. ის, რომ მშობლებს და ასაკოვან ადამიანებს ბევრი რამ უნახავთ და ადამიანური ურთიერთობების მხრივ მეტი ცოდნა აქვთ, ბუნებრივია, მაგრამ ახალგაზრდები, რომ უფრო გაბედულნი, ზოგჯერ რადიკალურნიც არიან, ამასთან, აქვთ ახალი იდეები, ახალი ხედვა, ახალი მისწრაფებები, – ესეც ფაქტია. უფროსების ვალია, მათი შემოთავაზებებიდან სწორი არჩევანი გააკეთონ, დაინახონ მათში რეალური სასიკეთო შედეგები და მომავალ თაობას დაეხმარონ გზის გაკაფვაში. თანამშრომლობა და ურთიერთშეგების საჭიროება უნდა იგრძნოს ორივე მხარემ. ეს ნებისმიერი ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა“ [9].

ღირებულებების (აღზრდის) ფორმირებისა და სწავლების პრობლემათა გადაკვეთის წერტილები უამრავია, სწორედ მათი ეფექტური გამოყენება არის უნივერსიტეტის ძირეული ამოცანა. შეუძლებელია ამ ორის სფეროს გამიჯვნა. ნებისმიერი საგნის პედაგოგი ერთდროულად პასუხისმგებელია როგორც სწავლება-სწავლაზე ისე ღირებულებათა ფორმირებაზე. სწორედ ამას მოითხოვს უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის მაღალი დანიშნულება.

ღირებულებების ფორმირების მთავარ გზად უნივერსიტეტებში ღირებულებითი განათლებაა მიჩნეული. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო პირდაპირ ავალდებულებს სასწავლო კურსის სილაბუსის (პროგრამის) ავტორებს საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით იღვაწონ სტუდენტებში ღირებულებების ფორმირებისთვის. კერძოდ, ბაკალავრიატში - ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობასა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვაში; მაგისტრატურაში - ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებასა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანაში, ხოლო დოქტორანტურაში - ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევასა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავებაში.

რა უნდა ითქვას ასეთი სტანდარტული წესების შესახებ, რომელთა სილაბუსებში ასახვას იმპერატიულად მოითხოვს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო? რასაკვირველია, იდეა კეთილშობილურია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მისი რიგიანად შესრულებისთვის. ამიტომ ამაზე დადებითი შეფასება ვერ გვექნება. გარდა იმისა, რომ ეს მოთხოვნები ლოზუნგების ელფერს ატარებს, ხოლო დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურზე, ძალიან შორს მიდიან და ღირებულებების სფეროში, ინოვაციური მეთოდების შემუშავებას მოითხოვენ. სამწუხაროდ ამ დოკუმენტის შემდგენლებმა არ იციან, რომ ღირებულებათა სისტემა განსხვავდება ტექნიკისა და ტექნოლოგიებისაგან, სადაც ინოვაციური მიეხები პროგრესის აუცილებელი პირობაა, მაგრამ ზნეობასთან ინოვაციური მიდგომები, რბილად რომ ვთქვათ, შეუსაბამოა. და კიდევ ერთი, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოში გაწერილი მოთხოვნები გაზომვადი უნდა იყოს. საინტერესოა რა მეთოდებით აპირებენ ღირებულებების (ზნეობრივი ნორმების) დამკვიდრება-გათავისების შემოწმებას? რასაკვირველია ისინი ვერ აცნობიერებდნენ იმ გარემოებას, რომ ღირებულებისა (პიროვნების მორალურობას) და სტუდენტის ცოდნის შეფასებას შორის უზარმაზარი განსხვავებაა.

სილაბუსის შედგენის მეტისმეტი ფორმალურობით, რაც ზღუდავს აკადემიური პერსონალის შემოქმედებით თავისუფლებას სასურველ შედეგებს ვერ მივაღწევთ. რასაკვირველია, საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსის სილაბუსები ზოგადი სტანდარტის ფარგლებში უნდა იყოს მოქცეული, სწორედ ამისთვის არსებობს ეროვნული

საკვალიფიკაციო ჩარჩოვ, რათა შეფასდეს მათი აკვარგიანობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სილაბუსები ტყუპის ცალივით გავდეს ერთმანეთს. ხშირად ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, თითქოს ყველა სილაბუსი ერთი ადამიანის შედგენილი იყოს. ამ მიმართებით სასურველია მეტი თავისუფლება მიენიჭოს აკადემიურ პერსონალს. რადგან, სწორედ ასეთი მიდგომა შეესაბამება უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე დეკლარირებული დემოკრატიული რეფორმების სულისკვეთებას.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე არასახარბიელო ნიშანი იმის თაობაზე, რომ სასწავლო კურსის სილაბუსებში (პროგრამებში) გაცხადებული ამოცანები უპირატესად ფორმალურია. მაგალითად, კითხვაზე: მიმდინარეობს თუ არა საუბრები და დისკუსიები უნივერსიტეტებში ისეთ თემებზე, როგორცაა: საქართველოს სახელმწიფო, როგორც უმაღლეს ღირებულება და მისი სუვერენიტეტი, ტერიტორიულ მთლიანობა, თავისუფლება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, უსაფრთხოება, კეთილდღეობა და მშვიდობა? ამ კითხვაზე მხოლოდ 7% -მა გაგვცა დადებითი პასუხი. ხოლო კითხვაზე, რაც გულისხმობს თაობათა კავშირის შენარჩუნებას და ეროვნული ტრადიციების დაცვას, რელიგიური და ეთნიკური თავისებურების პატივისცემას, სტუდენტებთან მსჯელობს პროფესორთა 11%. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ჩნდება კითხვა: თუ ამ თემებზე არ მსჯელობენ, მაშინ რა გზით აღწევენ სილაბუსში გაცხადებულ მიზნებს ღირებულებითი განათლების შესახებ? თუ წმინდა ფორმალობაა ის, რაც ღირებულების ფორმირების ამოცანად გვაქვს დასახული? სამწუხაროდ სწორედ ასეა.

ღირებულებების ფორმირებისათვის ზერელე დამოკიდებულებას პროფესორები უპირატესად სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი კრედიტების სიმცირით ხსნიან, რაც არ არის უსაფუძვლო. მაგრამ ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ ღირებულები ყალიბდება არა მარტო შესაბამის თემებზე საგანგებო მსჯელობით, არამედ სხვა საშუალებებითაც. მაგალითად, ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობა კარგი გზაა სტუდენტთა სოციალიზაციისათვის. ისე როგორც სტუდენტის საქმიანი კომუნიკაცია ზოგადად, როგორც უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, ისე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურის წარმომადგენლებთან.

აქედან გამომდინარე, კარგად უნდა გავაცნობიეროთ ის გარემოება, რომ უნივერსიტეტებში ღირებულების ფორმირება მხოლოდ სასწავლო პროცესში არ ხდება. ამ ამოცანების გადაჭრაში წამყვანი ადგილი სოციალიზაციას უჭირავს.

სოციალიზაცია უმაღლეს სკოლაში, პროფესიის დაუფლებასთან ერთად, გულისხმობს, საზოგადოებაში (სოციუმში) თანაარსებობისათვის, ისეთი აუცილებელი ღირებულებების თვისობრივ და ხარისხობრივ განვითარებას, როგორცაა: სოციალურად ღირებული შეხედულებები, წარმოდგენები, მსოფლმხედველობრივი ორიენტაციები, იდეალები და პიროვნების მორალური თვისებები.

სოციალიზაციაში იგულისხმება პიროვნების აღზრდა, განათლება და სწავლებაც, ამდენად, იგი, ერთი მხრივ, ზოგადი პედაგოგიკის ძირითადი კატეგორიების შედეგია და მეორეს მხრივ, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის უმნიშვნელოვანესი კატეგორია, რომელიც აღნიშნულ საგანმანათლებლო საფეხურზე აჯამებს სოციუმში პიროვნების ადაპტირებისათვის საჭირო უნარ-თვისებებს.

უმაღლესი სკოლის გარემო ბუნებრივად ახდენს ზემოქმედებას სტუდენტთა სოციალიზაციაზე. რაც გამოიხატება პროფესიული კომპეტენციის დაუფლებაში, შემეცნებითი უნარების და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.

იმის მიუხედავად, რომ უნივერსიტეტებში არ არსებობს სტუდენტთა სოციალიზაციის სპეციალიზებული სტრუქტურები, აღნიშნული პროცესი მაინც განუყოფელია უმაღლესი სკოლის მუშაობისთვის. რადგან უნივერსიტეტები ამ თვალსაზრისით დიდ აღმზრდელობით პოტენციალს ფლობენ. კერძოდ, პროფესიული კომპეტენციების გარდა, სწავლის პროცესში, სტუდენტს სათანადო უნარ-ჩვევები უყალიბდება უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციასთან და პროფესორებთან ურთიერთობაში. ამ საქმეში გასათვალისწინებელია აგრეთვე სტუდენტური თვითმმართველობის როლიც. რაც ერთობლიობაში ქმნის სათანადო

ბაზას, პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კურსდამთავრებულის სოციუმში ადაპტირებისათვის.

ზოგადად აღიარებულია, რომ ადამიანი პიროვნებად სოციუმის გავლენით იქცევა, ამიტომ მის ჩამოყალიბებაში სწორედ სოციალური ინსტიტუტები ასრულებენ გადამწყვეტ გავლენას. მათ შორის პიროვნების სოციალიზაციაში მთავარი როლი უმაღლესი სკოლაა. უფრო მეტიც, იგი არა მარტო სოციალიზაციის რიგითი საფეხურია, არამედ განსაკუთრებული საფეხური ცხოვრებისთვის მომზადებაში. რაკი უმაღლეს სკოლაში მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების კვალდაკვალ პროფესიული მომზადებაც მიმდინარეობს, ამით ფაქტობრივად ადგილი აქვს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, რაც მისი სოციალიზაციის საფუძველია.

როგორც სწავლება-სწავლაში, ისე ღირებულებათა ფორმირებაში წამყვანი ადგილი აკადემიურ პერსონალს უჭირავს. ლექტორმა პირადი მაგალითით უნდა მოიპოვოს სტუდენტების ნდობა და პატივისცემა. იგი უფროსი მეგობარი და თანამოაზრეა სტუდენტისთვის. კარგი პედაგოგი სამართლიანად იცავს სტუდენტის ინტერესებს, ამიტომ ასეთი ლექტორის სამართლიანობაში ეჭვიც არ ეპარებათ ახალგაზრდებს. პროფესორის პიროვნებაში სტუდენტი გულისხმიერ თანამოაზრეს და სიმართლისთვის მეზრძოლს უნდა ხედავდეს, ვისთვისაც მიუღებელია ეროვნული, რელიგიური და სხვა ნიშნების მიხედვით ადამიანების დაყოფა. ლექტორი თავად უნდა იყოს პატრიოტიზმის, სამართლიანობისა და ჰუმანისტური იდეალების ერთგულების განსახიერება. თუმცა უმაღლესი სკოლის პედაგოგმა რომ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინოს სტუდენტთა შეხედულებებზე, ამისათვის, პირველ რიგში, იგი თვით უნდა იყოს ამისთვის მზად. მაგრამ, თუ გავიაზრებთ იმას, რომ აკადემიურ კონკურსებში ამ საკითხებს საერთოდ არ ექცევა ყურადღება, არსებული პრობლემების დაძლევის შანსი კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს უნივერსიტეტებში ღირებულებათა ფორმირება უდიდესი მნიშვნელობის საზოგადოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის ამოცანაა. იმის მიუხედავად, რომ საკანონმდებლო დონეზეც და უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვითაც სავალდებულოა ღირებულებების ფორმირებაზე ზრუნვა, იგი უპირატესად მაინც ფორმალურ ხასიათს ატარებს. გარდა ამისა, ამ საქმიანობას სერიოზულად აბრკოლებს უნივერსიტეტებში არსებული სტუდენტთა სოციალიზაციის სფეროში არსებული რესურსების გამოუყენებლობა და უნივერსიტეტების საბაზრო რელსებზე გადაწყობა, რამაც კურსდამთავრებულთა მარკეტინგი უნივერსიტეტების პრიორიტეტად აქცია. ამასთან ერთად, საყურადღებოა თაობათა შორის ტრადიციული კავშირის დაკარგვის საფრთხე, რაც ოდითგანვე უფროსების მიმართ მოწიწებას და დაფასებას გულისხმობდა. აქედან გამომდინარე, ღირებულებათა ფორმირების სფეროში არსებული მდგომარეობის გამოსწორებისთვის სწორედ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაა საჭირო, რითაც ჩვენი უნივერსიტეტები უძველესი უნივერსიტეტების ჰუმანისტური ტრადიციების შენარჩუნების კვალდაკვალ მოამზადებენ თანამედროვე გამოწვევების შესატყვის კადრებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ლორთქიფანიძე 1994: ლორთქიფანიძე ნ., „დადიანის ასული და მათხოვარი“, ქართული პროზა, წიგნი XXI, გამომცემლობა „საქართველო“, 1994, თბილისი.
2. ბოლონიის პროცესის დოკუმენტები, 2005, თბილისი.
3. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, 2004, თბილისი,
4. შათირიშვილი 2007: შათირიშვილი ზ., უნივერსიტეტის იდეა: ორი პარადიგმა, ქართული საზოგადოება და ევროპული ღირებულებები - 2007 წელი. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), ევროპულ მიებათა ინსტიტუტი (European Studies Institute). chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.ctc.org.ge/wp-content/uploads/2019/09/%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%90.pdf

5. ასათიანი 2016: ასათიანი ა., უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016, თბილისი.
6. ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987, თბილისი.
7. ქადაგებანი 1989: ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ტომი II, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987, თბილისი.
8. ასათიანი 20. ასათიანი ა., დემოკრატიულ და ქრისტიანულ ღირებულებათა თავსებადობა ზნეობრივ აღზრდაში, იაკობ გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „განათლება, კვლევა, პრაქტიკა“, 2018, თელავი.
9. ილია მეორე 2019: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, 2019 წლის სააღდგომო ეპისტოლე, თბილისი.
10. შავერდაშვილი, მოსიაშვილი 2018: შავერდაშვილი ე., მოსიაშვილი თ., ცოდნა და ღირებულებითი განათლება, შესავალი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018.
11. Weyringer, S. 2006: VaKE – Values and Knowledge Education: Theoretischer Hintergrund einer effizienten Methode zur Realisierung der Idee „Bildung“ in der (Hoch-) Begabtenförderung. Labyrinth – Zeitschrift der DGhK, Ausgabe Nov. 06.

## რეზიუმე

მოხსენებაში განხილულია ღირებულებათა ფორმირების სხვადასხვა ასპექტი. გაანალიზებულია, თუ რამდენად სრულდება საკანონმდებლო და უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნები სტუდენტებში ღირებულებების ფორმირების თაობაზე. გამოვლენილია ამ საქმიანობის შემაფერხებელი ისეთი მიზეზები, როგორცაა: უნივერსიტეტებში არსებული სტუდენტთა სოციალიზაციის სფეროში არსებული რესურსების გამოუყენებლობა და უნივერსიტეტების საბაზრო რელსებზე გადაწყობა, რამაც კურსდამთავრებულთა მარკეტინგი უნივერსიტეტების პრიორიტეტად აქცია. ამასთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია თაობათა შორის ტრადიციული ურთიერთობის დაკარგვის საფრთხეზე.

ავტორის მიერ შემოთავაზებულია ღირებულებათა ფორმირების სფეროში არსებული მდგომარეობის გამოსწორებისთვის სწორედ აღნიშნული პრობლემების მოგვარება, რითაც ჩვენს უნივერსიტეტები უძველესი უნივერსიტეტების ჰუმანისტური ტრადიციების შენარჩუნების კვალდაკვალ მოამზადებენ თანამედროვე გამოწვევების შესატყვის კადრებს.

საკვანძო სიტყვები: ღირებულების ფორმირება, ღირებულებითი განათლება, საკვალიფიკაციო ჩარჩო, თანამედროვე ლიბერალური და ტრადიციული ღირებულებები

**Avtandil Asatiani**  
**Georgian Technical University,**  
**Georgia, Tbilisi**

### Problems of value formation in higher education

#### Summary

The report discusses various aspects of value formation. It is analyzed to what extent the requirements of the legislative and national qualification framework of higher education regarding the formation of values in students are fulfilled. Reasons hindering this activity have been identified, such as: lacking utilization of resources in the field of student socialization in universities and the reorganization of universities on market economy tracks, which made the marketing of graduates a priority of universities. At the same time, attention is focused on the danger of losing the traditional relationship between generations.

The author proposes to correct the current situation in the field of value formation by solving the mentioned problems, that will give an opportunity to our universities to prepare personnel that meet the modern challenges while preserving the humanistic traditions of the ancient universities.

**Key words:** value formation, value education, qualification framework, modern liberal and traditional values.

**ნოდარ ბარამიძე,**

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 ემერიტუსი პროფესორი,  
 საქართველო, ბათუმი

## სწავლებისა და განვითარების პრობლემის მეცნიერული კვლევის ისტორიიდან

სწავლებისა და განვითარების ურთიერთობის პრობლემა პედაგოგიური (განათლების) ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია, რომელიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ასპექტით არაერთხელ ყოფილა შესწავლილი როგორც თეორიულად, ისე ექსპერიმენტულად და საკმაოდ დამუშავებულ, თუმცა, ყოველთვის საყურადღებო პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. ამ პრობლემის შესახებ თავიანთი მოსაზრებები გამოთქმული აქვს არაერთ ცნობილ ფსიქოლოგს, მათ შორის ფსიქოლოგიის ისეთ კლასიკოსებს, როგორებიც იყვნენ ჟ. პიაჟე, დ. უზნაძე, და ლ. ვიგოტსკი. აღსანიშნავია, რომ უზნაძისა და ვიგოტსკის შეხედულებები, რომლებიც პრობლემის ყველაზე სწორ გააზრებადაა მიჩნეული, იმდენად ავსებენ და უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ერთიანი შეხედულების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამიტომ, ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ ვის ეკუთვნის პრიორიტეტი აღნიშნული პრობლემის ამდაგვარად დაყენებასა და გაგება-გააზრებაში, სწავლების ადგილისა და როლის ასეთნაირად განსაზღვრაში ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, ცხადია, მოითხოვს უზნაძისა და ვიგოტსკის შეხედულებების განხილვას და თავისებურ შედარებით ანალიზს. მაგრამ მეტი სიცხადისათვის ჯერ შევეხებით ჟან პიაჟეს არსებითად განსხვავებულ შეხედულებას სწავლებისა და განვითარების შესახებ [1][7][9].

გამოჩენილი შვეიცარელი ფსიქოლოგი ჟ. პიაჟე ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კოგნიტური პროცესების განვითარებას. იგი ინტელექტს განიხილავს როგორც ოპერაციათა (აზროვნების ლოგიკურ სტრუქტურათა სისტემას. ამიტომ ინტელექტის განვითარება მასთან გაგებულა, როგორც აზროვნების ლოგიკური სტრუქტურების - ოპერაციების დაუფლების პროცესი. ინტელექტუალური აქტივობა ხორციელდება გარკვეული „სქემების“ გამოყენების გზით. „სქემა“ არის ტიპურ სიტუაციებში მოქმედების განმეორებადი წესი, რომელიც შეიძლება შედგებოდეს როგორც უმარტივესი მოძრაობებისაგან, ისე გონებრივი მოქმედების საკმაოდ რთული კომპლექსებისაგან. სქემები იცვლებიან ბავშვის ასაკობრივი განვითარებისა და მათი გამოცდილების შესაბამისად.

პიაჟე ბავშვის ინტელექტუალური განვითარების უწყვეტ პროცესში გამოყოფს ოთხ ძირითად პერიოდს, რომლებიც კოგნიტური განვითარების სტადიების სახელწოდებითაა ცნობილი. ესენია: სენსომოტორული სტადია (დაბადებიდან 1,5-2 წლამდე), ოპერაციამდელი სტადია (2-დან 7 წლამდე), კონკრეტული ოპერაციების სტადია (7-დან 11-12 წლამდე) და ფორმალური ოპერაციების სტადია (11-12-დან 15 წლამდე და შემდგომ). ძირითადი მექანიზმი, რომელთა მეშვეობით ბავშვი გადადის განვითარების ერთი სტადიიდან მეორეზე, არის ასიმილაცია, აკომოდაცია და წონასწორობა.

ობიექტი, ან რაღაც ინფორმაცია, რომელსაც აწყდება ადამიანი, თუ პასუხობს მასში არსებულ მენტალურ ჩარჩოებს, ის ასიმილირდება, სუბიექტი იგუებს მას, ჩართავს თავისი მოქმედების საშუალებებში, ე. წ. „სქემებში“. თუკი ობიექტი არ ეწერება ამ ჩარჩოებში, ხდება მისი აკომოდაცია, იცვლება სუბიექტის მოქმედების საშუალებები, სქემები ეგუება ობიექტს, ადამიანი იძენს ახალ ცოდნას. განვითარების პროცესში ხან ასიმილაციის სიჭარბეა და ხან აკომოდაციის. მაგრამ დგება მომენტი, როდესაც გარემოს მოთხოვნები და მოქმედების სქემები (ასიმილაცია და აკომოდაცია) წონასწორობაში მოდიან და მიიღწევა სრული ადაპტაცია, მყარდება წონასწორობა

ბავშვსა და გარემოს შორის და ქცევაც უფრო გონივრული ხდება. მაგრამ გარემო ახალ მოთხოვნებს უყენებს ბავშვს, ირღვევა წონასწორობა და მისი აღდგენისაკენ მისწრაფების ტენდენცია, პიაჟეს აზრით, ბავშვის მთელი ინტელექტუალური განვითარების, მისი ფსიქიკური აქტივობის სრულყოფის ძირითად ტენდენციას წარმოადგენს.

პიაჟეს მიაჩნდა, რომ განვითარება წინ უძღვის სწავლებას. ბავშვებმა რომ შეძლონ სამყაროს შესწავლა და შემეცნება, მათ ჯერ უნდა ჩამოუყალიბდეთ გარკვეული კოგნიტური სტრუქტურები, ანუ სქემები. ამასთანავე, ინტელექტუალური განვითარების აღნიშნული სტადიები, პიაჟეს აზრით, თითქმის არ იცვლებიან, არ ექვემდებარებიან სწავლება-ზემოქმედებას. ბავშვის გონებრივი განვითარება მიმდინარეობს სპონტანურად, თავისი შინაგანი კანონზომიერებით და ეს სტადიებიც თავს იჩენენ მხოლოდ გარკვეულ ასაკობრივ საფეხურზე, დამოუკიდებლად იმისა, ასწავლიან მას თუ არა. „დიდი შეცდომაა, – ამბობს პიაჟე, ვიფიქროთ, რომ ბავშვი ეუფლება რიცხვის ცნებას და სხვა მათემატიკურ ცნებებს უშუალოდ სწავლაში. პირიქით, იგი მნიშვნელოვანწილად ანვითარებს მას, დამოუკიდებლად და სპონტანურად“ [9, 121]. ცხადია, კოგნიტური განვითარების პიაჟესეული სტადიების (და არა მხოლოდ) შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები და შეფასებებიც [3, 37-39][4, 28].

ბავშვის ფსიქიკური განვითარების, მისი ფარული შესაძლებლობებისა და მათი აქტივაციისათვის საჭირო სათანადო პირობების შექმნის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვს გამოთქმული დ. უზნაძეს თავის ადრინდელ, ძალიან ორიგინალურ ექსპერიმენტულ გამოკვლევებში [5, 57-161]. კერძოდ, 1928 წელს სკოლამდელი ასაკის ბავშვების აზროვნების განვითარების (დაჯგუფების უნარის) და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნების შემუშავების შესაძლებლობების კვლევისას, მან დაადასტურა, რომ გარკვეულ პირობებში ბავშვს ცნების უფრო მაღალ დონეზე დაუფლება შეუძლია, ვიდრე ამას სპონტანურად ამჟღავნებს. კერძოდ, თუ დავეხმარებით, ბავშვი გაცილებით მეტს შეძლებს, ვიდრე ამას დამოუკიდებლად მოახერხებდა. მაშასადამე, გარკვეული შესაძლებლობა მას პოტენციურად უკვე მოცემული ჰქონია, მაგრამ სათანადო პირობები (მაგალითად, ერთგვარი დახმარება, წახალისება, მოწონება) იყო საჭირო მისი გამოვლენისათვის. ამასთანავე, დახმარების განსხვავებული საფეხური თუ ფორმა იძლევა განსხვავებულ შედეგს როგორც ერთი და იგივე, ისე სხვადასხვა ბავშვთან. საგულისხმოა, რომ 6-წლიანთა აზროვნების განვითარების თავისებურებების დახასიათებისას, უზნაძე ლაპარაკობს განვითარების ორი ეტაპის - განვითარების წინა და განვითარების უახლოესი ეტაპების შესახებ [5, 87].

ამრიგად, დ. უზნაძის მიხედვით, ბავშვის ფსიქიკური შესაძლებლობები როდი ამოიწურება მხოლოდ სპონტანურად გამოვლენილი აქტივობით. ბავშვს განვითარების ყოველ საფეხურზე აქვს ფარული შესაძლებლობები, რომელთა აქტივაცია შესაძლებელია სპეციალური პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. სასკოლო გარემო, კარგად ორგანიზებული სწავლება-სწავლის პროცესი, ცოდნის მიღებასთან ერთად, სწორედ ბავშვის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარებას უზრუნველყოფს.

უზნაძის აზრით, ბავშვის შესაძლებლობების აქტივაციისა და მისი ფსიქიკური განვითარების ოპტიმალური პირობები იქმნება მაშინ, როდესაც სასწავლო მასალა „ერთი მხრივ მოწაფის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის უნდა იყოს შესაფერისი, მეორე მხრივ, საკმარისად უნდა იყოს მას დაშორებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. სასწავლო მასალა რომ სავსებით განვითარების აქტუალური დონის შესატყვისი ყოფილიყო, როგორ შეიძლებოდა იგი წინსვლისა და უფრო მაღალ დონეზე ამაღლების პირობად გამხდარიყო... მასწავლებლის ჩარევა სწორედ ამ პირობის რეალიზაციას ახდენს: იგი ახალ მასალას (რომელიც მოწაფის განვითარების აქტუალურ დონეზე მაღალია – ნ. ბ.) ისე აწოდებს მოწაფეს, რომ იგი მისთვის მისაწვდომი შეიქნეს... მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მოწაფის ძალთა შორის შუამავლობასა და, მაშასადამე, მისი ნამდვილი განვითარების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს“ - ამბობს დ. უზნაძე [6, 563].

სწავლებისა და განვითარების ურთიერთობის პრობლემა, ფაქტობრივად, იგივე მიმართულებითა და სულისკვეთებით განიხილა ლ. ვიგოტსკიმ [8, 426-452]. იგი კატეგორიულად

ამტკიცებს, რომ ამ ურთიერთობაში წამყვანი როლი ეკუთვნის სწავლებას, რომელიც ყოველთვის წინ უსწრებს განვითარებას. მისი აზრით, განვითარება არასოდეს განისაზღვრება მხოლოდ მისი მომწიფებელი, გამოვლენილი ნაწილის მიხედვით. სრული სურათის წარმოდგენისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ფუნქციებიც.

ლ. ვიგოტსკი ბავშვის მიერ ჩვეულებრივ პირობებში გამოვლენილ შესაძლებლობებს, „განვითარებს აქტუალურ დონეს“ უწოდებს და მისგან განასხვავებს იმ პოტენციურ მონაცემებს, რომელთა შესატყვისი მოქმედება ბავშვს მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში შეუძლია. განვითარების ამ შესაძლებლობებს იგი „განვითარების უახლოეს ზონას“ უწოდებს. ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ კარგად დაყენებული სწავლება უნდა ემყარებოდეს განვითარების უახლოეს შესაძლებლობებს და არა იმას, რაც უკვე აქტუალურადაა მოცემული ბავშვის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში სწავლება ოპტიმალურად წაიყვანს წინ განვითარებას, დააჩქარებს განვითარების პროცესს. თუკი სწავლება უკან მიყვება განვითარებას, ცხადია, იგი ვერ შეასრულებს განვითარების ფუნქციას. როდესაც სწავლება წინ მიუძღვის განვითარებას, მაშინ იგი ცხოვრებაში გზას უხსნის მთელ რიგ ფუნქციებს, რომელიც იმყოფება მომწიფების სტადიაში, განვითარების უახლოეს ზონაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვიგოტსკი შენიშნავს, რომ უახლოეს ზონას უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს ინტელექტუალური განვითარების დინამიკისა და წარმატებით სწავლისათვის, ვიდრე განვითარების აქტუალურ დონეს.

განვითარების უახლოესი ზონა გულისხმობს მოძრაობაში მოსულ, მაგრამ ბავშვის ჯერ კიდევ იმ მოუმწიფებელ ძალებს, რომელიც მალე, ხვალ-ზეგ მომწიფდება იმ ფუნქციობისათვის. მათზე ორიენტირებული სწავლება კი აჩქარებს ამ პროცესს. კერძოდ, უახლოეს ზონას გადააქცევს განვითარების აქტუალურ დონედ და ასე მორიგეობით.

ასეთია ლ. ვიგოტსკის შეხედულება აღნიშნული პრობლემის შესახებ. ამ შეხედულებაში, როგორც ვნახეთ, ერთმნიშვნელოვნად ხაზგასმულია სწავლების განმსაზღვრელი როლი ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში. მაგრამ ჩვენ ზემოთ ისიც ვნახეთ, რომ სწავლების წამყვანი როლისა და ბავშვის აზროვნების განვითარებაში ორი ეტაპის თუ საფეხურის შესახებ ლაპარაკობს დ. უზნაძეც, ამასთანავე, უზნაძისა და ვიგოტსკის შეხედულებები არსებითში თითქმის იდენტურია, მსგავსი შეხედულების შთაბეჭდილებას ტოვებს. უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი შთაბეჭდილება პირველად გამიჩნდა მე ჯერ კიდევ 1968 წელს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა ნ. ადამაშვილის ხელმძღვანელობით დავამუშავე საკონფერენციო თემა - „სწავლებისა და განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ“ [2]. იმხანად სწავლების პროცესის რაციონალიზაციის საკითხებს იკვლევდა და ამ მიმართულებით (არა მხოლოდ) ექსპერიმენტული მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა ბ. ხაჭაპურიძეს, რომელსაც ერთ-ერთ ლექციაზე ვკითხე, თუ ვის ეკუთვნოდა პრიორიტეტი (უზნაძეს თუ ვიგოტსკის) საკითხის ზემოაღნიშნულ გაგებაში. ბატონმა ბარნაბმა სათვალის ქვემოთ თვალეები მოჰუტა, ოდნავ გაიღიმა და არაფერი მიპასუხა, თითქოს მანიშნა ეს როდია მთავარი. იქნებ დღეს უხერხულიცაა ამაზე საუბარი, მაგრამ ყოველგვარი პოლემიკური მიზანდასახულობის გარეშე მინდა ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვა ჩემს ოდინდელ კითხვასთან დაკავშირებით.

ფაქტოლოგიური მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქმის ვითარება ასეთია: ნაშრომები - „დაჯგუფების ცდები სკოლის წინარე ასაკში“ და „ცნების შემუშავება სკოლის წინარე ასაკში“, რომლებშიც საუბარია ჩვენს თემასთან დაკავშირებულ საკითხებზეც, პირველად დაიბეჭდა 1929 წელს გერმანულ ჟურნალებში [5, XIII]. დ. უზნაძის შრომების I ტომის შენიშვნებში რედაქტორი ალ. ფრანგიშვილი და სარედაქციო კოლეგიის წევრი ერ. აბაშიძე წერენ, რომ აღნიშნულმა ნაშრომებმა „გამოქვეყნებისთანავე ჰპოვეს გამოხმაურება; ამ გამოკვლევებს ასახელებენ და მათ ეყრდნობიან მაგ. Л. С. Выготский, «Мышление и речь» (1929 წ., მეორე გამოცემა 1940 წ.), С. Л. Рубинштейн, Основы психологии, М. 1935. და მრავალი სხვა“ [5, 254]. აღსანიშნავია, რომ ვიგოტსკის თავის კიდევ ერთ წიგნში (Педагогика подростка) გამოყენებული აქვს უზნაძის ნაშრომი ცნების შემუშავების შესახებ, რასაც ადასტურებს დ. უზნაძის „ბავშვის ფსიქოლოგიის“ ავტორისეული შენიშვნებიც [6, 423]. ამრიგად, ვიგოტსკი კარგად იცნობდა უზნაძის იმ



ნაშრომებს, სადაც ლაპარაკია ბავშვის ფარული შესაძლებლობების აქტივაციაზე, მისი აზროვნების განვითარების წინა და უახლოეს საფეხურზე და არის მოსაზრებაც ბავშვის პოტენციური უნარ-შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნის აუცილებლობის შესახებ.

იცნობდა თუ არა ლ. ვიგოტსკი დ. უზნადის კიდევ ერთ ნაშრომში, კერძოდ, „სასკოლო ასაკის ფსიქოლოგიაში“ წარმოდგენილ იმ (ზემოაღნიშნულ) შეხედულებას [6, 563], რომელიც ეხება სასწავლო მასალისა და სწავლების როლს ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში და რომლის მიხედვითაც, განვითარებისათვის ოპტიმალური პირობები იქმნება მაშინ, როდესაც სასწავლო მასალა, ერთი მხრივ, მოწაფის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვისაა შესაფერისი, მეორე მხრივ კი საკმარისადაა მას დაშორებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც სასწავლო მასალა სავსებით შესატყვისია აქტუალური დონის, იგი ვერ გახდება წინსვლისა და უფრო მაღალ დონეზე ამაღლების პირობა. მაშასადამე, სასწავლო მასალა ყოველთვის მოწაფის განვითარების აქტუალურ დონეზე უფრო მაღალი უნდა იყოს, რომ მან მისი ნამდვილი განვითარების პირობა შექმნას. სწავლებისას მასწავლებლის ამოცანაც სწორედ ამის უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

ასეთია დ. უზნადის შეხედულების ძირითადი აზრი სწავლებისა და განვითარების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემაზე. ზედმეტია იმის თქმა, რომ უზნადისა და ვიგოტსკის შეხედულებები არსებითში მსგავსია, თავისებურად ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან ერთ, მწყობრ, ყოველმხრივ გამართულ შეხედულებას აღნიშნული პრობლემის შესახებ.

მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს მსგავსება, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მითითებული ნაშრომებისაგან განსხვავებით, ვიგოტსკი არ იცნობდა უზნადის ამ ნაშრომს და ეს შეუძლებელიც იყო. დ. უზნადის შრომების V ტომის (გამოიცა 1967 წელს) რედაქტორის, რ. ნათაძის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ „სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია“ (სადაც საუბარია შესაბამის საკითხებზე - ნ. ბ.), რომლის ცალკე თემები იწერებოდა 1933-1934 და 1940 წლებში, ერთი მონაკვეთის გარდა („ადამინის ქცევის ფორმები“ (დაიბეჭდა 1941 წელს თსუ-ს შრომებში) არ ყოფილა გამოქვეყნებული, რადგან ავტორს იგი არ მიაჩნდა დასრულებულად [6, 5]. თუ გავიხსენებთ, რომ ლ. ვიგოტსკი გარდაიცვალა 1934 წელს, ნათელი გახდება რატომ იყო ეს შეუძლებელი, რატომ ვაცხადებთ დაბეჯითებით, რომ ვიგოტსკი არ იცნობდა უზნადის ამ ნაშრომს.

საინტერესოა, უზნადე თუ იცნობდა ვიგოტსკის შეხედულებას აღნიშნულ საკითხზე? ამ საკითხით, ე. ი. სწავლებისა და განვითარების ურთიერთობის პრობლემით ვიგოტსკი განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა თავისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში. ამის შესახებ წერენ ვიგოტსკის კოლეგები და მეგობრები – ა. ლეონტიევი და ა. ლურია 1956 წელს რუსულ ენაზე გამოცემული ვიგოტსკის რჩეული ფსიქოლოგიური გამოკვლევების წინასიტყვაობაში [8, 3]. აქედან გამომდინარე, ვიგოტსკის შესაბამისი ნაშრომები დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს 1933-34 წლებისა. რაც შეეხება მათ გამოქვეყნებას, კერძოდ, სტატიები: «Обучение и развитие в дошкольном возрасте» და «Проблема обучения и умственного развития в школьном возрасте», პირველად დაიბეჭდა 1935 წელს [8, 501].

სწავლებისა და განვითარების საკითხებზე მსჯელობს ვიგოტსკი, აგრეთვე, თავის გახმაურებულ წიგნში – «Мышление и речь» [8, 251-253, 270-278]. რაც შეეხება წიგნის დაბეჭდვის თარიღს, ლეონტიევი და ლურია ვიგოტსკის ზემოაღნიშნული რჩეული გამოკვლევების შენიშვნებში აღნიშნავენ, რომ ეს იყო ვიგოტსკის მიერ დასაბეჭდად მომზადებული ბოლო ნაშრომი, რომელიც გამოიცა 1934 წელს, ავტორის სიკვდილის შემდეგ რამდენიმე თვეში [8, 497]. თუმცა, სხვა საკითხებთან დაკავშირებული მისი ზოგიერთი თავი (ხელნაწერის უფლებით, მოხსენებისა და წინასიტყვაობის სახით) დაბეჭდილი იყო ადრეც სხვადასხვა გამოცემებში [8, 42].

აღნიშნულის გათვალისწინებით უკვე ნათელი ხდება, თუ რატომ არაა მითითებული ვიგოტსკის არც ერთი ნაშრომი უზნადის, 1933-1934 წლებში დაწერილი წიგნის – „სასკოლო ასაკის ფსიქოლოგიის“ – ლიტერატურის ჩამონათვალში. ანალოგიური ვითარებაა სწავლებისა და განვითარების საკითხებთან მიმართებაში უზნადის „ბავშვის ფსიქოლოგიის“ შემთხვევაშიც,

რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1933 და მაშინ მას „პედოლოგია“ ერქვა. ამ პერიოდისათვის აღნიშნული საკითხებისადმი მიძღვნილი ვიგოტსკის ცნობილი ნაშრომები ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მასალების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ უზნაძემ არ იცნობდა ვიგოტსკის შესაბამის ნაშრომებს, მის შეხედულებას სწავლებისა და განვითარების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დ. უზნაძემ და ლ. ვიგოტსკიმ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბეს თავიანთი მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამართლებული შეხედულებები, რეალურად კი ერთი მწყობრი შეხედულება სწავლებისა და განვითარების ურთიერთობის შესახებ. რაც შეეხება თავიდანვე დასმულ კითხვას, ვფიქრობ, პასუხი უკვე გამოიკვეთა. კერძოდ, მხედველობაში თუ მივიღებთ 1929 წელს გამოცემულ უზნაძის ზემოაღნიშნულ ექსპერიმენტულ ნაშრომებს [5, 57-161] და 1933-1934 წლებში დაწერილ „სასკოლო ასაკის ფსიქოლოგიაში“ გამოთქმულ მოსაზრებას [6, 563], უდავოა, რომ სწავლებისა და განვითარების პრობლემის ამდაგვარად დაყენების იდეისა და მისი თავდაპირველი გაგება-გააზრების თვალსაზრისით, პრიორიტეტი ეკუთვნის დ. უზნაძეს, რომლის შრომებში კომპაქტურადაა მოცემული თითქმის ყველა მოსაზრება, საკვანძო ცნება თუ დებულება, რომელიც მიჩნეულია ვიგოტსკის შეხედულების ქვაკუთხედად. ეს გარემოება, ვფიქრობთ, ყოველთვის არაა ჯეროვნად გაცნობიერებული და სათანადოდ შეფასებული. რაც შეეხება აღნიშნული პრობლემის უფრო დეტალურად განხილვასა და მის შემდგომ დამუშავებას, ამ მხრივ, ცხადია, პრიორიტეტი ეკუთვნის ლ. ვიგოტსკის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სწავლებისა და განვითარების თეორიებზე მსჯელობისას უფრო მიზანშეწონილად გვესახება ვილაპარაკოთ არა ცალკე ვიგოტსკის ან უზნაძის, არამედ უზნაძე-ვიგოტსკის ერთიანი შეხედულების შესახებ, მით უფრო, რომ იდენტური შეხედულებების დამოუკიდებლად შემუშავების პრობლემაში, ფაქტობრივად, მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვის ეკუთვნის პრიორიტეტი მათ შემუშავებაში, რაც ამ მხრივაც ამართლებს მსჯელობას უზნაძე-ვიგოტსკის ერთიანი შეხედულების შესახებ. მართალია, ამის აღქმა მოულოდნელი და განსაკუთრებით მწელი იქნება არაქართველი მკითხველისათვის (გასაგებ მიზეზებზე რომ არაფერი ვთქვათ, უზნაძის ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაშრომი – „სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია“, სხვა შესაბამისი ნაშრომებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ქართულ ენაზეა გამოცემული), მაგრამ ასეთი ფორმულირება უფრო სამართლიანი იქნებოდა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე ნ., ტულუში ც., 2006, შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობისა და „პიაჟეს ფენომენების“ დამღვევის უნარის მიმართებისათვის ოპერაციამდელ სტადიაში, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი.
2. ბარამიძე ნ., 1968, სწავლებისა და განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ, თსუ სტუდენტთა XXX სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის სექცია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
3. გოგიჩაიშვილი თ., 2005, განვითარების ფსიქოლოგია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
4. პეტროვსკი ა., (რედაქტორი), 1977, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
5. უზნაძე დ., 1956 შრომები, ტ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
6. უზნაძე დ., 1967, შრომები, ტ. V, ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
7. ყოლბაია მ., 1998, ბავშვის ინტელექტუალური განვითარების პიაჟესეული კონცეფცია, ბავშვის ფსიქოლოგია, პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
8. Выготский Л. С., 1956, Обучение и развитие в дошкольном возрасте; Проблема обучения и умственного развития в школьном возрасте, Избранные психологические исследования, Издательство Академии педагогических наук РСФСР, Москва.
9. Пиаже Ж., 1966, Как дети образуют математические понятия, ж. „Вопросы психологии“, №4, გვ. 121-126.

## რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია დ. უზნაძისა და ლ. ვიგოტსკის შეხედულებების შედარებითი ანალიზი სწავლებისა და განვითარების საკითხებზე. მეტი სიცხადისთვის განხილულია ჟ. პიაჟეს მრავალმხრივ განსხვავებული შეხედულებაც. ავტორი ასაბუთებს, რომ უზნაძემ და ვიგოტსკიმ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბეს არსებითად იდენტური და ყოველმხრივ გამართული შეხედულებები სწავლებისა და განვითარების შესახებ. აქვე ნაჩვენებია, რომ უზნაძის შრომებში ფაქტობრივად კომპაქტურადაა მოცემული თითქმის ყველა მოსაზრება, საკვანძო ცნება თუ დებულება, რომელიც მიჩნეულია ვიგოტსკის შეხედულების ქვაკუთხედად. ავტორის აზრით, უზნაძისა და ვიგოტსკის შეხედულებები იმდენად ავსებენ და უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ უზნაძე-ვიგოტსკის ერთიან, მწყობრ შეხედულებაზე სწავლებისა და განვითარების ურთიერთობის პრობლემის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** სწავლება, განვითარება, განვითარების სტადიები, ფარული შესაძლებლობები, განვითარების აქტუალური დონე.

**Nodar Baramidze,  
Doctor of Psychological Sciences,  
Emeritus Professor of Batumi Shota Rustaveli State University  
Georgia, Batumi**

### **From The History of Scientific Research on the Problem of Teaching and Development**

#### **Summary**

The paper presents a comparative analysis of the views of D. Uznadze and L. Vygotsky on the issues of teaching and development. For more clarity, J. Piaget's view, which is different in many ways, is also discussed. The author argues that Uznadze and Vygotsky independently formed essentially identical and correct views on teaching and development. It is shown here that in fact, almost all opinions, key concepts and provisions, which are considered to be the cornerstone of Vygotsky's views, are compactly given in Uznadze's works. According to the author, the views of Uznadze and Vygotsky are so complementary and close to each other that it is appropriate to talk about the unified, orderly view of Uznadze-Vygotsky about the problem of the relationship between teaching and development.

**Key words:** teaching, development, stages of development, hidden abilities, current level of development.

თამარ ღვინიაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,  
საქართველო, ქუთაისი

## სტილიზაციისა და სოციალიზაციის როლი მოსწავლის აზროვნების ფორმირებაში

სტილიზაცია ფრანგული სიტყვაა და ამა თუ იმ სტილის მიზანმიმართულ ნიშნავს. იგი რეალობის მხატვრული ასახვის ხერხია. სკოლაში სტილიზაცია გულისხმობს ლიტერატურული შემოქმედების ნაირსახეობას, როდესაც მოსწავლე ამა თუ იმ მწერლის სტილის მიხედვით ქმნის საკუთარს, ანუ ზრდის თავის შემოქმედითობას. მიზნის მიღწევა ხელს უწყობს ნაწარმოების ენის თავისებურებებში წვდომას, დიალოგს ტექსტთან.

მხატვრული ნაწარმოების სტილისტური ანალიზის დროს ყურადღება მახვილდება ავტორისეულ აღწერაზე. მაგ.: რა მიზნით იყენებს მწერალი სინონიმებს, ომონიმებს, ანტონიმებს, ან მხატვრულ ხერხებს, სასვენი ნიშანთა ნაირსახეობას; როგორია მწერლისა და პერსონაჟთა მეტყველება; როგორია პერსონაჟისადმი ავტორის დამოკიდებულება, როგორ აფასებს იგი მის ქცევას.

სტილისტური ანალიზი ეხმარება მოსწავლეს ნაწარმოების შინაარსის გააზრებაში, მოტივაციას აძლევს კონკრეტული ლექსის გამოსაყენებლად, შეპირისპირების გზით შედარების გასაკეთებლად. მნიშვნელოვანია ისეთი წერითი სამუშაოები, როგორცაა ჩანახატი გარკვეულ ფაბულაზე, ობიექტის აღწერაზე, მხატვრულ ნაწარმოებში მოთხრობილი ამბის გადმოცემაზე რომელიმე პერსონაჟის მეშვეობით. ჟანრობრივად ეს შეიძლება იყოს წერილი, ლექსი, სურათის, ძეგლის, ქუჩის აღწერა და სხვ.

შედარებითი ანალიზისათვის შეიძლება შევთავაზოთ რამდენიმე მწერლის ნაწარმოებების ფრაგმენტების შედარება და დადგენა იმისა, რომელი ნაწყვეტი ვის ეკუთვნის და რითი ჰგავს ან განსხვავდება ამ მწერლების წერის მანერა. ასეთ დროს საქმე გვაქვს არა ლოგიკურ ანალიზთან, არამედ სტილის ინტუიციურ შეგრძნებასთან.

შემოქმედებითობის გაზრდის მიზნით შეიძლება შევთავაზოთ ნაშრომის დაწერა ტექსტის ინტერპრეტაციაზე, ან ლიტერატურულ შემოქმედებაზე, რაც გულისხმობს მოსწავლის მიერ ისეთი საკუთარი ნაწარმოების შექმნას, რომელიც არ უკავშირდება პროგრამულ ნაწარმოებს. ეს პროცესი გვიჩვენებს როგორ იციან ბავშვებმა ლიტერატურის თეორიის საკითხები და როგორ აზროვნებენ დამოუკიდებლად.

მოსწავლეებს შეიძლება დავავალოთ დიალოგური ტექსტის გადაწერა და მისთვის პიესის ფორმის მიცემა. ამ დროს მათ მაქსიმალურად უნდა შეინარჩუნონ მწერლის ლექსიკა და რემარკები, ჩადონ მასში თავისი ემოცია, გააქტიურონ წარმოსახვა. მნიშვნელოვანი ეტაპია ასეთი ნაშრომების წაკითხვა, ერთმანეთისათვის გაცნობა.

ყველა მოსწავლეს არ შეუძლია შემოქმედებითობა, მწერლის სტილთან საკუთარს შედარება და ანალიზი. ზოგს ნაკლებად აქვს განვითარებული თხრობის ლოგიკა, სათანადოდ ვერ აყალიბებს საკუთარ აზრებს, ვერ ახერხებს ავტორისეული ლექსისა და საკუთარი მარაგის შეზავებას, რის გამოც ცდილობს თავი აარიდოს საკუთარი ნაშრომის სოციალიზაციას. სწორედ აქ უნდა ჩაერიოს მასწავლებელი, მაგრამ არა მზამზარეული ფრაზებისა და სიტყვების მიწოდებით, არამედ კვლევა-ძიების საშუალებით აღმოაჩინოს ესა თუ ის კანონზომიერება; მიაჩვიოს საკუთარი აზრების სხვის წინაშე წარდგენას.

თხზულების გეგმის გარდა აუცილებლად უნდა შემუშავდეს გეზის მიმცემი კითხვები, რომლებიც გარკვეულ ლოგიკურ მიმართულებას აძლევს თხზულების დამწერს. მაგ.: თუ გვსურს მოსწავლეებმა შეასრულონ დავალება „ჩემი საყვარელი ლიტერატურული გმირი“, გეზის მიმცემი კითხვები ასე ჩამოყალიბდება: რატომ მომწონს ეს პერსონაჟი? რა გარემოში და ვის მიერ

ჩამოყალიბდა მისი მსოფლმხედველობა და ხასიათი? რომელ ეპიზოდში, ვისთან და რასთან მიმართებაში ვლინდება ყოველივე ეს? რომელ პერსონაჟებს გვაგონებს ჩვენი გმირი?

რა ღირებულება აქვს მის იდეალებსა და ქცევებს დღევანდელ პირობებში? ემთხვევა თუ არა მწერლის სტილს შენ მიერ გამოყენებული ლექსიკა? გარდა ამისა რეკომენდირებულია გამოვიყენოთ შემდეგი წერითი სამუშაოები:

1. თხზულება აღწერის ელემენტებით (ქალაქის, სოფლის, ქუჩის, ძეგლის და სხვ.)
2. თხზულება-მსჯელობა ცოდნისა და წიგნის მნიშვნელობის შესახებ,
3. თხზულება იმ ადამიანის შესახებ, რომელსაც გვინდა ვგავდეთ.
4. თხზულება ადამიანის ცხოვრების, შრომისა თუ გმირობის შესახებ,
5. თხზულება-განსჯა მშობლიური მხარისა და ბუნების შესახებ,
6. თხზულება სამშობლოზე და სხვ.

თუ მოსწავლეებს ვთავაზობთ შეასრულონ არწერილობითი ხასიათის თხზულება „ადამიანი“, სასურველია კლასის მომზადება შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით:

1. რომელი სიტყვებით აღწერენ ადამიანის გარეგნობას (მაღალი, დაბალი, გამხდარი, მსუქანი და სხვ.)?
2. რომელი სიტყვებით შეიძლება აღწეროთ სახე (ფართო, გრძელი, გამხდარი, მსუქანი, შავგვრემანი და სხვ.)?
3. რომელი სიტყვები გამოიყენება თვალებისა და თმების აღსაწერად (თაფლისფერი, ცისფერი, ლურჯი, გამომეტყველი, გრძელი, მოკლე, ხვეული, შავი, ჩალისფერი და სხვ.)?
4. რომელი სიტყვებით შეიძლება დავახასიათოთ ადამიანის ჩაცმულობა (ფაქიზი, დაუდევარი, უგემოვნო, გემოვნებიანი და სხვ.)
5. ხასიათის როგორი შტრიხები უნდა ჰქონდეს ადამიანს (კეთილი, ბოროტი, მოყვარული, მოძულე, შემბრალებელი, მორწმუნე და სხვ.)? სასურველია კითხვების გამრავალფეროვნება, რაც აძლიერებს შედეგს.

რომელ თემაზეც არ უნდა ვაწერინოთ თავისუფალი თემები, უნდა შევეცადოთ მოსწავლეს ვასწავლოთ საკუთარი სტილის შემუშავება, ლექსიკური მარაგის სწორად შერჩევა, მიღებული ცოდნის ოსტატურად გამოყენება.

შემოქმედებითი ხასიათის თხზულებები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მეორე, მესამე საფეხურზე, როდესაც მოსწავლეებს უკვე აქვთ საკუთარი აზრის გამოხატვისა და მსჯელობის მზაობა. აქ უკვე გვაქვს საქმე გაშლილი, რთული გეგმის გამოყენებასთან, რომლის ყველა ქვესაკითხი ერთგვარ თეზისად შეიძლება ჩამოყალიბდეს, ხოლო ციტატა - არგუმენტების წყაროდ. ამ ეტაპზე რეკომენდებულია თხზულებათა სამი ტიპი: 1. თხზულებები ლიტერატურულ თემებზე (შუშანიკი და დღევანდელიობა, ზოგადსაკაცობრიო მოტივები „ვეფხისტყაოსანში“, „სიმბოლიზმი ქართულ პოეზიაში“) და სხვ. ასეთი თემები საუკეთესოა სტილიზაციის პროცესის გასაღრმავებლად. 2. თხზულებები ლიტერატურულ-ჰუმბლიცისტურ ანუ განყენებულ თემებზე („გმირთა სამარეს, როგორც ხატს, სამთხვევად დაველირები“; „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს...“, „სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა“...და სხვ.) ასეთი თხზულებების დაწერისას მოსწავლეს მოეთხოვება შესწავლილი ლიტერატურული მასალის ცოდნაცა და საკუთარი შემოქმედებითობის გამოვლენაც. 3. თხზულებები ლიტერატურულ - შემოქმედებით, ანუ თავისუფალ თემებზე („ფიქრები ერთიან საქართველოზე, „ბოროტება და სიკეთე“, „ფოთოლი“ „მუსიკა ქარში“ და სხვ.) სამივე ტიპის თხზულებების შესრულება მოითხოვს წიგნიერებას, ნაკითხობას, გრამატიკის ცოდნას, მდიდარ ლექსიკურ მარაგს, შედეგად კი ხელს უწყობს ლოგიკურ აზროვნებასა და მხატვრული გემოვნების დახვეწას. საერთო ჯამში სტილიზაცია და სოციალიზაცია ხელს შეუწყობს ზეპირი და წერითი ინტერპრეტაციის სხვადასხვა ფორმის ათვისებას, კითხვის უნარებისა და შეხედულებების თამამად გამოხატვას, ლოგიკურ აზროვნებასა და საკუთარი შემოქმედებითობის გამოვლენას. ყველაფერი ეს ემსახურება პიროვნების ჩამოყალიბებას, რაც სკოლის პირდაპირი მიზანია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. იმედაძე ნ., ინტელექტი და შემოქმედებითობა. თბილისი, 2005.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა. თბილისი. 2023
3. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო. 2005.
4. საყვარელიძე რ., ლიტერატურის სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები. თბილისი. 2004.
5. ღვინიაძე თ. ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდთა მე-5, მე-12 კლასებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. 2022.
6. ჯანაშვილი ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს. განვითარებისა და სწავლების თეორიები. თბილისი. 2010.
7. ჯინჯინაძე ჯ. თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები. თბილისი. 2012.

**რეზიუმე**

ლიტერატურის სწავლებისას მნიშვნელოვანია ტექსტის სტილისტური ანალიზი, რაც მოსწავლეებს ეხმარება ნაწარმოების შინაარსის გააზრებაში, შეპირისპირების გზით ამა თუ იმ მწერლის წერის მანერის შედარებაში, საკუთარი სტილის შემუშავებაში. შემოქმედებითობის გაზრდის მიზნით ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ნაშრომის დაწერა ტექსტის ინტერპრეტაციაზე, რაც მიზნად ისახავს ისეთი საკუთარი თხზულების შექმნასაც, რომელიც არ უკავშირდება პროგრამულ ნაწარმოებს. სამაგიეროდ, ამჟღავნებს ლიტერატურის თეორიის საკითხების ცოდნას, ლექსიკური მარაგის სიმდიდრეს, აზროვნების დამოუკიდებლობას.

კარგ შედეგს იძლევა წერითი სამუშაოების შესრულება ლიტერატურულ, ლიტერატურულ-პუბლიცისტურ, ანუ განყენებულ და ლიტერატურულ-შემოქმედებით, ანუ თავისუფალ თემებზე, რადგან სამივე ტიპი მოითხოვს წიგნიერებას, ნაკითხობას, გრამატიკის ცოდნას, მდიდარ ლექსიკურ მარაგს, შედეგად კი ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნებისა და მხატვრული გემოვნების დახვეწას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ბავშვს არ ხელეწიფება შემოქმედებითობა და საკუთარი ნაშრომის სოციალიზაცია. ერთია თხზულების შესრულება, მეორე - მისი წარდგენა მასწავლებლისა და თანაკლასელების წინაშე.

საკვანძო სიტყვები - სტილიზაცია, სტილისტური ანალიზი, ტექსტის ინტერპრეტაცია, სოციალიზაცია.

**Tamar Gvinianidze**  
**Akaki Tsereteli State University**  
**Associate Professor**  
**Georgia, Kutaisi**

**The role of stylization and socialization in the formation of the student's thinking**

**Summary**

In literature teaching, stylistic analysis of texts is crucial. It aids students in understanding the content of the work, comparing different writers styles, and developing their own writing style. To foster creativity, students should be encouraged to write essays interpreting texts. These assignments should aim to inspire original works, not directly tied to the studied texts. This approach enhances their knowledge of literary theory, enriches their vocabulary, and promotes independent thinking.

Writing assignments on literary analysis, literary-journalistic (applied), and literary-creative (free) topics yield excellent results. All three types require literacy, reading comprehension, grammar knowledge, and a rich vocabulary. Consequently, they contribute to the development of logical thinking and artistic taste. However, it is important to recognize that not all children are equally capable of creative expression and presenting their work to others. Writing a composition is one task; presenting it to the teacher and classmates is another.

**Key words:** stylistic analysis, texts is crucial, interpreting texts, presenting their work to others.

ირინე გოგიბერიძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასისტენტ-პროფესორი,  
საქართველო, ქუთაისი

## თანამედროვე სკოლის მოზარდთა ოჯახური და სასკოლო კავშირების ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტი

ბოლო რამდენიმე ათწლეულია ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის სოციალურმა ინსტიტუტებმა დაკარგეს თავიანთი აღმზრდელობითი ფუნქციები. სხვადასხვა სოციალური მოვლენა არა მხოლოდ ამცირებს ოჯახისა და სკოლის აღმზრდელობით შესაძლებლობებს, არამედ ანგრევს ოჯახს, ოჯახურ და სასკოლო კავშირებს, მათ ურთიერთდამოკიდებულებებს, რაც მჭიდროდ უკავშირდება ოჯახების მატერიალურ მდგომარეობას, მშობლების ან მშობლის უმუშევრობას, ფასიან სწავლებას, ფსიქოლოგიურ სტრესებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოზარდების გრძნობებსა და ცნობიერებაზე ნეგატიური ზემოქმედებას და სხვ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ პირობებში, ოჯახის და განსაკუთრებით სკოლის როლი ბავშვების აღზრდაში კი არ ეცემა, არამედ მკვეთრად იზრდება. აქ უნდა დავვეყრდნოთ სოციალური პედაგოგიკის მეთოდოლოგიურ დებულებებს, რომლის მთავარი პრინციპია სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან ურთიერთობაში ოჯახისა და პიროვნების პირველსაწყისობა, იმის შესახებ, რომ ოჯახი ასრულებს ბავშვის პიროვნების პირველად სოციალიზაციას თავისი ფუნქციების ინტენსიფიკაციით, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის, რომ აღმზრდელობითი ფუნქციის ხელსაყრელი პირობების მქონე ოჯახები მნიშვნელოვნად უსწრებენ წინ ყველა სოციალურ ინსტიტუტს ოჯახში ბავშვის მომზადებით მორალურ-ემოციური, შრომითი, სულიერი განვითარებით და პრაქტიკული ცხოვრებისათვის.

მსოფლიო გამოცდილება ამტკიცებს, რომ ბავშვების ეფექტური აღზრდისათვის გამოიყენება სკოლა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მიკროსოციუმის ნაწილს წარმოადგენენ. პედაგოგიური წრე საფრანგეთში, აღმზრდელობითი ცენტრები უნგრეთში, სათემო სკოლები ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოჯახის პრობლემების კვლევის ბიურო და სოციალური მუშაკების სამსახურის სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სხვადასხვა კატეგორიის მშობლების სოციალური დახმარების პუნქტები შვეიციაში და ა.შ.)

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში აღნიშნული სამსახურით მიმდინარეობს სისტემატური მუშაობა ოჯახური კავშირებისა და დამოკიდებულებების კორექციისათვის (ოჯახის ერთი კატეგორიისათვის–ყოველდღიურად, მეორე კატეგორიისათვის–კვირაში ერთხელ, მესამე კატეგორიისათვის თვეში ერთხელ).

შვეიციაში ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დახმარება მიმდინარეობს დიფერენცირებულად და კონფიდენციალურად (ცალკე მშობლებთან – ქმართან ან ცოლთან; ერთდროულად მშობლებთან და ბავშვებთან მათი თანხმობით, ცალკე ბავშვებთან).

ევროპის რიგი ქვეყნებისა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ახორციელებდნენ და პრაქტიკაში ნერგავდნენ სოციალური პედაგოგების მომზადებას, ახდენდნენ მათ დახელოვნებას და სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფას. ამ პერიოდის განათლების დარგის მკვლევარები სამართალიანად აღნიშნავდნენ, რომ წარმოშობილი იყო აუცილებლობა გადასულიყვნენ აღზრდის ღია სისტემებზე და სოციუმში უნდა შეექმნათ აღმზრდელობითი ცენტრები.

სკოლას ოჯახთან მიმართებაში აქვს ორი ძირითადი ამოცანა – აამაღლოს ოჯახის აღმზრდელობითი პოტენციალი და ჩართოს ოჯახი (მშობლები, ოჯახის უფროსი წევრები) სკოლის აღმზრდელობით სისტემაში, რითაც გაიზრდება სკოლის აღმზრდელობითი პოტენციალი. ამ ამოცანების გადაწყვეტისას, დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახები განსხვავდებიან

ინტელექტუალური დონით, ზნეობით, რელიგიური აღმსარებლობით, სხვადასხვა ფასეულობებით, პედაგოგიური მომზადების დონით, რაც მოითხოვს დიფერენ-ცირებულ მიდგომას მათთან მუშაობისას.

ოჯახური აღზრდის შინაარსი და მეთოდოლოგია არაერთგვაროვანია. პოზიტიურ და ნეგა-ტიურ ფუნქციებს შეიძლება ჰქონდეთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პოტენციალი მოზარდის, პიროვნების განვითარებისას, სკოლაში სასწავლო-აღზრდელობითი პროცესის მიმდინარეობისას.

თანამედროვე სკოლის ვალია შეუნარჩუნოს თითოეულ მოზარდს თავისი ინდივიდუალური უნიკალურობა, განუმეორებელი ხიბლი და არ ეცადოს მათ ურთიერთ დამსგავსებას თავისი საქმის გაიოლების მიზნით. ეს ყველაფერი კი მაშინ მოხერხდება, თუ აღზრდას სწორი მიმართულებით წარვმართავთ, და კიდევ მაშინ, თუ აღზრდის გარდა საქმეში თვით-აღზრდასაც ჩავთრთავთ, რომლის თავისებურება ისაა, რომ აღზრდელი და აღზსარდელი ინდივიდი, პიროვნებაა.

განსაკუთრებით საჭიროა მეგობრული, თანამშრომლობითი, საქმიანი დამოკიდებულება მოზარდებთან ურთიერთობაში. აძლევს რა გარკვეულ თავისუფლებას და ინიციატივის გამოვლინების საშუალებას, პედაგოგი ამით აკმაყოფილებს გარდამავალი ასაკის ბავშვის დამოუკიდებლობის, „დიდად ყოფნის“ მოთხოვნილებს. „დიდად ყოფნის“ ტენდენცია მოზარდს უკარნახებს გარკვეული ადგილი დაიკავოს ცხოვრებაში, მოითხოვს გარშემომყოფთაგან ანგარიშის გაწევას თანაგრძნობა. მოზარდებს სწყინთ, მწვავედ განიცდიან, როდესაც უფროსები არაფრად აგდებენ, ზემოდან დაჰყურებენ და უპატივცემლოდ ექცევიან მათ. განა სკოლას არ შეუძლია შეუქმნას მოზარდებს ისეთი პირობები, რომ თითოეული მათგანი სკოლაში, კლასში ახერხებდეს ამა თუ იმ ფორმით საკუთარი შესაძლებლობების ამოქმედებას, გამოყენებას, უნარის გამოძღვარებას? განა სკოლა არ უნდა იყოს, პირველ ყოვლისა, ის გარემო, სადაც ბავშვი ადამიანებისადმი პატივისცემას ისწავლის.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ შ. ამონაშვილის ბავშვისადმი პიროვნულ - ჰუმანური მიდგომის იდეა, რომლის საფუძველზე ავტორმა ჩამოაყალიბა ექვსი პრიციპი:

1. ბავშვი შეიმეცნებდეს და ითვისებდეს ჭეშმარიტად ადამიანურს (მართალს, სამართლიანს);
2. შეიცნობდეს თავს, როგორც ადამიანს;
3. ავლენდეს თავის ჭეშმარიტ ინდივიდუალობას;
4. პოულობდეს საზოგადოებრივ სივრცეს თავისი თავის განვითარებისათვის;
5. მისი ინტერესები ემთხვეოდეს ზოგად ადამიანურ ინტერესებს;
6. თავიდან ააცილოს ბავშვს ის მოვლენები რომელთაც შეუძლიათ ასოციალურ გამოვლენათა პროვოცირება.

ყოველივე ეს ხერხდება ისეთ სკოლაში, სადაც დასადგურებულია კოლეგიალობა კეთილგანწყობა ურთიერთპატივისცემა, სადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის არის ურთიერთგაგება, ურთიერთნდობა.

კლასის ხელმძღვანელს, სწავლობს რა მოზარდის ცხოვრების და აღზრდის სპეციფიკას ოჯახში, უხდება კორექტირების შეტანა ოჯახურ აღზრდაში, ურთიერთობებში: „ბავშვი-სკოლა“, „ბავშვები - მშობლები“. ამ საკითხების გადაწყვეტაში გამოიყოფა ორი ასპექტი:

- 1) აზრდის კორექტირება ცალკეულ ოჯახებში;
- 2) კლასის დამრიგებლის მუშაობა კეთილდღეობას მოკლებულ ოჯახებთან.

კეთილდღეობას მოკლებული ოჯახებიდან ბავშვებთან საუბრისას მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეისწავლოს რის გამო აკლია ოჯახს კეთილდღეობა და ასეთი ოჯახის წევრებთან



(მშობლებთან, ოჯახის სხვა წევრებთან და მოსწავლეებთან საუბრისას უნდა გაითვალისწინოს, რომ:

1) კეთილდღეობას მოკლებული როგორი ოჯახები არსებობს და რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ის ოჯახი, რომელთანაც ის საუბარს ატარებს;

2) როგორი ბავშვები არსებობენ თავიანთი ფსიქოლოგიური და ფსიქოპათოლოგიური თავისებურებებით და როგორ რეაგირებენ ისინი ოჯახის მატერიალურ სიდუხჭირეზე;

3) როგორ ისახება ოჯახური სიდუხჭირე იმ ბავშვებზე, რომლებსაც აქვთ არასასურველი ფაქტორებისადმი მძაფრი რეაქციები;

4) რა უნდა მოიმოქმედოს პედაგოგმა, რადგან ბავშვი არ არის იმაში დამნაშავე, რომ ცხოვრობს არასასურველ პირობებში.

შევისწავლეთ რა ლიტერატურა თანამედროვე ოჯახის პრობლემებზე, მივედით დასკვნამდე, რომ არასაკმარისი მატერიალური შესაძლებლობების მქონე ოჯახში არ არის სინონიმი ანტისოციალური ან ასოციალური ოჯახისა. არსებობენ ოჯახები, რომელთა შესახებ ვერაფერს ცუდს ვერ ვიტყვით, მაგრამ მიუხედავად ამისა, კონკრეტული ბავშვისათვის ეს ოჯახი მაინც ითვლება არასასურველად.

მკვლევარებს შორის ზოგიერთი თვლის, რომ აღზრდის დეფექტი-ეს არის არასასიკეთო ოჯახი. არც მატერიალური, არც საყოფაცხოვრებო, არც პრესტიჟული მაჩვენებლები არ განსაზღვრავენ ოჯახის კეთილდღეობასა და არასასურველობას, ამას განსაზღვრავს მხოლოდ მოზარდთან დამოკიდებულება. ამ მოსაზრებებს იზიარებენ ქართველი მეცნიერებიც ნ.ბასილაძე, ა. გობრონოძე, გ. დოლონაძე, შ. კუჭუხიძე, ა. რაფავა და სხვები.

შ. კუჭუხიძე ხაზს უსვამს, რომ პედაგოგიურად მიშვებული მოსწავლეების ოჯახებთან მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს დიფერენცირებულად. ის გამოყოფს ოჯახის სამ ჯგუფს:

1) ოჯახი, რომელიც უპასუხისმგებლოდ ეკიდება ბავშვების აღზრდის საქმეს. მდგომარეობას ართულებს მშობლების ამორალური საქციელი და ცხოვრების წესი.

2) ოჯახი, მშობლებით რომელთაც დაბალი პედაგოგიური კულტურა აქვთ, სადაც ბავშვებთან მუშაობისას საშუალებების, მეთოდების და ფორმების არჩევანში დაშვებულია შეცდომები, სადაც მშობლებს არ შეუძლიათ შეარჩიონ სწორი სტილი და ბავშვებთან ურთი-ერთობის ტონი.

3) ოჯახი, რომელშიც დასაშვებია სხადვასხვა მიზნით ბავშვების უმეტეაღყურეობა (განხეთქილება ოჯახში, მშობლების მოუცლელიობა და სხვ.)

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ოჯახებთან ასეთი დიფერენცირებული მიდგომა მისაღებია.

ოჯახის თავისებურებების გათვალისწინებით აუცილებელია მშობლების პედაგოგიური განათლება (დიფერენცირებულად, ჯგუფურად), მოზარდების მშობლებთან ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები, მშობელთა საზოგადოების ზემოქმედება.

პრინციპულად მნიშვნელოვანია კლასის ხელმძღვანელის პოზიცია, რომელსაც ის იკავებს მიშვებული მოზარდის მშობლებთან კონტაქტისას. ის უნდა გახდეს მშობლის მეკავშირე სიმწიფეების გადალახვისა და არა მზრალდებული. ამასთან კლასის ხელმძღვანელის და მშობლის ძალისხმევა მიმართული უნდა იქნას არა მოსწავლის საწინააღმდეგოდ (რაც არც თუ ისე იშვიათად ხდება), არამედ იმ სიმწიფეების წინააღმდეგ, რომლებიც წარმოიჭრება მათი განვითარების პროცესში, ამიტომ ყოველი შეხვერა მასწავლებლისა მიშვებული მოსწავლის მშობლებთან შეიცავს ხუთ ელემენტს:

1) რა შემთხვევაში ვთქვა კარგი მოზარდის შესახებ (მშობლებს ფსიქოლოგიურად განწყობის მიზნით. რათა ის გახდეს პედაგოგის „მოკავშირე“);

2) რა მაწუხებს მასში (ის მიზეზი, რომლის გამოც მშობელი გამოძახებული იქნა სკოლაში, ეწვია პედაგოგი სახლში. განხილული იქნა მშობელთა კრებაზე);

3) რა არის უარყოფითი ფაქტების მიზეზი (ამას მივყავართ გულახდილობამდე. შესაძლებელი ხდება ჭეშმარიტი მიზეზების დადგენა).

4) რა ზომები უნდა იქნას მიღებული მშობლებისა და სკოლის მხრიდან (ზოგადი სტრატეგიის და ტაქტიკის გამომუშავება აღზრდისათვის);

5) დასახული ღონისძიებების ეფექტურობისათვის რა მოთხოვნების, პრინციპების დაცვა საჭირო მოზარდთან ურთიერთობისას.

ასეთ სიტუაციებში მოზარდის მშობლები იკავებენ მასწავლებლის მხარეს. ამაში მდგომარეობს ჩვენი აზრით მკაფიო მაგალითი სკოლისა და ოჯახის ურთიერთობისა, მისი თანამშრომლობისა ბავშვების აღზრდის საქმეში.

საზოგადოება, სკოლა დინტერესებულია იმით, რომ ოჯახმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა მოზარდების მოზარდებაში იმ სოციალური როლის შესასრულებლად, რაც მომავალში ელით დღევანდელ გოგონებსა და ბიჭებს, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მოზარდების ფსიქოლოგიური მოზარდება ოჯახური ურთიერთობების სიძნელეების გადასალახავად; ეფექტური პროგრამის დამუშავება მოზარდების ოჯახური ცხოვრებისათვის, გვევლინება სკოლის მხრიდან ოჯახის დასახმარებელ ერთ-ერთ საშუალებად.

ჩვენი აზრით, ასეთი პროგრამა უნდა შეიცავდეს საქორწინო-ოჯახური ურთიერთობების და სხვადასხვა ფაქტორების შესახებ ცოდნის სისტემას.

რამდენად იძლევა თანამედროვე ოჯახის ცხოვრების წესი იმის საშუალებას, რომ მოზარდები მოვამზადოთ ასეთი ორიენტაციისათვის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ ჩავატარეთ გამოკვლევა ქუთაისის რამდენიმე საჯარო სკოლაში VI-VIII კლასების მოსწავლეებთან. ჩვენი ინტერესი მოიცავდა მას, თუ როგორ ხორციელდებოდა მშობლებისა და მოზარდების ურთიერთობა თანამედროვე ქალაქის ოჯახში.

ოჯახის ყველა წევრის ერთობლივი მოქმედება სხვადასხვაგვარია, მაგრამ ისინი შეგვიძლია დავიყვანოთ ორ სახეზე – სამეურნეო-ყოფაცხოვრებით ურთიერთობებსა და მოუცლელობაზე.

ასრულებს რა საოჯახო საქმეებს, მოზარდს გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა, ეძლევა საშუალება, გამოიჩინოს მზრუნველობა სხვებზე. ამავე დროს მოზარდი იძენს იმ ჩვევებს, რომლებიც მას გამოადგება მომავალში ოჯახურ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ბევრი მოზარდი (რაშიც მშობლების პასუხებიდან დავრწმუნდით), აქტიურად არ მონაწილეობს საოჯახო სამუშაოებში. ქუთაისის საჯარო სკოლების მოსწავლეების მხოლოდ 43%-მა უპასუხა, რომ მათ აქვთ მუდმივი მოვალეობები სახლში. ამასთან გოგონებისათვის ეს პროცენტი მაღალია - 64%, ხოლო ვაჟებისათვის - 31%.

გამოკითხული იქნა მშობლებიც. მათი უმრავლესობა თვლის რომ სასკოლო ასაკის ბავშვებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სახლის საქმეებში. 8%-მა უპასუხა, რომ ბავშვების ძირითადი მოვალეობაა სწავლა და ისინი გამოთავისუფლებული უნდა იქნას საოჯახო საქმეებიდან, 47%-მა უპასუხა რომ ბავშვები უნდა ღებულობდნენ მონაწილეობას საოჯახო საქმეებში. გოგონებიდან დახმარება უნდა გაუწიონ დედებს, ბიჭები ეხმარებიან მამებს.

იქ, სადაც მასწავლებლები და მშობლები გაერთიანებული არიან ერთ ძალად, კარგად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და სწორად არის ორგანიზებული ოჯახური აღზრდა. ამის მიღწევა შესაძლებელი ხდება მაშინ, როდესაც მშობლები კარგად ათვისებენ ბავშვების სოციალიზაციის მიზანს, ამოცანებს და მეთოდებს, ამიტომ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მშობლების პედაგოგიური კულტურის ამაღლება.

ათეული წლები მშობელთა პედაგოგიური განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მშობელთა სახალხო უნივერსიტეტებს. პედაგოგიური განათლების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, ამ უნივერსიტეტში მსმენელები ღებულობდნენ ცოდნას არა მხოლოდ პედაგოგიკის სფეროდან, არამედ მისი მოსაზღვრე დისციპლინებიდანაც: ასაკობრივი

ფიზიოლოგია, ჰიგიენა, ბავშვის ფსიქოლოგია, ეთიკა და ა.შ. უმეტეს შემთხვევაში მშობელთა უნივერსიტეტები ფუნქციონირებდა იმ სკოლებში, სადაც სწავლობდნენ მსმენელების ბავშვები. ეს იძლეოდა აღზრდისა და განათლების თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირების საშუალებას. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, თელავის მთელ რიგ სკოლებში წარმატებით მუშაობდა ფაკულტეტები „მოზარდის აღზრდა ოჯახში“.

პროფ. კ. რამიშვილის მონაცემებით, 1965 წლიდან 1975 წლამდე საქართველოში მშობელთა უნივერსიტეტების ქსელი მნიშვნელოვნად გაიზარდა (37-დან 132-მდე). მათ აუდიტორიებში განათლებას იღებდა 22 ათას ადამიანზე მეტი. სამწუხაროდ, მშობელთა უნივერსიტეტები ბოლო ოცდაათ წელზე მეტია საერთოდ აღარ არსებობს და მშობლები მოკლებული არიან პედაგოგიური კუთხით განათლების მიღებას.

დღეს, როცა სწავლების სტრატეგიული მიმართულება ხდება მოსწავლის პიროვნებაზე ორიენტირებული განათლება, ბუნებრივია, განათლების სისტემის პარადიგმაშიც ხდება ადგილთა მონაცვლეობა, მთავარ ფიგურად მოიაზრება მოზარდი; დღევანდელი საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება მოზარდზე ორიენტირებული განათლებაა. შესაბამისად სწავლების მეოთხედიც მოზარდზე ორიენტირებულიც უნდა იყოს.

მშობლების პედაგოგიური კულტურის დონის ასამაღლებლად, ჩვენ მიერ დამუშავებულ იქნა ტრენინგის სისტემა, რომლის ანალიზის თანახმად ბევრი მშობლებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათ არ შეუძლიათ სწორად წარმართონ მუშაობა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სკოლასთან ერთად არ ღებულობენ მონაწილეობას ბავშვების აღზრდაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ამ სამუშაოს სკოლებიც არაკვალიფიციურად ასრულებენ, ვინაიდან, მათ პრაქტიკაში არ არის გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომა პედაგოგიური განათლებისადმი. აუცილებელია, მნიშვნელოვნად შეიცვალოს სკოლებში მშობელთა განათლების სისტემა. აუცილებელია ასევე პედაგოგიური განათლების დიფერენცირება მოზარდთა მშობლების სხვადასხვა ჯგუფების და მათი მომზადების დონის მიხედვით.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ლუის კოპენი, ლოურენს მანიონი და ქეთი მორისონი – კვლევის მეთოდები განათლე-ბაში. მეექვსე გამოცემა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ბალანჩივაძე რ. - პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები. თბილისი.
3. ოდილავაძე თ.-აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავება ოჯახში. თბილისი.
4. კუჭუხიძე შ. - პედაგოგიკა და ფსიქოლოგია მშობლების სამსახურში. თბილისი.
5. აბუსელიძე მ.-სკოლის და ოჯახის ურთიერთობა. <https://akhaliganatleba.ge/> 20.02.2023 წ.
6. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სკოლაში ოჯახის, საზოგადოებისა და მოსწავ-ლეების ჩართულობა მისი განვითარების მიზნით. <https://www.living-democracy.com>

## რეზიუმე

ბოლო რამდენიმე ათწლეულია ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის სოციალურმა ინსტიტუტებმა დაკარგეს თავიანთი აღზრდელობითი ფუნქციები. სხვადასხვა სოციალური მოვლენა არა მხოლოდ ამცირებს ოჯახისა და სკოლის აღზრდელობით შესაძლებლობებს, არამედ ანგრევს ოჯახს, ოჯახურ და სასკოლო კავშირებს, მათ ურთიერთდამოკიდებულებებს, რაც მჭიდროდ უკავშირდება ოჯახების მატერიალურ მდგომარეობას, მშობლების ან მშობლის უმუშევრობას, ფასიან სწავლებას, ფსიქოლოგიურ სტრესებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოზარდების გრძნობებსა და ცნობიერებაზე ნეგატიური ზემოქმედებას და სხვ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ პირობებში, ოჯახის და განსაკუთრებით სკოლის როლი ბავშვების აღზრდაში კი არ ეცემა, არამედ მკვეთრად იზრდება. მსოფლიო გამოცდილება ამტკიცებს, რომ ბავშვების ეფექტური აღზრდისათვის გამოიყენება სკოლა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მიკროსოციუმის ნაწილს წარმოადგენენ. განხილულია სხვადასხვა თეორიული მოსაზრება ოჯახური და სასკოლო კავშირების ურთიერთდამოკიდებულებებზე, ჩატარებული ექსპერიმენტის მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნები.

**საკვანძო სიტყვები:** მოზარდი, სკოლა, ოჯახი, აღზრდა, ექსპერიმენტი, დასკვნა.

**Irine Gogiberidze**

**Akaki Tsereteli State University assistant professor**

**Georgia, Kutaisi**

### **Some aspects of the relationship between family and school relationships of modern school adolescents**

#### **Summary**

In the last few decades, social institutions for raising children and adolescents have lost their educational functions. Various social events not only reduce the educational opportunities of the family and school, but also destroy the family, family and school ties, their interdependence, which is closely related to the material condition of families, unemployment of parents or parents, paid education, psychological stress, mass information. Negative effects on the feelings and consciousness of adults by means, etc. We believe that under these conditions, the role of the family and especially the school in the upbringing of children does not decrease, but rather increases dramatically. World experience proves that school and public organizations, which are part of micro-society, are used for effective upbringing of children. Different theoretical opinions on the interrelationships of family and school ties are discussed, conclusions are made based on the data of the conducted experiment.

**Key words:** teenager, school, family, upbringing, experiment, conclusion.

პაატა ქურდაძე  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,  
გორი, საქართველო

### აღზრდა: სკოლა, ოჯახი და საზოგადოება

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, აღზრდა არის პიროვნების ფორმირების მიზანმიმართული პროცესი. „საზოგადოებრივი ფორმირების ყველა ეტაპზე აღზრდისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება იყო და არის დღესაც, რადგან იგი ყოველი საზოგადოების სულიერი საფუძველია. კაცობრიობის ცივილიზაციაც ხომ აღზრდის შედეგია“(1). აღზრდის მიზანს ისტორიულად ყოველთვის განსაზღვრავდა მოცემული საზოგადოებრივი ფორმაციის ძირითადი მიზნები. ანუ აღზრდის მიზანს წარმოადგენდა აღზრდა ისეთი პიროვნებისა და მოქალაქის, რომელიც სჭირდებოდა მოცემულ სოციალურ, საზოგადოებას. აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველ ქვეყანას ისტორიული განვითარების კონკრეტულ ეტაპზე ესაჭიროებოდა აღზრდა ისეთი პიროვნება, რომელიც თავისი მსოფლმხედველობითი მრწამსით შეესაბამებოდა მოცემული ქვეყნის ეროვნულ იდეოლოგიას.

ამდენად, ახალგაზრდა თაობის აღზრდის მიზანი გამომდინარეობდა და დღესაც უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული, სახელმწიფოებრივი იდეოლოგიიდან. ასევე ცნობილია, რომ აღზრდის ამ მიზანს ახორციელებს სამი სოციალური ინსტიტუტი: სკოლა, ოჯახი და საზოგადოება. ამ უკანასკნელის საფუძველზე ყალიბდება ქვეყნის განათლების სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და განათლების შესახებ.

როგორც ვიცით, აღზრდა და განათლება ერთმანეთის გარეშე არ მოიაზრება. ამის შესახებ გარკვევით წერდა პედაგოგიკის დიდი კლასიკოსი იოჰან ჰერბერტი: „სწავლება ზნეობრიობის გარეშე არის საშუალება მიზნის გარეშე, ხოლო ზნეობრივი განათლება სწავლების გარეშე არის მიზანი, რომელსაც მოაცილეს საშუალება“(6).

ახლა შევხვით საკითხს, თუ რა ხდება თანამედროვე ქართულ რეალობაში ამასთან მიმართებით. დღეისათვის პედაგოგიურ მეცნიერებას განიხილავენ არა მხოლოდ აღზრდისა და სწავლის ერთიანობად, არამედ მას უმატებენ სწავლებასაც. ანუ სასწავლო პროცესი გაიყო ორ ნაწილად: სწავლად და სწავლებად. ამასთანავე, არავინ არსად რატომღაც აღარ საუბრობს აღზრდის შესახებ. აგერ უკვე 33 წელია ჩვენი ქვეყანა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ დღემდე არა გვაქვს სახელმწიფოებრივი ეროვნული იდეოლოგია შემუშავებული, რომლის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს ახალგაზრდა თაობის აღზრდა, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაზღვრავს ქვეყნის საგანმანათლებლო საადმინისტრაციო პოლიტიკას. ანუ ჩვენ ნათლად არ გვაქვს წარმოდგენილი, თუ როგორი მოქალაქე უნდა აღვზარდოთ. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, სკოლამ ნათლად არ იცის სახელმწიფო დაკვეთა აღზრდის ძირითადი მიზნების შესახებ. თუმცა, განათლების კანონში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ სახელმწიფოს მიზანია, მოსწავლეს შეუქმნას ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბების პირობები(3).

გასაგებია, რომ ამ მხრივ მრავალი რამ კეთდება დღევანდელ სკოლაში, რაც ფაქტობრივად, ემსახურება გლობალიზაციის პირობებში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა წინა პლანზე წამოწევას. რაც შეეხება ეროვნული ღირებულებების მატარებელი პიროვნების აღზრდას, აქ შეიძლება ითქვას, რომ საქმე მთლად დამაკმაყოფილებლად არ უნდა გვექონდეს. სწორედ ამ საკითხის განხილვას ვეხებით დაწვრილებით.

პიროვნების აღზრდაში ცნობილია რომ მონაწილეობს სამი სოციალური ინსტიტუტი: სკოლა, ოჯახი და საზოგადოება. დავიწყით ოჯახით. ოჯახი, შეიძლება ითქვას, ეს არის პატარა სახელმწიფო. მას გააჩნია თავისი შექმნისა და ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი, რომელიც ათასწლეულებს მოიცავს. იგი მიეკუთვნება უმნიშვნელოვანეს სოციალურ ღირებულებებს. ზოგიერთი მეცნიერული თეორიების მიხედვით სწორედ ოჯახის სოციალურ ფორმას შეეძლო განესაზღვრა მრავალი საუკუნის განმავლობაში მაკრო-სოციალური სისტემების განვითარების მიმართულება. სოციალური სტატუსის, ეთნიკური მენტალიტეტისა და ქონებრივ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.

ოჯახს, შექმნის მომენტიდან არსებობის ბოლომდე, აქვს ისეთი ფუნდამენტური მახასიათებელი, როგორცაა ოჯახურ-ქორწინებაში მდგომარეობა ქალსა და კაცს შორის. ადამიანის ცხოვრების მთლიანი ციკლის სხვადასხვა სტადიებზე ადამიანის მიმართ ოჯახის ფუნქციები განიცდის ცვლილებებს. ზრდასრული ადამიანისათვის ოჯახი წარმოადგენს მის დიდ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ ინსტიტუტს, ხოლო ბავშვისათვის ოჯახი არის ის გარემო, სადაც ყალიბდება მისი ფიზიკური, ფსიქიკური, სულიერი, ემოციური და ინტელექტუალური სრულყოფა, ეროვნულ-ეთნიკური მენტალობიდან და ეთნიკურ ღირებულებათა მახასიათებლებიდან გამომდინარე.

ოჯახის შინაარსობრივი ტრანსფორმირება ხდება საზოგადოების სოციალ-კულტურული ცვლილებების მიხედვით. მოგეხსენებათ ამ მიმართებით ქართულმა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივმა და სოციალ-კულტურულმა ცვლილებებმა მოახდინა რიგი უარყოფითი გავლენა ქართულ ოჯახთა საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილზე. მაშინ როდესაც ქვეყანაში აღარა გვაქვს ინდუსტრია, ფაბრიკა - ქარხნები, რამაც გამოიწვია მოსახლეობის სერიოზული ნაწილის გასვლა ქვეყნიდან სამუშაოს საძებნელად. ქართული ოჯახების ერთმა საგრძნობმა ნაწილმა განიცადა გარკვეული ცვლილებები. დაირღვა ოჯახის არსებობის პრინციპებიდან გამომდინარე ზოგიერთი ძირითადი გარემოება, რადგან ცოლ-ქმარს უხდება სხვა ქვეყანაში ცხოვრება დიდი ხნით. ასეთ პირობებში, ბავშვის აღზრდელებად გვევლინებიან ბებიები და პაპები ან უარეს შემთხვევაში, სხვა ნათესავები. ამდენად, სოციალური ინსტიტუტებიდან ერთ-ერთმა რგოლმა - ოჯახმა შეასუსტა და უმრავლეს შემთხვევაში დაკარგა ბავშვის აღზრდელობითი ფუნქცია. ეს ნიშნავს, რომ ასეთი ტრანსფორმირებული ოჯახი ვეღარ ახერხებს აღზარდოს სრულფასოვანი პიროვნება.

ამასთანავე,

ასეთი ოჯახები ძნელად ახერხებენ კავშირს სკოლასთან ბავშვის აღზრდელობითი საკითხების ერთობლივად გადაწყვეტისათვის.

საზოგადოებას რაც შეეხება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში ვართ. ანუ ჯერ კიდევ ისევ განვითარებადი ქვეყანა ვართ. ვერა და ვერ შევძელით ჩამოგვეყალიბებინა იდეოლოგია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია. დაგვრჩა მხოლოდ ილიას ოქროს სიტყვები: მამული, ენა, სარწმუნოება და ხშირად ეს სამიც საფრთხის წინაშე დგება გარკვეული გარეშე ძალების ძალისხმევით. 34 წლის მანძილზე დავანგრიეთ რაც ფაბრიკა ქარხნები გვქონდა და ვერ შევძელით მათ ნაცვლად თანამედროვე ახალი აგვეშენებინა. ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიები. გაწყვეტილია ძველი ეკონომიკური კავშირების უმეტესი ნაწილი. გაძლიერდა ბარბარიზმი ქართულ ენაში და ზოგიერთი ჩვენი მოქალაქე იწყებს ქრისტიანული ღირებულებების რევიზიას. მართალია, ვართ დამოუკიდებელი საბაზრო ეკონომის მშენებელი ქვეყანა, მაგრამ ჯერჯერობით ესევ ვერ შევძელით. გვაქვს მოსახლეობის საზღვარგარეთ გადინების დიდი რიცხვი, თუმცა ამ ბოლო დროს შეიმჩნევა არსებული ხელისუფლების მხრიდან გარკვეული დადებითი ნაბიჯები. მაგრამ სრულყოფილი დამოუკიდებელი, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბევრი რამაა გასაკეთებელი და პირველ რიგში, უმთავრესია ახალგაზრდა, სრულყოფილი თაობის აღზრდა.

ზემოხსენებული სამი სოციალური ინსტიტუტიდან, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა თაობის აღზრდაში ერთ-ერთი ძირითადი როლი სწორედ სკოლას განეკუთვნება. პირველი, რაც მეტად უარყოფითი მომენტი ქართული სკოლის ცხოვრებაში, ეს არის ის, რომ სკოლა საშუალო საგანმანათლებლო სტატუსიდან გადავიყვანეთ საჯარო სკოლის სტატუსში. სკოლის სასწავლო გეგმიდან ამოღებული იქნა ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: ფიზიკური აღზრდა (მის ნაცვლად შემოტანილია სპორტის გაკვეთილები, რომელიც მოსწავლის ფიზიკურ აღზრდას სრულყოფილად ვერ ახერხებს), შრომითი აღზრდა, სამხედრო პატრიოტული აღზრდა, იდეური აღზრდა (და არა პოლიტიკური), რომელიც უნდა გამომდინარეობდეს ისევ და ისევ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიიდან.

კარგად არა გვაქვს საქმე არც ზნეობრივი აღზრდის კუთხით ( გარკვეული ძალები გვაძალევენ ამორალურ ქმედებათა პოპულარიზაციას), ანუ დავივიწყეთ ის ძველი ანტიკური ფორმულა - აღვზარდოთ ისეთი თაობა, რომელთა ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული იქნება. თითქმის აღარ ტარდება სკოლებს შორის სპორტული შეჯიბრებები, მხატვრული თვითშემოქმედებითი კუთხით სკოლების დათვალიერება. აღარ ფუნქციონირებს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, რომლებიც ემსახურებოდნენ ახალგაზრდა თაობის ტექნიკური კუთხით აღზრდას.

სკოლაში მოსწავლეების აღზრდის პროცესში უდიდესი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა უფლებების სწავლებას, ხოლო რაც შეეხება მოსწავლეთა მოვალეობებს ამ მხრივ ნაკლები რამ კეთდება. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მთლად სწორად არ იქნა გაგებული დღევანდელ სკოლაში. ამ პროცესის მიხედვით საგაკვეთილო დრო თანაბრად უნდა იქნას გადანაწილებული მასწავლებლის და მოსწავლეთა აქტივობებზე, ანუ გაკვეთილი უნდა იყოს ინტერაქტიული. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს შენიშვნა ვერ მისცეს. არის კიდევ ერთი მომენტი მოსწავლეთა აღზრდის საქმეში: ციფრული ტექნოლოგიები, მობილური ტელეფონი და მასთან დაკავშირებული ინტერნეტი, რაც უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეთა აღზრდაზე. მოსწავლეები მიჯაჭვულნი არიან ინტერნეტზე, იქიდან იღებენ ინფორმაციას ყოველგვარი კონტროლის გარეშე. ხშირად ეს ინფორმაცია ამორალური ხასიათისაა და მოსწავლის ზნეობრივ აღზრდას ზიანს აყენებს. რაც მნიშვნელოვანია, ინფორმაციული ტექნოლოგიების არადიდაქტიკური პრინციპების მიხედვით გამოყენებამ, მოსწავლეები წიგნს დააშორა. მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა VIII – IX - კლასებში კითხვა წესიერად არ იცის.

ძალიან უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდა თაობის აღზრდაზე დაჩქარებული გლობალიზაცია. გლობალიზაცია გარდაუვალია, მაგრამ მას როგორც მოგეხსენებათ თან ახლავს პატარა ერების და ქვეყნების იდენტობის შეზღუდვა და ზოგიერთ შემთხვევაში მოსპობა. ჩვენ კი გვინდა ვეზიაროთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, მაგრამ ასევე გვინდა შევინარჩუნოთ ჩვენი იდენტობა, ჩვენი კულტურა და მენტალიტეტი.

ამრიგად, ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში გვაქვს პრობლემათა მთელი სპექტრი. საშველი სად არის? ჩვენი აზრით, ისევ უნდა დაუბრუნდეთ საშუალო სკოლას, სადაც პიროვნების აღზრდა და ფორმირება უნდა წარვმართოთ ისე, როგორც ამას გვასწავლიდნენ დიდი ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი. დავაბრუნოთ სკოლის პროგრამაში ისეთი დისციპლინების სწავლება, როგორებიცაა: ქართული ენის გრამატიკა ცალკე საგნად. ფიზიკური აღზრდა, შრომითი სწავლება, ხაზვა. ჩვენ უნდა აღვზარდოთ მომავალი თაობა ქართული ტრადიციების, ქართული მენტალიტეტის მიხედვით, ვასწავლოთ მათ ოჯახური და ხალხური ტრადიციები, გავაძლიეროთ ქართული ცეკვის და ქართული მრავალხმოვანი სიმღერის შემსწავლელი წრეების მუშაობა. კარგი იქნება საქართველოს დიდ ქალაქებში აღვადგინოთ: ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების ფუნქციონირება, სასკოლო და მხატვრული თვითშემოქმედებითი საქალაქო,

რეგიონული და რესპუბლიკური დათვალეობები. აღვადგინოთ ყოველივე ის ზნეობრივ-ეროვნული ღირებულებანი და ტრადიციები, რამაც გაგვამღებინა და მოგვიყვანა დღემდე. მოგვსენებათ ეს ტრადიციებია: უფროსის პატივისცემა, მეგობრობა, თავაზიანობა, სამშობლოს და მოყვასის სიყვარული, ჰუმანიზმი, მაღალი ზნეობა და ზნეობრივი ნორმების დაცვა, შემწყნარებლობა, ტოლერანტობა, კაცობა, ვაჟკაცობა, ქალის პატივისცემა, სიმამაცე და თავდადება, ყველაფერი ის რაც გამოარჩევდა ქართველ ერს სიკეთისა და საგმირო საქმეების კეთებაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. პედაგოგიკა, ნ. ვასაძე საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია. გამომცემლობა „ცის ნამი“. 2004.
2. პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი ნ. ვასაძე. საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი 1998  
სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”  
[https://matsne.gov.ge > document > view](https://matsne.gov.ge/document/view)
4. Т. А, Илина. Педагогика. Москва, Просвещение, 1984.
5. Л. П. Крившенко. Педагогика. Москва, 2015.
6. Педагогическая Энциклопедя. М., 1964.

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია სკოლის ოჯახის და საზოგადოების როლი ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. მოცემულია მოკლე ანალიზი ცალკეული მათგანის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, ქართულ რეალობაში. ასევე სტატიაში ხაზგასმულია თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი და ეროვნული იდეოლოგიის არ არსებობაზე. ავტორი მიუთითებს, რომ ამ უკანასკნელზე დიდად არის დამოკიდებული ქართული საგანმანათლებლო სისტემის პოლიტიკა. საგანმანათლებლო პოლიტიკა კი განმსაზღვრელია აღზრდის მიზნისა და ამოცანებისა. ავტორი სტატიის ბოლოს გამოთქვამს რიგ მოსაზრებებს და რეკომენდაციებს მასწავლებლებისა და მშობლებისათვის.

**საკვანძო სიტყვები :** სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, აღზრდა, იდეოლოგია.

**Paata Qurdadze**  
**Associated Professor**  
**Gori State University**

**Education: school, family and society**

**Summary**

In this article there is disputed the roles of the schools, the families, and the society in bringing up new generations. Here is given brief analyses of the roles for each of them in Georgian reality. There is underlined nonexistence of modern Georgian state and national ideology as well. An author indicates that the politics of Georgian educative system is greatly depended on this ideology. Educative politics defines the aim and tasks of proper education. In the end of the article the author expresses his considerations and recommendations for the teachers and the parents.

**Key words:** school, family, society, education, ideology



**ნინო ჭობონელიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
პედაგოგიკის დეპარტამენტი, ასისტენტ-პროფესორი

**ნინო ყანჩელი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული  
სპეციალისტი, განათლების აკადემიური დოქტორი

## **რემედიაციის მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში**

რემედიაცია მიზნობრივი აქტივობების საშუალებით არსებული პრობლემების შემცირებას ან სრულად გადაჭრას ნიშნავს. რემედიაცია ეხება იმ მოსწავლეებს, რომლებსაც აღმოაჩნდებათ ცოდნის და უნარ-ჩვევების მნიშვნელოვანი ხარვეზები განმავითარებელი შეფასების მონაცემების მიხედვით. ის არის შესაძლებლობა იმისა, რომ დამატებითი მხარდაჭერა და დახმარება შევთავაზოთ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც სტანდარტული საკლასო რეჟიმით სწავლების პირობებში ვერ შეძლეს ძირითადი ცნებების ათვისება და უნარ-ჩვევების განვითარება დამაკმაყოფილებელ დონეზე.

რემედიაციული სწავლებისას მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს კითხვის, წერის, მათემატიკის და სასწავლო უნარების საფუძვლების შესწავლაში ინოვაციური, მრავალსენსორული მიდგომებისა და პრაქტიკის გამოყენებით. დადგენილია, რომ ამ სტრატეგიების გამოყენებამ შეიძლება გააუმჯობესოს მოსწავლეთა სწავლის პროცესი. თუ მათ ასწავლიან ასეთი გეგმებისა და ტექნიკის გამოყენებით, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოიყენონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ნიჭი და შესაძლებლობები სუსტი მხარეების დასაძლევად. [1]

რემედიაციული განათლება მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს მოსწავლეთა იმ მხარდაჭერას, რომელიც მათ სჭირდებათ აკადემიური წარმატების მისაღწევად. მოსწავლეები, რომლებიც თავს ვერ ართმევენ კონკრეტულ საგანს ან უნარს, შეიძლება დარჩნენ იმედგაცრუებული. ეს კი გამოიწვევს მოტივაციის ნაკლებობას და დაქვეითებას. რემედიაციული სწავლება ასეთ მოსწავლეებს აძლევს საჭირო რესურსს ამ დაბრკოლებების დასაძლევად და აკადემიური წარმატების მისაღწევად.

რემედიაციული განათლების ძირითადი მიზნებია:

- მხარი დაუჭიროს მოსწავლეებს, რომლებიც თავიანთ თანატოლებთან შედარებით ცუდად სწავლობენ;
- მასწავლებელი სასწავლო აქტივობებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას სთავაზობს მოსწავლეებს მათი უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით;
- მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სათანადო პროფესიული მომზადება, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს ისეთი ზოგადი უნარების განვითარებაში, როგორცაა თანამშრომლობა, კომუნიკაცია, თვითსწავლება, თვითმართვა, წარმოსახვა, კრიტიკული აზროვნება და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- მასწავლებელმა რომ შეძლოს მოსწავლეების დახმარება, უნდა გააუმჯობესოს სწავლა-სწავლის პროცესის ეფექტურობა, ასევე შეიმუშაოს ადაპტირებული სასწავლო კურსები;
- რემედიაციული განათლება ეხმარება მოსწავლეებს პოზიტიური დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ფორმირებაში, აყალიბებს საფუძველს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისთვის და ამზადებს მათ შემდგომი განათლებისთვის[4].

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ ხდება მოსწავლეთა იდენტიფიცირება და რემედიაციის პროგრამაში ჩართვა. პირველ რიგში, უნდა დავადგინოთ, რა ტიპის პრობლემა აქვს მოსწავლეს და ამის შემდეგ დავგეგმოთ შესაბამისი ინტერვენცია.

იდენტიფიცირება კი ხდება შემდეგი ჩამოთვლილი საფეხურების დახმარებით:

- მოსწავლის უნარების სკრინინგი და შედეგების ანალიზი;
- პირველადი დიაგნოსტიკა და ინდივიდუალური გასაუბრება მოსწავლესთან;
- მოსწავლის მოსწრების ანალიზი სხვადასხვა საგანში;
- გაგების დაბალი დონე;
- ცუდი დამახსოვრების უნარი;
- სწავლისადმი მოტივაციის ნაკლებობა;
- სირთულეები პრობლემის გადაჭრაში;
- დაბალი თვითდაჯერებულობის უნარი;
- მშობელთან გასაუბრება, თანხმობა პროგრამაში ჩართვაზე;
- დამატებითი დროის გამოყოფა გარკვეული დავალების შესასრულებლად [4].

რემედიაცია შეიძლება მიმდინარეობდეს სამი ძირითადი ფორმატით:

1. გაკვეთილში ჩაშენებით - მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობის პროცესში ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მიზნობრივად უტარებს კონკრეტული უნარის გამომუშავებაზე ორიენტირებულ აქტივობებს.
2. გაკვეთილისგან მოწყვეტით - გაკვეთილის მსვლელობისას ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მცირე ხნით, კლასში ან კლასის გარეთ, სხვა - დამხმარე მასწავლებელი უტარებს კონკრეტული უნარის დახვეწაზე ორიენტირებულ აქტივობებს.
3. დამატებითი გაკვეთილის სახით - არასაგაკვეთილო დროს (ძირითად გაკვეთილებამდე/შემდეგ) ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მიზნობრივად უტარდება კონკრეტული უნარის ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული აქტივობები თავისივე ან სხვა მასწავლებლის მიერ. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის აქტივობებიც, რომლებიც გვეხმარება მოვახდინოთ მოსწავლეთა რემედიაციული საჭიროებების იდენტიფიცირება.

რემედიაციის მიზნების დასახვისთვის დიდად სასარგებლო და გამოსადეგია SMART - სტრატეგია:

<p><b>S- კონკრეტული</b> (specific)</p>	<p>სარემედიაციო პროცესის/მეცადინეობების მიზანი ძალიან მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული და ერთ კონკრეტულ კომპეტენციაზე ორიენტირებული.</p>
<p><b>A - მიღწევადი</b> (achievable)</p> <p><b>M - გაზომვადი</b> (measurable)</p>	<p>სარემედიაციო მეცადინეობების შედეგად მოსწავლემ უნდა შეძლოს დასახული მიზნის მიღწევა / კომპეტენციის გამომუშავება განვითარების აქტუალურ ზონაზე დაყრდნობით.</p> <p>სარემედიაციო მეცადინეობების შედეგი უნდა იზომებოდეს კონკრეტული ინდიკატორების გამოყენებით.</p>
<p><b>R- რელევანტური</b> (relevant)</p>	<p>სარემედიაციო აქტივობები ლოგიკურად უნდა ებმოდეს ერთმანეთს და შეესაბამებოდეს მოსწავლის საჭიროებებსა და დასახულ მიზნებს.</p>

<p><b>T- დროში განსაზღვრული</b> (timely)</p>	<p>უნდა განისაზღვროს სარემედიაციო პროცესის ხანგრძლივობა და ძირითადი ფაზები.</p>
--	---

მნიშვნელოვანია რემედიაციური მასწავლებლის როლი სკოლაში. მას უწევს იმ მოსწავლეებთან ურთიერთობა, რომლებსაც გარკვეული პრობლემები გააჩნიათ სწავლაში. რემედიაციულ მიდგომებში ყველაზე მეტად წარმოსაჩენი გახლავთ ის, რომ მედიატორმა მასწავლებელმა რემედიაციული პროგრამის ფარგლებში უნდა გაითვალისწინოს: სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი, რათა საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო პროცესი დანერგოს. მისი მთავარი მოვალეობაა დაარწმუნოს მოსწავლე, რომ მიუღწეველი არაფერია. როგორც რ. ემერსონი აღნიშნავს „მასწავლებელი არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია რთული საქმეები გააადვილოს“. სწორედ, რემედიაციის პროგრამა ნებისმიერ მასწავლებელს აძლევს საშუალებას გაუადვილოს მოსწავლეს ყველა სირთულე და გაიყვანოს შედეგზე [2].

რემედიაციულ სწავლების ძირითადი სტრატეგიებია:

- ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული მოსწავლის უნიკალური სასწავლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს ინდივიდების სწავლა - სწავლების პროცესში, სირთულეების დაძლევაში დახმარებას და მათი პოტენციალის მაქსიმალურად გაზრდას. ყოველდღიური კითხვის წახალისება, გააზრებაზე კონცენტრაცია და თამაშები არის რემედიაციული სწავლების სტრატეგიების რამდენიმე მაგალითი. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს მოკლე და გრძელვადიან სასწავლო მიზნებს, სასწავლო ნაბიჯებს, აქტივობებს და შეფასებებს, რათა უზრუნველყოს სასწავლო გეგმის განხორციელება.
- მხარდაჭერის პროგრამა - მასწავლებლებს შეუძლიათ მოამზადონ კონკრეტულ საგანში წარმატებული მოსწავლეები „პატარა მასწავლებლებად“, რომლებიც კლასში მხარს დაუჭერენ სწავლის სირთულეების მქონე თანატოლებს. თანატოლთა მხარდაჭერის პროგრამები ეხმარება მოსწავლეებს გააძლიერონ თავიანთი საგნობრივი ცოდნა, ჩამოაყალიბონ კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარი და შექმნან ხელსაყრელი სოციალური გარემო.
- დაჯილდოების სქემა - მასწავლებლებმა უნდა შეიმუშაონ დაჯილდოების სისტემა, რომელიც წახალისებს მოსწავლეებს დაისახონ მიზნები და სამომავლო გეგმები.

რემედიაციულ პროგრამებში მასწავლებლის როლი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ მოცემული მიდგომები შეიძლება იყოს სახელმძღვანელო პრინციპები ეფექტური რემედიაციული სასწავლო პროგრამების შესაქმნელად:

- მომზადება - აქცენტი უნდა გაკეთდეს თითოეული მოსწავლის სხვადასხვა სასწავლო საჭიროების განსაზღვრაზე. ეს საშუალებას მოგვცემს შეიქმნას სწავლების სტრატეგიები, რომლებიც მაქსიმალურად გააუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესს.
- სასწავლო გარემო - გონივრული იქნება თამაშების სახით სასიამოვნო სასწავლო გარემოს შექმნა და განათლების უფრო არაფორმალური სტილის მიღება.
- სასწავლო სავარჯიშოები - იმისათვის, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს განავითარონ „მიმალული“ სწავლის შესაძლებლობები და პრობლემების გადაჭრის უნარები,

რემედიაციული სწავლებისას მასწავლებლებმა უნდა უზრუნველყონ ჯგუფები მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობებით.

- მარტივი ინსტრუქციები - გაურკვევლობისა და დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს მკაფიო და მარტივი ინსტრუქციები.
- სწავლების სტრატეგიები - მასწავლებელმა მოსწავლეებს აბსტრაქტული იდეები უნდა შესთავაზოს კონკრეტული მაგალითების შემდეგ. უნდა შექმნან მარტივი და კომფორტული სასწავლო გარემო და მიჰყვენენ მოსწავლის სწავლის ტემპს [9].

ამრიგად, რემედიაციული გაკვეთილები გადამწყვეტ როლს თამაშობს მოსწავლეთა აკადემიური გამოწვევების დაძლევისა და წარმატების მიღწევაში. იმისათვის, რომ ისინი არ ჩამორჩნენ სასწავლო პროცესს, საჭიროა რემედიაციული სწავლება. სწავლების შედეგების გაუმჯობესებით, თავდაჯერებულობისა და თვითშეფასების ამადლებით რემედიაციულ გაკვეთილებს აქვს ხანგრძლივი ზემოქმედების ძალა ბავშვის განვითარებაზე. ამ პროგრამებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანონ მოსწავლეების აკადემიურ წარმატებაში და დაეხმარონ მათ საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კითხვის სარემედიაციო პროგრამის განხორციელება სკოლაში (გზამკვლევი). საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd), თბილისი, 2017.
2. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე. 2015. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd). მოძიებულია შემდეგ ლინკზე: [https://kargiskola.ge/teachers/resource\\_books/kitxva/resursi\\_kitxva.pdf](https://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva.pdf)
3. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართული ენა და ლიტერატურა, I-VI კლასები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, თბილისი, 2011.
4. <https://www.iitms.co.in/blog/remedial-classes-and-remedial-education-guide.html>
5. <https://setu.etutor.co/blog/remedial-education/>
6. Turkoguz, S. et al. (2021). Quantitative evaluation of prospective teachers' view on inclusive education. *European Journal of Education Studies*, 8(1), 219-236.
7. UNESCO. (1994). *The Salamanca Statement and Framework for Action on Special Needs Education*. Paris: UNESCO.
8. Widayari, P. & Novara, A., A. (2018). Peran Strategi Pengajaran Guru dalam Relasi antara Efikasi Guru dan Penerimaan Teman Sebaya Terhadap Siswa di Sekolah Inklusif. *Jurnal Psikologi Sosial*, 16(2), 101-113.
9. Youssef, M., H., & Youssef, F. (2015). Knowledge of and attitudes toward ADHD among teachers insights from a Caribbean Nation. *SAGE Open*, 5, 1-8.
10. Yuzaidey, N. A. M., et al. (2018). Interventions for children with dyslexia: A review on current intervention methods. *Med J Malaysia*, 73(5), 311-320.

## რეზიუმე

რემედიაცია მიზნობრივი აქტივობების საშუალებით არსებული პრობლემების შემცირებას ან სრულად გადაჭრას ნიშნავს. რემედიაცია ეხება იმ მოსწავლეებს, რომლებსაც აღმოაჩნდებათ ცოდნის და უნარ-ჩვევების მნიშვნელოვანი ხარვეზები განმავითარებელი შეფასების მონაცემების მიხედვით. ის არის შესაძლებლობა იმისა, რომ დამატებითი მხარდაჭერა და დახმარება შევთავაზოთ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც სტანდარტული საკლასო რეჟიმით სწავლების პირობებში ვერ შეძლეს ძირითადი ცნებების ათვისება და უნარ - ჩვევების განვითარება დამაკმაყოფილებელ დონეზე. რემედიაციული განათლება მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს მოსწავლეთა იმ მხარდაჭერას, რომელიც მათ სჭირდებათ აკადემიური წარმატების მისაღწევად.

**საკვანძო სიტყვები:** რემედიაცია, სწავლა, მოტივაცია, წახალისება, სწავლების სტრატეგიები, სასწავლო რესურსი, ტექნოლოგიები.

**Nino Chokhnelidze**

Akaki Tsereteli State University, Assistant Professor

**Nino Kancheli**

Akaki Tsereteli State University, Invited Specialist,

Academic Doctor of Education

## The importance of remediation in the teaching-learning process

### Summary

Remediation means reducing or completely solving existing problems through targeted activities. Remediation refers to students who are found to have significant gaps in knowledge and skills based on formative assessment data. It is an opportunity to offer additional support and assistance to those students who could not master basic concepts and develop skills at a satisfactory level under standard classroom conditions. Remedial education is important because it provides students with the support they need to succeed academically.

**Key Words:** Remediation, learning, motivation, encouragement, teaching strategies, learning resources, technologies.

თამარ შანიძე

სსიპ ბადრი ბასილამის სახელობის ჭოგნარის, კვახჭირის და თერჯოლის N1 საჯარო სკოლების გერმანული ენის მენტორი მასწავლებელი, განათლების დოქტორი, საქართველო, ქუთაისი

## აღსაზრდელის პიროვნების ჩამოყალიბება

საუკუნეების მანძილზე ევოლუციური განვითარების პარალელურად არაერთი მოსაზრება თუ თეორია ჩამოყალიბება ადამიანის პიროვნებად ფორმირების შესახებ. აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულთან დაკავშირებით დღესაც აქტუალურია. პედაგოგიურ სივრცეში დადგენილია, რომ ზოგადად ადამიანის და აღსაზრდელის პიროვნებად ფორმირებას განაპირობებს სამი კომპონენტი: გენეტიკა, აღზრდა და სოციალური გარემო.

ვიდრე გენეტიკის საკითხები სიღრმისეულად დამუშავდებოდა და ნატივისტური თეორიის მიხედვით ადამიანის პიროვნებად ჩამომყალიბებელ ფაქტორად გენეტიკა ზოგადად სახელდებოდა, თუმცა კონკრეტულად რა, ამას გენეტიკის შესწავლამდე ვერავინ ასახელებდა. წლების შემდეგ ცდებისა და ექსპერიმენტებით დადგინდა რომ ადამიანის გენეტიკა მოიცავდა არაერთ გენომს, რომელიც ატარებდა უნარებსა და გამოცდილებებს, რაც შემდეგ თაობებში ვლინდებოდა ან არ ვლინდებოდა. პედაგოგიკურ მეცნიერებაში გერმანელმა მეცნიერმა შტერნმა განმარტა, რომ გენომი ეს არის ის ცოდნა ან გამოცდილება, რომელიც შეიქმნა სრულიად არაკანონზომიერად, სპონტანურად ადამიანთა წინაპრების ადამიანური ცხოვრების პირობებში და ელოდება სათანადო გარემოსა და სიტუაციას მისი სრული რეალიზებისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოცდილებები დაგროვილი გენომში პოტენციური ძალების სახით არსებობს ჩვენში და ელოდება საჭირო დროსა და გარემოებას რეალურად ქმედებებად გარდასაქმნელად.

საუკუნეებისა და ათასწლეულების გამოწვევების პარალელურად ცხოვრებისეული მოთხოვნები იცვლება და სრულიად სხვა საჭიროებები იჭერს მათ ადგილს. ამდენად, ყოველთვის მიდის ღირებულებათა გადაფასების პროცესი. შესაბამისად, ახალი ღირებულებები გენომის შემადგენლობაში სხვა გამოცდილებებს ქმნის და ემზადება მათი ქცევად გარდაქმნისთვის. თუმცა შესაძლებელია ამ გენომის მიღმა მან სხვა გამოცდილებებიც ბევრი შეიძინოს, რომელიც აქამდე მის გენეტიკურ ფონდში არ ჰქონდა და ახალი ცოდნის სახით დამკვიდრდეს.

თუ გადავხედავთ ჩვენს ირგვლივ ყოფით ცხოვრებას, ბევრს აღმოვაჩინთ ისეთს, რომელთა წინაპარი რაიმე განსაკუთრებული ნიჭის მფლობელი არ ყოფილა იმ რომელიმე მეცნიერული მიმართულებით, რომელსაც აღსაზრდელი თვითონ ავლენს. მაშინ ეს მოვლენა როგორ შეიძლება აიხსნას? რამ განაპირობა მასში ეს განსაკუთრებული ნიჭი?

ინტელექტის შესახებ ჰოვარდ გარდნერის თეორიული მოსაზრების მიხედვით ადამიანი რვა სახის ინტელექტით იბადება და იშვიათად დაჰყვება მეცხრე-ეგზისტენციალური ინტელექტიც. ინტელექტი როგორ გავიგოთ ასეთ დროს? ინტელექტი ეს არის ამა თუ იმ ქცევის განხორციელების უნარი, შესაძლებლობა. ამდენად, ეს უნარი სრულიად არაკანონზომიერად არსებობდა კაცობრიობის გენში, რომელიც განსაკუთრებული ნიჭის სახით გამოვლინდა. ამიტომ უპრიანია თუ აღსაზრდელს სხვადასხვა ინტელექტის შემცველ სასწავლო საგანმანათლებლო შინაარსსა თუ გარემოს შევთავაზებთ. ასეთ დროს მათ ეძლევათ შანსი ყველაზე დიდი პოტენციური ძალის მქონე უნარები მოიძიოს თავის თავში და შეძლოს მისი გამოვლენა.

მეცნიერული ცდებით დადასტურებულია, რომ ადამიანის პიროვნებად ფორმირებაში მონაწილეობს ასევე სოციალური გარემო, რომელსაც ემპირიზმის მიმდევრები და მათ შორის ჯონ ლოკი მიიჩნევენ ადამიანური თვისებების მაფორმირებელ ფაქტორად და სხვა კომპონენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს. ამ თეორიული პრინციპების ნაკლი სწორედ ის არის რომ გენეტიკა ნაკლებადაა გათვალისწინებული მომავალ საქმიანობაში და თვლიან, რომ ექიმის შვილი აუცილებლად ექიმი, ხოლო დიდი ფინანსური კაპიტალის მქონე ოჯახის შვილები

აუცილებლად ეკონომიკური და ბიზნესის ცოდნით გამორჩეულები უნდა იყვნენ, რადგან მათი ეს საჭიროება მათსავე მდგომარეობითაა გამოწვეული. თუ დავაკვირდებით აქ ნიჭისა და შესაძლებლობების თავისუფლება არ ჩანს, უფრო წამოწეულია ოჯახის მოთხოვნები და საჭიროებები. თუმცა, ემპირიზმს ერთი დადებითი თავისებურება აქვს. ამ თეორიის მიხედვით ადამიანის პიროვნული თავისებურებების ფორმირებას განაპირობებს გარემო, სადაც აღსაზრდელს უწევს ცხოვრება, სწავლა, თამაში, დასვენება და ა.შ. პედაგოგები იოლად ვამჩნევთ აღსაზრდელს იმ გარემო-პირობების გავლენას, რაშიც მათ უწევთ თანაცხოვრება, რადგან ისინი მათ ყველა ნაბიჯზე, ქცევასა თუ საუბარში, დამოკიდებულებებსა თუ ურთიერთობებში ავლენენ. ხშირად ვიყენებთ გამონათქვამს „ბავშვი ოჯახის სარკეა“ ამდენად, ირეკლება ოჯახური ღირებულებები, დამოკიდებულებები და ხასიათი. ხშირად ეს დამოკიდებულებები წინააღმდეგობაში მოდის სააღმზრდელო დაწესებულებაში დამკვიდრებულ ქცევის ნორმებთან, აღსაზრდელთა ვალდებულებებთან რასაც ისინი ხშირ შემთხვევაში აგრესიით პასუხობენ ან აღმზრდელის რჩევის მიმართ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ავლენენ. თუმცა, ამის მიუხედავად, პედაგოგთა დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ სათანადო სასწავლო გარემოს შექმნა საჭირო ნორმების დაცვით ყველა მოსწავლის სასწავლო გამოცდილებას ქმნის, ჩართულობის ხარისხი იზრდება და მათი ქცევაც რეგულირდება. იქ სადაც აღსაზრდელს მეტი დროის გატარება უწევს, ბუნებრივია, იმ გარემოსგან ის უფრო მეტს იღებს, ვიდრე იმ გარემოსგან, სადაც ნაკლებ დროს ატარებს. შესაბამისად, ბავშვის აღზრდაზე გავლენას ახდენს ოჯახი, სკოლა და ის ადგილები, სადაც მათ მეტი ინტენსივობით უწევთ ყოფნა.

ხშირია შემთხვევები, როცა აღსაზრდელს გარემოებები და თუნდაც გენეტიკური ფონდი ხელს უწყობს ჩამოყალიბდეს წარმატებული და საუკეთესო პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი, თუმცა არც ერთი იძლევა ამის საშუალებას და არც მეორე, არც ორივე ერთად აღებული. მაშინ რამ უნდა განაპირობოს მისი პიროვნული ღირებულებების ფორმირება? ამდენად, ვასახელებთ აღზრდის უპირატესობას, დიდაქტიკას და აღზრდის ტექნიკა- მიდგომებს.

აღმზრდელით მიდგომებს დიდი ხსნის ისტორია აქვს და ამ მიმართულებით დიდი გამოცდილებაა დაგროვებული. წლების წინ აქტუალური იყო ბიჰევიორისტული მიდგომები, რაც აღსაზრდელის სასწავლო სურვილსა და ნებას ნაკლებად ითვალისწინებდა და ემსახურებოდა აღმზრდელის მიერ სასწავლო შინაარსის გადაცემისათვის საჭირო მიდგომებს, ისე, რომ მისი პოზიცია ქცევის განმტკიცებასაც და დასჯასაც მოიცავდა. შესაბამისად, ამ თეორიის მიხედვით არსებობს დადებითი დასჯა, უარყოფითი დასჯა, დადებითი განმტკიცება და უარყოფითი განმტკიცება. პედაგოგი ამათგან თავად ირჩევდა ან ირჩევს საჭირო მიდგომას და ასე გადასცემდა და გადასცემს სასწავლო შინაარსს.

თანამედროვე პედაგოგიკაში ბიჰევიორისტული მიდგომები იშვიათად გამოიყენება, რადგან ეს თეორია ნაკლებად ითვალისწინებს ბავშვის მისწრაფებას და მის სურვილებს სასწავლო პროცესში. ამდენად, აქტუალურია ჰუმანისტური მიდგომები, სადაც აღსაზრდელის არჩევანს დიდი უპირატესობა აქვს. თავად აღსაზრდელი ირჩევს სასწავლო შინაარსს და სასწავლო მიდგომებიდან იმას, რაც მათ ყველაზე მეტად მოსწონთ. ასეთ მიდგომებს თანამედროვე სწავლებაში ის უარყოფითი მახასიათებელი აქვს, რომ საგნის ან მიდგომის სიმარტივიდან გამომდინარე მოსწავლე აკეთებს არჩევანს იმაზე რაც ყველაზე იოლად დასაძლევია, თუმცა მისთვის ნაკლებად გამოსადეგი.

აღმზრდელის მიდგომებშიც გამოირჩევა სხვადასხვა სტილი, ესენია ავტორიტეტული, ავტორიტარული და ლიბერალური. თანამედროვე სასწავლო სივრცეში ყველაზე აქტუალურია ლიბერალური სააღმზრდელო მიდგომები, რაც აღსაზრდელის არჩევანისა და სურვილების მიმართ უპირატესობას გულისხმობს.

მიგვაჩნია, რომ ამ მიდგომათგან რომელიმე ერთი მხოლოდ არ არის პროდუქტიული და მისაღები, საჭიროა მათი სინთეზი და წარსული სააღმზრდელო გამოცდილების გადახედვა აღსაზრდელის საზოგადოების ღირსეულ წევრად, პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის. ვინაიდან სიტყვა პიროვნება, უკვე მოიაზრებს ადამიანში ისეთი ინდივიდუალური მახასიათებლებისა და

ცოდნის ქონას, რომელსაც შეუძლია სწორი თუ არასწორი გადაწყვეტილების მიღება და აქვს საკუთარი პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ნათია ჯანაშია, ნათელა იმედაძე, სოფიო გორგოძე, განვითარებისა და სწავლის თეორიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2008 წელი. <http://old.tpdg.ge/images/stories/pdf/ganvitarawavlteor.pdf>
2. ეროვნული სასწავლო გეგმა. edu.aris.ge
3. ნათელა ვასაძე, პედაგოგიკის ისტორია. თბილისი 2000 წელი.

**რეზიუმე**

ნაშრომში გამოკვლეულია ზოგადად ადამიანის, კონკრეტულად აღსაზრდელის პიროვნული თავისებურებები. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეყრდნობა ავტორის პედაგოგიური პრაქტიკის და თეორიული მიდგომების ანალიზს, აღწერილია აღსაზრდელის პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო კომპონენტები, დეტალიზებულია თითოეული მათგანი. შესწავლილია სხვადასხვა თეორიების პრაქტიკაში რეალიზების თითოეული დეტალი სხვადასხვა კუთხით, მათგან რომელია ჩვენი განათლების სისტემისათვის მისაღები, რომელია პრობლემური და რატომ.

სტატია შეიცავს არა მხოლოდ თეორიულ საკითხებს და ორიენტირებულია არა მხოლოდ თეორიულ ღირებულებებზე, არამედ შერწყმული და გაანალიზებულია სასწავლო გარემოში წამოჭრილი რეალური პრობლემები და დასახულია ავტორის აზრით საკითხების გადაწყვეტის კონკრეტული ხედვა.

**საკვანძო სიტყვები:** მოსწავლე, სკოლა, გენეტიკა, აღზრდა, სოციალური გარემო, პედაგოგიური პრაქტიკა.

**Tamar Shanidze**  
**LEPL Chognari named after Badri Basiladze Public School,**  
**LEPL Kvakhchiri Public School and**  
**LEPL Terjola Public School N1 German language mentor teacher,**  
**Doctor of education**  
**Georgia, Kutaisi**

**Formation of the personality of the child**

**Summary**

The work examines the personal characteristics of a person in general, and of a child in particular. The opinions expressed in it are based on the analysis of the author's pedagogic practice and theoretical approaches, the components necessary for the formation of a child's personality are described, each of them is detailed. Every detail of the realization of different theories in practice is studied from different angles, which of them are acceptable for our education system, which are problematic and why.

The article contains not only theoretical issues and is focused not only on theoretical values, but also combines and analyzes the real problems raised in the learning environment and sets out the author's vision of solving the issues.

**Key words:** student, school, genetics, upbringing, social environment, pedagogical practice.



## ტურიზმი მოსწავლა-ახალგაზრდობის ყოველმხრივი აღზრდის საშუალება

აღზრდის მიზნებიდან გამომდინარე ყოველმხრივი აღზრდა აერთიანებს გონებრივი, ფიზიკური, მორალური, ესთეტიკური და შრომითი ჩვევების კომპონენტთა ერთიანობას. წინამდებარე შრომის მიზანია შევჩერდეთ მხოლოდ ფიზიკური აღზრდის საშუალებათა იმ შემადგენელ ნაწილზე, როგორცაა ტურიზმი.

ტურიზმი ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასა და მცირე საბჭოთა ენციკლოპედიაში განმარტებულია შემდეგნაირად: „ტურიზმი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს გასეირნებას, მოგზაურობას. იგი აქტიური დასვენების ერთ-ერთი სახეა. ტურიზმი განათლების, ჯანდაცვის, ფიზკულტურის ნაწილი და პიროვნების სულიერი, კულტურული და სოციალური განვითარების საშუალებაა“.[1] აღნიშნული დებულება მიგვანიშნებს მასზე, რომ ტურიზმი, როგორც ფიზიკური აღზრდის საშუალება, ძირითადად აერთიანებს განათლებისა და აღზრდის ყველა იმ კომპონენტს, რომლის მიზანმიმართული გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერი და მორალური თვისებების ჩამოყალიბებას, მათ მომზადებას დამოუკიდებელი შრომისათვის, რაც ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა.

ტურიზმი არის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცხოვრებისეული გამოცდილების, მატერიალური და კულტურული მემკვიდრეობის ახალ, მომავალ თაობაზე გადაცემის უმნიშვნელოვანესი გზა. იგი ხელს უწყობს ღირებულებითი ორიენტაციების შექმნა-ჩამოყალიბებას. განსაკუთრებულ როლს ასრულებს და ეხმარება მოსახლეობის ფართო ფენებს გონებრივი, ფიზიკური, კულტურული, მორალური და შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

ტურიზმი წარმოიშვა და განვითარდა, როგორც მიმართულება, საზოგადოებისათვის მეტად საჭირო და აუცილებელ სოციალურ მოთხოვნილებად. იგი ჩამოყალიბდა ხალხის ჰარმონიული განათლებისა და განვითარების ერთ-ერთ უტყუარ, აუცილებელ მნიშვნელოვან საშუალებად.

აღორძინების ეპოქის დიდმა მოაზროვნეებმა ხუან ლუის ვივეისმა (ესპანელი ფილოსოფოსი, პედაგოგი), მიშელ დე მონტენმა (ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი), თომას მორმა (ინგლისელი მოაზროვნე და მწერალი), ფრანსუა რაბლემ (ფრანგი მწერალი, ექიმი და ფილოსოფოსი) და ერაზ როტერდამელმა (ჰოლანდიელი ფილოსოფოსი და მოაზროვნე) ჩამოაყალიბეს რა თავიანთი მოსაზრებები ტურიზმზე, როგორც ლაშქრობისა და მოგზაურობის საშუალებით ახალგაზრდობის ყოველმხრივი აღზრდისა და განათლების განსაკუთრებულ როლზე, მათ ორგანიზაცია გაუკეთეს სკოლებს, დანერგეს სხვადასხვა მოძრაობითი სავარჯიშოები. მათი მოსწავლეები ჯანმრთელობის განსამტკიცებლად ხშირად დადიოდნენ მრავალდღიან ტურისტულ ლაშქრობებზე სხვადასხვა ძნელად მისასვლელ ადგილებზე, მათ შორის ალპების მთებში, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი და უმაღლესი მთათა სისტემაა.

ტურიზმს, როგორც მოგზაურობის, გადაადგილების, ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და თავისი უმნიშვნელოვანესი მოსაზრებები გამოთქვა მე-17 საუკუნის პედაგოგიური მეცნიერების ფუძემდებელმა, დიდმა მოაზროვნემ, იან ამოს კომენსკიმ. იგი იყო პირველი მასწავლებელი, რომელმაც მეცნიერულად ჩამოაყალიბა ტურისტული მოგზაურობის აღმზრდელობითი სიკეთე და ხაზგასმით წერდა: „ბავშვთა მოგზაურობას ბუნებაში დიდი სარგებლობა მოაქვს მოზარდის სულის ჩამოყალიბებაში“. [2] აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ განათლების მიღების მიზნით მოგზაურობის გამოყენების მეცნიერება დაიწყო თავად განათლების მიღებასთან ერთად. ამის შესახებ პროფესორი დ. ლორთქიფანიძე წერდა, რომ კომენსკი „...დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოგზაურობას, როგორც ცოდნის გაფართოების აუცილებელ საშუალებას და მიაჩნდა ის განათლების უმაღლესი საფეხურის აუცილებელ ნაწილად. ამიტომ შემთხვევით არაა, რომ სწავლების უმაღლეს საფეხურს აკადემიებისა და მოგზაურობის საფეხური უწოდა.“ [3]

მოგზაურობის და მისი განვითარების საშუალებები ეფუძნება ადამიანის ბუნებრივ სურვილს, შეიცნოს მის ირგვლივ არსებული სამყარო. ფეხით გაიაროს ჯერ კიდევ უნახავი, აუთვისებელი, ძნელად გაუვალი გზები. დაინახოს უნიკალური ბუნებრივი სამყარო, საკუთარი თვალით, გამოსცადოს პირადი წვდომა მასთან, სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობები. მოგზაურობას, განსაკუთრებით ფეხით სიარულს და მათ შორის ფეხშიშველ გადაადგილებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენი წინაპრები, ჯანმრთელობის განმტკიცების თვალსაზრისით.

ძველ საბერძნეთში, მოგზაურობა და ფეხშიშველა სიარული თავისებურ კულტურად იყო მიჩნეული. პლუტარქეს მიხედვით, ცნობილი ფილოსოფოსი სოკრატე „აზრის გამახვილების“ მიზნით ძალიან ხშირად ფეხშიშველი დადიოდა და ამასვე მოითხოვდა თავის მოსწავლეებისაგან. მე-17 საუკუნის ცნობილი პედაგოგი, ჰუმანისტი ჯონ ლოკი ახალგაზრდობის ჰარმონიული აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად ფეხშიშველა სიარულს თვლიდა.

ალექსანდრე სუვოროვი თუნდაც ძლიერ ყინვაში ფეხშიშველა დასეირნობდა, შემდეგ კი ტანზე ივლებდა ცივ წყალს. ამით დაძლია მან თავისი თანდაყოლილი უძლურება. მეტიც, გამოიყურებოდა „ზებუნებრივ არსებად“. მეუღლის პროტესტის მიუხედავად, მისი ქალიშვილიც, მამის მოთხოვნით, ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ფეხშიშველა დარბოდა გლეხის გოგონებთან.

ფეხშიშველა სიარული, როგორც მრავალი დაავადების პროფილაქტიკის და მკურნალობის ეფექტური საშუალება, სამკურნალოდ პირველად გამოიყენა მე-19 საუკუნის ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, ჰიგინისტმა სებასტიან კნეიპმა. თავის წიგნში- „წყლით ჩემი მკურნალობა“, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. იგი იგონებს, რომ ზამთარ-ზაფხულ სკოლაში ფეხშიშველა დადიოდა, ჩექმებს მხოლოდ შესასვლელთან იცვამდა. „გაზაფხულობით დავსეირნობდი გუბეებზე, იყო სიმხიარულე და სიამოვნება და ჩვენ ჯანმრთელი ვიყავით. შემდეგ მას მოჰყავს იმის მაგალითები, თუ როგორ კურნავდნენ სხვადასხვა დაავადებებს წყლის პროცედურებით, ცვრიან ბალახზე, სველ ქვებზე, დათოვლილ ადგილებზე ფეხშიშველა სიარულით“ [4]

დღეს გერმანიის, ავსტრიის, ფინეთის, საფრანგეთის და ინგლისის მრავალ სანატორიუმებში ჯანმრთელობის განმტკიცების მიზნით სისტემატიურად გამოიყენება კნეიპის მეთოდები. იქ წარმატებით მკურნალობენ ბევრ სხვადასხვა დაავადებას სპეციალური სარბენი ბილიკით. ფიზიოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ფეხის გულები ადამიანის ორგანიზმის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრი რეფლექსოგენური ზონებია. გამოკვლევით დადგინდა, რომ ფეხის გულები 72

ათასი ნერვული დაბოლოების გამანაწილებელი ფარია და მათი მეშვეობით კავშირი მყარდება სხეულის ნებისმიერ ნაწილთან. შედეგი ისაა, რომ გადაადგილება ფეხით, მათ შორის ფეხშიშველა სიარული, ეს თავისებური წერტილოვანი მასაჟია და ატონიზირებს ორგანიზმს, ხელს უწყობს აქტიური მდგომარეობის შენარჩუნებას.

ფეხშიშველა სიარული კარგი საშუალებაა ბრტყელტერფიანობის ლიკვიდაციისათვის, რომელიც დღეს მოსწავლეთა და სკოლამდელთა ასაკის ბავშვთა 40 პროცენტს აწუხებს. ჩვენ ქუთაისის 32 საშუალო სკოლაში მუშაობის დროს ვურჩევდით მშობლებს, არდადეგების პერიოდში, ზაფხულობით ბავშვებისათვის არ დაეშალათ ფეხშიშველა სიარული. ფეხშიშველა სიარულისას ადამიანი განიცდის სიამოვნებას, იზრდება თითქმის ყველა კუნთის ინტენსიობა მთელ ორგანიზმში. სტიმულირდება სისხლის მიმოქცევა, უმჯობესდება გონივრული საქმიანობა, კაჟდება ორგანიზმი. ამდენად, ფიზიკური აღზრდის საშუალებათა შორის სიარულს, მათ შორის ფეხშიშველა გადაადგილებას გამოკვეთილი ადგილი შეიძლება მიეკუთვნოს. ამას ადასტურებს მშობელთა არაერთი სამადლობელი წერილი, რომელიც სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა სახელზეა მოსული.

იმერეთის მხარის სკოლებში, განსაკუთრებით მე-7 საშუალო სკოლაში, სკოლის მთელ პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა მიაღწიეს იმას, რომ აღარავის ეხამუშებოდა, როცა მოსწავლეები სკოლის ეზოში ხშირად ფეხშიშველა გამოდიოდნენ. დარბოდნენ, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, თამაშობდნენ ფეხბურთს, რაგბს, ძლევენ სხვადასხვა წინააღმდეგობებს. მშობლები მალე დარწმუნდნენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფეხშიშველა სიარულს ორგანიზმში ავადმყოფობის დასაძლევად და ჯანმრთელობის გასაკაჟებლად.

ფეხშიშველა სიარულით ორგანიზმის გამოწრთობის მიზნით, ცნობილი ჰიგიენისტის, სებასტიან კნეიპის მიმდევარი იყო გამოჩენილი რუსი მწერალი და განმანათლებელი ლევ ტოლსტოი. იგი დიდად დაინტერესებული ყოფილა ტურისტული გასვლებით. ფეხით სიარულს ხშირად უნაცვლებდა ველოსიპედით გადაადგილებას. ცნობილი მწერალი სხეულის გასაკაჟებლად სისტემატიურად მიმართავდა სხვადასხვა გამაჯანსაღებელ საშუალებას. მას ისე ყვარებია მოგზაურობა ველოსიპედით, ტულაშიც კი ჩასულა და იქაურ ველოტრეკზეც გამოსულა. ასევე, განსხვავებით ტოლსტოისაგან, ფეხით სიარულის, მოძრაობისა და თამაშის დიდი მოტრფიალე იყო ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი.

აკაკი („ჩემი თავგადასავალი“) იგონებს: „საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ სპარტანულად გვზრდიდნენ, არ გვარიდებდნენ არც სიცივეს, არც დარს და არც ავდარს. დილაობით ცვრიან ველზე ფეხშიშველას უნდა გვერბინა. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიფქზე რამდენჯერმე უნდა გაგვერბინა, გამოგვერბინა. დასველებული და სიცივისაგან დაჭარხლებული ფეხები ცეცხლზე უნდა შეგვეშრო. დარწმუნებული ვიყავით, რომ ამით ჯანმრთელობა მოგვემატებოდა.“[5] აკაკი ისევ ფეხშიშველა გადაადგილებაზე და მის სიკეთეზე ყვება: „გათენდებოდა თუ არა უქუდოდ ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებისაკენ და დაღამებამდე იქ ვრჩებოდი...აგერ კრავები კუნტრუშობენ, თიკნები დახტიან...გოჭები ჭიდაობენ, კვიცები კოტრიალობენ და სხვანი-სულ მრავალფერაობა და სხვადასხვა სანახაობა...უყურებს ბავშვი და თვითონაც გულშექმნილი, ხტის და თამაშობს!...ამაებს ყველას მოკლებულია ქალაქელი.“[6]

მეტად საინტერესო, მისაბადი და საამაყო გზა განვლო გამოჩენილმა ქართველმა მათემატიკოსმა, მეტალურგმა, ქიმიკოსმა, ფიზიკოსმა, გეოგრაფმა, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორმა, სპორტსმენმა ტურიზმისა და სპორტული მოძრაობის ფუძემდებელმა , ტანმოვარჯიშემ, მოგზაურმა და მთასვლელმა გიორგი ნიკოლაძემ. მას მამამ პირველმა შეამჩნია

დაინტერესება გეოგრაფიით და შეადგინეს მოგზაურობის კომბინირებული გრაფიკი. უნდა აღინიშნოს, რომ დაძაბულმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ, სპორტულმა საქმიანობამ, საქართველოში ალპინიზმისა და ტურიზმის ორგანიზაციამ, ასევე სხვა მრავალმა ფაქტორმა, რომელსაც იგი არასოდეს უშინდებოდა გ.ნიკოლაძე ვერ ჩამოაშორა მეცნიერულ საქმიანობას და ამ მიმართულებით აგრძელებდა კვლევა ძიებას. დაინტერესებული იყო რა მოგზაურობით, იგი ახალშერთულ მეუღლესთან ერთად 1928 წელს საქორწილო მოგზაურობაში მეუღლესთან ერთად ველოსიპედით გაემგზავრა საფრანგეთსა და იტალიაში, არა მხოლოდ როგორც ტურისტი, არამედ ელექტროქიმიურ და ელექტრომეტალურგიულ საწარმოთა გასაცნობად. აქვე მან პირინეებიც მოინახულა. მას, როგორც ყოველმხრივ განვითარებულ მეცნიერს, აინტერესებდა ბასკების გენეზისი და ქართველებთან მათი სავარაუდო ნათესაური კავშირები.

გიორგი ნიკოლაძის მეცნიერული საქმიანობა და ტურიზმის სიყვარული უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა უფრო ღრმად გავეცნოთ ქვეყნის ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას, გაუღვიძოს მოსწავლე ახალგაზრდებს ეროვნული იდენტურობის გრძნობა და აღზარდონ პატივისცემა და სიყვარული მშობლიური ქვეყნის მიმართ.

ტურიზმი მოსწავლე ახალგაზრდების ყოველმხრივი განვითარების მნიშვნელოვანი მხარე რომ არის, ამაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ცნობილი უკრაინელი პედაგოგი ვასილ სუხომლინსკი. იგი მიიჩნევდა ტურიზმს, როგორც განათლების ყოვლისმომცველ საშუალებას, სადაც ბუნებრივ პირობებში შეიძლება გადაწყდეს ადამიანის ფიზიკური და გონებრივი ძალების აღდგენა, ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესება. მან მოსწავლეთა მშობლებთან ახლო კავშირით მიაღწია დღის რეჟიმის სწორად დაცვას: „მისი აღსაზრდელები საგაზაფხულო და საზამთრო არდადეგებს ატარებდნენ სუფთა ჰაერზე, ბუნების წიაღში, ლაშქრობებში, ტყეში. იგი ხშირად ბავშვებთან ერთად მიდიოდა ტყეში, ტურისტულ ლაშქრობაში, თუ მდინარეზე“ [7]. ბავშვთა ყველა ტურისტულ გადაადგილებას აძლევდა ორგანიზებულ ხასიათს. იგი ამბობდა: „ტურიზმის დროს მტკიცდება ფიზიკური ძალები, რაც ხელს უწყობს ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებას. ბავშვები ხედავენ ბუნებას მთელი თავისი სილამაზით“ [8]. ვასილ სუხომლინსკიმ, როგორც სკოლის დირექტორმა, სპეციალურად შეისწავლა რა სასკოლო ასაკობრივი ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, ანატომია და ჰიგიენა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სუფთა ჰაერზე, ტყეში, მდინარის პირზე, თუ მთაში, მოსწავლეთა ტურისტული გასვლის დროს ძლიერდება კუნთური, ძვლოვანი და ნერვული სისტემა; უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა და ნივთიერებათა ცვლა. სწორი რეჟიმი, სუფთა ჰაერზე ყოფნა, სრულყოფილი კვება და ტურისტული ლაშქრობა ტყეში თუ მდინარის პირას სჭირდება მოზარდს ავადმყოფობისაგან თავის დასაცავად. ამიტომ, მისი მისწრაფებაა - ბავშვები აზიაროს ბუნებას. თუმცა, მისი ასეთი მისწრაფება ზოგიერთ სკოლის მასწავლებელს ვსუხომლინსკის ახირობად მიაჩნდა. „მართლაც და, ამბობენ დაეჭვებით,-რად ესაჭიროებათ მთელი ეს ლაშქრობები ტყეში, მინდორ - ველად, ბუნების წიაღში სოფლის ბავშვებს. ისედაც ხომ მთელ წელიწადს ბუნების წიაღში ცხოვრობენ? ქალაქელებისათვის ეს საკვირველებია, ჩვენი ბავშვები რას ნახავენ მინდორში, ბაღში ან ტყეში?“ [9] მაგრამ სუხომლინსკი თანდათან არწმუნებდა სკოლის მასწავლებლებს და მშობლებს, რომ ასეთი ტურისტული გასვლები ბავშვთა ჰარმონიული აღზრდისათვის აუცილებელი იყო. უფრო მეტი, მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით, იგი სისტემატიურად აწყობდა ტურისტულ გასვლებს მდინარე დნეპრის ნაპირზე. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ შესვენების დროს ბავშვებს სისტემატიურად უტარებდა საჭირო საუბრებს: „სადაც არ უნდა ვყოფილიყავით ჩვენ ბანაკში თუ მოგზაურობაში, მე ყოველთვის ვნახულობდი შესაძლებლობას ბავშვებისთვის მიმეცა დასვენების საშუალება, არ გადამეტვირთა

ისინი“ [10]. ასეთი მოგზაურობის, თუ ლაშქრობის დროს იგი ყოველთვის ახერხებდა ბავშვებთან სიახლოვეს, მათთან ახლოს ყოფნას, ბავშვებისათვის გულის მიცემას: „ო, ყველანი როგორ გარბოდით ამ ორ თვეში? უხარია მას. რას აკეთებდით აქ უჩემოდ? ყველაფერი მოასწარით, რასაც დამპირდით? ახალი ლაშქრობისათვის მზად ხართ?“ [11] იგი ცდილობდა, ისე შეეყვანა პატარები გარესამყაროში, რომ მათ იქ ყოველდღე ეპოვათ რაღაც ახალი. იგი ამბობდა, რომ ჩვენი თითოეული ნაბიჯი იყოს მოგზაურობა აზროვნებისა და მეტყველების სათავეებისაკენ, ბუნების მშვენიერებისაკენ. ამით იგი ისევ და ისევ წინ წამოწევდა ტურისტულ გასვლებს ბავშვის მდებარეობაზე ტყესა თუ პარკში გასეირნების აუცილებლობას, მათ ურთიერთკავშირს ბუნებასთან. ამის გამო იყო, რომ დიდი პედაგოგი ბავშვთა და მოსწავლეთა ყოველმხრივი აღზრდის საქმეში განუზომებელ როლს ანიჭებდა ტურისტულ გასვლას სუფთა ჰაერზე, მდინარის პირას, ტყეში. იგი თითოეულ ტურისტულ მოგზაურობას, ბუნების წიაღში, საკლასო ოთახში გაკვეთილის ჩატარებაზე უფრო ძნელ საქმედ მიიჩნევდა. და ბოლოს, ამბობდა: „მე მშურდა კლასის დამრიგებლის – ისინი მუდამ ბავშვებთან არიან... ანდა ტყეში, მდინარეზე, თუ ველზე გასასვლელად სამუშაოთი არიან გართულნი. ბავშვები მოუთმენლად ელიან იმ დღეს როცა ტურისტულ ლაშქრობაზე წავლენ, დაუდარაჯებენ ვარსკვლავთა ციმციმს“ [12]. ვ.სუხომლინსკი მოუწოდებდა ბავშვებს, რომ ტურისტები არიან ადამიანები, რომლებსაც უყვართ მოგზაურობა და ლაშქრობა. ჩვენ ტურისტები, ამხნევებდა იგი ბავშვებს, ვართ ძლიერი, გამძლე ადამიანები და სიძნელეების არ გვეშინია. ბავშვებთან სიახლოვეთ მან მიაღწია გული მათთვის მიეცა და იგი მათი საუკეთესო მეგობარი ყოფილიყო: „ჩვენ ვდგებოდით განთიადისას, – ამბობდა იგი, – ვტკბებოდით ახლადგამოდვიძებული ბუნების განუმეორებელი სილამაზით, დავეხეტებოდით ცვრიან მინდორში, პირს ვიბანდით წყაროს ცივი წყლით, რომელიც ხის კასრებით მოგვქონდა და პირსაბანში ვასხამდით. ყოველივე ეს – დილის ვარჯიში თუ ცივი წყლით ტანის ზელება, დიდ კმაყოფილებას გვრიდა ბავშვებს. საუზმის შემდეგ ვშრომობდით, ვეხმარებოდით კოლმეურნეებს ნესვებისა და საზამთროების აღებაში“ [13]. ამისთვის არის მოგზაურობა და ტურიზმი, მისი დადებითი გავლენა ადამიანის, კერძოდ ბავშვის თვითგანვითარებასა და პასუხისმგებლობაზე, საკუთარი თავისა და მეგობრების მიმართ. რომ ტურიზმი არის განათლების ყველაზე გამორჩეული სახეობა, ჯანმრთელი და გამოცდილი, შრომისმოყვარე ადამიანების აღსაზრდელად.

ტურიზმზე და მის დანიშნულებაზე მეტად საინტერესოა აკადემიკოს ნათელა ვასაძის რჩევები. იგი წერს: „განსაკუთრებით დიდია ტურიზმის როლი მოსწავლეთა აღზრდის საქმეში, მათი ზოგადი განათლებისა და გაკაჟებისათვის. მისი საშუალებით მოსწავლეები ეცნობიან მშობლიურ მხარეს, ისტორიულ და კულტურის ძეგლებს, ტკბებიან ბუნების სილამაზით, ამასთანავე კაჟდებიან ფიზიკურად და სულიერად, იძენენ გამძლეობის, სიძნელეთა გადალახვის და თანატოლებთან თუ უფროსებთან სრულიად ახალი ურთიერთობების გამოცდილებას“ [14].

როგორც ცნობილი ადამიანების ნააზრვეიდან ჩანს, ტურიზმი სულ უფრო ხშირად გამოიყენება, როგორც აქტიური დასვენების საშუალება, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდის ჰარმონიულ განვითარებას, ჯანმრთელობის განმტკიცებას, ბავშვის კულტურული დონის ამაღლებას და თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებას. ტურიზმის საშუალებით ყველა ასაკის ადამიანი იკაჟებს ჯანმრთელობას. განსაკუთრებით ხანგრძლივი ფიზიკური აქტივობა, თუ იგი დაკავშირებულია მთებზე ფეხით ასვლასთან, თხილამურებით ან ველოსიპედით გადაადგილებასთან, ნიჩბოსნობასთან, ღია ცის ქვეშ ხანგრძლივ ყოფნასთან ხელს უწყობს სხეულის გამოწრთობას. ტურიზმის სისტემატიური გამოყენება არის ადამიანის სულიერი ცხოვრების და მშვენიერების აღქმის შესანიშნავი საშუალება. შესაძლებლობა არის შეხვდეთ და

გაიცნოთ ახალი ადამიანები, გაუზიაროთ აზრები, მიიღოთ ინფორმაცია თქვენთვის საინტერესო საკითხებზე. საშუალება გეძლევათ დაეუფლოთ თქვენთვის ჯერ კიდევ უცხო ინფორმაციებს სხვადასხვა საკითხებზე. შეისწავლოთ სხვა ხალხების ისტორია, კულტურა, გეოგრაფია და გაიფართოვოთ ცოდნის დონე.

რა მდგომარეობაა დღეს ჩვენი ქვეყნის სკოლებში. რისთვის არის მივიწყებული კომპლექსური ტურისტული გასვლები, სხვადასხვა საგნის მასწავლებლების ჩართულობით? ან რატომ დაივიწყეს საველე პირობებში ტურისტული გასვლები და იქ გაკვეთილების ჩატარების ეფექტური საშუალებები? დღეს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის. მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობას რომ ვართმევთ გაჯანსაღებისა და გამოწრთობის მეტად აუცილებელ საშუალებას ეს ჩვენი სკოლების ხელმძღვანელთა და პედაგოგიური კოლექტივების ინერტულობაზე მიგვანიშნებს. დღეს იშვიათად თუ ნახავთ მოსწავლეს, რომელიც სკოლაში ფეხით მიდის. კატასტროფულად იმატა ავტომანქანებით მშობლების მიერ ბავშვების სკოლაში მიყვანამ. შედეგად სახეზეა, გაიზარდა ბავშვთა წონაში მატება, უმოდრაობით გამოწვეულმა სიზანტემ და უძლურებამ კატასტროფულ დონეს მიაღწია. თუ შევადარებთ 10-20-30-40 წლის წინანდელ ბავშვს ასაკის მიხედვით, ნათლად ჩანს უმოდრაობით გამოწვეული ნაკლოვანებები. მოვიყვანთ ერთ მაგალითს ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლის გამოცდილებიდან. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს მჭიდრო საქმიანი კავშირი ჰქონდათ დამყარებული სკოლის დირექტორთან, მოსწავლეთა მშობლებთან, სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან, ექიმთან და შეფ ორგანიზაციასთან, საავტომობილო ქარხნის ხელმძღვანელობასთან. ტურისტული გასვლა შეფარდებული იყო მოსწავლეთა ასაკთან. ტურისტული ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო საჭირო მედიკამენტებით. ზურგჩანთებში მოსწავლეებს თან ჰქონდათ მსუბუქი საკვები. ტურისტული ლაშქრობის დროს მოსწავლეებმა გაიცნეს მოწინავე ადამიანები. ტურისტულ გასვლაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ გეოგრაფიის, ისტორიის და მათემატიკის მასწავლებლები. სკოლაში დაბრუნების შემდეგ მოსწავლეები ადგენდნენ შთაბეჭდილების ჩანაწერებს. მსგავსი ღონისძიებების ჩატარება, რაც ტურისტულ გასვლებთან იყო დაკავშირებული დადებითად მოქმედებდა მოსწავლე ახალგაზრდობის ყოველმხრივ აღზრდაზე, მათი ხასიათის განმტკიცებაზე, ესთეტიკურ გრძნობებზე და განწყობაზე. ისინი ახალი, განახლებული ენერგიით, კარგი გუნება-განწყობით, ბრუნდებოდნენ სკოლაში და აგრძელებდნენ სწავლას.

ჩვენი მოწოდებაა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, ყველა მასწავლებლისა და მშობლისადმი, აღვადგინოთ ძველი ტრადიციები. ტურიზმის საშუალებით დაუბრუნოთ მოსწავლე-ახალგაზრდობას ჯანმრთელობა და ყოველმხრივი აღზრდის გზები და საშუალებები.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.10 მთავარი რედაქტორი ირ. აბაშიძე, თბილისი, 1986 წ. გვ.79.
2. Малая советская энциклопедия, т.9. третье издание. Главный редактор В.А.Введенский, Москва, 1960 г. Стр. 586.
2. Губаненков С.М. Спортивный туризм в системе образования. Изд. дом „Петрополис“, 2008 г. Стр.196.
3. ლორთქიფანიძე დ. იან ამოს კომენსკი. გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1964 წ. გვ. 246.
4. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი. „საზრისი“, შრომების კრებული 11, თბილისი 2003 წ. გვ.131.

5. წერეთელი აკაკი, თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980 წ. გვ. 743.
6. წერეთელი ა. თხზულებათა ტომი 4. თბილისი, 1948 წ. გვ. 12-13)
7. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი. „საზრისი“, შრომათა კრებული 8. გვ.44.
8. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ონლაინ სწავლება კოვიდ 19-ის პირობებში და განათლების სისტემა“. 20 ნოემბერი, 2021 წ. თბილისი, გვ.64.
9. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „პროფესიონალის ხმა“, ქუთაისი, # 3-4(1), 2014 წ. გვ 26.
10. Сухомлинский В.А. том первый. Москва, „Педагогика“, 1979 г. Стр. 342.
11. ტარტაკოვსკი ბორის, „ამბავი მასწავლებელ სუხომლინსკისა“, თბილისი, „განათლება“, 1982 წ. გვ. 75.
12. სუხომლინსკი ვ. „გულს ვუძღვნი ბავშვებს“, თბილისი, „განათლება“, 1980 წ. გვ.5-6.
13. ბასილაძე ნოდარ. ვ.ა.სუხომლინსკი-ჩვენი თანამედროვე. ბათუმი, 1990 წ. გვ.71.
14. ვასაძე ნათელა. საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემია „პედაგოგიკა“, თბილისი, 2000 წ. გვ.210.

## რეზიუმე

შრომში საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ აღვადგინოთ ძველი ტრადიციები. ტურიზმის საშუალებით, როგორ დაუბრუნოთ მოსწავლე-ახალგაზრდობას ჯანმრთელობა.

**საკვანძო სიტყვები:** ტურისტული გასვლები, ტურიზმის სამყარო, ფეხით სიარული, ძველი ტრადიციები, ყოველმხრივი აღზრდა.

Omar Tskhadadze  
of Tourism Sciences of Georgia  
Rector of Academy Training University,  
Doctor of Pedagogy

**Tourism is a means of all-round education of pupil and youth**

## Summary

The work is about how to restore old traditions. By means of tourism, to return to pupil-youth the ways and means of health and all-round education.

**Key words:** tourist trips, the world of tourism, walking, old traditions, all-round education.

მარინე სურმავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,  
თბილისი, საქართველო

## რას ნიშნავს კლიპური აზროვნება და რა სარგებელის მიღებაა შესაძლებელი?

კლიპური აზროვნება 21-საუკუნის თაობის პრობლემად იქცა. ზოგიერთები ამას ქსელურ დამოკიდებულებას უკავშირებენ და მხოლოდ ნეგატივს ხედავენ. ეს აზრი, ერთი შეხედვით სწორია, მაგრამ ამ პრობლემას მეორე მხარეც აქვს. რა არის სინამდვილეში კლიპური აზროვნება?

კლიპური აზროვნება - არის აზროვნების ტიპი, რომლის დროსაც ადამიანი ინფორმაციას ფრაგმენტებად აღიქვამს, მცირე მოცულობით და მკაფიო გამოსახულებით, მას არ შეუძლია კონცენტრირდეს ერთ სიუჟეტზე და მუდმივად ეძებს ახალს. ასეთ ადამიანებს უკიდურესად უჭირთ დიდი ტექსტების წაკითხვა ან მუშაობა, განსაკუთრებით წიგნებზე, უყურონ გრძელ ფოტოკლიპებს და ფილმებს.

ტერმინი პოპულარული გახდა 1990 -იან წლებში, როდესაც დინამიკური კლიპების სიმრავლემ და რეკლამებმა ტელევიზიაში სტატისტიკური სურათი შეცვალეს. ამ გაუთავებელი ინფორმაციის და ვიდეო რგოლების ნაკადის ფილტრაციის მიზნით საჭირო გახდა ხალხის ადაპტირება და ფოკუსირება არჩევითობისაკენ. ტერმინის ფესვები მდგომარეობს შემდეგში: კლიპის კულტურა, რომელიც შემოიტანა სოციოლოგმა ელვინ ტოფლერმა თავისი ნამუშევრით „მესამე ტალღა“ 1980 წელი. ინტერნეტის გავრცელებამ და სოციალურმა ქსელებმა, შესაძლებელი გახდა ახალი ინფორმაციების გაუთავებელი გაცნობა. ამან პრობლემა გაართულა. ვიდეოების ქრონომეტრაჟი youtube-ზე არ აღემატება 15 წუთს და პოპულარული ბლოგერები სურათებს სწრაფად ცვლიან. სოციალური ქსელები გვიჩვენებენ მაქსიმალურად პატარა პოსტებისა და ვიდეორგოლების დადებას, რომლებიც წამიერად ჩნდებიან. ბევრი პლატფორმა დღეს პირდაპირაა დამოკიდებული კლიპების რაოდენობაზე, მათ ნახვებზე. ამიტომაც ისინი ყველაფერზე მიდიან, რათა მოტივაცია გაუზარდონ მომხმარებელს, რაც შეიძლება ხშირად იყვნენ ურთიერთქმედებაში მათ კონტრაქტორებთან. მიდის კრეატიული დახასიათება, ნათელი კოლაჟი, უხვი ფოტოები და ვიდეოები, მოკლე ფორმატის მოთხრობები გრძელი ამბების ნაცვლად. თანამედროვე მსოფლიოში მთავარი ტენდენციის შინაარსი, რომელიც უზრუნველყოფს კლიპურ აზროვნებას, მოიცავს შემდეგს:

- გზავნილის მოცულობის შემცირება;
- ნაფიქრალთა შემცირება და ერთეულამდე დაყვანა - ამასთანავე გზავნილის ემოციით და ზედმეტად დატვირთვა;
- ერთი და იმავე შინაარსის მრავალჯერადად და მრავალნაირად გამეორება;
- მშრალი შინაარსის უკუგდება, რადგან იგი უკვე აღარ მუშაობს: აუდიტორია მოითხოვს, რომ მასში ჩადებული იყოს ურთიერთობა ავტორთან;
- გზავნილის დანაწილებას რამდენიმე მსგავს გზავნილად;
- სასაუბროდ მიპატიჟების სანაცვლოდ, შემოვიდა კონტაქტი, როგორც აქსიომა, რომელიც არ წარმოადგენს რეფლექსებს. იგივე ტენდენციები ჟონავს სატელევიზიო შოუებში, კინოებსა და სერიალებში.

სურათის დინამიური ცვლა, გაჯერებული დიალოგები და მრავალფეროვანი ხმოვანი ეფექტები მიზნად ისახავს მაყურებლის ყურადღების ეკრანისაკენ მიქცევას; ამასთან კადრის



მიღმა ხმა და მონოლოგები პრაქტიკულად ქრებიან. ტელე და რადიო კონტაქტები გათვლილია ფონურად ყურებაზე. ეს ხანდახან აბსურდამდე მიდის.

კლიპური აზროვნება ახალ თაობაში წარმოადგენს დაბრკოლებას, რომელიც ამუხრუჭებს სწავლის პროცესს, ხელს უშლის აღქმას და ბადებს ზედაპირულ მიდგომას. ამერიკელი მწერლის და პუბლიცისტის ნიკოლას კაპის აზრით, სტატიკაში, ჩვენ სულელებად გვხვდის. გვიმხელს, რომ ინტერნეტით რეგულარულად სარგებლობის შემდეგ მას უჭირს სამ - ოთხ ფურცლიანი ტექსტის წაკითხვა. მსგავს პრობლემას წააწყდნენ მისი კოლეგები და მედიცინის მუშაკებიც კი. გაზეთების მდუმარედ წაკითხვის ნაცვლად გაჩნდა სწრაფი წაკითხვა - ქსელში დასკანერება. პრობლემის დასაწყისმა თავი იჩინა ჯერ კიდევ ინტერნეტის გამოჩენამდე მრავალი წლის წინ, 1980 წელს ნიცემ იყიდა საბეჭდი მანქანა და შეისწავლა ბრმად ბეჭდვა. მეგობრებმა შეამჩნიეს, რომ მისი ტექსტები ძალიან დაემსგავსნენ მოკლე დეპეშებს და ინფორმაციებს, რომლებიც შედგებოდნენ აფორიზმებისაგან და არა არგუმენტებისაგან. თუ ჩავუღრმავდებით, ინდუსტრიალიზაციის და ავტომატიზაციის პროცესებს, ჩვენ ასევე გავხდებით ამ გაუთავებლად დაჩქარებული სისტემების ნაწილი. ახლა, ჩვენგან თხოულობენ მაქსიმალურად ჩქარა, ნათლად, სქემის მიხედვით მოქმედებას, რათა ვაჩვენოთ მეტი ეფექტურობა. ამ ოპტიმიზაციამ, სამწუხაროდ, რადიკალურად შეცვალა ჩვენი აზროვნებაც.

კლიპური აზროვნების დადებითი თვისებები

1. კლიპური აზროვნება იცავს ტვინს გადაღლისაგან, ფილტრავს ინფორმაციის ინტენსიურ ნაკადს და ანაწილებს მათ რამდენიმე პატარ-პატარა ფრაგმენტებად.
2. კლიპური აზროვნება განაპირობებს მრავალფუნქციობას, შესაძლებელია ერთ-დროულად კითხვა, მოსმენა და მიწერ - მოწერა. ასეთი ადამიანები წარმატებით მუშაობენ ადმინისტრატორებად, ოფისმენეჯერებად, მიმტანებად და პირად ასისტენტებად.
3. კლიპური აზროვნება აჩქარებს რეაქციას და რეფლექსიას: კლიპური აზროვნების მქონე ხალხი ნებისმიერ გარე სტიმულებზე სწრაფად რეაგირებს.

კლიპური აზროვნების უარყოფითი მხარეები

1. კლიპური აზროვნების უარყოფითი მხარეა ყურადღების დაბალი კონცენტრაცია: ადამიანებს უჭირთ გრძელი ტექსტის ბოლომდე წაკითხვა ან ვრცელი ინტერვიუს ბოლომდე აღქმა, ისე, რომ არაფერზე არ გადაიტანონ ყურადღება. კლიპური აზროვნების მქონე ადამიანებს ძალიან უჭირთ ისეთი სამსახურის გამკლავება, რომელიც თხოულობს გულმოდგინებას და რუტინულ ოპერაციას;
2. განმარტების ზედაპირულობა, რომელსაც მივყავართ იქამდე, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ; მიღებული ინფორმაციის გაანალიზებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას;
3. სიძნელეები სწავლებისას და ახალი ინფორმაციებთან წვდომა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის, ვისი სასწავლო პროგრამაც აგებულია არა უმეტეს კონსერვატორულ მეთოდებზე და ვარაუდობს პასიური ინფორმაციის აღქმას: კითხვა, მოსმენა-აღქმა, გაცნობიერება, დამახსოვრება.
4. კონტაქტი მანიპულაციებთან. ჩვენ ვერ ვასწრებთ ინფორმაციის ანალიზს, რათა მივიღოთ შეწონილი გადაწყვეტილება, რაც ნიშნავს, რომ არ შეგვიძლია აღვიქვათ ინფორმაცია კრიტიკულად, ამით აქტიურად სარგებლობენ რეკლამის და მარკეტინგის წარმომადგენლები, რომლებიც ზემოქმედებენ ემოციებზე და ახალისებენ ხალხს იმპულსურ შესყიდვაზე.
5. ემპათიის (სხვა ადამიანის თვალთახედვის გაგების უნარი) დასუსტება, ემოციებზე მუდმივი ზეწოლა გამოიმუშავებს მგრძნობელობის მაღალ ბარიერს და ჩვენ სულ უფრო და უფრო გვიჭირს სხვების თანაგრძნობა.

კლიპური აზროვნება ბავშვებში

ბავშვები სხვებზე უფრო მგრძობიარენი არიან კლიპური აზროვნების დროს, რაც ქმნის სიმნელეებს სწავლასა და გარემომცოფებთან ურთიერთობაში. როდესაც ბავშობიდან მიჩვეული სოციალურ ქსელს და ვიდეო სერვისებს, ისინი მთლიანად იგნორირებენ, მათ არ უჩნდებათ სათანადო ინტერესი პირველივე წუთიდან სწავლისადმი. ამერიკის პედიატრიის აკადემიის კვლევების თანახმად, ბავშვები ორი წლიდან ეკრანთან საშუალოდ დღეში შვიდ საათს ატარებენ. ინგლისში მოზარდების 40 პროცენტი მშობლებთან მესენჯერით ურთიერთობს, მაშინაც კი როდესაც გვერდით ოთახში იმყოფებიან.

ურთიერთობა და კომუნიკაცია სოციალურ ქსელში იწვევს დოფამინის გამოყოფას და მოზარდის სასიამოვნოდ აღზუნებას. ამასთან იგი გარანტირებულად სწრაფად და სტაბილურად მოქმედებს, სწავლისაგან განსხვავებით, სადაც საჭიროა კონცენტრირებული შრომა. დიდი ხნის განმავლობაში ქსელზე დამოკიდებულება თავის მხრივ შფოთვასაც იწვევს. ასეთ ბავშვებს თავისი თავი სმარტფონის ან პლანშეტის გარეშე ვერ წარმოუდგენია. ბავშვები ისტერიკისკენ და აგრესიისკენ არიან მიდრეკილები. პედაგოგები და ფსიქოლოგები გვიჩვენებენ, პირველ რიგში დალაგდეს სასწავლო მასალა ისე, რომ ბავშვის ყურადღებას იზიდავდეს საინტერესო ვიდეოები, ნათელი ილუსტრაციები და ინტერაქტიული თამაშები. გამოყენებულ იქნას ლტოლვა მრავალფუნქციურობისადმი: რეგულარულად ხდებოდეს სხვადასხვა ფორმატებსა და სახეობებზე გადართვა, მიზნობრივი ან სისტემატიური შესვენებებით. შეიზღუდოს სოც ქსელებში მუშაობა, დღეში სამ საათამდე, სწავლასთან ერთად, სასუსრველია, რომ ეს წესები იყოს საერთო და მისაღები ყველასათვის. მაგალითად, როდესაც ოჯახში მაგიდასთან ვიკრიბებით, ოჯახის ყველა წევრმა ტელეფონი ვახშმის დასრულებამდე გვერდზე გადადოს. კლიპური აზროვნება თანამედროვე ბავშვებს საშუალებას ართმევს შეითვისონ დიდი მოცულობის ინფორმაცია. სამაგიეროდ, ეხმარება უფოსებზე უკეთ გაერკვნენ ტექნოლოგიებში, სწრაფად მიიღონ გადაწყვეტილება და იპოვონ საჭირო მონაცემები.

### **კლიპური აზროვნებისაგან განთავისუფლების რამდენიმე მეთოდი**

1. პროფესორი მიხეილ კაზინოვი იყენებს პარადოქსების მეთოდს, კლიპური მუსიკის პოპულარიზაციას. ეს მეთოდი დაფუძნდა ურთიერთ წინააღმდეგობის შექმნის დროს, რომელიც ხელს უწყობს ინფორმაციის აღქმას. ყველა ფენომენისათვის, ისტორიული მოვლენისთვის შეიძლება მოინახოს ორი ურთიერთგამომრიცხავი თეზისი, შევეცადოთ გავანალიზოთ თითოეული მათგანი. მაგალითად, ბეთჰოვენი იყო გენიალური კომპოზიტორი, მაგრამ ყრუ.
2. კითხვა დავიწყოთ, სამხატვრო და პუბლიცისტური ლიტერატურის. აუცილებელი არ არის კითხვა დავიწყოთ კლასიკოსთა მრავალტომეულით, შეიძლება იგი დავიწყოთ თანამედროვე ავტორებით, როდესაც წიგნის კითხვას ვიწყებთ, თავიდან 10 წუთს მოანდომებ, შემდეგ 20 წუთს, 30 წუთს და ასე თანდათან. მოტივაციისთვის მოძებნეთ საინტერესო გარჩევები, განხილვა ან და წიგნის ეკრანიზაცია, რომლის წაკითხვასაც აპირებთ.
3. დაწეროთ ჩვენი შთაბეჭდილებების მოკლე ანალიზი საოცარი ფილმის, წიგნის ან სტატიისა, გულწრფელად არგუმენტირებულად ავლწეროთ უარყოფითი და დადებითი მომენტები.
4. მონაწილეობა დისკუსიებში. სოციალური წყაროები, გვიხსნიან წვდომას იდეალურ სივრცეში კრიტიკული და სისტემური აზროვნების დასახვეწად. როდესაც ჩვენ ვმონაწილეობთ კამათში აქტუალურ თემებზე, ვეძებთ, არგუმენტებიდან გამომდინარე სტატისტიკურ გამოკვლევებს, ავტორიტეტულ პუბლიკაციებს და ვამყარებთ მათ ჩვენი გამონათქვამებით. მაგრამ მთავარია - ყურადღებით მოვუსმინოთ კონტრარგუმენტებს ანდა თავად შევქმნათ ისინი, რათა მივეჩვიოთ ობიექტურ მსჯელობას.

5. ციფრული დეტოქსიკაცია - მოვაწყობ შესვენებები სოც ქსელებისაგან და მესინჯერებისაგან, გავერთოთ ხატვით, წიგნების კითხვით, სეირნობით ახლობლებთან ურთიერთობით.

6. მედიტაცია - საუბარი არის არა სულიერ მედიტაციაზე, არამედ სააზროვნო სავარჯიშოებზე, რომელიც დაგეხმარებათ, გათავისუფლდეთ, ინფორმაციული ხმაურისაგან. ეს სავარჯიშოები ტვინს ფსიქოლოგიურ დონეზე დაეხმარება.

7. შემეცნებით - ქცევითი თერაპია. იგი ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი თავია, რომელიც პასუხისმგებელია ტვინის რეკონფიგურაციაზე, მავნებელი აზრების ამოძირკვაზე.

კლიპური აზროვნება - არ არის დეგრადაცია, იგი ადაპტაციაა. ჩვენი ტვინი ძალიან პლასტიურია, სწრაფად რეაგირებს ცვალებად პირობებზე და გამოიმუშავებს ახალ თვისებებს. უნდა ვისწავლოთ მათი გამოყენება. მაგალითად: დიდი რაოდენობის ინფორმაციის დამახსოვრების მაგივრად დღეს ბევრად მნიშვნელოვანია შეგვეძლოს საჭირო ინფორმაციის სწრაფი მონახვა, დამუშავება და ჩვენივე მიზნებისათვის გამოყენება. სავსებით შესაძლებელია, რომ შემდეგმა თაობამ მოახერხოს ახალი შემეცნებითი ნახტომი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კლერინ მ.ვ. სწავლების ინოვაციური მეთოდები. „არენა“. 1994.
2. შალამბერიძე გ., მეტყველების კულტურის საკითხები. თბილისი, 1964.
3. მურავიოვი ე., კრიტიკა და კრიტიკული აზროვნება. 2010.
4. ზუკოვა ა., რა არის კლიპური აზროვნება. 2021.
5. ორტეგა გ., გასეტი ი., მასების აღზევება. 2003.
6. ტოფფლერი ე., „კლიპური კულტურა“. „მესამე ტალღა“, 1980.

**რეზიუმე**

კლიპური აზროვნება ახალ თაობაში წარმოადგენს დაბრკოლებას, რომელიც ამუხრუჭებს სწავლის პროცესს, ხელს უშლის აღქმას და ბადებს ზედაპირულ მიდგომას. ამერიკელი მწერლის და პუბლიცისტის ნიკოლას კაპის აზრით, სტატიაში, ჩვენ სულელებად გვხვდის. გვიძხვდის, რომ ინტერნეტით რეგულარულად სარგებლობის შემდეგ მას უჭირს სამ - ოთხ ფურცლიანი ტექსტის წაკითხვა. მსგავს პრობლემას წააწყდნენ მისი კოლეგები და მედიცინის მუშაკებიც კი. გაზეთების მდუმარედ წაკითხვის ნაცვლად გაჩნდა სწრაფი წაკითხვა - ქსელში დასკანერება. პრობლემის დასაწყისმა თავი იჩინა ჯერ კიდევ ინტერნეტით გამოჩენამდე მრავალი წლის წინ, 1980 წელს ნიცემ იყიდა საბეჭდი მანქანა და შეისწავლა ბრმად ბეჭდვა. მეგობრებმა შეამჩნიეს, რომ მისი ტექსტები ძალიან დაემსგავსნენ მოკლე დეპეშებს და ინფორმაციებს, რომლებიც შედგებოდნენ აფორიზმებისაგან და არა არგუმენტებისაგან. თუ ჩავუღრმავდებით, ინდუსტრიალიზაციის და ავტომატიზაციის პროცესებს, ჩვენ ასევე გავხდებით ამ გაუთავებლად დაჩქარებული სისტემების ნაწილი. ახლა, ჩვენგან თხოულობენ მაქსიმალურად ჩქარა, ნათლად, სქემის მიხედვით მოქმედებას, რათა ვაჩვენოთ მეტი ეფექტურობა. ამ ოპტიმიზაციამ, სამწუხაროდ, რადიკალურად შეცვალა ჩვენი აზროვნებაც.

**საკვანძო სიტყვები:** კლიპური, აზროვნება, ტვინი, ინფორმაცია, ადაპტაცია, ინტელექტი, ფრაგმენტი.

Marine Surmava  
Technical University of Georgia  
Associate Professor  
Georgia, Tbilisi,

## What does clip thinking mean and what benefits can be gained

### Summary

Clip thinking refers a cognitive phenomenon that is influenced by on line communication and the use of digital media. It is characterized by quick thinking, Linguistic minimalism and a preference for visual and audiovisual content. Clip is a coaching model where students are encouraged to take a lead in their practice. Clip thinking has its pros and cons and the author refers to each of them.

Clip thinking in the new generation is an obstacle that slows down the learning process, hinders perception and gives rise to a superficial approach. According to the American writer and publicist Nicholas Kapp, in the article, we are seen as fools. He reveals that after using the Internet regularly, he finds it difficult to read three to four pages of text.

His colleagues and even medical workers faced a similar problem. Instead of reading newspapers silently, quick reading appeared - scanning on the net. The problem began many years before the Internet, in 1980 Nietzsche bought a typewriter and studied blind printing. Friends noticed that his texts became very similar to short telegrams and information, consisting of aphorisms rather than arguments.

If we delve into the processes of industrialization and automation, we will also become part of these endlessly accelerating systems. Now, we are asked to act as quickly, clearly, according to the scheme as possible in order to demonstrate greater efficiency. Unfortunately, this optimization has also radically changed our way of thinking.

**Key words:** clip, thinking, brain, information, adaptation, intelligence, fragment.

ნათელა მადლაკელიძე  
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
ილიას უნივერსიტეტის განათლების სკოლის  
მოწვეული პროფესორი,  
საქართველო, თბილისი

## დავუბრუნდეთ თუ არა სკოლებში ქართული ენის გრამატიკის სწავლებას?

ეს კითხვა ხშირად ისმის ამ ბოლო დროს, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა **ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების** განახლებული ვარიანტი (**ზგემი**). ამ დოკუმენტში ხაზგასმით წერია, რომ დღევანდელი სასკოლო განათლების უპირველესი მიზანი „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე, ოჯახის, ქართული ტრადიციის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების, **სახელმწიფო ენის**, საქართველოს ისტორიის და კულტურის მცოდნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და **პატრიოტი მოქალაქის აღზრდაა**“. ამდენად, სასკოლო განათლების ეროვნულ მიზნებზე საუბარი დღეს ძნელია სკოლაში **ქართული ენის** სწავლების გარეშე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში **სახელმწიფო ენაა**, ამავე დროს იგი გახლავთ ქვეყნის ეთნიკური უმრავლესობისათვის **მშობლიური ენა**. აქვე შევნიშნავთ, რომ **ენის კურსი** ხშირ შემთხვევაში გაიგივებულია მხოლოდ **გრამატიკასთან**, რაც რატომღაც უარყოფითად განაწყობს საზოგადოების – ანტიგრამატიკოსების – ერთ ნაწილს ამ საგნის სწავლების მიმართ. არადა ენის კურსი გრამატიკის გარდა მოიცავს ლექსიკოლოგიის, ორთოგრაფიის (მართლწერის), პუნქტუაციის, პრაქტიკული სტილისტიკის... საკითხებსაც. ამ საკითხების საფუძვლიანი ცოდნისა და ამ ცოდნაზე დაყრდნობით სათანადო სამეტყველო უნარ-ჩვევების დაუფლების გარეშე ძნელია ისაუბრო **სახელმწიფო/ქართული ენის** ფლობაზე. რაც შეეხება საკუთრივ გრამატიკას, ენათმეცნიერების დარგთაგან სკოლაში ყველაზე უფრო ვრცლად ყოველთვის ის იყო წარმოდგენილი. ეს ბუნებრივიცაა, გრამატიკული წყობის შესწავლას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის სხვადასხვა მხარის, სხვადასხვა საკითხის სწორი მიმართულებით სწავლებისათვის, ქართული ენის ყოველმხრივი სრულყოფილი შესწავლისათვის.

გრამატიკის სწავლების შესახებ სპეციალისტთა შეხედულებები არასოდეს არ ყოფილა ერთგვარი. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში საკმაოდ ძლიერი იყო ე.წ. „ანტიგრამატიკული მიმდინარეობა“, რომელიც საერთოდ უარს ამბობდა არა მხოლოდ გრამატიკის თეორიული კურსის, არამედ მისი ელემენტების სწავლებაზეც. ამ მიმართულებამ თავი იჩინა დღესაც. სწავლებაში ბიჰევიორიზმის და ენათმეცნიერებაში სტრუქტურალიზმის განვითარებამ ბევრი რამ შეცვალა ამ საკითხთან მიმართებით. კვლავ გამოჩნდნენ გრამატიკის „მომულენი“. თავიანთ შეხედულებას ისინი გრამატიკული მასალის სირთულითა და ბავშვის ცნობიერების მოუმზადებლობით ხსნიან. არადა, არსებობს ქართველ ფსიქოლოგთა და ენათმეცნიერთა შრომები, რომლებიც საიმედო ბაზას ქმნიან სკოლაში გრამატიკულ ცნებებზე მუშაობისათვის.

რეფორმატორებმა სასკოლო განათლების რეფორმის დაწყებისთანავე (2006 წ) უარი თქვეს ქართული ენის კურსის, პირველ რიგში კი გრამატიკის, ცალკე საგნად სწავლებაზე. ქართული ენის საგაკვეთილო საათები სწორედ რეფორმას შეეწირა. კარგად მახსოვს განათლების რეფორმატორებთან ჩემი პირველი შეხვედრა. ეს იყო რეფორმის დაწყებამდე, 2004 წელს. პირველი, რამაც მაშინ ჩემში პროტესტის გრძნობა გამოიწვია, გახლდათ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისათვის განკუთვნილი საათების შემცირება - 5 კვირეული საათი (ნაცვლად რეფორმამდელი 7-8 აკადემიური საათისა). ჩემს კითხვაზე, როგორ შეიძლებოდა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება 5 კვირეულ საათში ჩატეულიყო, პასუხი გახლდათ - მთავარია არა რაოდენობა, არამედ ხარისხი; რაც შეეხება ენის საკითხებს, მათ შორის გრამატიკას, იგი საკითხავ ტექსტებთან ინტეგრირებით უნდა ასწავლოთო.

როგორი ვითარება იყო ამ კუთხით 2006 წლამდე, სანამ ეს გ ამოქმედდებოდა? შევეცდებით მოკლედ ვუპასუხოთ ამ კითხვას.

ენობრივი და ლიტერატურული მასალის ინტეგრირება ჩვენი სკოლისათვის არც რეფორმამდე ყოფილა უცხო. დაწყებით სკოლაში, **ოთხწლედში, ენის საკითხები საკითხავ ტექსტებთან ინტეგრირებულად იყო წარმოდგენილი.** ტექსტის კითხვა-დამუშავებასთან ერთად ხდებოდა ცალკეულ ენობრივ მოვლენებზე დაკვირვება, გრამატიკული მასალა ძირითადად მიეწოდებოდა პრაქტიკული გზით, საკითხავ მასალასთან კავშირში. სწავლებისას მთავარი აქცენტი გადატანილი იყო მართლწერისა და მართლმეტყველების ჩვევათა გამომუშავებაზე და არა წესების დაზეპირებაზე. სპეციფიური განსაზღვრებები ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის შესახებ ეძლეოდა ან წესის გარეშე, ან მარტივი ფორმულირებით. ენის სახელმძღვანელოს სახელწოდებაც შემდეგნაირად გახლდათ ფორმულირებული: **ქართული ენა – გრამატიკა, მართლწერა, მეტყველების განვითარება.**

რაც შეეხება უფროს კლასებს, აქაც მხატვრული ნაწარმოების ენაზე დაკვირვება, როგორც წესი, ტექსტის მხატვრული ანალიზის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი გახლდათ. ძირითადად ეს გულისხმობდა ტექსტის მხატვრულ მხარეზე დაკვირვებას, პოეტური სტილისტიკის საკითხების გარკვევასა და გაანალიზებას, მწერლის ენობრივ თავისებურებებში გარკვევას, პერსონაჟის მეტყველებაზე დაკვირვებას...

მე-5 კლასიდან იწყებოდა ქართული ენის გრამატიკის ე.წ. „**სისტემატური კურსი**“, რომელსაც 2 კვირეული საათი ეთმობოდა. მისი მიზანი გახლდათ მშობლიური ენის სტრუქტურაში გარკვევა სათანადო თეორიული ცოდნის ბაზაზე. იგი ასევე გულისხმობდა სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებას. მთავარი ნაკლი, რაც ამგვარ სწავლებას ახლდა, იყო ის, რომ არ ხდებოდა ენის გაკვეთილზე მიღებული ცოდნის გამოყენება ლიტერატურის გაკვეთილებზე, წერის პროცესში. გრამატიკული მასალის დაუფლება ხშირ შემთხვევაში მხოლოდ წესების დაზეპირებით ამოიწურებოდა. მოსწავლემ (უკეთეს შემთხვევაში) თეორიულად იცოდა ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის დეფინიცია, მაგალითებსაც სწორად ასახელებდა, მაგრამ ვერ იყენებდა ამ ცოდნას პრაქტიკულად ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში. ალბათ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რეფორმირებული სკოლა ადვილად შეელია ქართული ენის კურსის ცალკე დისციპლინად სწავლებას.

არადა უკვე პირველი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მშობლიური ენის სწავლება ემსახურება გარკვეული **ლინგვისტური კომპეტენციების ფორმირებას.** როგორ უნდა მოხდეს ამ ლინგვისტური უნარ-ჩვევების ფორმირება? გვჭირდება ამ მიზნით გრამატიკის სწავლება?

ამ საკითხის მიმართ სარეფორმო ჯგუფმა რეფორმის დასაწყისშივე ჩამოაყალიბა ორგვარი დამოკიდებულება:

1. **არაქართულ სკოლებში ქართული ენის გრამატიკა აუცილებლად უნდა ვასწავლოთ. გრამატიკა აქ მოსწავლეთათვის ერთგვარი გზამკვლევა სახელმწიფო ენის შესასწავლად .**

2. **ქართულენოვან სკოლებში კი ქართული ენის გრამატიკის სწავლება საერთოდ არ არის საჭირო, ქართველმა ბავშვმა ქართული ენა ისედაც იცის და ამისთვის გაკვეთილზე დრო რატომ უნდა დაეკარგოს. ენის საკითხები მხოლოდ საკითხავ ტექსტებთან ინტეგრირებით შეიძლება მივაწოდოთ მოსწავლეს.** სხვათა შორის ამ მოსაზრებამ რეფორმის პირველ წლებში ხშირად გაიჟღერა მაშინდელ სამინისტროში სახელმძღვანელოების ავტორებთან შეხვედრისას.

პირველ მოსაზრებას ძალიან მარტივად შეიძლება გაეცეს პასუხი: არაქართულ სკოლებში გრამატიკის როლი **გრამატიკულ-თარგმნითი მეთოდით** მეორე/უცხო ენის სწავლებისას მართლაც დიდია, მაგრამ დღეს ეს მეთოდი ფაქტიურად აღარ გამოიყენება, იგი ჩაანაცვლა ე.წ. **პირდაპირმა/შერეულმა მეთოდმა**, რომელიც ცოცხალ მეტყველებაზე აკვირვებს ბავშვს და წინა პლანზე გადმოდის არა გრამატიკის ცოდნა და ტექსტების თარგმნა (როგორც ეს ადრე იყო მეორე/უცხო ენის სწავლებისას), არამედ ისეთი სამეტყველო კომპეტენციები, როგორებიცაა: **მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა.** ამდენად, არაქართულ სკოლებში ქართული ენის

სახელმძღვანელოების გრამატიკული მასალით ზედმეტად გადატვირთვა, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეფორმის ადრეულ წლებში და დღესაც გვხვდება, არ გახლავთ სწორი.

რაც შეეხება ქართულ სკოლას, გრამატიკის სწავლების მიმართ დამოკიდებულება აქ წლების განმავლობაში რამდენადმე შეიცვალა. მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მთელი გრამატიკული მასალის სწავლება **ცნებებსა და ქვეცნებებზეა** დაფუძნებული. უფრო მეტიც, წარმოდგენილი მასალა საკმაოდ რთულია და მრავლის მომცველი. ასე მაგალითად, უკვე დაწყებითი კლასების მოსწავლეს მოეთხოვება ისეთი საკითხების ცოდნა, როგორებიცაა:

- სიტყვათა მორფოლოგიური აგებულება და ფორმაცვალება (ბრუნება, უღლება, რიცხვის წარმოება, ფუძე);

- სახელის ბრუნვისა და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული მართლწერის წესები;

- ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები;

- სიტყვაწარმოება;

- ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები;

- სხვადასხვა შინაარსის/მოდალობის წინადადებები (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, ბრძანებითი, კითხვა-ძახილის) და მათი შესაბამისი სასვენი ნიშნები;

- სასვენი ნიშნები: წერტილი, მძიმე, ორწერტილი, მრავალწერტილი, ბრჭყალები, დეფისი, ტირე, ფრჩხილები;

- სიტყვამონაცვლე კონტექსტებში ამოსავალი სიტყვის ჩანაცვლება ნაცვალსახელით, სინონიმური ლექსიკით;

- ზმნისწინები და მათი მეშვეობით გამოხატული ძირითადი მნიშვნელობები...

რაც შეეხება სწავლების საბაზო საფეხურს, ენის საკითხები, მათ შორის გრამატიკის, კიდევ უფრო გართულებულია და უფრო ვრცლად გახლავთ წარმოდგენილი:

### **მორფოლოგია**

#### **ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები:**

- სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი): სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით; სახელთა ბრუნება; სახელთა წარმოქმნა; კომპოზიცია.

- ზმნა: ძირითადი ზმნური კატეგორიები; გარდამავლობა; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები.

- სახელზმნები (საწყისი და მიმლეობა).

#### **ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები:**

- ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის);

- თანდებული (ცალკე მდგომი და შერწყმული);

- კავშირი და მისი ჯგუფები;

- ნაწილაკი და მისი ჯგუფები;

- შორისდებული და მისი ჯგუფები.

### **სინტაქსი**

- სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის სახეები - შეთანხმება, მართვა, მირთვა;

- **წინადადების წევრები:** მთავარი და არამთავარი წევრები;

- **წინადადება:** წინადადება მოდალობის მიხედვით; წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები; წინადადებათა შეერთების საშუალებები; დამოკიდებული წინადადების სახეები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

- განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები;

- პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

აღნიშნულ ენობრივ-გრამატიკულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენის ნორმები, მართლწერა, პუნქტუაცია (ე ს გ, 2023).

როგორც ვხედავთ, მესამე თაობის ე ს გ-ის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტში ენის/გრამატიკის საკითხები იმაზე ვრცლად გახლავთ წარმოდგენილი, ვიდრე ეს რეფორმამდე იყო. ალბათ ამიტომაც იყო, რომ მოგვიანებით ავტორებს დაევაღათ ცალ-ცალკე წარმოდგენათ ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები, მასწავლებელსაც მიეცა უფლება, სურვილის შემთხვევაში ცალკე კვირეული საათი დაეთმო ენისათვის. მაგრამ არ შეცვლილა ერთი რამ - კვირეული საათების რაოდენობა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ **მასწავლებელი ან საერთოდ ვერ ასწრებს ენის საკითხებზე მუშაობას** (ლიტერატურული მასალის კითხვა-დამუშავება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, განსაკუთრებით კი დღეს, როცა ე.წ. „კომპლექსურმა“ დავალებებმა მასწავლებელი კიდევ უფრო შეზღუდა დროში), **ან ენის სწავლება ისევ შემოიფარგლა მხოლოდ წესების გაცნობითა და დაზეპირებით**. საკითხების ის ჩამონათვალი, რომელიც ე ს გ-შია, დარჩა ქაღალდზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ქართული ენის სწავლება დღევანდელ სკოლაში არასახარბიელო მდგომარეობაშია, რაც ასახვას პოულობს მოსწავლეთა (და არა მხოლოდ მოსწავლეთა) ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში.

რამდენად არის მზად ქართულენოვანი მოსწავლე სკოლაში ქართული ენის გრამატიკის შესასწავლად, ან სჭირდება თუ არა მას გრამატიკის ცოდნა სწორმეტყველებისათვის? „სკოლაში მოსვლამდე ქართულენოვანი მოსწავლე ძირითადად უკვე დაუფლებულია სამეტყველო კომპეტენციებს. სკოლაში ახლად შემოსულმა ბავშვმა პრაქტიკულად უკვე იცის:

- მეტყველების ყველა ნაწილი;
- იყენებს ენის ფორმათა სისტემას;
- ესმის და თვითონაც ხმარობს სიტყვათწარმოების მთავარ შესაძლებლობებს;
- შეთვისებული აქვს სინტაქსის ძირითადი სტრუქტურები, თანწყობისა და რამდენადმე ქვეწყობის სახეები“;

- წერდა გურამ რამიშვილი (გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ. 2000, გვ. 28). ამ აზრს უფრო ადრე ავითარებდა დიმიტრი უზნაძეც, რომელიც მიიჩნევდა, რომ „სკოლის წინარე ასაკში ბავშვს პრინციპულად დაძლეული აქვს თავისი სამშობლო ენა“ (დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ. 2003, გვ. 593).

მაშ, თუ მართლაც ბავშვი უკვე დაუფლებულია მშობლიურ (ჩვენს შემთხვევაში ქართულ) ენას, სკოლაში რატომღა უნდა ვასწავლოთ იგი და რატომ უნდა მოვაცდინოთ ამაზე მოსწავლედ და მასწავლებელიც? ამ კითხვაზე პასუხი ისევ დიმიტრი უზნაძესთან უნდა ვეძებოთ: **„ბავშვი მეტყველებისას კი იცავს ენის ძირითად წესებს, მაგრამ ეს წესები მას თავად გაცნობიერებული არა აქვს... აი, აქ უწევს მას სკოლა დახმარებას- იგი გრამატიკას ასწავლის ბავშვს და ამით იგი ენობრივი განვითარების ახალ საფეხურზე აჰყავს... ახლა მას არამარტო ლაპარაკი შეუძლია ამ წესების მიხედვით, არამედ იმის ცოდნაც, თუ რატომ ლაპარაკობს ასე“**. (იქვე).

გრამატიკის სწავლებისას მთავარი მშობლიური ენის კანონზომიერებების შეცნობა, მათი გააზრება და მეტყველებისას მართებული ფორმების გამოყენება გახლავთ. პირველ რიგში მას პრაქტიკული დანიშნულება აქვს - ემსახურება სათანადო ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სტილისტური ჩვევების ფორმირებას, რაც საბოლოო ჯამში მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების დახვეწისაკენ არის მიმართული. გრამატიკული წესის ცოდნისა და მისი გააზრების გარეშე მოსწავლეს ხშირად უჭირს სიტყვის მართლწერა (გარკვეულ შემთხვევებში სიტყვის მართლწერას სწორედ მორფოლოგია უდევს საფუძვლად), ფრაზისა და წინადადების სწორად აგება... განსაკუთრებით სავალალო დღეშია პუნქტუაცია, რომლის საფუძველსაც სინტაქსი წარმოადგენს. ქართული პუნქტუაცია კი მოგეხსენებათ, საკმაოდ რთულია.

**„ღრამატიკა არს შემძლებლობა მართლ-უზნობად და წესიერ წერადო“**, წერდა ანტონ კათალიკოსი, ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს ავტორი მე-18 საუკუნეში. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ გრამატიკის სწავლების პირველ დანიშნულებად ჩვენი წინაპრებიც მართლმეტყველებისა და მართლწერის ძირითად საკითხების დაუფლებას თვლიდნენ. ასეა დღესაც. ამიტომაც ენის გაკვეთილებს სასკოლო განათლების საბაზო საფეხურზე აუცილებლად უნდა დაეთმოს ცალკე აკადემიური საათი. ფაქტიურად ეს იქნება არა გრამატიკის, არამედ **მეტყველების კულტურის** გაკვეთილები.



მაგრამ ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე შევიტანოთ მასალა სახელმძღვანელოებში, გადავტვირთოთ ისინი რთული გრამატიკული კატეგორიებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თავად ენათმეცნიერებს შორის არის სადავო; უსასრულოდ ვაზეპირებინოთ წესები... **რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ** - ეს გახლავთ ერთ-ერთი ძირითადი და აქტუალური საკითხი დღეს ქართული ენის სწავლებისას.

ახლა უკვე შეგვიძლია პასუხი გავცეთ ჩვენი წერილის სათაურად გამოტანილ კითხვას – **დავიწყოთ თუ არა სკოლებში გრამატიკის სწავლება?**

**დიახ, უნდა ვასწავლოთ**, ქართული ენა კვლავაც ცალკე საგნად უნდა გამოიყოს ქართულ სკოლაში. ენის კურსში საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს გრამატიკამ. მაგრამ იგი ზედმეტად არ უნდა გადავტვირთოთ თეორიული მასალით და მხოლოდ წესების დაზეპირებამდე არ უნდა დავიყვანოთ.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2024, <https://edu.aris.ge/news/gamoqveyndazogadi-ganatilebis-axali-erovnuli-miznebis-proeqti-dokumenti.html>
2. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, 2023. <https://mes.gov.ge/content.php?id=13272>
3. გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბილისი, 2000.
4. დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბილისი, 2003.

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია თანამედროვე ეტაპზე ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხები. ენათმეცნიერების დარგთაგან ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყველაზე უფრო ვრცლად გრამატიკის საკითხებია წარმოდგენილი. ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც სწორედ გრამატიკის გააზრებული ცოდნა უდევს საფუძვლად მოსწავლეებში სათანადო ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სტილისტური ჩვევების ფორმირებას, რაც საბოლოო ჯამში მათი ზეპირი და წერიტი მეტყველების დახვეწისაკენ არის მიმართული. ენის გაკვეთილებს სასკოლო განათლების საბაზო საფეხურზე აუცილებლად უნდა დაეთმოს ცალკე აკადემიური საათი. ფაქტიურად ეს იქნება არა გრამატიკის, არამედ **მეტყველების კულტურის** გაკვეთილები. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე შევიტანოთ მასალა სახელმძღვანელოებში, გადავტვირთოთ ისინი რთული გრამატიკული კატეგორიებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თავად ენათმეცნიერებს შორის არის სადავო; უსასრულოდ ვაზეპირებინოთ წესები... **რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ** – ეს გახლავთ ერთ-ერთი ძირითადი და აქტუალური საკითხი დღეს ქართული ენის გრამატიკის სწავლებაში.

**საკვანძო სიტყვები:** გრამატიკა, მართლწერა, პუნქტუაცია, ეროვნული სასწავლო გეგმა, სასკოლო განათლების რეფორმა, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

Natela Maglagelidze  
Doctor of Pedagogical Sciences,  
Ilia University School of Education  
visiting professor  
Georgia, Tbilisi

## Should we go back to teaching Georgian grammar in schools?

### Summary

The article discusses the issues of Georgian language teaching in Georgian schools at the modern stage. Among the fields of linguistics, grammar issues are presented the most extensively in the national curriculum. This is natural, as the well-thought-out knowledge of grammar is the basis for the formation of proper spelling, punctuation and stylistic habits in students, which is ultimately aimed at improving their oral and written speech. Language classes at the basic level of school education must be given a separate academic hour. In fact, these will not be lessons of grammar, but of speech culture. But this does not mean at all that we should include material in the textbooks without taking into account the age characteristics of the student, overloading them with complex grammatical categories, which in many cases are disputed among linguists themselves; Let's endlessly confront the rules... What to teach and how to teach - this is one of the main and relevant issues in teaching the grammar of the Georgian language today.

**Key words:** Grammar, spelling, punctuation, national curriculum, school education reform, national goals for general education.

მანანა ქაჯაია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ასოც. პროფესორი,  
საქართველო, თბილისი

## ქართულის, როგორც მეორე ენის, ანუ სახელმწიფო ენის სწავლასთან დაკავშირებული ერთი ასპექტი სწავლების პროცესში და მათი გადაჭრის სტრატეგიები

### შესავალი

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომაც ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებას. სწავლების მიზანია, შემსწავლელი უზრუნველყოს ისეთი ცოდნით, რომ შეძლოს წარმატებული კომუნიკაცია, სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა და გაგება, ქართული კულტურული ფასეულობის პატივისცემა, სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციო-კულტურულ თავისებურებათა დაფასება. ამ მიზნის მისაღწევად, შემსწავლელმა უნდა აითვისოს, როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია, ენის შესწავლის სასიცოცხლოდ აუცილებელი უნარ-ჩვევები (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა), ჩამოუყალიბდეს ქვეყნის მოქალაქეობის განცდა.

### ძირითადი ნაწილი

ენის დამწყებ შემსწავლელთათვის ცნობილი მეთოდია კარნახი, რომელიც ეხმარება მათ, სრულყოფილ მართლწერა შესასწავლ ენაში და, ასევე ასოებისა და ბგერების წერა კარნახის მეშვეობით, გამოუმუშავდეთ კონცენტრაციის უნარი. აუცილებელია მათი აქტიური ჩართულობა სწავლის პროცესში ძირითადი აქტივობების მრავალფეროვნების საშუალებით, მისი გამოყენება შეიძლება სისტემატიურად, ისე რომ შემსწავლელებს არ მოხერხდეთ კარნახით წერა.

კარნახი ავლენს იმ პრობლემებს, რომლებიც მოსმენის, გაგების, ენის ფონემატური სტრუქტურის და ორთოგრაფიის გააზრების დონეს ავლენს, აგრეთვე ავლენს იმ პრობლემებს, როგორცაა ბგერათა აღქმა და სწორად წერა.

წერითი დავალების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს წინადადებებისა და ტექსტების შედგენა. ტექსტი უნდა იყოს შესწავლილი, როგორც სალიტერატურო სტანდარტული ენის ნიმუში და აღებული უნდა იყოს თანამედროვე წყაროდან, შთამბეჭდავი ტექსტი მოტივაციას უმაღლესს შემსწავლელებს. საწყის ეტაპზე რეკომენდებულია იოლი ფრაზებით აგებული ტექსტების არჩევა, რომლებიც ცნობილია უკვე მათთვის.

კარნახისთვის შერჩეული მასალა უნდა შეესაბამებოდეს შემსწავლელების ცოდნის დონეს, ენობრივი კომპეტენციის შესაბამისად.

სპეციალისტების რჩევით, მასალის შერჩევის სარგებელი წყაროა სახელმძღვანელო, სადაც იქნება უცხო და სახალისო ტექსტები. შერჩეული მასალა უნდა შეიცავდეს ენობრივ ასპექტებს, რომლებზეც მათ უკვე ნამუშევარი აქვთ (გრამატიკა, ლექსიკა, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) შემსწავლელებს უნდა ავუხსნათ მათთვის უცნობი სიტყვები, აბრევიატურები, საკუთარი სახელები და ა.შ.

ჩართულობისათვის სასურველია გამოყენებული იქნას კარნახის სხვადასხვა ტიპი:

- ა) ფონემური კარნახი;
- ბ) ტექსტობრივ-ფონემური კარნახი;
- გ) ორთოგრაფიული კარნახი;
- დ) ტრადიციული, კლასიკური კარნახი;
- ე) გამოტოვებული ასოები;
- ვ) კარნახი „თავად გაასწორე“;
- ზ) ესტაფეტა;
- თ) აკლია სიტყვა;
- ი) დიქტოგლინი;
- კ) თავისუფალი კარნახი;
- ლ) შემოქმედებითი კარნახი;
- მ) ურთიერთკარნახი;
- ნ) სტენოგრაფიული კარნახი;
- ო) კარნახი „დეპეშა“;
- პ) შერჩევითი კარნახი.

ფონემური კარნახის დროს ლექტორი ენის შემსწავლელებს უსახელებს ცალკეულ ბგერებსა და ასოებს. დაწერონ შესაბამისი ასო. ბგერების ამოცნობა კარგია ენის სწავლების საწყის ეტაპზე.

ტექსტობრივ-ფონემური კარნახის დროს, ლექტორი კითხულობს მოკლე ტექსტს. შემსწავლელები იწერენ ბგერებს (გამოსახავენ ასოებს).

შემსავლელები სწავლობენ როგორ ისმის და იცვლება შესწავლილი ენის ბგერები გაბმულ ტექსტში.

ორთოგრაფიული კარნახი გულისხმობს იზოლირებული სიტყვების კარნახს.

კლასიკური ტიპის კარნახი გულისხმობს მსმენელების მიერ ტექსტის თანმიმდევრული მონაკვეთის ჩაწერის უნარის განვითარებას. ეს კარნახი მიზნად ისახავს შემსწავლელების ტექსტის გაგების უნარს, განვითარებას და აჩვენებს გრამატიკის ცოდნის ხარვეზებს.

უმჯობესია სქემატურად და თვალსაჩინოდ სათითაოდ გამოიკვეთოს ყველა შეცდომა სწორი ვარიანტის ჩვენებით.

შეცდომების ანალიზი წერის მიმართულებით, ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. კარნახი და მისი ანალიზი;
2. წერითი დავალება და მისი ანალიზი;
3. ნაწერის გასწორებისას მიენიშნოს ყველა შეცდომა, სწორი ფორმის მინიშნებით;
4. გამოიყოს სპეციალური ადგილი შეცდომების გასწორებისათვის;
5. შეიქმნას სპეციალური დავალებები, ტექსტები ტიპურ შეცდომათა გაანალიზებისათვის.

შეცდომები რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს.

აუდიტორიაში შესაძლებელია იმ შენიშვნების განხილვა, რომელთაც ყველაზე ხშირად უშვებენ შემსწავლელები.

გამოტოვებული ასოების გასწორება რეკომენდირებულია დაწყებით დონეზე.

ფურცელზე დაწერილ სიტყვებში გამოტოვებული ასოები - ეს გამოტოვებული სიტყვები უნდა შეავსონ შემსწავლელებმა.

მაგალითად:

მამი-ა

ბი-ა

ბებ-ია და სხვა.

კარნახი „თავად გაასწორე“ - ბუნებრივ ტემპში წაკითხული ტექსტი, სავარაუდოდ, შემსწავლელებმა თავად უნდა დაწერონ.

თითოეული წინადადების ნელი წაკითხვის შემდეგ წერენ კარნახს.

ბოლოჯერ წაკითხვის შემდეგ შემსწავლელები თვალს ადევნებენ საკუთარ ნაწერებს და შეაქვთ ბოლო ცვლილებები.

შემსწავლელები ტექსტს იწერენ რვეულში ქსეროასლიდან, დაფიდან ან პროექტორის სლაიდიდან, ისე, რომ არ იხედებიან თავიანთ შესრულებულ ნაწერებში, მათ მოეთხოვებათ ტექსტის უშეცდომოდ გადაწერა.

თითოეული შემსწავლელი თავის ნაწერს ასწორებს.

შესაძლებელია შემსწავლელების დაწყვილებაც. მორიგეობით კოპირებული ტექსტის წაკითხვის შემდეგ ისინი ცვლიან ნაწერებს და უსწორებენ ერთმანეთს შეცდომებს.

საბოლოოდ ლექტორი აფასებს მათ ნაწერებს.

**ესტაფეტა** - ლექტორმა ტექსტი უნდა მიაკრას შორს ისე, რომ შემსწავლელები ვერ ხედავდნენ. ტექსტის სიგრძე ისე უნდა შეირჩეს, რომ დავალების შესასრულებლად დასჭირდეთ 7-8 წუთი.

ტექსტი დაყოფილი უნდა იყოს რამდენიმე ნაწილად. ჯერ პირველი ნაწილი უნდა დაიმახსოვრონ და ჩაწერონ, შემდეგ დანარჩენები.

საბოლოოდ თვითონ რვეულით მიდიან ტექსტთან და ორიგინალის მიხედვით ამოწმებენ საკუთარ ნამუშევარს.

ლექტორი უკითხავს შემსწავლელებს ტექსტს ან ჯგუფის თითოეული წევრი უკითხავს ტექსტს გარკვეული ჯგუფის წევრებს.

უნდა შეირჩეს მოკლე ტექსტი და შეესაბამებოდეს შემსწავლელების ენის დონეს. უნდა იყოს მრავალფეროვანი ლექსიკურად ან შეიცავდეს იმ გრამატიკულ მასალას, რასაც გადიან.

დავალების დასრულების შემდეგ შემსწავლელები ასწორებენ თავიანთ ნაწერებს ორიგინალთან შედარების გზით.

აკლია სიტყვა – შეირჩევა მოკლე ტექსტი, სადაც ამოღებული იქნება სიტყვა. ისინი კონტექსტის მიხედვით მოფიქრებულ სიტყვას სვამენ გამოტოვებულ ადგილას.

**დიქტოგლინი** - შემსწავლელები არაფერს წერენ ლექტორის კითხვის დროს. წაკითხვა ხდება 2-3-ჯერ. ამის შემდეგ იწყებენ წერას. ქმნიან ორიგინალურ ტექსტს.

**თავისუფალი კარნახი** - ტექსტს ვკარნახობთ არა წინადადებად, არამედ აბზაცებით და მსმენელი წერს, როგორც იმახსოვრებს.

შეკითხვები: რამდენი ნაწილისგან შედგება ტექსტი? რამდენი წინადადებაა პირველ ნაწილში? რომელ სიტყვაშია მოსალოდნელი შეცდომის დაშვება? და ა.შ.

**შემოქმედებითი კარნახი** - ტექსტის გარჩევა ხდება შემსწავლელთა ცოდნის დონის შესატყვისად და ტექსტი ორჯერ იკითხება. პირველი გაცნობითი კითხვაა, მეორედ ისინი წაკითხვის დროს წერენ.

ურთიერთკარნახი სრულდება წყვილებში. ვურიგებთ ქსერომასალებს ტექსტებით. შემსწავლელები კითხულობენ დარიგებულ ტექსტებს და უხსნიან შემსწავლელებს უცხო სიტყვებს.

საჭიროა სიტყვების მკაფიოდ გამოთქმა, სწორი პაუზების დაცვა.

შემდეგ ერთობლივად ამოწმებენ ნაწერს.

შესაძლოა მივცეთ დვალეზა: მოიძიონ და გახაზონ სინონიმები, ანტონიმები, ზედსართავი სახელები.

**„სტენოგრაფიული“ კარნახი** - პროფესორი უკითხავს ტექსტს თავის „ასისტენტს“. ასისტენტი ვერ ასწრებს მთელი ტექსტის ჩაწერას, მაგრამ ვერ ეუბნება პროფესორს. მხოლოდ საკვანძო სიტყვებს და ფრაზებს იწერს. შემდეგ ქმნის ტექსტს, რომელიც მაქსიმალურად ახლოს არის ორიგინალთან.

**კარნახი დეპეშა** - ლექტორი კარნახობს სიტყვებს. არსებითი და ზედსართავი სახელები წარმოდგენილია სახელობით ბრუნვაში. მსმენელები ადგენენ წინადადებას და სწორად იყენებენ ბრუნვის ნიშნებს, კავშირებს, თანდებულებს.

მაგ.: ბავშვი: ჩავიდა: სოფელში: ბებია: ხაჭაპური: გამოცხვა.

**შერჩევითი კარნახი** - ლექტორი უკითხავს ტექსტს.

მსმენელებს ევალებათ ამოიწერონ მხოლოდ განსაზღვრული ტიპის ინფორმაცია. ე.ი. მუშაობენ წინადადების გრამატიკულ აგებულებასა და მორფოლოგიაზე.

### დასკვნა

ამრიგად, კარნახში დაშვებული შეცდომები სასურველია მთელ ჯგუფთან ერთად განზოგადდეს და არა ინდივიდუალურად, თუმცა წერის მიმართულებიდან გამომდინარე, მაინც ინდივიდუალური ხასიათი ეძლევა.

თვითშეფასებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შემსწავლელეთათვის. მათ უყალიბდებათ შეცდომის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება. ეხმარება მათ იმის გაცნობიერებაში, რომ შეცდომის აღიარება და გასწორება წინსვლის აუცილებელი პირობაა. თვითშეფასებით ისინი გრძობენ მეტ ვალდებულებას და ცდილობენ იყვნენ მაქსიმალურად ობიექტურები.

თვითშეფასების ყველაზე გავრცელებული ხერხია სწორ პასუხებთან შემსწავლელების პასუხების შედარება. ამ შედარების გზით ისინი თავიდან აღმოაჩენენ საკუთარ შეცდომებს და შემდეგ აანალიზებენ რატომ დაუშვეს ეს შეცდომები, რისი ცოდნა დააკლდათ, რა ვერ გაითვალისწინეს, იქნებ კონცენტრაცია ვერ მოახერხეს საკითხთან დაკავშირებით ან ვერ აირჩიეს მართებული გზა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოჩიტაშვილი ქ., მეორე ენაზე წერის სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2021.
2. კილურაძე თ., ქუთათელაძე ე., ქართულის როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდიკა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. „ქართულის როგორც უცხო ენის სწავლების“ პროგრამა. თბილისი, 2013.
3. ჯაყელი თ., ხუციშვილი მ., წერის უნარ-ჩვევათა განვითარება. თბილისი, 2006.
4. Hyland F., The impact of teacher written feedback on individual writers. Journal of second language writing, 7(3): 255-86, 1998.

## რეზიუმე

ქართულის, როგორც მეორე ენის, ანუ სახელმწიფო ენის შემსწავლელი სტუდენტებისათვის ენის ბარიერი ქვეყნის სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულყოფილად ინტეგრირების ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი მიზეზია.

ნაშრომში საუბარია ჩართულობისათვის სასურველ კარნახის ტიპებზე (ფონემური, ტექსტობრივი, ორთოგრაფიული, ტრადიციული და სხვა). საუბარია დღესდღეობით გავრცელებულ შემოქმედებით და შერჩევით კარნახებზე, მათ მნიშვნელობასა და პრაქტიკაში გამოყენებაზე.

ნაშრომში გამოკვეთილია სწავლის მეთოდები, სიტყვათა აგებულება და გრამატიკული სირთულეები, ტექსტის გააზრების პრობლემები. გამოყენებულია მეთოდები პრაქტიკულ სავარჯიშოებში, კონკრეტული მაგალითები.

კარნახის დროს სწორად გამოყენებული ტექნიკა და სტრატეგია მნიშვნელოვანდ გაზრდის სტუდენტთა მოტივაციასა და წარმატებას.

**საკვანძო სიტყვები:** კონცეფცია, სტრატეგიები, ბარიერი, ცივილიზებული, ფონემური, ორთოგრაფიული, მოტივაცია.

**Manana Kajaia**  
**Georgian Technical University**  
**Associated Professor,**  
**Georgia, Tbilisi**

### **One aspect related to the teaching of Georgian as a second language, i.e. the state language, in the teaching process and strategies to solve them**

#### **Summary**

For students studying Georgian as a second language, that is, the state language, the language barrier is one of the main obstacles to fully integrating into the civil and political life of the country.

The paper discusses the types of dictation preferred for engagement (phonemic, textual, orthographic, traditional, and others). It concerns creative and selective dictations, their importance, and practical application.

Learning methods, word structure, grammatical difficulties, and text comprehension problems are highlighted in the paper. Methods are used in practical exercises and concrete examples.

Correctly used techniques and strategies during dictation will significantly increase student motivation and success.

**Key words:** concept, strategies, barrier, civilized, phonemic, orthographic, motivation

Лала Ахметова  
Доктор филологических наук, профессор,  
Азербайджан

### Формирование межкультурной компетенции студентов в процессе обучения иностранному языку

Понятие «компетентность» появилось в 60-70-е гг. в западной, а в конце 1980-х гг. и в отечественной литературе. В это время началось становление особого направления – компетентностного подхода к содержанию обучения учащихся. В методической литературе по-разному объясняется понятие «компетенция». Некоторые вкладывают в данное понятие знания, умения и навыки, способы и приемы, эффективное применение опыта, осведомленность в определенном круге вопросов, уровень профессионализма. Существует также понимание компетенции как наглядно демонстрируемых случаев (кейсов) успешно осуществляемой деятельности. Следует различать понятия компетентность и компетенция при толковании данного подхода. Компетенция – определенное социальное требование к образовательной подготовке студента для выполнения им продуктивной деятельности в определенной сфере. Компетентность – множество личностных качеств студента, обусловленных спецификой сферы его деятельности и его личным опытом [1]. Результативность деятельности как обучаемого, так и преподавателя оценивается с помощью различного ряда компетенций. В основу направления было положено основное значение нового термина, означающего «достижение результата», что является целью компетентностного подхода к содержанию обучения учащихся. Современный специалист должен владеть рядом ключевых компетенций. Это: □ культурные – уважительное и толерантное сосуществование с представителями иных лингвокультур;

□ политические и социальные – умение работать в команде, чувствовать ответственность во время принятия решений и их выполнения, не создавать конфликтных ситуаций, стараться их разрешать мирными путями;

□ коммуникационные – совершенное владение как родным, так и иностранным языком;

□ информационные – владение основами современных информационных технологий;

□ образовательные – способность к непрерывному самообразованию для профессионального и личностного роста .

Все эти компетенции входят в состав профессиональной компетентности специалиста, позволяя личности быть более мобильной на рынке труда и обладать достаточным уровнем социальной адаптации. Рассматривая сущностные характеристики компетенций как составных элементов профессиональной компетентности, важно обратить внимание на соотношение компетенции со знаниями, умениями и навыками. Если умения и навыки обеспечивают усвоение и применение знаний, то развитие компетенций составляет практический смысл этих знаний для обучающихся. Ведь компетентность и компетенции всегда проявляются в практической деятельности.

Во-вторых, Сицилия, повсеместно владеющая устной формой сицилийского языка, столкнулась с отсутствием школьных учебников и специальных дидактических пособий по этому предмету. Опубликованный в 2002 г. учебник А.Фортуну по сицилийской грамматике (Fortuna 2002) подходит для вузов, но сложен для школы, особенно для начальной. Как показывают наши полевые исследования, многие школы области за неимением лучшего берут на вооружение постоянно переиздаваемое в наши дни, но созданное еще в 1875 г. пособие по сицилийской грамматике, принадлежащее перу классика «сицилиановедения», видного фольклориста и этнографа Дж.Питре, (Pitrè 2001) – высококачественную работу, но оперирующую во многом устаревшими лингвистическими данными. В настоящее время единственным взятым на вооружение учебным пособием чаще всего является изданный за пределами Сицилии (в США) и предназначенный для представителей сицилийской диаспоры в эмиграции учебник американского лингвиста, сицилийца по происхождению Г. Чиполлы (Cipolla 2018). При всех достоинствах этот текст изобилует неизбежными архаизмами, присущими сохраняемым в «изгнании» языкам, а также американизмами, очень отличающимися бытующий в эмиграции сицилийский от его «живого» варианта, распространенного в регионе. Только в 2023 г. в недрах *Центра сицилийских филологических и лингвистических исследований* началась работа по подготовке первого локального учебника по школьному курсу сицилийского языка (Baïamonte 2022).

В-третьих, проблемой остается и отсутствие специализированных преподавательских кадров; на настоящий момент сицилийский преподают, как правило, хорошо владеющие сицилийским языком в повседневном узусе педагоги, ведущие курс по итальянскому языку, не имеющие возможности руководствоваться ни методиками (несуществующими), ни отсутствующими учебными пособиями.

В-пятых, диалектальные различия и отсутствие единой языковой нормы ставит преподавателей в различных точках Сицилии перед проблемой определения предмета преподавания. На практике в школах различных точек Сицилии преподается тот «вариант» языка, который существует в локальном узусе. Кроме того, как отмечают опрошенные нами педагоги (ПМА), проблемы возникают и с обучением письменным формам языка ввиду различий в написании слов в отдельных диалектах. Такая ситуация актуализирует начавшуюся разработку единых унифицированных норм преподавания языка (Baïamonte. 30.11.2023).

Объем настоящей работы не позволяет нам остановиться на других аспектах преподавания сицилийского языка в школах Сицилии, однако отметим, что, невзирая на сложности, эта дидактическая практика успешно развивается и уже приносит свои плоды.

Как отмечают представители *Центра сицилийских филологических и лингвистических исследований*, осуществляющих проверки уровня знаний детьми языка, по итогам прошедшего с момента начала преподавания сицилийского языка в школах периода было отмечено заметное повышение уровня его владения, а также рост *языковой лояльности* среди подрастающего поколения; кроме этого, в этой среде также наметился и очевидный рост числа пользователей языка, весьма повысился и уровень знания родной культуры, оформилось и приобрело позитивную окрашенность чувство локальной идентичности (Pisciotta 19.12.2023). Все эти изменения, несомненно, способствуют сохранению не только языка, но и в целом культурной «самости» сицилийцев как особой этнокультурной общности.

#### **Источники:**

ПМА – Полевые материалы автора. Опросы в Сицилии 2019–2024 гг. Опросная группа – 427 респондентов.

Camilleri A. Biografia del figlio cambiato, Milano, Rizzoli. 2000.

Il Censimento permanente della popolazione in Sicilia 31.12.2022//Censimenti permanenti. ISTAT. 13.05.2024. URL: <https://www.istat.it/wp-content/uploads/2024/05/Focus-CENSIMENTO-2022-SICILIA.pdf>.

Литература:

Вайнрайх У. Языковые контакты. Киев: КГУ Вища школа. 1979.

Baiamonte S. M., Per un modello di pianificazione linguistica per il siciliano (tesi di laurea magistrale). Università di Bologna: Bologna University Press. 2022.

Baiamonte S. M. Cosa significa “siciliano standard”?//CademiaSiciliana. 30.11.2023. URL: <https://cademiasiciliana.org/blog/cosa-significa-siciliano-standard/>

Balduzzi G. Sondaggi politici Demos, indipendenza regioni: quanti gli italiani favorevoli//Termometro Politico. 10.11.2014. URL: [https://www.termometropolitico.it/1146296\\_sondaggi-politici-indipendenza-regioni-italiani.html/](https://www.termometropolitico.it/1146296_sondaggi-politici-indipendenza-regioni-italiani.html/).

Bianca G. Scuola, dal prossimo anno un'ora la settimana sarà dedicata alla lingua siciliana//La Sicilia. 18.05.2018. URL: <https://www.lasicilia.it/news/cronaca/161630/scuola-dal-prossimo-anno-un-ora-la-settimana-sara-dedicata-alla-lingua-siciliana.html/>.

Bonner J. K., Cipolla G. Introduction to Sicilian grammar. Brooklyn (NY): Legas. 2001.

Brancato R. Dall'isola all'Ue, ecco il Manifesto di Bruxelles per la difesa della lingua siciliana//IISicilia.it. 11.12.2023. URL: <https://ilsicilia.it/dallisola-allue-ecco-il-manifesto-di-bruxelles-per-la-difesa-della-lingua-siciliana/>.

Buratti G. Nazioni proibite e glottofagia//Etnie. N 8. 1984. P. 2–6.

Cimino M. Storia del separatismo siciliano. 1943-1947. Roma: Edizioni dell'Asino. 2018.

Cipolla G. Mparamu lu sicilianu. Un corso interattivo per apprendere il siciliano. Brooklyn (NY): Legas. 2018.

Corso di lingua siciliana // UniPalermo. 2016, 2020. URL - <https://www.unipa.it/cerca.html?query=%22dialetto%22&searchMacro=argomenti&ruolotype=Dipartimenti&ruolopagequery=dipartimento&afferezatyp=&afferezapagequery=&afferezafacetselected=&afferezafacetquery=&searchaction=search/>.

Delfino G. G. Cosa intende l'UNESCO per “lingua siciliana” e “lingua napoletana”?// Patrimoni Linguistici. S.d. URL: <https://patrimonilinguistici.it/cosa-intende-lunesco-lingua-siciliana-lingua-napoletana/>.

Di Paola G. Ideologia sicilianista, sicilianismo. Sicvilitudine di Salvatore Vaiana// Siciliafan. 07.09.2019. URL - <https://www.siciliafan.it/ideologia-sicilianista-sicilianismo-sicvilitudine-salvatore-vaiana/>.

Fishman J. A., Fishman A. Language & Ethnicity in Minority Sociolinguistic Perspective. Clevedon: Multilingual Matters. 1989.

Fortuna A. Grammatica siciliana. Principali regole grammaticali, fonetiche e grafiche comparate tra i vari dialetti siciliani. Caltanissetta: TEV Registri Vaccaro. 2002.

Guglielmino S. Microcosmo Sicilia. Soveria Mannelli: Rubbettino. 2021.

Hull G. Polyglot Italy: Languages, Dialects, Peoples. Ottawa: Legas. 2001.

Identità siciliana, storia e lingua nella complessa sfida verso il futuro. Atti del Convegno (Trapani, 14 maggio 2023). Catania: Associazione Jò, 2023.

Il Siciliano sarà materia scolastica aggiuntiva nelle scuole dell'Isola//Orizzontescuola.it. 27.08.2018. URL – <https://www.orizzontescuola.it/il-siciliano-sara-materia-scolastica-aggiuntiva-nelle-scuole-dellisola/>.

La lingua siciliana sbarca nelle scuole: progetto della Regione e dell'Ue//Giornale di Sicilia. 14 Febbraio 2024. URL: <https://palermo.gds.it/articoli/cultura/2024/02/14/la-lingua-siciliana-sbarca-nelle-scuole-progetto-della-regione-e-dellue-8c1ea88a-f1ee-45a6-82c7-bf41e2c32645/>.

Lambert J. A multitude of ‘lishes’: The nomenclature of hybridity// English World-wide. 2018. 39(1): 1–33.

Legge Regionale № 54 «Sull'attività del Centro di studi filologici e linguistici siciliani» del 21.08.1984 // Gazzetta Ufficiale Regione Siciliana. 25.08.1984.

Legge Regionale № 9 «Norme sulla promozione, valorizzazione e insegnamento della storia, della letteratura e del patrimonio linguistico siciliano nelle scuole» del 31.05.2011// Gazzetta Ufficiale Regione Siciliana. 3.06.2011. № 24.

Legge 482/99//Gazzetta Ufficiale. N 297. 20.12.1999.



Lingue e cultura siciliane nelle scuole, legge che prende forma//BlogSicilia. 07.07.2021. URL: <https://www.blogsicilia.it/palermo/lingue-cultura-siciliane-scuole-legge-attuazione-regione/615095/>.

Luna Mascolino E. Is Sicilian a dialect or a language and why isn't there an answer for this question? //SicilianPost. 18.01.2020. URL: <https://www.sicilianpost.it/en/is-sicilian-a-dialect-or-a-language-and-why-isnt-there-an-answer-for-this-question/>.

Nicolai R. L'Italia regionalista. Roma: Editori Riuniti. 1990.

Paternostro G., Sottile R. Il siciliano è una lingua o un dialetto? Riflessioni utili su una domanda inutile//Dialoghi Mediterranei. 1.07.2020. N.44. URL -<http://www.istitutoeuroarabo.it/DM/il-siciliano-e-una-lingua-o-un-dialetto-riflessioni-utili-su-una-domanda-inutile/>.

Pérez W.V., Fishman J. A, Chávez R. Developing Minority Language Resources: The Case of Spanish in California. Clevedon: Multilingual Matters. 2006.

Pisciotta E. Siciliani poliglotti: il dialetto di ieri, la lingua di oggi e l'evoluzione di domani//IlSicilia.it. 19.12.2023. URL: <https://ilsicilia.it/siciliani-poliglotti-il-dialetto-di-ieri-la-lingua-di-oggi-e-levoluzione-di-domani/>.

Pitrè G. Grammatica Siciliana — un saggio completo del dialetto e delle parlate siciliane» (1875). San Giovanni la Punta (Catania): Brancato 2001.

Ruffino G. Premessa//In: Ruffino G. (a cura di). Lingua e storia in Sicilia per l'attuazione. Palermo: Centro di studi filologici e linguistici siciliani. 2012. P. 15–16.

Ruffino G. Il Centro di studi filologici e linguistici siciliani // Ruffino G. (a cura di). Lingue e culture in Sicilia. V. II. Palermo: Centro di studi filologici e linguistici siciliani. 2013. P. 1411–1419.

Salvi S. Le nazioni proibite. Firenze: Vallecchi. 1973.

Schembri A. L'ultima chiamata per il riconoscimento della lingua siciliana//L'IdentitàSicilia. 15.02.2024. URL: <https://sicilia.lidentita.it/lultima-chiamata-per-il-riconoscimento-della-lingua-siciliana/>.

Stefancic M. 2018. Italia: Sulle lingue minoritarie passi ancora da fare//Affarinternazionali. 24.08.2018. URL: <https://www.affarinternazionali.it/2018/08/italia-tutela-lingue-minoritarie>.

Studiare l'identità siciliana nelle scuole dell'Isola. Per la nuova materia già formati 300 docenti//MeridioNews. 07.07.2021. URL: <https://meridionews.it/studiare-lidentita-siciliana-nelle-scuole-dellisola-per-la-nuova-materia-gia-formati-300-docenti/>.

Trovato S.C., Valenti I. Lingua e storia // Lingue e culture in Sicilia (a cura di G.Ruffino). V.I. Palermo: Centro di Studi Filologici e Linguistici Siciliani. 2013. P. 1–89.

ოქსანა ფაის-ლეუტსკაია  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის  
ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის  
ვეროპული კვლევების ცენტრის  
უფროსი მკვლევარი

**სიცილიური ენის სწავლება სკოლებში სიცილიის რეგიონში (იტალია):**

**პრობლემის სპეციფიკა, საგანი და მეთოდები**

**რეზიუმე**

ამ კვლევაში ავტორი პირველად სამეცნიერო დისკურსში იკვლევს იტალიის ავტონომიური რეგიონის სიცილიის სკოლებში მშობლიური ენის, კერძოდ, სიცილიური იდიომის სწავლების პრობლემას და პრაქტიკას. ამ საკითხის გამუქება გულისხმობს იტალიაში

არსებული ტრადიციებისა და პრაქტიკის ანალიზს ეროვნული ლინგვისტური საკითხების გადაწყვეტის, სიცილიური იდიომის ოფიციალური სტატუსის, ეთნიკურ და ენობრივ უმცირესობებთან დაკავშირებით სამართლებრივ ვითარებას ( სიცილიელთა ოფიციალური არაღიარება ეთნიკურ უმცირესობად, და სიცილიური იდიომი, როგორც ენა, მისი სწავლების აკრძალვა და ა. შ.) სიცილიის არსებობის თავისებურებებს ერთიანი იტალიის შემადგენლობაში, ავტონომიებისა და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობებს, ავტონომისტურ განწყობებს სიცილიის რეგიონში და ა.შ. ავტორი, ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს, მათ შორის საველე მასალებს, დეტალურად განიხილავს სიცილიაში მშობლიური ენის სწავლების სურათს, რომელიც მრავალი წლის ბრძოლის შედეგი გახდა ამ რეგიონის მოსახლეობის ენობრივი უფლებებისთვის და განუყოფლად არის დაკავშირებული მისი იდენტობის ჩამოყალიბებასთან და განმტკიცებასთან.

**საკვანძო სიტყვები:** სიცილია, სიცილიური იდიომა, ეთნიკური უმცირესობა, ენობრივი უფლებები, იდენტობა.

**Oksana Fais- Leutskaia**  
**Candidate of Historical Sciences**  
**Senior Researcher**  
**Center for European Studies**  
**Institute of Ethnology and Anthropology**  
**Russian Academy of Sciences**

### **Teaching the Sicilian language in schools in the Sicily region (Italy): the specifics of the problem, subject and methods**

#### **Summary**

In this study, the author, for the first time in scientific discourse, examines the problem and practice of teaching the native language, in particular, the Sicilian idiom, in schools in Sicily – the autonomous region of Italy. The coverage of this issue involves an analysis of the existing traditions and practices in Italy for solving national linguistic issues, the official status of the Sicilian idiom, the legal situation concerning ethnic and linguistic minorities (official non-recognition of Sicilians as an ethnic minority, and the Sicilian idiom as a language, a ban on its teaching, etc.), the peculiarities of the existence of Sicily as part of a united Italy, relationships autonomies and central government, autonomist sentiments in the region of Sicily, etc. The author, relying on various sources, including field materials, examines in detail the picture of teaching the native language in Sicily, which became the result of many years of struggle of the population of this region for their linguistic rights, inextricably linked with the formation and strengthening of its identity.

**Key words:** Sicily, Sicilian idiom, ethnic minority, language rights, identity

## მომავალი თაობის აღზრდის საკითხები ლევან გოთუას შემოქმედებაში

ლევან გოთუას არაორდინარულმა ცხოვრებამ თუ განაპირობა, რომ სამშობლოსთვის მზრუნველ-მოამაგედ ჩამოყალიბებულიყო, „პურადი და გულადი“, თავისუფლებისმოყვარე ერის ბედის შემქმნელთა გვერდით ეღვაწა და პუბლიცისტური ხედვით შეექმნა საზოგადოებრივი აზრი, რაც მისი სამშობლოს უკეთეს მომავალს დასჭირდებოდა. კეთილი მომავლის სათავეებთან კი ახალგაზრდობას მოიაზრებდა, რომელთანაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა და მათზე დიდ იმედს ამყარებდა. სამშობლოს სიყვარულს შთააგონებდა და ქართული ენის სიყვარულს უღვივებდა. ბევრს იღვწოდა მათი სულიერი გაჯანსაღებისთვის, რომ იმ ფასეულობებზე გაზრდილიყვნენ, რასაც ეფუძნება სამშობლო, ერი და ოჯახი.

ამ მხრივ საყურადღებოა სტატია „ერისშვილობის პასუხისმგებლობა“. მწერალი წერდა, რომ ვინაიდან ახალგაზრდობა ერის მომავალია, ყველაფერი, რაც მას ეხება, მთელ ერს, მთელ ჩვენს საზოგადოებას ეხებაო [2,6].

„ერისშვილობის პასუხისმგებლობაც“ ხომ შემთხვევით არ უწოდა სტატიას. ერისშვილობაა ის, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს თითოეულ ახალგაზრდას და, უწინარესად, ოჯახიდან იწყება, რომლის გრძნობაც ერისა და სამშობლოს გრძნობისგან განუყოფელია.

„სამშობლოს, ერისა და ოჯახის გრძნობა არსებითად განუყრელია და რაც უფრო მცირერიცხოვანია ერი, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა ოჯახის სიმტკიცეს, ჯანმრთელობასა და სიმრავლეს“ [4,15].

მწერალი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობის სულიერი სიჯანსაღისა და ზნეობის საკითხებს. ამ მხრივ მის პუბლიცისტულ თვალსაჩინოდ არის წარმოსახული ის უმთავრესი პოსტულატები, რომლებიც აუცილებელია ერის მომავლისთვის. ოჯახს ლევან გოთუა ადამიანობის პირველ უნივერსიტეტს უწოდებდა, ოჯახის დანგრევას კი ეროვნული ციხის დანგრევას ადარებდა.

„ოჯახი საერთოდ არის ადამიანობის პირველი უნივერსიტეტი... და სადაც ეს არ არის, იქ ძირითადია დარღვეული. ოჯახის დანგრევა კი, კიდევ ერთ ეროვნულ ციხის დანგრევას უდრის. ეს არა მარტო ახალგაზრდობამ, მისმა დედ-მამამაც უნდა იცოდეს“ [2, 6].

ლევან გოთუა ახალგაზრდობაზე, უწინარესად, ქალებზე ამყარებს იმედს. ქალებს ეკუთვნით პირველი მამულიშვილური სიტყვა. ახალგაზრდებისადმი მისი დიდი სათქმელი – ოჯახის შექმნა და მრავალშვილიანობაა, მრავალშვილიან, ბედნიერ ოჯახს მტკიცე ციხეს ადარებს და ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმედ მიიჩნევს [2, 3].

მეორე უმთავრესი მოთხოვნა, რასაც მწერალი ახალგაზრდობას უყენებს, სწავლაა. მისთვის წარმოუდგენელია ჩამორჩენილი ახალგაზრდა – არა მხოლოდ მწიგნობრული, არამედ ზნეობრივი და კულტურული ჩამორჩენის თვალსაზრისით.

მწერლის აზრით, ახალგაზრდამ, „სანამ გულიც ერჩის და ძალაც მოსდევს“, შემეცნებითი და შინაარსიანი ცხოვრება უნდა გაატაროს. ისწავლოს, დაეუფლოს ხელოვნებას, სპორტს, იმოგზაუროს, გაეცნოს ბუნებისა და კულტურის ძეგლებს, ნიჭი განავითაროს... „ერის სულისკვეთების, ჭირისა და ლხინის გაგება და... რაღა თქმა უნდა – შრომის მტკიცე ჩვევების მოპოვება, – აი, ეს უნდა ახასიათებდეს მას და არა უმიზნობა, თავუხლარობა, დარდიმანდული ზარმაცობა“ [2, 7].

აზარტული თამაშობანი, ნარკომანია, თავაშვებულობა, უზრდელობა და თავხედობა ახალგაზრდობისთვის დიდი ზიანის მომტანია. თუ ისინი ახალგაზრდულ წლებს

გონივრულად არ გამოიყენებენ, ეროვნულ ენერგიას გაფლანგავენ: „ახალგაზრდობა ბოლოსდაბოლოს დროული უპირატესობაა და მისი არამად გაშვება ეროვნული ენერგიის საზარელ გაფლანგვას უდრის“ [2, 7].

საქართველო ნიჭისა და სილამაზის აღიარებული ქვეყანაა. ეს ორი თვისება მან მნებედობის ჟამს შეინარჩუნა. თუ პოლიტიკური წინდახედულება, თავისუფლება, ერთურთის გატანა და ერთიანობის შეგნება ზოგჯერ აკლდა, „...მუდამ ჰქონდა – ეროვნული სიამაყე, თავისუფლებისმოყვარეობა... და ისევ სილამაზე და ნიჭი... ჰყავდა განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდობა“ [2, 8].

მაგრამ არც ნიჭიერება კმარა მხოლოდ, თუ ზნეობა და მორალი არ ერთვის მას. სამწუხაროდ, ახალგაზრდობის ნაწილს „მგზნებარე პატრიოტიზმი, მუყაითი მშრომელობა, ზნეობრივი სისპეტაკე“ აკლია. სამაგიეროდ, სიმდიდრის მოხვეჭის ჟინი მძლავრობს, რასაც სავალალო შედეგი მოაქვს: „ადარც ძველი გულწრფელობა და შემართება, ადარც პირიანობა და ზრდილი რაინდობა, მოძლიერდა ყოვლად შეუწყნარებელი მლიქვნელობა, თანაც უნდობლობა ურთიერთისა და მშობლების მიმართაც. გამეფდა რაღაც არაკეთილშობილური ჟინი გამდიდრებისა, ყოველგვარი გზით მატერიალური დოვლათის შეძენისა. ეს მტაცებლური განდიდების სურვილი ფრიად ცუდი ფესვების მქონეა და უფრო ცუდი ნაყოფისა“ [2, 9].

ლევან გოთუამ ახალგაზრდობის სულიერი სიჯანსაღისა და ზნეობის საკითხებს რამდენიმე სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო, მათ შორის საახალწლო წერილებში – „ახალი წელი და ჩვენი საუკუნე“, „ახალწლიური კრიალოსანი“, „ყოფდა გორგასლის ხობობი“.

„ახალმა წელმა ბევრი ფიქრი და ოცნება მომიტანა. რა არ წარმომიდგა თვალწინ ჩემი სამშობლოს საკეთილდღეოდ, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა, რომელსაც სჭირდება დაცვა და ქომაგობა, თანაგრძნობა. ახალგაზრდებმა მომავალში უნდა აღადგინონ ჩვენი სამშობლოს პირვანდელი სახე ბედნიერებისა, ამისათვის კი საჭიროა სწავლა და განსწავლულობა თანამედროვე მეცნიერების უმაღლეს დონეზე აყვანით“ [4, 300], – წერდა იგი 1949 წელს ვორკუტიდან გამოგზავნილ წერილში.

„ჩვენი სამშობლოს პირვანდელი სახე ბედნიერებისა“, – ამ სიტყვებში მწერლის ჩუმი ნატვრაა ჩადებული, თავისუფლებადაკარგული ერის შვილისა. თუ გრიგოლ რობაქიძემ გაქცევაში ნახა გამოსავალი, სამჯერ გადასახლებულმა და კატორღამოვლილმა ლევან გოთუამ, სამშობლოში დაბრუნებულმა, შინაგანი რწმენა და ენერგია მომავალი თაობის სულიერ სიჯანსაღეზე ზრუნვას შეაღია.

მწერლისთვის ახალგაზრდობის სულიერი სიჯანსაღე და პატიოსნება ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ბევრად მაღლა იდგა. ამ „ავთვისებიანი და ქრონიკული სულიერი სიმსივნის“ დასამღევედ ხშირად თაობებია საჭიროო, – წერდა იგი. „ჩვენ შოთა რუსთაველის, თამარის, დავით აღმაშენებლის, გიორგი მთაწმინდელის, საბა-სულხანის, ერეკლესა და სხვა ზნემადალ სახელოვანთა ერი ვართ და ვერ მოვიტმენტ ამას!“ [1,3].

1886 წელს დაწერა დიდმა ილიამ გულშემზარავი სიტყვები: ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გადასდგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთო.

გამოსავალს „ზნემადალ სახელოვანთა“ ცხოვრების მაგალითში ხედავდა. ეს ფესვები აცოცხლებდა და ასაზრდოებდა უცხოეთში გრიგოლ რობაქიძეს, ეს ფესვებია მთავარი ორიენტირი ვორკუტის ჯოჯოხეთიდან დაბრუნებული ლევან გოთუასთვის.

მომავალი თაობის აღზრდაში, უწინარესად, ოჯახს და მშობლებს ეკისრებათ მორალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, და არა სკოლას და უმაღლეს სასწავლებელს... ანგარების გზით შეძენილი სიმდიდრე მომავალ თობას, მის სულისკვეთებას ასვამს დაღს, პიროვნების სულიერ დეგრადაციას უწყობს ხელს.

ლევან გოთუა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიმდიდრესა და შეგნებას შორის თანაფარდობას. თუ ეს თანაფარდობა არ იქნება დაცული, „გააზნაურებულ მდაბიოზე უარესი ვარიანტი გამოდის“. ასეთ ოჯახებში მორალურად მანკიერი ახალგაზრდობა იზრდებოდა.

„უნდა გვახსოვდეს, ჩვენი ოჯახის ამოცანა არა ფუფუნება, არა ქონებრივი ამპარტავნობა, არა ეგოისტური შეზღუდულობა, არამედ პატიოსანი, კულტურული შრომითა და ყოფით ამადლებული ოჯახის მორალურ-მატერიალური დოვლათის დაცვა-განვითარება“ [2, 10].

მომავალი სწორედ ასეთ ოჯახებს აქვთ. მწერლის დასკვნით, ოჯახი მაშინაა ბედნიერი, როცა ერთ ზეობს: „...ერისა და ოჯახის ბედნიერება თითქმის თანახვედრია, ხოლო თუ შენი ოჯახი ბედნიერია და ერთ კი არა, სადღაც არ ყოფილხარ უანგარო“ [2, 10].

საყურადღებოა ლევან გოთუას უცნობი ბარათი, რომელიც 1954 წლის 24 ოქტომბერს, ვორკუტაში დაწერა. მწერალი ვორკუტულ ქორწილს გამოეხმაურა. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლევან გოთუა ოჯახს, მისი ამ უცნობი ბარათიდანაც ჩანს, რომლითაც ვორკუტული ქორწინება მიულოცა ვალიკო ხუჭუასა და თამარ წერეთელს.

მან, პატიმარი მეგობრების დავალებით, მისალოცი წერილი დაწერა: „პატივცემულო თამარ და ვალიკო, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ჩვენ – ყველანი ვერ ვესწრებით თქვენს საოცარ ქორწილს. მაგრამ გულით თქვენთან ვართ. თქვენთან ვხარობთ“... – წერს ლევან გოთუა [12].

ბარათში მწერალი ხაზს უსვამს სამშობლოს გრძნობას, რომელიც ყველა ადამიანს თან უნდა სდევდეს. ამ ქორწილს მწერალი ეროვნული თვალსაზრისით დიდად სანუგეშო მოვლენად მიიჩნევს, რადგან მხოლოდ ასეთი „საბუდრებიდან გადმოდიან სამშობლოს მოამაგენი და კეთილ-მოღვაწენი“ [12].

ქორწილს ლევან გოთუა ბოროტებასა და ვარამზე გამარჯვების ქორწილად მიიჩნევს, რომელიც ყოველი „კეთილ-ქართველის“ ზეიმი: „თქვენი ქორწილი მარტოდენ თქვენი პირადი, ურთიერთტრფიალების დაგვირგვინება როდია, არამედ დიდი სიყვარულისა და ადამიანობის გამარჯვება ბოროტებაზე, დროზე... ჯაჭვზე... გესლზე და ვარამზე! თქვენი ქორწილი მარტოდენ თქვენი ქორწილი როდია, არამედ ყოველ კეთილქართველის ზეიმი“ [13].

ამ ქორწინებაში „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველის“ გარდა მწერალი ყოველისშემძლე სიყვარულის ძალას ხედავს, რომელსაც დროის სუსხი ვერას აკლებს და სუსხგამოვლილი უფრო ძლიერია [11, 91].

აქვე ლევან გოთუა სიყვარულის სიბრძნის ფორმულას აყალიბებს: „...მაგრამ აქ რაღაც უფრო მეტიც არის... და იქნებ სწორედ აქ არის – ჯერაც გამოურკვევი – სიბრძნე სიყვარულისა? რომელმაც იცის მოლოდინიც, თავდადებაც, ბრძოლის მეგობრობაც და ქართული ნაწინაც“ [13].

ეს ბარათი დასტურია იმისა, რომ შორეულ გადასახლებაშიც კი ვერანაირი სუსხი და ბოროტება ვერ იმარჯვებს სიყვარულის ამამადლებელ გრძნობაზე. სწორედ ასეთ ოჯახებში იზრდებიან სამშობლოს სიყვარულით, – სამშობლოზე მოამაგე ქართველები. მწერალი კიდევ ერთხელ გვახსენებს „ქართულ ნაწინაზე“ შექმნილი ოჯახის სიძლიერესა და სიმტკიცეს.

მწერალი სწორედ სამშობლოს სიყვარულს ასახელებს პირველად, რაც შორეულ გადასახლებაში აძლებინებდა. უსამართლობასთან, სიმახინჯესთან და ტანჯვასთან პირისპირ დარჩენისას, უმძიმესი წუთების დროს, თვითმკვლელობის სურვილიც კი გასჩენია, მაგრამ გადაულახავს ეს „საშინელი ზღურბლი“ – სამშობლოს სიყვარულით, დაუღალავი შრომით და გულში მალულად ჩაქსოვილი იმედის ნაპერწკალით [3,96]. ამით მომავალ თაობას „ჭირსა შიგან გამაგრების“ გასაოცარ მაგალითს აძლევდა.

ლევან გოთუასთვის უმთავრესია საერთო საქმისთვის ზრუნვა, რაც ახალგაზრდებისთვის უპირველეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ როცა შრომას ეკარგება „მადლი და ღირსება“, თვითდინებას მიმყოფნი ჩნდებიან. თვითდინება კი ჭაობია. ამიტომ ახალგაზრდობის ნაწილმა დაკარგა „კდემამოსილება, თავმდაბლობა, გულფაქიზობა“, ამას მოჰყვა საზოგადოებრივი, საერთო საქმისადმი გულგრილობა და საკუთარ საქმედ მიჩნევის სურვილის გაქრობა. „მე აღარას ვამბობ იმ მცირერიცხოვანი ახალგაზრდების შესახებ, რომელთაც ჯერ საკუთარი მუცლისათვის ვერ მოუვლიათ, მუქთახორობენ, ლოთობენ, ნარკომანობენ, თავის თავსაც არცხვენენ, თავის ოჯახებსაც, თავის ერსაც. მათთვის

სამშობლო ფუჭი სიტყვაა, არავითარი ცა ქუდად არ მიაჩნიათ და არავითარი მიწა – ქალამნად“ [2, 11].

სწორედ ასეთი ცხოვრება შობს „დანის რაინდებს“, ვინც სამომავლოდ სხვის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს. „დღევანდელი დანის რაინდი ხვალინდელი დიდი ბოროტმოქმედი, ქონების დამტაცებელი, კაცთმომჟლე“ (8, 7).

ეს არა მხოლოდ სოციალური სენია, ეროვნული სირცხვილი და ოჯახური უბედურებაა.

მწერალი დიდი გულისტკივილით გამოეხმაურა ცნობილი მეცნიერის - ალექსანდრე გამყრელიძის მკვლევობას, რომელიც მხოლოდ იმის გამო მოკლეს, რომ „მან წესიერებისკენ მოუწოდა თავხედ ახალგაზრდებს“ [9, 1].

ხელნაწერთა ინსტიტუტში წარმოთქმულ სიტყვაში ლევან გოთუა მკვლელს ბერბიჭაშვილის შავი შთამომავლობის წარმომადგენელს უწოდებს. მისი აზრით, ზნეობრივი თვალსაზრისით ორი შტოა საქართველოში – ილიას შთამომავალნი ნათელ შტოდ მიაჩნია, ხოლო ბერბიჭაშვილისა – შავ შტოდ. მწერალი კითხულობს - აბა, ვის შთამომავლად უნდა ჩავთვალოთ ბრწყინვალე მეცნიერისა და მწერლის გამხეცელებული მკვლეელი?

„მთელი უბედურება ისაა, რომ ეს „ურჯუკი ახალგაზრდობა“, ერის ნამირალები არც წიგნებს კითხულობენ, არც საუბრებს ისმენენ. მათზე ჩვენი ზემოქმედება მიუწვდომელია. საჭიროა უფრო მკაცრი ზომები, მთელი ერის, სახელმწიფოს, ყველა თაობის ჩარევა“ [ 9,4].

ლევან გოთუა დიდ იმედს ამყარებს მოწინავე ახალგაზრდებზე: „დღეს თუ ხვალ ისინი ჩაუდგებიან სათავეში ერს და გასწევენ თავის თაობის ჭაპანს“ [2, 11].

მხოლოდ კეთილად მოპოვებული საქმე რჩება და უკვდავებას ეზიარება: „...ჩვენი წილი შრომისა, შემოქმედებისა, სახელოვანი ოჯახის შექმნისა თუ უანგარო საზოგადო მოღვაწეობისა, ის წარუვალს უკვდავი ნაშთია, რაც ჩვენად რჩება და უერთდება ჩვენს სამშობლოს, მომავალს, მაგრამ ამას კეთილად მოპოვება უნდა“ [9,12].

„არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბუნებით კეთილ ქართველ ერში ყოველთვის იბადება მაღალი ზნეობრივი მორალი, პასუხისმგებლობის გრძნობა და სიბრძნისა და სიკეთის თვალი“. [4, 445].

იქ, სადაც არ არის მაღალი ზნეობა, ყოველგვარი კეთილი იდეაც ფარსია. „ღმერთმა ნუ ქნას უზნეოთა უკვდავება და მე ვშიშობ, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი ფრიად დაშორდა ამ ნათელ გზას“ [9, 12].

მთავარია ტრადიციებისა და სიახლის შეჯერება – „ზნეობას ორი რამ უნდა ათანაბრებდეს - ძველი ტრადიცია და ახალი შეგნებულობა“ [1,3].

უღირსებს მკაცრი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს: „გვახსოვდეს, რომ ზნეობრივმა ბზარმა ჯაჭვური რეაქცია იცის“ [1,3].

მწერალი ახალგაზრდობას მოუწოდებდა ზრდილობისკენ, რომელსაც „ახალგაზრდულ წრეებში, პირდაპირ უნდა ვთქვა, შავი დღე დაადგა. სადღა არის ღირსეული თავის დაჭერა, თავაზი, მოხუცისთვის ადგილის დათმობა, ქალისა და ბავშვის პატივი, კეთილი ქცევა, საღამი, გულითადობა. ზრდილობას ოჯახში ეყრება საფუძველი“ [2, 14].

ლევან გოთუა, ძველი და ახალი თაობის შეკავშირების სურვილით გამოდის, ისტორიის ძლიერებას თაობათა უწყვეტი ჯაჭვის მჭიდროდ დაკავშირებაში ხედავს: „უნდა მოვუსმინოთ, ვენდოთ ახალ თაობას“, რადგან უმოქმედობა დამღუპველია ახალგაზრდობისთვის. ამავდროულად, მას უგნურებად მიაჩნდა, მომბეზურებელი ჭკუის დარიგება, ხელაღებით მაგება ან დაუმსახურებელი ქება.

თუ უფროს თაობას „ამის საფანელი აღარ გააჩნია, ნურც უკვირს შვილთა უნდობლობა და „ხელიდან წასვლა“. მაშინ, – დასძენს ლევან გოთუა, – ახალგაზრდობამ თავად უნდა გამონახოს სამაგალითო ზნეობის საფუძველები... ჩვენი ერის მომავალი ამას მოითხოვს [2, 14].

„ახალგაზრდა კომუნისტის“ ჟურნალისტთან ინტერვიუში იგი ამბობს, რომ ქართველები სადმე, ისტორიის წიაღში, ჩარჩებოდნენ, გმირული ზნეობა რომ არ ჰქონოდათ. სწორედ ზნეობა უნდა იყოს თაობის მებაირახტრე.

მწერალი დოდო ხიმშიაშვილი იგონებდა, როგორ დაჰყავდა ახალგაზრდები ლევან გოთუას ისტორიული ძეგლების მოსანახულებლად: ნარიყალაზე, მცხეთაში, ახალგორში, ქუთაისში, დმანისში.... თუმცა, 40-იან წლებში, როდესაც ლევან გოთუა მეორე გადასახლებიდან დაბრუნდა, გამუდმებით უთვალთვალეზდნენ, ახალგაზრდებთან სიახლოვეს და ისტორიულ ადგილებში გასვლებს უკრძალავდნენ და დაპატიმრებით ემუქრებოდნენ. იგი მაინც არ უშინდებოდა სიმძნელებს და წუთს არ უშვებდა ხელიდან, რომ ახალგაზრდებისთვის ისტორიული ძეგლები, წარსული და წარსულის გმირები შეეყვარებინა.

„თაობა ყოველთვის უნდა იყოს თავის სიმაღლეზე და, ჩემი ღრმა რწმენით, ყოველმა თაობამ თვითვე უნდა შვას და აუშვას ამირანი“ [6,3].

ლევან გოთუა, მწიგნობრობასთან და განათლებასთან ერთად, ახალგაზრდა თაობის საფუძვლიანი ესთეტიკურ-ზნეობრივი აღზრდა-განათლების საჭიროებას ხედავდა, რასაც სწორედ ოჯახში უნდა ჩაყრებოდა საფუძველი. მისი ხედვაც იაკობ გოგებაშვილისეულ ორ მთავარ პრინციპს: ეროვნულობას და ზნეობრიობას ეფუძნებოდა. რაღა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველასეულ სიყვარულთან ერთად:

„სული, მხოლოდ სული, მოქმედობს სულზე, მხოლოდ გული იცნობს გულსა. სიყვარულით და ჩაგონებით შეიძლება ასწავლოს შვილს მშობელმა სიყვარული, გულკეთილობა და გონიერება“ [10, 19].

ლევან გოთუას სჯეროდა, რომ მხოლოდ სამშობლოს სიყვარულზე დაფუძნებული „სიყვარული, გულკეთილობა და გონიერება“ გამოიღებდა შედეგს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოთუა ლევან, „ყიოდა გორგასლის ხოხობი“, გაზეთი. „კომუნისტი“, №30, გვ. 3. თბილისი, 1973.
2. გოთუა ლევან, „ერისშვილობის პასუხისმგებლობა“, კრებული. „საუბრები ახალგაზრდობასთან“, გვ. 5-15. საქართველოს საზოგადოება „ცოდნა“. თბილისი, 1974.
3. გოთუა თამარ, გოთუა ალექსანდრე, „თავგადასავალი ლევან გოთუასი“. ჟურნალი. „მნათობი“, №9, გვ. 93-101. თბილისი, 1990.
4. გოთუა თამარ, გოთუა ალექსანდრე, „თავგადასავალი ლევან გოთუასი“, გამომცემლობა „თარხანი“, თბილისი, 1995.
5. გოთუა ლევან, „ლამაზ მთებს იქით“ (მიმართვა ახალგაზრდებისადმი). ჟურნალი. „ანეული“, №2, გვ. 15-18. თბილისი, 2015.
6. ვაშაძე თიურა, გულახდილი დიალოგები – „ლევან გოთუა“. გაზეთი. „ახალგაზრდა კომუნისტი“, №105, გვ.3. თბილისი, 1972.
7. სუიცა, საქმე: №331, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.
8. სუიცა, საქმე: №355, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.
9. ვაჟა-ფშაველა, „საუბარი ბავშვებზე“. ოთხტომეული. ტომი 4, დრამა, პუბლიცისტიკა, წერილები. გვ. 410-421. „პალიტრა L“. თბილისი, 2022.
10. შაიშველაშვილი თამარ, „ლევან გოთუას უცნობი ბარათი – ოჯახის მისია მწერლის პუბლიკაციის მიხედვით“. ჟურნალი „განათლება“, №2, გვ. 90-92. თბილისი, 2021.
11. ჭავჭავაძე ილია, რჩეული წერილები. „ჩვენი ხალხი და განათლება“, ტფილისი, 22 მაისი, გვ. 161-163. 1886. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელ. ბიბლიოთეკა. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/ilia-tchavtchavadze-rcheuli.pdf>
12. ვალიკო და თამარ ხუჭუების საოჯახო არქივი.

## რეზიუმე

ახალი თაობის აღზრდას ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ქართველი მწერლები. სამჯერ დაპატიმრებული და გადასახლებული მწერლის – ლევან გოთუას შემოქმედებაშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს. ამ მხრივ საგულისხმოა გადასახლებიდან გამოგზავნილი მისი პირადი წერილები და პუბლიცისტიკა.

ლევან გოთუას წერილები, სტატიები და მიმოხილვები ეროვნული მსოფლშეგნებითა და მორალურ-პუბლიცისტური პათოსით გამოირჩევა. აღზრდა და მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი მწერლისთვის მეტად საპასუხისმგებლო საქმეა.

ლევან გოთუა ასახელებს იმ უმთავრეს პოსტულატებს, რომლებიც აუცილებელია ერის მომავლისთვის. ეს, უწინარესად, ოჯახია. მწერლის აზრით, სამშობლოს, ერისა და ოჯახის გრძნობა განუყრელია, ერთიანია. ამიტომ მცირერიცხოვანი ერისთვის ოჯახის სიმტკიცეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ლევან გოთუა, მწიგნობრობასთან და განათლებასთან ერთად, ახალგაზრდა თაობის საფუძვლიანი ესთეტიკურ-ზნეობრივი აღზრდა-განათლების საჭიროებას ხედავდა. იგი ყველა მანკიერი საკითხისადმი ზნეობის საზომით მიდგომას ემხრობა.

**საკვანძო სიტყვები:** აღზრდა, ოჯახი, ზნეობრივი, სიჯანსაღე, სულიერი.

**Tamar Shaishmelashvili**  
**Technical University of Georgia, Assistant - professor,**  
**Georgia, Tbilisi**

## Issues of raising of the Next Generation in the works of Levan Gotua

### Summary

Georgian writers have always paid special attention to the education of the new generation. In the works of Levan Gotua, a three-time imprisoned and exiled writer, a special place is occupied by issues of education of youth. In this regard, his personal letters and journalism, sent from exile, are important.

Levan Gotua's letters - articles and reviews are distinguished by their national worldview and moral-publicist pathos. The process of bringing up and forming a teenager as a person is a very responsible thing for a writer.

Levan Gotua names the most important postulates that are necessary for the future of the nation. This is, above all, a family. According to the writer, the sense of homeland, nation and family are inseparable, united. Therefore, for a small nation, the strength of the family is of great importance.

Along with literacy and education, Levan Gotua saw the need for thorough aesthetic and moral education of the young generation. He sees and perceives all unhealthy issues with the measure of morality.

**Key words:** Upbringing, Family, Moral, Healthy, Spiritual.



სსიპ ქალაქ ქუთაისის N35 საჯარო სკოლის ინგლისური ენის  
მენტორი მასწავლებელი, განათლების დოქტორი,  
საქართველო, ქუთაისი

## მოთივაციის ამაღლება მოსწავლეებში თვალსაწიერის გაფართოების მიზნით მხატვრული ლიტერატურის ფონზე

ახლანდელ ინგლისური ენის სახელმძღვანელოებში მხატვრული ლიტერატურის დეფიციტია. მასში ტექსტური სახით მოცემულია სტატიები, ინტერვიუები და სხვა საგაზეთო თუ ინტერნეტ მასალა, ამიტომ მოტივაციის ამაღლება მოსწავლეებში მხატვრული ლიტერატურის მიმართ ინტერესის გაღვივების საშუალებას წარმოადგენს, რადგან მიღებული ესთეტიკური ტკბობის სურვილი ამაღლებს და აფართოებს მოსწავლეებში მხატვრული ლიტერატურის თვალსაწიერს. მოსწავლეთა საჭიროებების აღმოჩენის შემდეგ უნდა დადგინდეს მასწავლებლის პროფესიული საჭიროებები, რისთვისაც გამოვიყენეთ დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია.

დიმიტრი უზნაძის თანახმად, ნებისმიერ ქცევას წინ უსწრებს განწყობის აღმოცენება იმისათვის, რომ აღმოცენდეს ქცევა და შესაბამისად, ამ ქცევის ადეკვატური განწყობა, საჭიროა არსებობდეს მოთხოვნილება და სიტუაცია, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებად იქცევა.

სტატიაში განხილული გვაქვს შექსპირის შემოქმედება დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიასთან მიმართებაში, რომელიც განხორციელებულია პრაქტიკული კუთხით. ჩემი მიზანი იყო ინტერესი აღმედრა მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ფონზე, კერძოდ, ჩემი პირველი გადადგმული ნაბიჯი ინტერესის გამოწვევისაკენ იყო ის, რომ ჩავატარე კინო-გაკვეთილი-ვუყურეთ „რომეო და ჯულიეტას“ ორ კინოგრაზიისაკენ: ფრანკო ძეფირელის 1968 წელს გადაღებულს (რომელმაც მიიღო ორი ოსკარი და სამი ოქროს გლობუსი) და კარლო კარლის 2013 წელს გადაღებულ კინოვერსიას. ფილმის ყურების შემდეგ მოსწავლეებმა გამართეს დისკუსია, თუ რომელი ფილმი იყო უკეთესი და რატომ.

შემდეგი აქტივობა იყო - ღონისძიება „სტუმრად შექსპირთან“. სწავლა ყოველთვის გულისხმობს იმას, რაც ისწავლება, ანუ მოსწავლეს ვაწვდით იმას, რაც მათ ინტერესთა სფეროსთან ახლოს არის. ფილმის ყურებამ მოსწავლეებში გამოიწვია ინტერესი შექსპირის შემოქმედების შესასწავლად, მაგრამ, ამჯერად ღონისძიება ჩატარდა ინტეგრირებულად - ქართულ და ინგლისურ ენებზე. ბავშვები სონეტებს კითხულობდნენ ინგლისურ და ქართულ ენებზე. მათ სრული თავისუფლება ჰქონდათ, აერჩიათ ის სონეტი, რომელიც მათ სულიერ სამყაროსთან ახლოს იყო და რომლის წაკითხვაც მათ უნდოდათ. წაკითხვითაც კითხულობდნენ მათეულად, სწორედ ისე, როგორც ისინი ხედავდნენ და არა როგორც, თუნდაც თავად როგორც შექსპირი, ან სონეტების მთარგმნელი რეზო თაბუკაშვილი. ბავშვებმა, მათი ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით, განცდილი სიყვარულისა და იმედგაცრუების მიხედვით, აირჩიეს სწორედ ის სონეტები, რომლებშიც იპოვეს ან საკუთარი თავი, ან რომელიმე მათი საყვარელი წიგნის პერსონაჟი, ან კიდევ სხვა.

ბავშვები აქტიურად იყვნენ ჩართული ღონისძიებაში არა მარტო მონაწილეობის თვალსაზრისით, არამედ საორგანიზაციო კუთხითაც, ისინი თავად ირჩევდნენ იმ მელოდიას, რომელიც მათ სონეტს მოუხდებოდა წაკითხვის დროს. ასევე, მათ თავად აირჩიეს ღონისძიების გაფორმებისათვის საჭირო ვიდეო და ფოტომასალა, რომელიც სლაიდების სახით გადიოდა მთელი ღონისძიების განმავლობაში. საკლასო ოთახში შექმნილი იყო ბავშვების განვითარების

შესატყვისი გარემო, რადგან დიმიტრი უზნაძის აზრით, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს.

განწყობა შედგება სუბიექტური და ობიექტური განწყობისაგან. სუბიექტურ ფაქტორს განეკუთვნება მოთხოვნილება, ობიექტურს კი - სიტუაცია, ის გარემო, რომელშიც ადამიანს მოთხოვნილება დაუკმაყოფილდება. ეს სიტუაცია კი ღონისძიებაზე იყო ის გარემო, რომელიც ბავშვებთან ერთად შეიქმნა, კერძოდ, კლასიკური მუსიკა, რომელიც ფონად უძლოდა მთელ ღონისძიებას. ვიდეოები, რომლებიც ასევე ღონისძიების მსვლელობის პერიოდში იქნა ნაჩვენები და ბოლოს, მთავარი, ღონისძიება გაფორმებული იყო ვარდის ფურცლებით და რომანტიკული სანთლებით.

ღონისძიება შედგებოდა ორი ნაწილისაგან, პირველ ნაწილში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო შექსპირის სონეტებიდან მიღებულ ესთეტიკურ ტკობაზე, ხოლო მეორე ნაწილში წარმოდგენილი იყო მისი დადგმა (როლური თამაში). სონეტებიდან ამოვიღეთ შექსპირის ფრაზები, რომლებიც ესადაგებოდა „რომეო და ჯულიეტას“ სასიყვარულო დრამას და ეს განასახიერა ორმა მოსწავლემ, ცნობილი იტალიელი კომპოზიტორის, ნინო როტას კომპოზიციის ფონზე. მუსიკას თან ახლდა კინოფრაგმენტი, რომელიც ამოღებული იყო რომელო და ჯულიეტას კინოვერსიიდან.

დ. უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი. ქცევა აქტივობაა და ნიშნავს სუბიექტის გარემოსთან, გარე სინამდვილესთან ურთიერთობას.

მასწავლებელსა და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისათვის სჭირდება სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც ამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებს და უნარ-ჩვენებს და აუმაღლებს მოთხოვნილებას, რომელიც თავისთავად ქმნის განწყობას.

ჩვენს შემთხვევაში, ღონისძიების შემდეგ, მოსწავლეების მხრიდან, რომლებიც მონაწილეობდნენ და ასევე რომლებიც არ მონაწილეობდნენ ღონისძიებაში, გამოითქვა სურვილი, ჩვენი სკოლაც გამოხმაურებოდა შექსპირის 450 წლისადმი მიძღვნის კვირეულს და სკოლაში ჩატარდა სასკოლო აქტივობა - „ვეითხოვლობთ შექსპირს“, სადაც ბავშვებმა და პედაგოგებმა წაიკითხეს შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“. ამ სასკოლო ღონისძიებაზე ასევე ნაჩვენები იყო ფილმი შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

მომდევნო აქტივობა, რომელიც ინტერესის გამოწვევიდან შექმნილი განწყობით მოხდა, იყო ის, რომ ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებმა გამოთქვეს სურვილი წავსულიყავით თეატრში და გვენახა შექსპირის „მაკბეტი“. ჩვენ ვუყურეთ „მაკბეტის“ ორ ვერსიას. ერთი იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობების მიერ შესრულებული, ხოლო მეორე - ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობების მიერ შესრულებული. სპექტაკლის ყურების შემდეგ გაიმართა დებატები და მოსწავლეებთან ერთად გავარჩიეთ პიესა, მათ გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები და ასევე შეადარეს და შეაფასეს მსახიობთა თამაში. დებატების შემდეგ ჩვენ ვესტუმრეთ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს და დავესწარით „რომეო და ჯულიეტას“ ბალის გახსნის ცერემონიალს.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში ჩავატარე კვლევა, სტატისტიკური ანალიზი, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ სკოლაში შექსპირის შემოქმედებისადმი ინტერესი გაზრდილი იყო. ბოლო ორი თვის განმავლობაში საბაზო და საშუალო სკოლის მოსწავლეთა 80 %, წაიკითხა შექსპირი, აქედან 30%, წაიკითხა „რომეო და ჯულიეტა“, 26% - მა „მაკბეტი“, 18%, სონეტები, ხოლო 6%, სხვადასხვა ნაწარმოები. ამ სტატისტიკის მიხედვით, აშკარაა ის, რომ მოსწავლეებში ინტერესის გაღვივების ფონზე შეიქმნა მათი განწყობა.

და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს განწყობა მოსწავლეებში დღემდე არის შენარჩუნებული, ისინი ეცნობიან უილიამ შექსპირის პიესებს, უყურებენ მისი ნაწარმოებების

კინო - ეკრანიზაციას და დიდი ინტერესით კითხულობენ შექსპირს არა მხოლოდ ქართულ, არამედ ინგლისურ ენაზეც.

მოცემულ კვლევას ჰქონდა გაგრძელება მომდევნო წელსაც და სკოლაში ჩატარდა ინტეგრირებული ღონისძიება უცხო ენებისა და ქართული ლიტერატურის კათედრების მონაწილეობით. ღონისძიება მიმდინარეობდა ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენაზე. ღონისძიების სახელწოდება იყო „...და მაინც საიდან მოდის სილამაზე“. ამ ღონისძიებაში მოსწავლეებმა წარმოადგინეს მინი - სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტადან“, კერძოდ, წარმოდგენილ იქნა რომეო და ჯულიეტას პირველი შეხვედრა ბალზე და ასევე აივნის სცენა. ღონისძიებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და წარმატება მოუტანა ჩვენს სკოლას.

და ბოლოს, შექსპირის სონეტებში გადმოცემულია გარკვეული შინაგანი სულიერი მდგომარეობა, რომელიც თავისებურად განწყობის რეალიზაციაა. განწყობა კი იქმნება შინაგანი მოთხოვნებისა და გარეგანი სიტუაციური ფაქტორების ზემოქმედებით. მოსწავლეებში გაჩნდა მოთხოვნისებობა, სურვილი, შექსპირის შემოქმედების გაცნობისა, რომელიც აბსოლუტურად მოხდა შინაგანი მოტივაციით, რომელიც ხდებოდა ინტეროგენული ქცევის ფონზე, კერძოდ, ეს იყო ესთეტიკური ტკბობა, ტკბობა ინგლისური ლიტერატურის უდიდესი მწერლის შემოქმედებით, რომელმაც მოსწავლეებში გამოიწვია ღირებულებათა გადაფასება და წინა პლანზე წამოსწია მათში მიძინებული ლიტერატურის სიყვარული.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კახაბერი, თავისუფალი აღზრდა ბავშვისა, ჟურნ. „განათლება“ 1908 წელი, N7-8,
2. დ. უზნაძე, „სინათლის“ საზოგადოების ქალთა სასწავლებლის 1915-1916 სასწავლო წლის ანგარიში.
3. მ. მელიქიშვილი, დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური კონცეფცია; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; 2013 წ.
4. მ. მელიქიშვილი, მოტივაცია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; 2013 წ.

### **რეზიუმე**

თანამედროვე ინგლისური ენის სახელმძღვანელოებში არის დეფიციტი მხატვრული ლიტერატურისა. არსებულ სახელმძღვანელოებში ტექსტური სახით მოცემულია სტატია, ინტერვიუ და სხვა საგაზეთო თუ ინტერნეტ მასალა, სწორედ ამიტომ, მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით მიზნად დავისახე მოსწავლეებში გამეღვიძებინა მხატვრული ლიტერატურის მიმართ ინტერესი, აღმემრა მხატვრული ლიტერატურიდან მიღებული ესთეტიკური ტკბობის სურვილი და პროფესიული განვითარების ერთ-ერთ მიზნად დავისახე მოტივაციის ამაღლება მოსწავლეებში თვალსაწიერის გაფართოების მიზნით მხატვრული ლიტერატურის ფონზე. მოსწავლეთა საჭიროების გამოვლენის შემდეგ დადგა დრო, ჩემი, როგორც პედაგოგის პროფესიული საჭიროების დადგენა. სწორედ ამიტომ სიღრმისეულად გამოვიკვლიე დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია.

კვლევის ფარგლებში დაიგეგმა არაერთი სასკოლო თუ არასასკოლო ღონისძიება თუ აქტივობა, და დადგინდა, რომ ამ ყოველივემ მოსწავლეებში გამოიწვია ღირებულებათა გადაფასება და წინა პლანზე წამოსწია მათში მიძინებული ლიტერატურის სიყვარული.

**საკვანძო სიტყვები:** შინაგანი განწყობა, მოტივაცია, ლიტერატურა, კვლევა, ღონისძიება.

Mariam Kapanadze  
N35 Public School of English language of Kutaisi  
Mentor teacher, doctor of education.  
Georgia, Kutaisi

**Raising motivation among students to expand their horizons in the background of fiction  
literature  
Summary**

There is a dearth of fiction in modern English language textbooks. The existing textbooks contain articles, interviews and other newspaper or internet materials in textual form, that is why, taking into account the needs of the students, the goal was set to arouse the interest of the students in fiction, to arouse the desire for aesthetic enjoyment derived from the fiction, and one of the goals of professional development is to raise motivation among students in order to expand their horizons. After identifying the needs of the students, it is time to determine the professional needs of the teacher. Therefore, Dimitri Uznadze's theory of mood has been thoroughly investigated.

As part of the research, a number of school and non-school events and activities were planned, it is established that conducting the teaching in the described form re-evaluated the values in the students and brought to the fore the dormant love of literature in them.

**Key words:** Internal mood, motivation, literature, research, event.

**ბაკურ ბაკურაძე**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,  
საქართველო, ქუთაისი

## ერთი სახის არასტანდარტული განტოლების ამოხსნა პარამეტრის მეთოდით

არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის დროს გამოიყენება სხვადასხვა სახის განსხვავებული მეთოდი, რომელთა კლასიფიცირება სირთულეებთან არის დაკავშირებული და უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელიც კია, რადგან ასეთი მეთოდები გამოიყენება ამოცანათა ძალიან ვიწრო წრისათვის. მეორეს მხრივ, სასწავლო პრაქტიკაში მასწავლებელსაც და მოსწავლეებსაც უამრავი სხვადასხვა სახის არასტანდარტული ამოცანის ამოხსნა უხდებათ, რაც აუცილებელს ხდის ასეთი მეთოდებისა და წესების ცოდნას, რათა წარმატებით განხორციელდეს არასტანდარტული ამოცანების ამოხსნა.

განვიხილოთ ერთი ასეთი მეთოდი, რომელიც პარამეტრის მეთოდის სახელითაა ცნობილი და მისი გამოყენება ამარტივებს ზოგიერთი სახის არასტანდარტული განტოლებების ამოხსნას. მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: განტოლების ამოსახსნელად შემოგვაქვს პარამეტრი და ვიხილავთ ამოსახსნელი განტოლებისაგან გაცილებით უფრო ზოგადი სახის პარამეტრის შემცველ განტოლებას, რომლიდანაც ამოსახსნელი განტოლება მიიღება პარამეტრის კონკრეტული მნიშვნელობისათვის. ამოვხსნით პარამეტრის შემცველ განტოლებას და შემდეგ ვუბრუნდებით მოცემული განტოლების ამოხსნას პარამეტრის იმ კონკრეტული მნიშვნელობისათვის, რომელზეც პარამეტრული განტოლება ემთხვევა ამოსახსნელ განტოლებას. ასეთი მიდგომის განხორციელებისას აუცილებელი ხდება განტოლების დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლის დადგენა, რადგან ამოსახსნელი განტოლებიდან პარამეტრის შემცველ განტოლებაზე გადასვლის დროს ზოგჯერ ფართოვდება ცვლადის დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლე და შესაძლებელია გარეშე ფესვის გაჩენა.

განვიხილოთ პრაქტიკული მაგალითები.

**ამოცანა 1.** ამოხსნებით განტოლება

$$x^3 - (\sqrt{2} + 1)x^2 + 2 = 0.$$

**ამოხსნა.** საკმაოდ რთული განტოლებაა, თანაც კუბური. მისი ამოხსნა სასკოლო პროგრამის ფარგლებს ცილდება, მაგრამ თუ მოსწავლეებს შევასწავლით ამ განტოლების სახის განტოლებების ამოხსნის კერძო ხერხს, მაშინ მოსწავლეების პირველი შთაბეჭდილება, რომ ამ განტოლებას ვერ ამოხსნიდნენ, გაქარწყლდება. თუ განტოლების ამოხსნის შემდეგ მოსწავლეებს ვკითხავთ განტოლების სირთულის შესახებ, მათი შეფასებაა, რომ განტოლება არც ისე რთულია და მისი ამოხსნის მეთოდის ათვისება არათუ მაღალი კლასის, მერვე კლასის მოსწავლისთვისაც მისაწვდომია. მოსწავლეებმა დაკვირვებით უნდა შეისწავლონ განტოლება, მაგრამ ისმის კითხვა, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება სანამ განტოლების ამოხსნა დაიწყებენ? ისინი ამჩნევენ, რომ განტოლების ჩანაწერში არც მსგავსი წევრებია, არც იმის შესაძლებლობა ჩანს, რომ განტოლების ფესვს ზეპირად გამოთვლიან, შემდეგ მოცემულ განტოლებას გაყოფენ ორწევრზე და მიღებულ კვადრატულ განტოლებასაც ამოხსნიან. მაშ როგორ მოიქცნენ? პარამეტრის შემოსაღებად ერთი ვარიანტი რჩება. განტოლებაში გვაქვს  $\sqrt{2}$  და 2. შემოვიღოთ პარამეტრი და მოცემული განტოლება ჩავწეროთ ასე:

$$x^3 - (a + 1)x^2 + a^2 = 0.$$

პარამეტრებიანი განტოლება მოცემულ განტოლებას ემთხვევა, როცა  $a = \sqrt{2}$ .

მიღებული პარამეტრული განტოლება ამოვხსნათ როგორც კვადრატული განტოლება  $a$ -ს მიმართ. გვაქვს:

$$a^2 - ax^2 + (x^3 - x^2) = 0.$$

კვადრატული განტოლების დისკრიმინანტია:

$$D = x^4 - 4(x^3 - x^2) = x^2(x^2 - 4x + 4) = x^2(x - 2)^2.$$

მისი ფესვებია:

$$a_{1,2} = \frac{x^2 \pm x(x-2)}{2}.$$

საიდანაც,

$$a_1 = x^2 - x, \quad a_2 = x.$$

რადგან  $a = \sqrt{2}$ , ამიტომ მივიღეთ ორი განტოლება  $x$ -ის მიმართ:

$$ax^2 - x - \sqrt{2} = 0 \quad \text{და} \quad x = \sqrt{2}.$$

საიდანაც მივიღებთ მოცემული განტოლების სამ ფესვს:

$$x_{1,2} = \frac{1 \pm \sqrt{1+4\sqrt{2}}}{2} \quad \text{და} \quad x_3 = \sqrt{2}.$$

**ამოცანა 2.** ამოხსენით განტოლება

$$x^4 - 2\sqrt{3}x^2 + x + 3 - \sqrt{3} = 0.$$

**ამოხსნა.** ამ განტოლების ამოსახსნელად უკვე გარკვეული გამოცდილება გვაქვს დაგროვებული, რომელიც წინა განტოლების ამოხსნით შევიძინეთ და მოსწავლეები ადვილად ახდენენ პარამეტრის შემოღებას და იხილავენ პარამეტრულ განტოლებას:

$$x^4 - 2ax^2 + x + a^2 - a = 0.$$

პარამეტრული განტოლებიდან ამოსახსნელი განტოლება მიიღება მაშინ, როცა  $a = \sqrt{3}$ .

ადვილი შესამჩნევია, რომ მიღებული პარამეტრული განტოლება წარმოადგენს კვადრატულ განტოლებას  $a$  პარამეტრის მიმართ:

$$a^2 - a(2x^2 + 1) + (x^4 + x) = 0.$$

ამოვხსნათ ეს კვადრატული განტოლება.

მისი დისკრიმინანტია

$$D = (2x^2 + 1)^2 - 4(x^4 + x) = 4x^2 - 4x + 1 = (2x - 1)^2.$$

საიდანაც,

$$a_{1,2} = \frac{(2x^2 + 1) \pm (2x - 1)}{2}.$$

ანუ,

$$a_1 = \frac{2x^2 + 1 + 2x - 1}{2} = x^2 + x \quad \text{და} \quad a_2 = \frac{2x^2 + 1 - 2x + 1}{2} = x^2 - x + 1.$$

რადგან  $a = \sqrt{3}$ , ამიტომ მივიღებთ ორ კვადრატულ განტოლებას  $x$ -ის მიმართ:

$$x^2 - x + 1 = \sqrt{3} \quad \text{და} \quad x^2 + x = \sqrt{3}.$$

რომელთა ფესვებია:

$$x_{1,2} = \frac{1 \pm \sqrt{4\sqrt{3} - 3}}{2} \quad \text{და} \quad x_{3,4} = \frac{-1 \pm \sqrt{1 + 4\sqrt{3}}}{2}.$$

**ამოცანა 3.** ამოხსენით განტოლება

$$x^3 - (\sqrt{7} + 1)x^2 + x + 7 - \sqrt{7} = 0.$$

**ამოხსნა.** ამ განტოლების ამოხსნა მოსწავლეებისათვის სირთულეს აღარ წარმოადგენს. ისინი ხვდებიან, რომ ამ განტოლების ამოსახსნელად გამოსავალი ისევ პარამეტრულ განტოლებაზე გადასვლაა, რასაც ისინი უკვე მასწავლებლის ჩარევის გარეშეც ახორციელებენ. ისინი იხილავენ პარამეტრულ განტოლებას:

$$x^3 - (p + 1)x^2 + x + p^2 - p = 0,$$

რომელიც ამოსახსნელ განტოლებას დაემთხვევა როცა  $p = \sqrt{7}$ .

ამის შემდეგ მოსწავლეები ახდენენ პარამეტრულ განტოლების ჩაწერას სახით:

$$p^2 - p(x^2 + 1) + (x^3 + x^2 + x) = 0.$$

ითვლიან მის დისკრიმინანტს

$$D = (x^2 + 1)^2 - 4(x^3 + x^2 + x) = x^4 - 4x^3 + 6x^2 - 4x + 1 = (x - 1)^4.$$

საიდანაც, განტოლების ფესვებია:

$$p_{1,2} = \frac{(x^2 + 1) \pm (x - 1)^2}{2}.$$

$$p_1 = \frac{x^2 + 1 + x^2 - 2x + 1}{2} = x^2 - x + 1, \quad p_2 = \frac{x^2 + 1 - x^2 + 2x - 1}{2} = x.$$

რადგან  $p = \sqrt{7}$ , ამიტომ  $x^2 - x + 1 = \sqrt{7}$  და  $x = \sqrt{7}$ .

საიდანაც, მიღებული განტოლების ფესვებია:

$$x_{1,2} = \frac{1 \pm \sqrt{4\sqrt{7} - 3}}{2}, \quad x_3 = \sqrt{7}.$$

**ამოცანა 4.** ამოხსენით განტოლება

$$\sqrt{35 - 2\sqrt{45 - 2x}} = x - 5.$$

**ამოხსნა.** ამ განტოლების ამოსახსნელად პარამეტრის გამოყენების არანაირი შესაძლებლობა არ ჩანს. ამიტომ განტოლების ამოხსნა დავიწყოთ ტრადიციულად, როგორც ვხსნით ირაციონალურ განტოლებას. დავადგინოთ განტოლებაში შემავალი  $x$  ცვლადის დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლე.

გვაქვს:

$$\begin{cases} 45 - 2x \geq 0, \\ 35 - 2\sqrt{45 - 2x} \geq 0, \\ x - 5 \geq 0, \end{cases} \Rightarrow \begin{cases} x \leq 22,5, \\ 2\sqrt{45 - 2x} \leq 35, \\ x \geq 5, \end{cases} \Rightarrow \begin{cases} 5 \leq x \leq 22,5, \\ 4(45 - 2x) \leq 1225, \end{cases} \Rightarrow \begin{cases} 5 \leq x \leq 22,5, \\ x \geq -130\frac{5}{8}, \end{cases} \Rightarrow 5 \leq x \leq 22,5.$$

შემოვიღოთ ახალი ცვლადი:

$$y = \sqrt{45 - 2x}.$$

მაშინ,

$$x = \frac{45 - y^2}{2}.$$

ამოსახსნელი განტოლება მიიღებს სახეს:

$$2\sqrt{35 - 2y} = 35 - y^2.$$

სადაც  $0 \leq y \leq \sqrt{35}$ .

მიღებული განტოლების ორთავე მხარის კვადრატში აყვანა მიზანშეწონილი არ არის, რადგან მივიღებთ მეოთხე ხარისხის განტოლებას  $y$  ცვლადის მიმართ.

მოსწავლეების ყურადღებას იქცევს ის, რომ ამ განტოლებაშიც, როგორც წინა განტოლებებში მეორდება ერთი რიცხვი 35, რაც გვიბიძგებს იმისკენ, რომ გამოვიყენოთ პარამეტრი და განტოლება ჩავწეროთ სახით:

$$2\sqrt{a-2y} = a - y^2,$$

რომელიც ამოსახსნელ განტოლებას ემთხვევა იმ შემთხვევაში, როცა  $a = 35$ .

მიღებული განტოლების ორთავე მხარის კვადრატში ახარისხების შემდეგ მივიღებთ განტოლებას  $a$  პარამეტრის მიმართ. გვაქვს:

$$a^2 - 2a(y^2 + 2) + (y^4 + 8y) = 0.$$

რომლის დისკრიმინანტია

$$\frac{D}{4} = (y^2 + 2)^2 - (y^4 + 8y) = y^4 + 4y^2 + 4 - y^4 - 8y = 4(y^2 - 2y + 1) = (2(y-1))^2.$$

საიდანაც,

$$a_{1,2} = (y^2 + 2) \pm 2(y-1).$$

გვაქვს:

$$a_{1,2} = y^2 + 2y, \quad a_2 = y^2 - 2y + 4.$$

რადგან  $a = 35$ , ამიტომ მივიღებთ ორ კვადრატულ განტოლებას  $y$ -ის მიმართ:

$$y^2 + 2y - 35 = 0 \quad \text{და} \quad y^2 - 2y - 31 = 0.$$

რომელთა ფესვებიდან ერთადერთი  $y = 5$  აკმაყოფილებს პირობას  $0 \leq y \leq \sqrt{35}$ .

რადგან  $x = \frac{45-y^2}{2}$  და  $y = 5$ . ამიტომ  $x = 10$ . ე.ი. მოცემული განტოლების ფესვია  $x = 10$ .

განხილული ყველა მაგალითის ამოხსნის ალტერნატიული შესაძლებლობა ჩვენ არ გვქონდა, რის გამოც იძულებული ვიყავით გვესარგებლა პარამეტრის შემოღებით. ახლა განვიხილოთ ისეთი მაგალითი, რომელიც შეიძლება ამოიხსნას სხვაგვარი მიდგომითაც და ვაჩვენოთ, რომ პარამეტრული მეთოდის გამოყენება უკეთეს შედეგს იძლევა, როგორც დროის დაზოგვის, ისე ამოხსნის ვიზუალური მხარის თვალსაზრისითაც.

**ამოცანა 5.** ამოხსენით განტოლება

$$\sqrt{5-x} = x^2 - 5.$$

**ამოხსნა. I ხერხი.** რადგან  $5-x \geq 0$  და  $x^2 - 5 \geq 0$ , ამიტომ  $x$  ცვლადის დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლეა  $x \leq \sqrt{5}$  და  $\sqrt{5} \leq x \leq 5$ .

შემოვიღოთ აღნიშვნა  $\sqrt{5-x} = y$ , საიდანაც  $5 = y^2 + x$  და ამოსახსნელი განტოლება ჩაიწერება ასე:  $y = x^2 - y^2 - x$ , საიდანაც მივიღებთ განტოლებას

$$(x+y)(x-y-1) = 0.$$

განვიხილოთ ორი შემთხვევა:

1. ვთქვათ,  $x+y=0$ , მაშინ  $x+\sqrt{5-x}=0$ . რადგან  $5-x \geq 0$ , ამიტომ  $x \leq 0$  და  $x \leq -\sqrt{5}$ .

განტოლებიდან  $x+\sqrt{5-x}=0$  მივიღებთ  $x^2+x-5=0$ , საიდანაც



$$x_{1,2} = \frac{-1 \pm \sqrt{21}}{2}.$$

რადგან  $x \leq -\sqrt{5}$ , ამიტომ  $x + \sqrt{5-x} = 0$  განტოლების ფესვია  $x_1 = \frac{-1 - \sqrt{21}}{2}$ .

2. ვთქვათ,  $x - y - 1 = 0$ , მაშინ  $x - 1 = \sqrt{5-x}$ , სადაც  $\sqrt{5} \leq x \leq 5$ . ავიყვანოთ განტოლების ორთავე მხარე კვადრატში და მივიღებთ კვადრატულ განტოლებას

$$x^2 - x - 4 = 0,$$

რომლის ფესვებია

$$x_{3,4} = \frac{1 \pm \sqrt{17}}{2}.$$

რადგან  $\sqrt{5} \leq x \leq 5$ , ამიტომ  $x - 1 = \sqrt{5-x}$  განტოლებას აქვს ერთი ფესვი  $x_3 = \frac{1 + \sqrt{17}}{2}$ .

**II ხერხი.** პარამეტრის მეთოდის გამოყენებით. ამოსახსნელი განტოლება ჩავწეროთ პარამეტრის სახით:

$$\sqrt{a-x} = x^2 - a.$$

რომელიც მოცემულ განტოლებას დაემთხვევა, როცა  $a = 5$ . პარამეტრული განტოლების ორთავე მხარე ავიყვანოთ კვადრატში. გვექნება:

$$a^2 - a(2x^2 + 1) + (x^4 + x) = 0.$$

ამოვხსნათ ეს განტოლება როგორც კვადრატული განტოლება  $a$  პარამეტრის მიმართ.

$$D = (2x^2 + 1)^2 - 4(x^4 + x) = 4x^2 + 4x + 1 = (2x + 1)^2.$$

საიდანაც, განტოლების ფესვებია:

$$a_{1,2} = \frac{(2x^2 + 1) \pm (2x + 1)}{2}.$$

$$a_1 = \frac{2x^2 + 1 + 2x + 1}{2} = x^2 + x + 1, \quad a_2 = \frac{2x^2 + 1 - 2x - 1}{2} = x^2 - x.$$

რადგან  $a = 5$ , ამიტომ  $x^2 + x + 1 = 5$  და  $x^2 - x = 5$ .

საიდანაც, პარამეტრის შემცველ განტოლებაში შემავალი პარამეტრის და ცვლადის დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლეების გათვალისწინებით დავადგენთ, რომ პირველ და მეორე

განტოლებებს აკმაყოფილებს შესაბამისად ფესვები  $x_1 = \frac{1 + \sqrt{17}}{2}$  და  $x_2 = \frac{1 + \sqrt{17}}{2}$ .

ბოლო განტოლების ამოხსნის ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მეთოდისაგან გაცილებით მარტივია პარამეტრის გამოყენებით განტოლების ამოხსნა. რაც მოსწავლეებს თვალსაჩინო წარმოდგენას აძლევს, რომ პარამეტრის გამოყენებით არასტანდარტული ამოცანის ამოხსნის მეთოდის შესწავლა მათ დაეხმარებათ არა მარტო ისეთი არასტანდარტული ამოცანების ამოხსნისას, რომელიც მხოლოდ პარამეტრული მეთოდით ამოიხსნება, არამედ ისეთი არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის დროსაც, რომელთა ამოხსნა შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდით.

## რეზიუმე

არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის დროს გამოიყენება სხვადასხვა სახის განსხვავებული მეთოდები, რომელთა კლასიფიცირება სირთულეებთან არის დაკავშირებული და უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელიც კია, რადგან ასეთი მეთოდები გამოიყენება ამოცანათა ძალიან ვიწრო წრისათვის. მეორე მხრივ, სასწავლო პრაქტიკაში მასწავლებელსაც და მოსწავლეებსაც უამრავი სხვადასხვა სახის არასტანდარტული ამოცანის ამოხსნა უხდებათ, რაც აუცილებელს ხდის ასეთი მეთოდებისა და წესების ცოდნას, რათა წარმატებით განხორციელდეს არასტანდარტული ამოცანების ამოხსნა.

სტატიაში განხილულია ასეთი მეთოდი, რომელიც პარამეტრის მეთოდის სახელითაა ცნობილი და მისი გამოყენება ამარტივებს ზოგიერთი სახის არასტანდარტული განტოლებების ამოხსნას. მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: განტოლების ამოსახსნელად შემოგვაქვს პარამეტრი და ვიხილავთ ამოსახსნელი განტოლებისაგან გაცილებით უფრო ზოგადი სახის პარამეტრის შემცველ განტოლებას, რომლიდანაც ამოსახსნელი განტოლება მიიღება პარამეტრის კონკრეტული მნიშვნელობისათვის. ამოვხსნით პარამეტრის შემცველ განტოლებას და შემდეგ ვუბრუნდებით მოცემული განტოლების ამოხსნას პარამეტრის იმ კონკრეტული მნიშვნელობისათვის, რომელზეც პარამეტრული განტოლება ემთხვევა ამოსახსნელ განტოლებას. ასეთი მიდგომის განხორციელებისას აუცილებელი ხდება განტოლების დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლის დადგენა, რადგან ამოსახსნელი განტოლებიდან პარამეტრის შემცველ განტოლებაზე გადასვლის დროს ზოგჯერ ფართოვდება ცვლადის დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლე და შესაძლებელია გარეშე ფესვის გაჩენა.

განხილულია სხვადასხვა სახის არასტანდარტული განტოლებების ამოხსნა პარამეტრული მეთოდის გამოყენებით და დასაბუთებულია მისი გამოყენების უპირატესობა არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის სხვა მეთოდებთან შედარებით.

**საკვანძო სიტყვები:** არასტანდარტული ამოცანა, ამოხსნის მეთოდი, პარამეტრი, გარეშე ფესვი, პარამეტრული განტოლება.

**Bakur Bakuradze**  
**Akaki Tsereteli State University Associate Professor.**  
**Georgia, Kutaisi**

## Solving a non-standard equation of one kind by the parameter method

### Summary

The parameter method for solving non-standard tasks is discussed. Using this method simplifies solving some types of non-standard equations. The essence of the method is follow: to solve the equation, we use a parameter and see an equation containing a much more general type of parameter than the solvable equation, from which the solvable equation is received for the specific value of the parameter. We solve the equation containing the parameter and then return to solve the given equation for the specific value of the parameter on which the parametric equation matches the solvable equation. By using such an approach, it becomes necessary to determine the set of allowable values of the equation, because the transition from the solvable equation to the equation containing the parameter sometimes expands the set of allowable values of the variable, and it is possible to have an extraneous root.

The solution of different types of non-standard equations using the parametric method is discussed and the advantages of its use over other methods of solving non-standard problems are substantiated.

**Key words:** non-standard problem, solution method, parameter, no root, parametric equation.

გიორგი ბერძულიშვილი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
საქართველო, ქუთაისი

## კონტრ-მაგალითი როგორც საძიებო ამოცანების ამოხსნის მეთოდი

კონტრ-მაგალითების გამოყენების მეთოდოლოგიური საკითხების კვლევა მათემატიკის სწავლა/სწავლების პროცესში შესწავლილი არ არის. ერთის მხრივ კონტრ-მაგალითები მოსწავლეებს ეხმარება მათემატიკური ცნებების ფორმულირების სრულფასოვნად გაგებაში და მეორე მხრივ, მათი გამოყენება შესაძლებელია კონკრეტული მათემატიკური დებულებების ჭეშმარიტების შესამოწმებლად. კონტრ-მაგალითის გამოყენება სასწავლო პროცესში შესაძლებელია როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კოგნიტურ-რეფლექსიური კონცეფცია მათემატიკური ცოდნის შეთვისების თვალსაზრისით.

მაინც რა არის კონტრ-მაგალითი? ეს ისეთი მაგალითია რომელიც უარყოფს გარკვეული დებულების ჭეშმარიტებას. კონტრ-მაგალითის აგება არის გამოთქმული ჰიპოთეზების უარყოფის ერთ-ერთი გზა. თუ დასამტკიცებელია წინადადება, რომ „ $M$  სიმრავლის ნებისმიერ  $x$  ელემენტს აქვს  $A$  თვისება“, მაშინ ამ წინადადების კონტრ-მაგალითია „ $M$  სიმრავლეში არსებობს ერთი მაინც  $x_0$  ობიექტი, რომლისთვისაც  $A$  თვისება არ სრულდება“. თუ რაიმე დებულებისათვის არ ხერხდება კონტრ-მაგალითის შედგენა, ეს არ ნიშნავს, რომ მოცემული ჰიპოთეზა სამართლიანია, რადგან კონტრ-მაგალითის არ არსებობა არ არის ჰიპოთეზის მტკიცებულება. კონტრ-მაგალითის არარსებობა მტკიცებულებად შეიძლება გადაიქცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი სიმრავლე სასრულია, დადგენილია მისი ყველა ელემენტის თვისებები და თუ მათ შორის დასამტკიცებელი დებულების საპირისპირო შედეგი არ დაფიქსირდა, მაშინ დებულება დამტკიცებულად ითვლება.

**ამოცანა 1.** ნიკოლოზი ფიქრობს, რომ თუ პირველი მართკუთხედის ფართობი მეორე მართკუთხედის ფართობზე მეტია, აგრეთვე, თუ პირველი მართკუთხედის პერიმეტრი მეორე მართკუთხედის პერიმეტრზე მეტია, მაშინ პირველი მართკუთხედიდან შეიძლება გამოვჭრათ მეორე მართკუთხედი. მართალია თუ არა ნიკოლოზი?

**ამოხსნა.** მართალი არ არის. მოვიყვანოთ კონტრ-მაგალითი. მაგალითად, მოცემული გვაქვს მართკუთხედი, რომლის ზომებია  $1 \times 100$ . მისი ფართობია 100, მაგრამ მისგან შეუძლებელია 4-ის ტოლი  $2 \times 2$  კვადრატის ამოჭრა.

ანალოგიურად, იმავე  $1 \times 100$  ზომის მართკუთხედიდან, რომლის პერიმეტრია 202, შეუძლებელია 8-ის ტოლი პერიმეტრის მქონე  $2 \times 2$  კვადრატის ამოჭრა.


**ამოცანა 2.** თამრიკო ამტკიცებს, რომ თუ ერთი ოთხკუთხედის გვერდების სიგრძეები ნაკლებია მეორე ოთხკუთხედის გვერდების სიგრძეებზე, მაშინ პირველი ოთხკუთხედის დიაგონალების სიგრძეებიც ნაკლებია მეორე ოთხკუთხედის დიაგონალების სიგრძეებზე. მართალია თამრიკო?

**ამოხსნა.** მართალი არ არის. მაგალითად, განვიხილოთ  $ABCD$  კვადრატი და  $A_1B_1C_1D_1$  ოთხკუთხედი, რომლებიც განლაგებულია ისე, როგორც ნახ. 1-ზეა გამოსახული. კვადრატის დიაგონალებია 4, ხოლო  $A_1B_1C_1D_1$  ოთხკუთხედის  $A_1C_1$  და  $B_1D_1$  დიაგონალები ტოლია და მათი სიგრძეა 2.  $A_1B_1C_1D_1$  ოთხკუთხედის გვერდების სიგრძეები მეტია კვადრატის გვერდის სიგრძეზე, მართლაც,

$$A_1D_1 = C_1D_1 = \sqrt{1^2 + 3^2} = \sqrt{10} > 2\sqrt{2} = AD = CD$$

და

$$A_1B_1 = B_1C_1 = \sqrt{1^2 + 5^2} = \sqrt{26} > A_1D_1 > AB = BC.$$



ნახ. 1.

**ამოცანა 3.** ოქრომჭედელს მიუტანეს ყელსაბამის 5 ისეთი ნაწყვეტი, რომ თითოეულში იყო ან 3 ან 4 რგოლი და თხოვეს მათი გადაბმა. პრეისკურანტი ერთი რგოლის გახსნა და შეკვრა 10 ლარი ღირს. ოქრომჭედელმა დამკვეთებს უთხრა, რომ ყელსაბამის ნაწყვეტების გადასაბმელად საჭიროა გაიხსნას და შეიკრას ოთხი რგოლი, რისთვისაც დამკვეთებს 40 ლარის გადახდა მოთხოვა. დათანხმდებით ასეთ პირობებს?

**ამოხსნა.** არ დავთანხმდები, რადგან ნაწყვეტების გადაბმა შესაძლებელია 3 რგოლის გახსნით და შეკვრით და ამისათვის 30 ლარი საკმარისია. მართლაც, ავიღოთ სამკაულის ერთი ნაწყვეტი, რომელშიც სამი რგოლია და გავხსნათ ყველა რგოლი. ამის შემდეგ დარჩება სამკაულის 4 ნაწყვეტი, რომლებიც ოქრომჭედელმა ერთმანეთს უნდა გადააბას, რისთვისაც ჭირდება უკვე გახსნილი სამი რგოლის შეერთება, რაც არსებული ტარიფების მიხედვით ღირს 30 ლარი.

**ამოცანა 4.** შესაძლებელია თუ არა ექვს ბავშვს გაუზნაწილოთ 40 კანფეტი ისე, რომ თითოეულს განსხვავებული რაოდენობის კანფეტები შეხვდეს და მათგან ნებისმიერ ორს ერთად ჰქონდეს კანფეტების ნახევარზე ნაკლები?

**ამოხსნა.** შესაძლებელია. მაგალითად,

$$10 + 9 + 8 + 7 + 5 + 1 = 40$$

და მათგან იმ ორი ბავშვის კანფეტების რაოდენობა ჯამში, რომელთაც ყველაზე მეტი კანფეტები შეხვდათ არის  $10 + 9 = 19$  და ნაკლებია კანფეტების საერთო რაოდენობის ნახევარზე.

არსებობს კანფეტების სხვა განაწილებებიც, მაგალითად,  $11 + 8 + 7 + 6 + 5 + 3 = 40$ . დამოუკიდებლად იპოვეთ ერთი მაინც სხვა ასეთი განაწილება.

**ამოცანა 5.** სამმა კნუტმა და სამმა ლეკვმა ერთად ოცი სოსისი შეჭამა. წითურმა კნუტმა შეჭამა ყველაზე მეტი, ხოლო ნაცრისფერ კნუტს ყველაზე ნაკლები არ შეუჭამია. მართალია თუ არა, რომ ლეკვებმა შეჭამეს სოსისების არანაკლები რაოდენობა, ვიდრე კნუტებმა?

**ამოხსნა.** მართალია. ვთქვათ, წითურმა კნუტმა შეჭამა 5 სოსისი, ნაცრისფერმა 2 სოსისი, ხოლო მესამე კნუტმა 1 სოსისი. სამი ლეკვიდან თითოეულმა შეჭამა 4-4 სოსისი. მაშინ კნუტები სულ შეჭამდნენ 8 სოსისს, ხოლო ლეკვები 12 სოსისს.

**ამოცანა 6.** შესაძლებელია თუ არა, რომ  $a$  და  $b$  რიცხვები აკმაყოფილებდნენ პირობას  $a = b + 1$  და შესრულდეს ტოლობა:  $a^4 = b^4$ ?

**ამოხსნა.** შესაძლებელია. ვთქვათ,  $a = \frac{1}{2}$ ,  $b = -\frac{1}{2}$ , მაშინ  $a^4 = b^4 = \frac{1}{16}$ . შეიძლება ვაჩვენოთ, რომ ეს მაგალითი ერთადერთია, რაც მოსწავლეებისგან არ უნდა მოვითხოვოთ. მართლაც, ცხადია, რომ

$$a^4 = b^4 \Rightarrow |a| = |b|.$$

შემთხვევა, როცა  $a = b$  შეუძლებელია, შემთხვევა  $a = -b$  გვაძლევს განხილულ მაგალითს.

**ამოცანა 7.** ანო, ვანო და ჯანო მოცემული ასოებიდან ადგენენ სიტყვებს. თითოეულმა სიტყვების განსხვავებული რაოდენობა შეადგინა: ანომ შეადგინა ყველაზე მეტი, ვანომ-ყველაზე ნაკლები. ბავშვები თავიანთ შედგენილ სიტყვებს აჯამებენ ქულებით. თუ ორს უწერია ერთნაირი სიტყვა, მაშინ თითოეულს ეწერება 1 ქულა, თუ სიტყვა უწერია მხოლოდ ერთს, მაშინ მას ეწერება 2 ქულა, თუ სამივეს უწერია ერთნაირი სიტყვა, მაშინ არცერთს ქულა არ ეწერება. შესაძლებელია ვანომ დააგროვოს ყველაზე მეტი ქულა? ანომ-ყველაზე ნაკლები?

**ამოხსნა.** შეიძლება. მაგალითად, ბავშვებმა სულ შეადგინეს 15 სიტყვა, საიდანაც ჯანომ შეადგინა ყველასაგან განსხვავებული 2 სიტყვა, ვანომ ყველასაგან განსხვავებული 4 სიტყვა, ანოს და ჯანოს აქვთ 6 ერთნაირი სიტყვა. ანოს და ვანოს აქვთ 3 ერთნაირი სიტყვა. ჯამში ანომ შეადგინა 9 სიტყვა და დააგროვა 9 ქულა, ჯანომ შეადგინა 8 სიტყვა და დააგროვა 10 ქულა, ვანომ შეადგინა 7 სიტყვა და დააგროვა 11 ქულა.

**ამოცანა 8.** კონტრაბანდისტი საზღვარზე იმ შემთხვევაში შეძლებს ეგზოტიკური ცხოველების გადაყვანას ჩემოდნებით, თუ თითოეულ ჩემოდანში ჩასმული ცხოველების წონათა ჯამი 20 კგ-ზე ნაკლები იქნება და ცხოველები ჩემოდანში არ იჩხუბებენ. ჩემოდანში ცხოველები ჩხუბობენ მაშინ, როცა ერთი რომელიმე ცხოველის წონის გამომსახველი რიცხვი იყოფა მეორე ცხოველის წონის გამომსახველ რიცხვზე. შეძლებს კონტრაბანდისტი 2,3,4,5,6, 7, 8, 9 და 10 კგ წონის ცხრა ეგზოტიკური ცხოველის გადაყვანას საზღვარზე სამი ჩემოდნით?

**ამოხსნა.** შეძლებს. დავსახოთ გეგმა, როგორ უნდა გაანაწილოს კონტრაბანდისტმა სამი ჩემოდანში ცხრა ცხოველი ისე, რომ თითოეულ ჩემოდანში ცხოველების წონათა ჯამი 20 კგ-ზე ნაკლები იყოს და მათ ჩემოდნებში არ იჩხუბონ?

ყველა ცხოველის წონათა ჯამია:


$$2 + 3 + 4 + 5 + 6 + 7 + 8 + 9 + 10 = 54 \text{ (კგ).}$$

ვაჩვენოთ, ის ცხოველები, რომლებიც იწონიან 8, 9 და 10 კგ-ს კონტრაბანდისტმა უნდა ჩა-სვას სამ სხვადასხვა ჩემოდანში. დავუშვათ საწინააღმდეგო, ვთქვათ, ერთ ჩემოდანში ჩავს-ვით 8, 9 და 10 კგ-იანი ცხოველებიდან რომელიმე ორი ცხოველი. სულ გვექნება სამი გან-სხვავებული შემთხვევა: 10 და 9 კგ-იანი ერთად, 10 და 8 კგ-იანები ერთად და 9 და 8 კგ-იანები ერთად. პირველი ორი შემთხვევისას ყველაზე ნაკლები წონის ცხოველია 2 კგ-იანი, რომელიც მათთან შეიძლება ჩაისვას. პირველ შემთხვევაში სამივეს წონათა ჯამი იქნება 21 კგ და არ გამოდგება, მეორე შემთხვევაში იქნება 20 კგ და არც ეს გამოდგება, გარდა ამისა ერთ ჩემოდანში მოხვდება 8 კგ-იანი და 2 კგ-იანი ცხოველები და ისინი იჩხუბებენ. იმ შემთხვევაში თუ ერთ ჩემოდანში მოხვდება 8 და 9 კგ-იანი ცხოველები, მაშინ მესამე ცხოველის წონა არ უნდა აღემატებოდეს 2 კგ-ს, მაგრამ 2 კგ-იანი ცხოველის ჩასმა 8 კგ-იან ცხოველთან არ შეიძლება. ე.ი. ჩვენი დაშვება არასწორია და 8, 9 და 10 კგ-იანი ცხოველები სამივე უნდა ჩაისვას ცალ-ცალკე ჩემოდნებში. იმ ჩემოდანში, რომელშიც კონტრაბანდისტი ჩასვამს 8 და 10 კგ წონის ცხოველებს, ვერ ჩასვამს 2 კგ წონის ცხოველს, რადგან რვაც იყოფა 2-ზე და ათიც. ე.ი. 2 კგ წონის ცხოველი უნდა ჩასვას 9 კგ წონის ცხოველთან. ორი ცხოველის წონათა ჯამია 11 კგ. ამ ჩემოდანში მესამე ცხოველად ვერ ჩავსვამთ 3 კგ წონის ცხოველს, რადგან 9 იყოფა 3-ზე, ვერც 4 კგ წონის ცხოველს, რადგან 4 იყოფა 2-ზე, ვერც 6 კგ წონის ცხოველს, რადგან 6 იყოფა 2-ზე. დაგვრჩა ორი შესაძლო ვარიანტი, ან უნდა ჩავსვათ 5 კგ-იანი ან 7 კგ-იანი ცხოველი. 5 კგ-იანი ცხოველის ჩასმა არ შეიძლება, რადგან ჩემოდანში მოთავსებული სამივე ცხოველის წონა იქნება  $9 + 2 + 5 = 15$  (კგ) და დანარჩენი ორი ჩემოდნის წონათა ჯამი გამოვა  $54 - 15 = 39$  (კგ) და ორ ჩემოდანში ამ წონის ცხოველების ჩასმის შემდეგ ერთი ჩემოდნის წონა 20 კგ-ზე ნაკლები არ იქნება, რაც ამოცანის პირობას ეწინააღმდეგება. ე.ი. მესამე ცხოველის წონაა 7 კგ. ერთ ჩემოდანში უნდა ჩასვას 9, 2 და 7 კგ წონის ცხოველები. იმ ჩემოდანში, რომელშიც ჩასმულია 10 კგ წონის ცხოველი, კონტრაბანდისტი ვერ ჩასვამს 5 კგ-იან ცხოველს, რადგან 10 იყოფა 5-ზე. 5 კგ-იანი ცხოველი უნდა ჩაისვას 8 კგ ცხოველთან. 8 კგ-იან ცხოველთან არ შეიძლება ჩაისვას 4 კგ-იანი ცხოველი, რადგან 8 იყოფა 4-ზე. ე.ი. 10 კგ-იან ცხოველთან უნდა ჩა-სვას 4 კგ-იანი ცხოველი. ამ ჩემოდანში კონტრაბანდისტი ვერ ჩასვამს 6 კგ-იან ცხოველს, რადგან სამივე ცხოველის წონათა ჯამი 20 კგ იქნება. ე.ი. ერთად უნდა ჩასვას 8, 6 და 5 კგ-იანი ცხოველები, ერთად 10, 4 და 3 კგ-იანი ცხოველები. ე.ი. ერთ

ჩემოდანში უნდა მოათავსოს ის ცხოველები, რომლებიც იწონიან 10, 4 და 3 კგ-ს; მეორეში ის ცხოველები, რომელთა წონებია-9, 7, 2 კგ; მესამეში ისინი, რომელთა წონებია - 8, 6, 5 კგ.

**ამოცანა 9.** ცნობილია, რომ მოცემული ოთხკუთხედისთვის არსებობს ორი წრფე, რომელთაგან თითოეული ოთხკუთხედს ყოფს ორ ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედად. აუცილებელია, რომ ოთხკუთხედი კვადრატია იყოს?

**ამოხსნა.** აუცილებელი არ არის, რადგან ასეთი თვისება აქვს სხვა ოთხკუთხედსაც. განვიხილოთ  $ABCD$  ოთხკუთხედი, რომელშიც  $\angle A = \angle B = \angle D = 45^\circ$  (ნახ. 2). მაშინ  $BC$  და  $DC$  წრფეებიდან თითოეული ოთხკუთხედს ყოფს ორ ტოლფერდა სამკუთხედად.



ნახ. 2.

მასწავლებელმა სასწავლო თემების გავლისას უნდა მოიფიქროს დებულებები და მოსწავლეებს დავალებად მიცეს მოცემული დებულებების კონტრ-მაგალითების შედგენა. ასეთი მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებში ლოგიკური აზროვნების განვითარებას და კვლევის უნარების ჩამოყალიბებას. მაგალითად,

მოიფიქრეთ მოცემული დებულებების კონტრმაგალითები:

- არ არსებობს სამი რიცხვი, რომელთა ჯამი მათი ნამრავლის ტოლია;
- ყველა მარტივი რიცხვი კენტია;
- ყველა მართკუთხედი კვადრატია;
- ყველა ნატურალური რიცხვი ან მარტივია, ან შედგენილი;
- ოთხკუთხედი, რომელშიც ყველა გვერდი ტოლია, კვადრატია;
- თუ რიცხვი იყოფა 2-ზე და 6-ზე, მაშინ ის იყოფა 12-ზე;
- თუ  $a$  რიცხვი იყოფა 15-ზე და  $b$  -ზე, მაშინ ის ასევე იყოფა  $15b$  -ზე;
- სიბრტყის ნებისმიერ სამ წერტილზე შეიძლება გაივლოს ერთი წრფე.

## რეზიუმე

კონტრ-მაგალითი მოსწავლეებს ეხმარება მათემატიკური ცნებების ფორმულირების სრულფასოვნად გაგებაში და მეორე მხრივ, მათი გამოყენება შესაძლებელია კონკრეტული მათემატიკური დებულებების ჭეშმარიტების შესამოწმებლად. კონტრ-მაგალითის გამოყენება სასწავლო პროცესში შესაძლებელია როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კოგნიტურ-რეფლექსური კონცეფცია მათემატიკური ცოდნის შეთვისების თვალსაზრისით.

კონტრ-მაგალითი ისეთი მაგალითია, რომელიც უარყოფს გარკვეული დებულების ჭეშმარიტებას. კონტრ-მაგალითის აგება არის გამოთქმული ჰიპოთეზების უარყოფის ერთ-ერთი გზა. თუ რაიმე დებულებისათვის არ ხერხდება კონტრ-მაგალითის შედგენა, ეს არ ნიშნავს, რომ მოცემული ჰიპოთეზა სამართლიანია, რადგან კონტრ-მაგალითის არ არსებობა არ არის ჰიპოთეზის მტკიცებულება. კონტრ-მაგალითის არარსებობა მტკიცებულებად შეიძლება გადაიქცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი სიმრავლე სასრულია, დადგენილია მისი ყველა ელემენტის თვისებები და თუ მათ შორის დასამტკიცებელი დებულების საპირისპირო შედეგი არ დაფიქსირდა, მაშინ დებულება დამტკიცებულად ითვლება.

**საკვანძო სიტყვები:** კონტრ-მაგალითი, ამოცანა, მოსწავლე, ამოხსნის ძიება, დებულების სისწორე.

Giorgi Berdzulishvili  
Akaki Tsereteli State University professor.  
Georgia, Kutaisi

## Counter-example as a method of solving search problems

### Summary

Counter-examples help students to fully understand the formulation of mathematical concepts, and on the other hand, they can be used to test the truth of specific mathematical statements. The use of a counter-example in the educational process is possible as one of the important cognitive-reflective concepts from the point of view of assimilation of mathematical knowledge.

A counter-example is an example that denies the truth of a certain statement. Constructing a counter-example is one way to reject stated hypotheses. If it is not possible to create a counter-example for any statement, it does not mean that the given hypothesis is fair, because the absence of a counter-example is not proof of the hypothesis. The absence of a counter-example can be turned into a proof only if the set under consideration is finite, the properties of all its elements have been established, and if the contrary result of the statement to be proved has not been observed among them, then the statement is considered to be proved.

**Key words:** counter-example, task, student, search for a solution, correctness of the statement.

გიორგი ბერძულიშვილი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
საქართველო, თბილისი

გიორგი ბრეგამე  
სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკური  
სკოლის მენტორი მასწავლებელი, განათლების დოქტორი,  
საქართველო, ქუთაისი

## მთელკოეფიციენტებიანი მრავალწევრების შემცველი არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის მეთოდური თავისებურებები

საშუალო სკოლის მათემატიკის კურსში შეისწავლება მრავალწევრის მრავალწევრზე გაყოფა, ბეზუს თეორემა. ამ საკითხების განხილვისას მეთოდურად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოსწავლეებს შევასწავლოთ ბეზუს თეორემა მთელკოეფიციენტებიანი მრავალწევრებისთვის. რადგან ეს თეორემა თავისი დამტკიცებიანად სულ რამდენიმე წუთს მოითხოვს, ამიტომ მისი ჩართვა სასწავლო პროცესში რთული არ არის, ხოლო გამოყენება დიდი აქვს და მაღალი განმავითარებელი ეფექტით გამოირჩევა. ამიტომ ეს თეორემა მოსწავლეებს შევთავაზოთ ამოცანის სახით, დავუმტკიცოთ და შემდგომში გამოვიყენოთ სასწავლო პროცესში სხვა ამოცანების ამოსახსნელად.

**ამოცანა 1.** დაამტკიცეთ, რომ ნებისმიერი მთელკოეფიციენტებიანი  $P(x)$  მრავალწევრისთვის და ნებისმიერი ერთმანეთისაგან განსხვავებული  $a$  და  $b$  რიცხვებისათვის  $P(a) - P(b)$  სხვაობა იყოფა  $(a - b)$ -ზე.

სხვაობა  $P(a) - P(b)$  წარმოდგება  $a^k - b^k$  გამოსახულებების ჯამის სახით. რადგან  $a^k - b^k$  იყოფა  $(a - b)$ -ზე, ამით თეორემა დამტკიცებულია.

ამის შემდეგ, რაც მოსწავლეებს ამოცანის სახით გავაცანობთ თეორიულ მასალას, მეთოდურად გამართლებულია ზოგიერთი სახის არასტანდარტული ამოცანის განხილვა. საილუსტრაციოდ შემოგთავაზებთ რამდენიმეს.

**ამოცანა 2.** მოცემული გვაქვს მთელკოეფიციენტებიანი  $P(x)$  მრავალწევრი. ცნობილია, რომ

$$P(1) = 2025, P(2025) = 1, P(k) = k,$$

სადაც  $k$  რაიმე მთელი რიცხვია. იპოვეთ  $k$ .

მთელკოეფიციენტებიანი მრავალწევრისათვის ბეზუს თეორემის თანახმად

$$k - 2025 = P(k) - P(1)$$

და იყოფა  $(k - 1)$ -ზე, ხოლო

$$k - 1 = P(k) - P(2025)$$

იყოფა  $(k - 2025)$ -ზე.

საიდანაც,



$$|k - 2025| = |k - 1|.$$

ამოვხსნათ მიღებული განტოლება. რადგან

$$|k - 2025| \geq 0 \text{ და } |k - 1| \geq 0,$$

ამიტომ განტოლების კვადრატში ახარისხებით მივიღებთ მის ტოლფას განტოლებას:

$$(k - 2025)^2 = (k - 1)^2,$$

საიდანაც,

$$k = 1013.$$

**ამოცანა 3.** მოცემული გვაქვს მთელკოეფიციენტებიანი მრავალწევრი. თუ მასში ჩავსვამთ 2 ან 3-ს, მივიღებთ 6-ის ჯერად რიცხვებს. დაამტკიცეთ, რომ თუ მასში ცვლადის ნაცვლად ჩავსვამთ 5-ს, აგრეთვე მიიღება 6-ის ჯერადი რიცხვი.

ვთქვათ,  $P$  ასეთი საძიებელი მრავალწევრია. მაშინ მთელკოეფიციენტებიანი მრავალწევრების შესახებ ბეზუს თეორემის თანახმად  $P(5) - P(2)$  იყოფა  $5 - 2 = 3$ -ზე. ხოლო რიცხვი  $P(5) - P(2)$  ლუწია. ცხადია, რომ  $P(5)$  არის როგორც 3-ის ჯერადი, ასევე 2-ის ჯერადი. რაც ნიშნავს, რომ  $P(5)$  არის 6-ის ჯერადი.

**ამოცანა 4.** ცნობილია, რომ  $ax^3 + bx^2 + cx + d$ , სადაც  $a, b, c, d$  -მოცემული მთელი რიცხვებია, ნებისმიერი  $x$  მთელი რიცხვისათვის იყოფა 5-ზე. დაამტკიცეთ, რომ ყველა  $a, b, c, d$  რიცხვი იყოფა 5-ზე.

ჩავსვათ  $x = 0$ . მივიღებთ  $d$ -ს რომელიც მოცემულობის თანახმად იყოფა 5-ზე.

გავითვალისწინოთ, რომ  $d$  იყოფა 5-ზე და ჩავსვათ  $x = \pm 1$ . მივიღებთ, რომ  $a + b + c$  და  $-a + b - c$  რიცხვები 5-ის ჯერადია. ცხადია, რომ ამ რიცხვების ჯამი  $2b$  და სხვაობა  $2a + 2c$  5-ის ჯერადია, რაც ნიშნავს, რომ  $b$  და  $a + c$  5-ის ჯერადია.

ჩავსვათ,  $x = 2$ , მივიღებთ, რომ რიცხვი

$$8a + 4b + 2c + d = 2(4a + c) + 4b + d = 6a + 2(a + c) + 4b + d$$

5-ის ჯერადია. რაც ნიშნავს, რომ 5-ის ჯერადია  $a$ , ეს კი ნიშნავს, რომ  $c$ -ც 5-ის ჯერადია.

მივიღეთ, რომ  $a, b, c, d$  რიცხვები 5-ის ჯერადია.

ანალოგიური მიდგომით შეიძლება ამოვხსნათ ამ ამოცანის მსგავსი შემდეგი

**ამოცანა.** ცნობილია, რომ  $ax^4 + bx^3 + cx^2 + dx + e$ , სადაც  $a, b, c, d$  და  $e$ -მოცემული მთელი რიცხვებია, ნებისმიერი  $x$  მთელი რიცხვისათვის იყოფა 7-ზე. დაამტკიცეთ, რომ ყველა  $a, b, c, d$  და  $e$  რიცხვი იყოფა 7-ზე.

**ამოცანა 5.**  $P(x)$  მრავალწევრის ყველა კოეფიციენტი მთელი რიცხვია. ცნობილია, რომ  $P(1) = 1$  და  $P(n) = 0$ , რომელიღაც  $n$  ნატურალური რიცხვისათვის. იპოვეთ  $n$ .

მთელკოეფიციენტებიანი მრავალწევრისათვის ბეზუს თეორემის თანახმად

$$P(n) - P(1) = 0 - 1$$

და იყოფა  $(n-1)$ -ზე. რაც ნიშნავს, რომ

$$n - 1 = \pm 1.$$

ანუ,

$$\begin{aligned} n - 1 = 1, \quad \text{ან} \quad n - 1 = -1. \\ n = 2 \quad \quad \quad n = 0. \end{aligned}$$

მარტივად დავადგენთ, რომ მიღებული ფესვებიდან  $n = 0$  არ გამოდგება.

მაშასადამე, საბოლოოდ დავასკვნით, რომ  $n = 2$ .

**ამოცანა 6.**  $P(x)$  და  $Q(x)$  მთელკოეფიციენტებიანი მრავალწევრების კოეფიციენტები ერთი და იგივე რიცხვებია, მხოლოდ დალაგებებია განსხვავებული. დაამტკიცეთ, რომ

$$P(2025) - Q(2025)$$

სხვაობა 1012-ის ჯერადია.

რადგან მოცემული  $P(x)$  და  $Q(x)$  მრავალწევრების კოეფიციენტების ჯამი ტოლია, ამიტომ

$$P(1) = Q(1).$$

ამიტომ,

$$P(2025) - Q(2025) = (P(2025) - P(1)) - (Q(2025) - Q(1)).$$

მთელკოეფიციენტებიანი მრავალწევრისათვის ბეზუს თეორემის თანახმად

$$P(2025) - P(1)$$

იყოფა  $2025 - 1 = 2024$ -ზე. ასევე  $Q(2025) - Q(1)$  სხვაობაც იყოფა  $2024$ -ზე. ამიტომ სხვაობა

$$P(2025) - Q(2025)$$

იყოფა  $2024$ -ზე. რაც ნიშნავს, რომ ეს სხვაობა იყოფა  $1012$ -ზეც.

**ამოცანა 7.**  $x^2 + px + q = 0$  კვადრატულ განტოლებაში  $p$  და  $q$  კოეფიციენტები გაადიდეს 1-ით. შემდეგ ეს ოპერაცია გაიმეორეს კიდევ ოთხჯერ. მოიყვანეთ მაგალითი ისეთი კვადრატული განტოლებისა, რომლის კოეფიციენტების 1-ით გაზრდის შემთხვევაში ფესვები ქონდეს მთელი რიცხვები.

ვთქვათ, განვიხილოთ დაყვანილი კვადრატული განტოლება:

$$x^2 + (1 + q)x + q = 0.$$

ადვილი საჩვენებელია, რომ ამ განტოლების ფესვებია  $-1$  და  $-q$ .

თუ ამ განტოლების  $(1+q)$  და  $q$  კოეფიციენტებს გავზრდით 1-ით, მივიღებთ კვადრატულ განტოლებას:

$$x^2 + (2+q)x + (1+q) = 0,$$

რომლის ფესვებია  $-1$  და  $-(1+q)$ .

თუ მიღებულ განტოლებაში  $(2+q)$  და  $(1+q)$  კოეფიციენტებს გავზრდით 1-ით, მივიღებთ კვადრატულ განტოლებას:

$$x^2 + (3+q)x + (2+q) = 0,$$

რომლის ფესვებია  $-1$  და  $-(2+q)$  და ა.შ.

ე.ი. ამოცანის ამონახსნებია ისეთი სახის დაყვანილი  $x^2 + px + q = 0$  კვადრატული განტოლებები, რომელშიც  $p = 1 + q$ . მაგალითად,

$$x^2 + 5x + 4 = 0, \text{ რომლის ფესვებია } x_1 = -1 \text{ და } x_2 = -4.$$

$$x^2 + 6x + 5 = 0, \text{ რომლის ფესვებია } x_1 = -1 \text{ და } x_2 = -5.$$

$$x^2 + 7x + 6 = 0, \text{ რომლის ფესვებია } x_1 = -1 \text{ და } x_2 = -6.$$

$$x^2 + 8x + 7 = 0, \text{ რომლის ფესვებია } x_1 = -1 \text{ და } x_2 = -7.$$

$$x^2 + 9x + 8 = 0, \text{ რომლის ფესვებია } x_1 = -1 \text{ და } x_2 = -8.$$

და ა.შ.

**ამოცანა 8.** სოკოს შესაგროვებლად ტყეში წავიდა 11 გოგონა და  $n$  ბიჭი. სულ მათ შეაგროვეს  $n^2 + 9n - 2$  სოკო. ამასთან თითოეულმა შეაგროვა სოკოების ერთი და იგივე რაოდენობა. ბიჭები მეტი იყო სოკოზე ტყეში წასული თუ გოგონები?

ამოცანის პირობიდან გამომდინარეობს, რომ  $n^2 + 9n - 2$  იყოფა  $(n+11)$ -ზე. ვიპოვოთ  $(n^2 + 9n - 2)$ -ის  $(n+11)$ -ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი:

ბეზუს თეორემის თანახმად ეს ნაშთი ტოლია  $(n^2 + 9n - 2)$  სამწევრის მნიშვნელობისა, როცა  $n = -11$  და ტოლია:

$$(-11)^2 + 9 \cdot (-11) - 2 = 121 - 99 - 2 = 20.$$

ცხადია, რომ გამყოფის მნიშვნელობა მეტი ვერ იქნება ნაშთზე, ამიტომ

$$n + 11 \leq 20.$$

ანუ,

$$n \leq 9.$$

ე.ი. ბიჭების რაოდენობა არ აღემატებოდა 9-ს, ანუ იყვნენ უფრო ნაკლები, ვიდრე გოგონები.

**ამოცანა 9.**  $P(x)$  მრავალწევრის  $(x-1)$ -ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 2-ს, ხოლო  $(x-2)$ -ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 1-ს. რისი ტოლია  $P(x)$  მრავალწევრის  $(x-1)(x-2)$ -ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი?

ვთქვათ,

$$P(x) = (x-1)(x-2)Q(x) + ax + b.$$

ზეზუს თეორემის თანახმად,

$$a + b = P(1) = 2, \text{ და } 2a + b = P(2) = 1.$$

მივიღეთ ორუცნობიან განტოლებათა სისტემა:

$$\begin{cases} a + b = 2, \\ 2a + b = 1, \end{cases} \Rightarrow \begin{cases} b = -1, \\ b = 3. \end{cases}$$

მაშასადამე, საძიებელი ნაშთია  $3 - x$ .

**ამოცანა 10.** იპოვეთ ყველა  $P(x)$  მრავალწევრი, რომელთათვისაც ნებისმიერი  $x$  ნამდვილი რიცხვისათვის სრულდება ტოლობა

$$(x-1)P(x) = (x+5)P(x-1).$$

მოცემულ ფუნქციურ ტოლობაში ჩავსვათ  $x = -5$ :

$$-6P(-5) = 0,$$

საიდანაც,

$$P(-5) = 0.$$

ჩავსვათ იმავე ფუნქციურ ტოლობაში  $x = -4$ :

$$-5P(-4) = P(-5) = 0.$$

საიდანაც,

$$P(-4) = 0.$$

მივცეთ  $x$ -ს მნიშვნელობა  $-3$ .

$$-4P(-3) = P(-4) = 0.$$

საიდანაც,

$$P(-3) = 0.$$

ანალოგიურად მივიღებთ, რომ როცა  $x = -2$ ,  $x = -1$ ,  $x = 0$ .

$$P(-2) = 0, \quad P(-1) = 0, \quad P(0) = 0.$$

მკითხველებს ვთხოვთ დამოუკიდებლად დაამტკიცონ, რომ  $x = 1$  მნიშვნელობის ჩასმა მოცემულ ფუნქციურ განტოლებაში არაფერს არ იძლევა.

რადგან  $P(x)$  მრავალწევრი წერტილებში  $-5, -4, -3, -2, -1, 0$  ხდება  $0$ -ის ტოლი, ამიტომ ის იყოფა ნამრავლზე:  $(x+5)(x+4)(x+3)(x+2)(x+1)x$ . ეს ნიშნავს, რომ

$$P(x) = x(x+1)(x+2)(x+3)(x+4)(x+5)Q(x).$$

სადაც  $Q(x)$  რაიმე მრავალწევრია.

$P(x)$ -ის მიღებული ჩანაწერი ჩავსვით მოცემულ ფუნქციურ განტოლებაში

$$(x-1)x(x+1)(x+2)(x+3)(x+4)(x+5)Q(x) = (x+5)(x+4)(x+3)(x+2)(x+1)x(x-1)Q(x-1).$$

საიდანაც,

$$Q(x) = Q(x-1).$$

კერძოდ, როცა

$$Q(0) = Q(1) = Q(2) = Q(3) = \dots = C$$

სადაც  $C$ -მუდმივია. ცხადია,  $Q(x) - C$  მრავალწევრს აქვს ფესვების უსასრულო სიმრავლე. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა  $Q(x) - C$  იგივურად ნულის ტოლია.

$$Q(x) - C = 0 \Rightarrow Q(x) = C.$$

მივიღეთ, რომ

$$P(x) = C \cdot x \cdot (x+1) \cdot (x+2) \cdot (x+3) \cdot (x+4) \cdot (x+5).$$

საჭიროა შემოწმება (შეასრულეთ დამოუკიდებლად), რომლითაც დადგინდება, რომ ეს მრავალწევრი ნებისმიერი  $C$ -თვის აკმაყოფილებს ფუნქციურ განტოლებას.

## რეზიუმე

საშუალო სკოლის მათემატიკის კურსში შეისწავლება მრავალწევრის მრავალწევრზე გაყოფა, ბეზუს თეორემა. ამ საკითხების განხილვისას მეთოდურად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოსწავლეებს შევასწავლოთ ბეზუს თეორემა მთელკოეფიციენტებიანი მრავალწევრებისთვის. რადგან ეს თეორემა თავისი დამტკიცებიანად სულ რამდენიმე წუთს მოითხოვს, ამიტომ მისი ჩართვა სასწავლო პროცესში რთული არ არის, ხოლო გამოყენება დიდი აქვს და მაღალი განმავითარებელი ეფექტით გამოირჩევა. ამიტომ ეს თეორემა მოსწავლეებს შევთავაზოთ ამოცანის სახით, დავუმტკიცოთ და შემდგომში გამოვიყენოთ სასწავლო პროცესში სხვა ამოცანების ამოსახსნელად. განხილულია სხვადასხვა სახის მთელკოეფიციენტებიანი მრავალწევრის შემცველი არასტანდარტული ამოცანა თავისი ამოხსნებით და მეთოდური რეკომენდაციებით. გაკეთებულია სათანადო დასკვნები.

**საკვანძო სიტყვები:** სკოლის მათემატიკა, მთელკოეფიციენტებიანი მრავალწევრები, არასტანდარტული ამოცანები, ამოხსნის ძიება, მეთოდური დასკვნები.

**Giorgi Berdzulishvili**

Akaki Tsereteli State University professor,  
Georgia, Tbilisi

**Giorgi Bregadze**

Andria Razmadze Kutaisi Physics-Mathematical School №41  
mentor teacher, doctor of education,  
Georgia, Kutaisi

## **Methodological features of solving non-standard problems containing polynomials with integer coefficients**

### **Summary**

In the high school math course, the division of polynomials by polynomials, Bezou's theorem, will be studied. When discussing these issues, we consider it methodically appropriate to teach the students Bezou's theorem for polynomials with integer coefficients. Since this theorem requires only a few minutes to prove, it is not difficult to include it in the learning process, and it has a large application and a high developmental effect. Therefore, we will present this theorem to students in the form of a problem, prove it and then use it to solve other problems in the educational process. A non-standard problem containing various integer coefficient polynomials with its solution and methodical recommendations is discussed. Appropriate conclusions are drawn.

**Key words:** school mathematics, polynomials with integer coefficients, non-standard problems, search for a solution, methodical conclusions.

**ვლადიმერ ადგიშვილი**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,  
საქართველო, ქუთაისი  
**ივანე გოქაძე**  
ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41-ე  
ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის  
მათემატიკის მენტორი მასწავლებელი,  
განათლების აკადემიური დოქტორი,  
საქართველო, ქუთაისი

## ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში განსახილავ განდობლებათა ამოხსნის ერთი მეთოდის შესახებ

სასკოლო კურსში, კლასგარეშე მეცადინეობის დროს, მათემატიკის კონკურსზე ან ოლიმპიადაზე მოსწავლეებს ზოგჯერ უწევთ ამოხსნან განტოლებები მთელ ან ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში. თუ ამოხსნის განტოლება მცირედით მაინც ცდება სტანდარტულ წრფივ, კვადრატულ, დიოფანტურ ან საზოგადოდ რომ ვთქვათ, სასკოლო სასწავლო კურსში კარგად დამუშავებულ განტოლებათა ტიპს, მაშინ მოსწავლეთა უმრავლესობას საკმაოდ უჭირს ამოცანის დაძლევა.

ქვემოთ განვიხილავთ გარკვეული კატეგორიის განტოლებებს, რომელთა ამოხსნაც მოითხოვება მთელ ან ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში და განვმარტავთ მათი ამოხსნის ერთ-ერთ მეთოდს, რომელიც შინაარსობრივად გულისხმობს, რომ მივაგნოთ ამოხსნის განტოლების ერთ-ერთი მხარის ისეთი ნიშან თვისებას, რომელიც ვერასოდეს ექნება იმავე განტოლების მეორე მხარეს (მცირე გამოწვევის შემთხვევების გარდა, რომელთაც ცალკე განვიხილავთ ხოლმე).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ განხილული ამოცანებიდან რამდენიმე (საწყისი სამეული) პირდაპირ უკავშირდება კვადრატული განტოლების ამოხსნის სტანდარტულ პრინციპს. კერძოდ, ჩვენს თემაში განხილული ამოცანებიდან პირველი სამეული ასევე შეიძლება ამოხსნას, რომ განვიხილოთ ისინი, როგორც კვადრატული განტოლება ერთი ცვლადის მიმართ და მოვთხოვოთ დისკრიმინანტს, რომ იყოს ზუსტი კვადრატი. ფაქტობრივად, მოსწავლეს ექნება საშუალება ამოცანის ამოხსნის მისთვის უკვე ნაცნობ მეთოდს შეხედოს სხვა კუთხითაც და ასევე უკვე არსებულ ცოდნას შემატოს ახალი. მეტი სიცხადისთვის, თუ რას გულისხმობს ჩვენი განსახილველი თემა, გთავაზობთ რამდენიმე პრაქტიკულ მაგალითს. გვჯერა, რომ თუ ეს ამოცანები ჯეროვნად და გასაგები ენით იქნება გარჩეული მოსწავლესთან, მაშინ უკვე შესაძლებელი იქნება მას შევთავაზოთ მსგავსი ამოცანები დამოუკიდებელი სამუშაოსთვის (ან დავალებად) და მოსალოდნელი წარმატება ნამდვილად იქნება ძალიან კარგი სტიმულის მიძემი განსაკუთრებით იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მათემატიკის სიღრმისეული შესწავლით. მეტი კომფორტისთვის რამდენიმე სავარჯიშოს დამოუკიდებლად სამუშაოდ გთავაზობთ სტატიის ბოლოში.

**ამოცანა №1.** ამოხსენით  $x^2 = y^2 + 5y + 6$  განტოლება ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში.

**ამოხსნა:** როგორც განტოლებიდან ჩანს, ტოლობის მარცხენა მხარე წარმოადგენს ნატურალური რიცხვის კვადრატს, შესაბამისად, ტოლობა რომ შესრულდეს მარჯვენა მხარეც უნდა წარმოადგენდეს იგივე ნატურალური რიცხვის კვადრატს. მაგრამ, თუ დავაკვირდებით მარტივად აღმოვაჩინოთ, რომ ტოლობის მარჯვენა მხარე მოექცევა ორი მომდევნო ნატურალური  $(y + 2)$  და  $(y + 3)$  რიცხვების კვადრატებს შორის

$$(y + 2)^2 < y^2 + 5y + 6 < (y + 3)^2$$

შესაბამისად,  $y^2 + 5y + 6$  ვერ იქნება სრული კვადრატი და ჩვენს განტოლებას არ აქვს ამონახსნი ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში.

**ამოცანა №2.** ამოხსენით  $4x^2 + 4x + 1 = 9y^2 + 13y + 1$  განტოლება ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში.

**ამოხსნა:** როგორც ამოსახსნელი განტოლებიდან ჩანს, ტოლობის მარცხენა მხარე წარმოადგენს ნატურალური რიცხვის კვადრატს, მართლაც:

$$4x^2 + 4x + 1 = (2x + 1)^2.$$

შესაბამისად, ტოლობა რომ შესრულდეს, მარჯვენა მხარეც უნდა წარმოადგენდეს იგივე ნატურალური რიცხვის კვადრატს.

თუ დავაკვირდებით შეამჩნევთ, რომ ტოლობის მარჯვენა მხარე მოექცევა ორი ნატურალური  $(3y + 1)$  და  $(3y + 3)$  რიცხვების კვადრატებს შორის

$$(3y + 1)^2 < 9y^2 + 13y + 1 < (3y + 3)^2.$$

შესაბამისად,  $9y^2 + 13y + 1$  მხოლოდ  $(3y + 2)$ -ის კვადრატს თუ გაუტოლდება.

ანუ, განსახილველი დაგვრჩა მხოლოდ ერთი შემთხვევა და ამოსახსნელია განტოლება

$$9y^2 + 13y + 1 = (3y + 2)^2$$

საიდანაც მარტივად მივიღებთ, რომ  $y = 3$ .

დავუბრუნდეთ, საწყის განტოლებას და მარტივად დავადგენთ, რომ  $x = 5$ .

**პასუხი:** განტოლების ამონახსნია წყვილი  $(5; 3)$

**ამოცანა №3.** ამოხსენით  $x^2 - x = y^2 + 4y + 5$  განტოლება ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში.

**ამოხსნა:** ამოსახსნელი განტოლება გადავწეროთ ასე:

$$x^2 - x - 1 = (y + 2)^2.$$

როგორც ამ უკანასკნელი განტოლებიდან ჩანს, ტოლობის მარჯვენა მხარე წარმოადგენს ნატურალური რიცხვის კვადრატს და ტოლობა რომ შესრულდეს, მარცხენა მხარეც უნდა წარმოადგენდეს იგივე ნატურალური რიცხვის კვადრატს.

მაგრამ, თუ დავაკვირდებით აღმოვაჩინებთ, რომ როცა  $x > 2$  მაშინ, უკანასკნელი ტოლობის მარცხენა მხარე მოთავსდება ორი მომდევნო ნატურალური რიცხვის კვადრატს შორის:

$$(x - 1)^2 < x^2 - x - 1 < x^2$$

ანუ იგი ვერ იქნება ვერცერთი ნატურალური რიცხვის კვადრატი.

ცალკე განვიხილოთ  $x = 1$  და  $x = 2$  შემთხვევები და იოლად დავრწმუნდებით, რომ ამოსახსნელ განტოლებას ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში არ აქვს ამონახსნი.

**ამოცანა №4.** ამოხსენით  $x^3 + 6x^2 + 10x + 14 = y^3$  განტოლება ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში.

**ამოხსნა:** განტოლების მარჯვენა მხარე წარმოადგენს ნატურალური რიცხვის სრულ კუბს. შესაბამისად, ტოლობის მარცხენა მხარეც უნდა წარმოადგენდეს იგივე ნატურალური რიცხვის კუბს.

თუ დავაკვირდებით შეამჩნევთ, რომ ტოლობის მარცხენა მხარე მოექცევა ორი ნატურალური  $(x + 1)$  და  $(x + 3)$  რიცხვების კუბებს შორის:

$$(x + 1)^3 < x^3 + 6x^2 + 10x + 14 < (x + 3)^3$$

შესაბამისად, განტოლებას რომ ჰქონდეს ამონახსნი აუცილებელია შესრულდეს

$$x^3 + 6x^2 + 10x + 14 = (x + 2)^3$$

აქედან გამომდინარეობს, რომ  $x = 3$  და  $y = x + 2 = 5$ .

**პასუხი:** განტოლების ამონახსნია წყვილი  $(3; 5)$

**ამოცანა №5.** ამოხსენით  $x^3 + 3x^2 + 3x = y^3 + 6y^2 + 12y + 6$  განტოლება ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში.

**ამოხსნა:** განტოლება გადავწეროთ, ასე:

$$x^3 + 3x^2 + 3x + 1 = y^3 + 6y^2 + 12y + 7$$

ანუ,  $(x + 1)^3 = y^3 + 6y^2 + 12y + 7$ .

მიღებული განტოლების (რომელიც საწყისის ტოლფასია) მარცხენა მხარე წარმოადგენს ნატურალური რიცხვის სრულ კუბს. შესაბამისად, ტოლობა რომ შესრულდეს, მარჯვენა მხარეც უნდა წარმოადგენდეს იგივე ნატურალური რიცხვის კუბს.



მაგრამ, უკანასკნელი ტოლობის მარჯვენა მხარე მოთავსდება ორი მომდევნო ნატურალური  $(y + 2)$  და  $(y + 3)$  რიცხვების კუბებს შორის. მართლაც, მარტივი შესამოწმებელია, რომ:

$$(y + 2)^3 < y^3 + 6y^2 + 12y + 7 < (y + 3)^3$$

შესაბამისად  $(y^3 + 6y^2 + 12y + 7)$  ვერ იქნება რამე ნატურალური რიცხვის კუბი.

**პასუხი:** განტოლებას ამონახსნი არ გააჩნია.

**ამოცანა №6.** ამოხსენით  $x^{4m} + 2x^{2m} + 8x^m = 4y^{2n} + 8y^n$  განტოლება ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში.

**ამოხსნა:** განტოლება გადავწეროთ ასე:

$$x^{4m} + 2x^{2m} + 8x^m + 4 = 4y^{2n} + 8y^n + 4$$

ეს იგივეა, რაც:

$$x^{4m} + 2x^{2m} + 8x^m + 4 = (2y^n + 2)^2$$

და რადგან მიღებული ტოლობის მარჯვენა მხარე წარმოადგენს ნატურალური რიცხვის კვადრატს, ამიტომ მარცხენა მხარეც უნდა წარმოადგენდეს იგივე რიცხვის კვადრატს. მარტივია იმის შემოწმება, რომ:

$$(x^{2m} + 1)^2 < x^{4m} + 2x^{2m} + 8x^m + 4 < (x^{2m} + 3)^2$$

უკანასკნელი ორმაგი უტოლობიდან გამომდინარე დავასკვნით: საწყის განტოლებას რომ ჰქონდეს ამონახსნი აუცილებელია შესრულდეს ტოლობა:

$$x^{4m} + 2x^{2m} + 8x^m + 4 = (x^{2m} + 2)^2,$$

საიდანაც ვღებულობთ რომ  $2x^{2m} = 8x^m$ , შესაბამისად  $x^m = 4$ . გამოდის, რომ  $x = 2$  და  $m = 2$  ან  $x = 4$  და  $m = 1$ .

განვიხილოთ, თითოეული შემთხვევა და მარტივად დავადგენთ (რადგან „პატარა“ რიცხვებია მიღებული), რომ განტოლებას ექნება სამი ამონახსნი, ესენია:

ა)  $x = 2$ ;  $m = 2$ ;  $y = 2$ ;  $n = 3$

ბ)  $x = 2$ ;  $m = 2$ ;  $y = 8$ ;  $n = 1$

გ)  $x = 4$ ;  $m = 1$ ;  $y = 2$ ;  $n = 1$

**ამოცანა №7.** ამოხსენით  $x^n + (n - 1)x^{n-1} + (n - 2)x^{n-2} + 2x^2 + x + 1 = y^n$  განტოლება ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში. გაითვალისწინეთ  $n \geq 3$ .

**ამოხსნა:** რადგან განტოლების მარჯვენა მხარე წარმოადგენს ნატურალური რიცხვის  $n$ -ურ ხარისხს, ტოლობა რომ შესრულდეს, აუცილებელია განტოლების მარცხენა მხარეც წარმოადგენდეს იგივე რიცხვის  $n$ -ურ ხარისხს. განტოლების მარცხენა მხრის შეფასებისას შეიძლება შევამჩნიოთ, რომ:

$$x^n < x^n + (n - 1)x^{n-1} + (n - 2)x^{n-2} + 2x^2 + x + 1 < (x + 1)^n$$

უკანასკნელი, ორმაგი უტოლობის მარცხენა მხარის ჭეშმარიტება აშკარაა, ხოლო, რაც შეეხება მარჯვენა მხარეს, მის საჩვენებლად საჭიროა გავიხსენოთ ის ფაქტი რომ

$$(x + 1)^n = x^n + C_n^1 x^{n-1} + C_n^2 x^{n-2} + \dots + C_n^{n-2} x^2 + C_n^{n-1} x + 1$$

ეს კი ნამდვილად მეტია  $x^n + (n - 1)x^{n-1} + (n - 2)x^{n-2} + 2x^2 + x + 1$ -ზე, რადგან როგორც ვიცით, თუ  $m \in \{1; 2; \dots; n\}$  მაშინ  $C_n^m > n - m$ , ე.ი.  $C_n^m x^{n-m} > (n - m)x^{n-m}$ .

დასკვნა: მოცემულ განტოლებას არ აქვს ამონახსნი

და ბოლოს, დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ამოცანას, დამოუკიდებლად სამუშაოდ:

1. ამოხსენით განტოლებები ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში.

ა)  $x^2 = y^2 - 5y + 7$

ბ)  $x^4 + x^2 = y^2 + y + 1$

გ)  $x^3 + 7x^2 + 5x + 1 = y^3 - 3y^2 + 3y$

2. მოძებნეთ ნატურალურ რიცხვთა ყველა  $(x; y)$  წყვილი, რომელთათვისაც სამართლიანია ტოლობა  $y^4 + y^3 + y^2 + y = x^2 + x$

3. მოძებნეთ ნატურალურ რიცხვთა ყველა  $(a; b)$  წყვილი რომელთათვისაც  $a^2 + 5b$  და  $b^2 + 5a$  გამოსახულებები ერთდროულად წარმოადგენენ ნატურალური რიცხვების კვადრატებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Engel A. Problem Solving Strategies (Springer)
2. Larson, L.C. Problem Solving through Problems (Springer)

**რეზიუმე**

სასკოლო კურსში, კლასგარეშე მეცადინეობის დროს, მათემატიკის კონკურსზე ან ოლიმპიადაზე მოსწავლეებს ზოგჯერ უწევთ ამოხსნან განტოლებები მთელ ან ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში. თუ ამოხსნის განტოლება მცირედით მაინც ცდება სტანდარტულ წრფივ, კვადრატულ, დიოფანტურ ან საზოგადოდ რომ ვთქვათ, სასკოლო სასწავლო კურსში კარგად დამუშავებულ განტოლებათა ტიპს, მაშინ მოსწავლეთა უმრავლესობას საკმაოდ უჭირს ამოცანის დაძლევა.

ნაშრომში განხილულია გარკვეული კატეგორიის განტოლებები, რომელთა ამოხსნაც მოითხოვება მთელ ან ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში და განმარტებულია მათი ამოხსნის ერთ-ერთ მეთოდი, რომელიც შინაარსობრივად გულისხმობს, რომ მივანოთ ამოხსნის განტოლების ერთ-ერთი მხარის ისეთი ნიშან თვისებას, რომელიც ვერასოდეს ექნება იმავე განტოლების მეორე მხარეს.

გვჯერა, რომ თუ ნაშრომში წარმოდგენილი ამოცანები მასწავლებლის მიერ ჯეროვნად და გასაგები ენით იქნება გარჩეული მოსწავლესთან, ნამდვილად იქნება ძალიან კარგი სტიმულის მიმცემი განსაკუთრებით იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მათემატიკის სიღრმისეული შესწავლით.

**საკვანძო სიტყვები:** მათემატიკა, ოლიმპიადა, განტოლება, არასტანდარტული, ამოხსნის მეთოდი.

**Vladimir Adeishvili**

Akaki Tsereteli State University Associate Professor,  
Georgia, Kutaisi

**Ivane Gokadze**

Andria Razmadze physics-mathematics №41 public school,  
Kutaisi, mathematics mentor teacher  
Academic Doctor of Education,  
Georgia, Kutaisi

**About one method of solving equations in the set of natural numbers**

**Summary**

In the school course, during extracurricular activities, in a math competition or in the Olympiad, students sometimes have to solve equations in integers or sets of natural numbers. If the equation to be solved deviates even a little from the standard linear, quadratic, Diophantine or, generally speaking, well-developed type of equations in the school curriculum, then the majority of students find it quite difficult to cope with the task.

The paper discusses certain categories of equations that require solving in whole or natural numbers and explains one of the methods of solving them, which essentially means to find a characteristic feature of one of the sides of the equation to be solved, which can never be found on the other side of the same equation.

We believe that if the tasks presented in the work are distinguished by the teacher in a clear and understandable language, it will really be a very good stimulus especially for those students who are interested in in-depth study of mathematics.

**Key words:** mathematics, Olympiad, equation, non-standard, solution method.

## ერთი სახის საძიებო ტექსტური მათემატიკური ამოცანები და მათი ამოხსნის მეთოდური თავისებურებები

ეს ისეთი ტექსტური ამოცანებია, რომლებშიც განიხილება ადამიანური შრომის ნაყოფიერება (არხების გათხრა, დეტალების გამოჩარხვა ადამიანის მიერ, ღობის შეღებვა, ხელნაწერის დაბეჭდვა და სხვ.) ან სხვადასხვა მექანიზმების წარმადობა (მიღების, ნასოსების, გვირაბის სათხრელი მანქანების, ტრაქტორების და სხვ.). ასეთი ამოცანების ამოხსნისას გამოიყენება ფორმულა

$$A = Pt,$$

სადაც  $A$  არის მთლიანად შესრულებული სამუშაოს მოცულობა,  $P$  - შრომის ნაყოფიერება, ანუ დროის ერთეულში შესრულებული სამუშაო,  $t$  - დრო, რომელიც საჭიროა მთელი სამუშაოს შესასრულებლად.

**ერთობლივი მუშაობა.** ძირითადი იდეა, რომელიც გატარებულია ერთობლივი მუშაობის შემცველ ტექსტურ ამოცანებში (არხების გაჭრა, დეტალების გამოჩარხვა ადამიანის მიერ, ღობის შეღებვა, ხელნაწერის ბეჭდვა და ა.შ.), არის ის, რომ სამუშაოს ასრულებს არა ერთი, არამედ რამდენიმე შემსრულებელი, რომელთაგან თითოეული მუშაობს მუდმივი შრომის ნაყოფიერებით.

ვთქვათ, შესასრულებელია რაიმე მოცულობის სამუშაო, რომლის შესრულება პირველ დასაქმებულს შეუძლია  $t_1$  დროში, მეორეს  $t_2$  დროში, ..., მე- $n$  დასაქმებულს -  $t_n$  დროში. მაშინ, თუ ისინი ერთად შეასრულებენ მთელ სამუშაოს, მაშინ მათ დაჭირდებათ დრო

$$T = \left( \frac{1}{t_1} + \frac{1}{t_2} + \dots + \frac{1}{t_n} \right)^{-1}.$$

**ამოცანა 1.** ავტობანის მშენებლობაზე გვირაბის გასათხრელად ორი ექსკავატორი დაიქირავეს. ერთ მათგანს შეუძლია საათში ორჯერ მეტი გვირაბის გათხრა, ვიდრე მეორეს. ხელშეკრულებით ორივე ექსკავატორს ყოველ სამუშაო საათზე ერთნაირად უხდიათ. რა უფრო იაფი დაჯდება - ექსკავატორების ერთობლივი მუშაობა ორივე მხრიდან შეხვედრამდე, თუ გვირაბის ნახევრი გათხროს ერთმა ექსკავატორმა და მეორე ნახევარი მეორე ექსკავატორმა?

აქ გასათვალისწინებელია, რომ იმ ექსკავატორის მიერ შესრულებული სამუშაოს ერთეული მოცულობა, რომელიც 2-ჯერ მეტ გვირაბს თხრის საათში, ვიდრე მეორე, ორჯერ უფრო იაფია, მეორე ექსკავატორის შესრულებული ერთეული სამუშაოს ღირებულებაზე. ამიტომ თუ ექსკავატორები იმუშავენ გვირაბის ორივე ბოლოდან შეხვედრამდე, მაშინ პირველი ექსკავატორი შეასრულებს მთელი სამუშაოს  $\frac{2}{3}$ -ს და აიღებს იმავე გასამრჯელოს, რასაც მეორე

ექსკავატორი მთელი სამუშაოს  $\frac{1}{3}$ -ის შესრულებაში. რაც ცხადია თანხის რაოდენობის მიხედვით, იმაზე ნაკლებია, ვიდრე გადაუხადონ ნახევარი სამუშაოს შეასრულებაში პირველ ექსკავატორს და ნახევარი სამუშაოს შესრულებაში მეორე ექსკავატორს.

**ამოცანა 2.** ხუთ დღეში ოთხი შავი და სამი წითელი ძროხა იძლევა იმდენ რძეს, რამდენ-საც სამი შავი და ხუთი წითელი ძროხა ოთხ დღეში. რომელი ფერის ძროხა იძლევა მეტ რძეს, შავი თუ წითელი?

ამოცანის პირობიდან ხუთ დღეში ოთხი შავი და სამი წითელი ძროხა იძლევა იმდენ რძეს, რამდენსაც სამი შავი და ხუთი წითელი ძროხა ოთხ დღეში, გამომდინარეობს, რომ 20 შავი ძროხა

და 15 წითელი ძროხა იძლევა იმავე რაოდენობის რძეს, რამდენსაც 12 შავი და 20 წითელი ძროხა. რაც ნიშნავს, რომ 8 შავი ძროხა იძლევა იმდენივე, რამდენსაც 5 წითელი ძროხა. შესაბამისად, ერთი წითელი ფერის ძროხა მეტ რძეს იწველის ვიდრე შავი ფერის ძროხა.

**ამოცანა 3.** აბაზანა ცივი წყლით ივსება 6 წუთსა და 40 წამში, ცხელი წყლით, კი-8 წუთში. თუ სავსე აბაზანის საცობს გავხსნით, აბაზანა დაიცლება 13 წუთსა და 20 წამში. რა დრო დაჭირდება აბაზანის ავსებას, თუ ერთდროულად გავხსნით ცივი და ცხელი წყლის მილებსაც და საცობსაც?

აბაზანის ცივი წყლით ავსების და აბაზანის საცობის გახსნით აბაზანის დაცლის დრო გამოსახულია წუთებსა და წამებში. სიმარტივისათვის დრო გამოვსახოთ წუთებში. ამოცანის პირობის ძალით, აბაზანა ცივი წყლით აივსება 6 წუთსა და 40 წამში, ანუ  $6\frac{2}{3}$  წუთში, ანუ  $\frac{20}{3}$

წუთში, საცობის გახსნის შემდეგ აბაზანა ივსება 13 წუთსა და 20 წამში, ანუ  $\frac{40}{3}$  წუთში. ერთ

წუთში ცივი წყლით ივსება აბაზანის  $\frac{3}{20}$ , ცხელი წყლით  $\frac{1}{8}$  ნაწილი, ხოლო ივსება აბაზანის

$\frac{3}{40}$  ნაწილი. შესაბამისად, 1 წუთის განმავლობაში ივსება აბაზანის

$$\frac{3}{20} + \frac{1}{8} - \frac{3}{40} = \frac{1}{5}$$

ნაწილი. რაც ნიშნავს, რომ მთელი აბაზანა აივსება 5 წუთში.

**ამოცანა 4.** ცხელი წყლის მილი აბაზანას 23 წუთში ავსებს, ხოლო ცივი წყლის-17 წუთში. მაკამ თავიდან მხოლოდ ცხელი წყლის მილი გახსნა. რამდენი წუთის შემდეგ უნდა გახსნას მან ცივი წყლის მილი, რომ აბაზანის ავსებისას მასში 1,5-ჯერ მეტი ცხელი წყალი იყოს, ვიდრე ცივი? იმისათვის, რომ აბაზანაში 1,5-ჯერ მეტი ცხელი წყალი იყოს, ვიდრე ცივი, ამისათვის ცივი

წყლით უნდა აივსოს ავზის  $\frac{2}{5}$  ნაწილი, ხოლო ცხელი წყლით ავზის- $\frac{3}{5}$  ნაწილი. მაშინ ცხელი

წყლის მილი უნდა გავხსნათ  $\frac{3}{5} \cdot 23 = \frac{69}{5}$  წუთი, ხოლო ცივი წყლის- $\frac{2}{5} \cdot 17 = \frac{34}{5}$  წუთი. რაც

ნიშნავს, რომ ცივი წყლის მილი უნდა გავხსნათ  $\frac{69}{5} - \frac{34}{5} = 7$  წუთის შემდეგ.

**ამოცანა 5.** სამხედრო დანაყოფის მესამედი ბანაკში დარჩა, დანარჩენები სროლაში სავარჯიშოდ წაიყვანეს. მათ, ვინც ბანაკში დარჩა, შეჰამა მთელი ბანაკის სადილისათვის მომზადებული საჭმელის მეოთხედი, ხოლო მათ, ვინც სადამოს სროლებიდან დაბრუნდა, მიიღეს სადილზე მისაღებ საჭმელზე ნახევარჯერ მეტი. სადილისთვის მომზადებული რამდენი ულუფა საჭმელი დარჩა?

სროლებზე სავარჯიშოდ წავიდა მთელი ბანაკის ორი მესამედი, რაც ორჯერ მეტია ბანაკში დარჩენილ სამხედროებზე. ვთქვათ, ბანაკში დარჩენილებმა შეჰამეს საჭმლის  $x$  ულუფა, რაც მთლიანად სადილად მომზადებული საჭმლის მეოთხედია, ე.ი. სულ სადილად მოუმზადებიათ  $4x$  ულუფა. თუ სროლებზე წასულებიც მიიღებდენ ისეთივე ულუფას, რაც დარჩენილებს მიცეს სადილზე, მაშინ ისინი შეჰამდნენ იმაზე ორჯერ მეტს, რაც დარჩენილებმა შეჰამეს სადილზე, ანუ  $2x$  ულუფას. მაგრამ, სროლებიდან დაბრუნებულ სამხედროებს მიცეს ერთნახევარჯერ მეტი, ამიტომ მათ სულ მიცეს  $3x$  ულუფა. რეალურად, სროლებიდან დაბრუნებულმა სამხედროებმა

შეჰამეს მთლიანად სადილად დამზადებული საჭმლის  $\frac{3}{4}$ . ხოლო, სადილად მომზადებული

მთლიანი საჭმლის  $\frac{1}{4}$  შეჰამეს სადილზე ბანაკში დარჩენილმა სამხედროებმა. ეს ნიშნავს, რომ სადილად მომზადებული კერძის არცერთი ულუფა არ დარჩენილა.

**ამოცანა 6.** პაატას მოეწონა ასაწყობი თავსატეხი, მან გადაწყვიტა მისი აწყობა, შეწებება და კედელზე დაკიდება. ერთ წუთში მან ორი ნაჭერი შეაერთა და შეაწება. მთელი თავსატეხის ერთ მთლიან სურათად აწყობას და შეწებებას ორი საათი მოუნდა. რა დროში ააწყობს და შეაწებებს პაატა სურათს, თუ ის ერთი წუთის განმავლობაში არა ორ, არამედ თავსატეხის სამ ნაჭერს შეაერთებს და შეაწებებს?

ერთ წუთში პაატა აკეთებდა ერთ შეწებვას და თავსატეხის აწყობაზე 2 საათი დახარჯა. თუ ის სამ ნაჭერს შეწებავდა, წუთში ორ შეწებვას გააკეთებდა, ე.ი. იმუშავებდა ორჯერ უფრო სწრაფად და შესაბამისად, დახარჯავდა 1 საათს.

**ამოცანა 7.** სამი მიწის მთხრელი ორმოს თხრის. ისინი რიგრიგობით მუშაობენ, თითო-ეული მიწის მთხრელი იმდენ ხანს მუშაობს, რამდენიც დანარჩენ ორ მიწისმთხრელს ერთად მუშაობით ჭირდება ნახევარი ორმოს გასათხრელად. ასე მუშაობით მათ ორმო ამოთხარეს. რამდენჯერ უფრო სწრაფად გათხრიდნენ სამივე მიწისმთხრელი ორმოს, თუ ერთდროულად იმუშავებდნენ?

ვთქვათ, სანამ ერთი მუშა თხრის ძირითად ორმოს, დანარჩენი ორი თხრის დამატებით ორმოს. მაშინ, ძირითად ორმოზე მუშაობის დასრულების შემდეგ, კიდევ ამოთხრიან დამატებით  $3 \cdot 0,5 = 1,5$  ორმოს. ამრიგად, ერთი ძირითადი ორმოს ამოთხრაში სამ მიწის-მთხრელს ერთად მუშაობით შეუძლიათ ამოთხარონ 2,5 ორმო. რაც ნიშნავს, რომ ერთად მუშაობით სამივე მიწისმთხრელი 2,5-ჯერ სწრაფად გათხრიან ორმოს.

**ამოცანა 8.** 100 ბლინის გამოსაცხოზად დედას ჭირდება 30 წუთი, ნინოს-40 წუთი. პაპუნას შეუძლია 100 ბლინი შეჭამოს ერთ საათში. დედა და ნინო ბლინებს აცხობენ შეუჩერებლად, ხოლო პაპუნა, ბლინებს შეუჩერებლად ჭამს. ამ პროცესის დაწყებიდან რა დროის შემდეგ დარჩება შეუჭმელი ზუსტად 100 ბლინი?

**I ხერხი.** დედა აცხობს 100 ბლინს ნახევარ საათში, რაც ნიშნავს, რომ ორ საათში გამოაცხობს 400 ბლინს. ნინო 100 ბლინს აცხობს 40 წუთში, ამიტომ 2 საათში გამოაცხობს 300 ბლინს. პაპუნა ორ საათში შეჭამს 200 ბლინს. ამიტომ ორ საათში შეუჭმელი დარჩება  $400 + 300 - 200 = 500$  (ბლინი).

ცხადია, შეუჭმელი რომ დარჩეს 100 ბლინი, ამისათვის საკმარისი იქნება 5-ჯერ ნაკლები დრო. ანუ,

$$120 : 5 = 24 \text{ (წუთი).}$$

**II ხერხი.** დედას შრომის ნაყოფიერებაა  $100 : 30 = 3\frac{1}{3}$  ბლინი წუთში. ნინოს შრომის ნაყოფიერება  $100 : 40 = 2\frac{1}{2}$  ბლინი წუთში, ხოლო პაპუნას შრომის ნაყოფიერება ბლინების ჭამაში არის  $100 : 60 = 1\frac{2}{3}$  ბლინი წუთში. დედას, ნინოს და პაპუნას ერთობლივი მოქმედებებით მაგიდაზე ყოველ წუთში დარჩება

$$3\frac{1}{3} + 2\frac{1}{2} - 1\frac{2}{3} = 4\frac{1}{6}$$

ბლინი. ცხადია, იმისათვის, რომ მაგიდაზე დარჩეს 100 ბლინი საჭიროა

$$100 : 4\frac{1}{6} = 100 : \frac{25}{6} = 100 \cdot \frac{6}{25} = 24 \text{ (წუთი).}$$

შევნიშნოთ, რომ ამოცანის ამოხსნა მთლად ზუსტი არ არის. რადგან პაპუნას ბლინების ჭამა შეუძლია მას შემდეგ, რაც გამოცხვება პირველი ბლინი, ანუ 0,3 წუთის შემდეგ, რაც დაიწყება პროცესი. ამიტომ, პროცესის 24 წუთის შემდეგ ნამდვილად დარჩება 100 ბლინი, მაგრამ ამ დროს პაპუნას ხელში დარჩება კიდევ შეუჭმელი ნახევარი ბლინი.

**ამოცანა 9.** მხატვართა კავშირის წევრ თითოეულ მხატვარს აქვს საკუთარი სამუშაო გრაფიკი. ექვსი მხატვარი ერთ ნახატს ხატავს ორ დღეში, სხვა რვა მხატვარი-თითო ნახატს ყოველ სამ დღეში, დანარჩენი მხატვრები არასოდეს ხატავენ. 22-დან 26 ოქტომბრამდე მათ სულ 30 ნახატი დახატეს. რამდენ ნახატს დახატავენ 27 ოქტომბერს?

ვნახოთ, რამდენ ნახატს დახატავენ მხატვრები 22 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვ-ლით. ექვსი მხატვარიდან თითოეული, რომელიც ერთ ნახატს ხატავს ყოველ ორ დღეში, დახატავს სამ სურათს (თითო ყოველ ორ დღეში 22-23, 24-25 და 26-27), ხოლო რვა მხატვრიდან თითოეული, რომელიც სამ დღეში ხატავს ერთ ნახატს დახატავს-ორ ნახატს. ამრიგად, ჯამში, მხატვრები დახატავენ  $6 \cdot 3 + 8 \cdot 2 = 34$  ნახატს. მას შემდეგ, რაც 22 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე ისინი დახატავენ 30 სურათს, 27 ოქტომბერს კი  $34 - 30 = 4$  ნახატს.

**ამოცანა 10.** ბიჭმა და კარლსონმა ერთდროულად დაიწყეს და დაამთავრეს ჭამა. შეჭამეს ერთი კასრი თაფლი და ერთი კალათა ნამცხვარი. თავიდან ბიჭი ჭამდა ნამცხვარს, კარლსონი-თაფლს. შემდეგ, რაღაც მომენტში მათ საჭმელი რაციონი შეცვალეს. კარლსონი თაფლსაც და ნამცხვარსაც სამჯერ უფრო სწრაფად ჭამს, ვიდრე ბიჭი. რა რაოდენობის თაფლი შეჭამა კარლსონმა, თუ ნამცხვარი მათ თანაბრად შეჭამეს?

რადგან ბიჭმა და კარლსონმა ნამცხვარი თანაბრად შეჭამეს, ამიტომ ბიჭი ნამცხვრის შეჭმას მოუნდომოდა სამჯერ მეტი დრო, ვიდრე კარლსონი. რადგან კარლსონმა და ბიჭმა ერთდროულად დაიწყეს და ერთდროულად დაამთავრეს ჭამა, ამიტომ კარლსონი თაფლს ჭამდა ზუსტად იმდენ ხანს, რამდენსაც ბიჭი ჭამდა ნამცხვარს (და პირიქით). ეს ნიშნავს, რომ კარლსონი თაფლს ჭამდა სამჯერ უფრო მეტი დროის მანძილზე და სამჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ბიჭი. ამიტომ კარლსონი შეჭამდა 9-ჯერ მეტ მურაბას, ვიდრე ბიჭი. ე.ი. კარლსონმა შეჭამა მთელი თაფლის  $\frac{9}{10}$  ნაწილი.

**ამოცანა 11.** ბალახი ერთნაირად თანაბრად იზრდება მთელ მდელოზე. ცნობილია, მდელოზე ამოსულ ბალახს 24 დღეში შეჭამდა 70 ძროხა ან 60 დღეში შეჭამდა 30 ძროხა. რამდენი ძროხა შეჭამდა მდელოზე ამოსულ ბალახს 96 დღეში?

ვთქვათ, ერთ დღეში ერთი ძროხა ჭამს 1 ულუფა ბალახს. მაშინ, მდელოზე 24 დღეში გაიზრდება  $70 \cdot 24 = 1680$  ულუფა ბალახი, ხოლო 60 დღეში  $30 \cdot 60 = 1800$  ულუფა ბალახი.  $60 - 24 = 36$  დღეში გაიზრდება  $30 \cdot 60 - 70 \cdot 24 = 120$  ულუფა ბალახი. ეს ნიშნავს, რომ 1800 ულუფის გარდა, რომელიც 30 ძროხამ შეჭამა 60 დღის განმავლობაში, ძროხის 120 ულუფა ბალახი ისევ გაიზრდება  $96 - 60 = 36$  დღეში. სულ მდელოზე იქნება 1920 ულუფა ბალახი. 1920 ულუფა ბალახს 96 დღეში შეჭამს

$$1920 : 96 = 20 \text{ (ძროხა).}$$

**ამოცანა 12.** გემის ტრიუმში ბზარი გაჩნდა. მაშინვე ჩართეს წყლის ტუმბო, რომელმაც სრულად ვერ ამოტუმბა წყალი, რის შედეგადაც ტრიუმში 10 წუთში წყლის დონემ 20 სმ-ით აიწია. ამის შემდეგ ჩართეს იმავე სიმძლავრის მეორე ტუმბო და 5 წუთის შემდეგ წყლის დონემ 10 სმ-მდე დაიწია. ამ დროს ბზარიც დაგმანეს. რა დროში ამოტუმბავს ორივე ტომბო დარჩენილ წყალს?

ბზარის დროს ერთი ჩართული ტუმბოთი წყლის დონე ტრიუმში წუთში ზევით იწევდა 2 სმ-ით, ხოლო ბზარის დროს ორი ჩართული ტუმბოთი წუთში ქვევით იწევდა 2 სმ-ით. რაც ნიშნავს, რომ ერთი ტუმბო წუთში ტრიუმშიდან ტუმბავს წყალს, რომლის სიმაღლე 4 სმ-ია. ორი ტუმბო ტრიუმშიდან 1 წთ-ში ამოტუმბავს 8 სმ სიმაღლის წყალს. 10 სმ სიმაღლის დარჩენილ წყალს ორი ტუმბო ამოქაჩავს  $10 : 8 = \frac{5}{4}$  (წთ), ანუ 75 წამში.

**ამოცანა 13.** ბრიგადას, რომელშიც რამდენიმე მუშაა 7 სრულ დღეში შეუძლია შეასრულოს იგივე მოცულობის სამუშაო, რასაც ეს ბრიგადა შეასრულებდა ორი წევრის გარეშე რამდენიმე სრულ დღეში ან ეს ბრიგადა შეასრულებდა ექვსი წევრის გარეშე რამდენიმე სრულ დღეში. რამდენი წევრია ბრიგადაში? (ყველა მუშის შრომის ნაყოფიერება ერთნაირია).

ვთქვათ, ბრიგადაში  $n$  მუშაა. თუ ამ ბრიგადას შევამცირებთ 2 მუშით, შემდეგ 6 მუშით, მაშინ შემცირებული ბრიგადები 7 დღის განმავლობაში ვერ შეასრულებენ შესაბამისად ერთი მუშის 14 და 42 ნორმას. აქედან გამომდინარეობს, რომ  $n - 2$  არის 14-ის გამყოფი, ხოლო  $n - 4$  არის 42-ის გამყოფი. ვინაიდან  $n > 6$ , ამიტომ

$$n - 2 = 7, \text{ ან } n - 2 = 14,$$

ანუ

$$n = 9 \text{ ან } n = 15.$$

ამ ამონახსნებიდან გამოდგება, მხოლოდ  $n = 9$ . ე.ი. 9 მუშა.

**ამოცანა 14.** ტბაში წყალი ამოდის მის ფსკერზე არსებული წყაროებიდან. 183 სპილოსაგან შემდგარ ჯოგს შეუძლია ტბის მთელი წყლის დაღევა 1 დღეში, ხოლო 37 სპილოსაგან შემდგარ ჯოგს კი-5 დღეში. რამდენ დღეში დაღევეს ერთი სპილო მთელი ტბის წყალს?

37 სპილო ხუთ დღეში სვამს იმდენს, რამდენიც  $37 \cdot 5 = 185$  სპილო ერთ დღეში. განსხვავება ორ სპილოში აიხსნება იმით, რომ ოთხ დღეში ტბის ფსკერზე არსებული წყაროებიდან ამოდის იმდენი წყალი, რამდენსაც ორი სპილო სვამს ერთ დღეში. ამრიგად, ტბას წყაროებიდან ყოველდღიურად ემატება იმდენი წყალი, რამდენსაც სვამს ერთი სპილო ნახევარ დღეში. ე.ი. ერთი პირობითად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ სპილო წყალს დღის ნახევარში სვამს ტბიდან და მეორე ნახევარში წყაროებიდან, ან პირიქით. ამიტომ, ერთ სპილოს ტბის მთელი წყლის დასაღევა დაჭირდება  $182,5 \cdot 2 = 365$  (დღე).

შევნიშნოთ, რომ მოსწავლეებში ზოგჯერ გაუგებრობას იწვევს 182,5 დღის გაჩენა, რომელიც მიიღება 183 დღისა და ნახევარი დღის სხვაობით. ამოცანის პირობიდან გვაქვს, რომ 183 სპილოსაგან შემდგარ ჯოგს შეუძლია ტბის მთელი წყლის დაღევა 1 დღეში. რაც ნიშნავს, რომ ტბის წყლის მთელი მარაგია ერთი სპილოს 182,5 დღეში შესმული წყლის რაოდენობა, ხოლო ერთი სპილოს ნახევარი დღის მანძილზე დასაღევი წყლის რაოდენობა ერთი დღის განმავლობაში ამოვა და დაემატება ტბის ფსკერზე არსებული წყაროებიდან.

**ამოცანა 15.** თეკლას აქვს მობილური ტელეფონი, რომლის სრულად დატენილი ბატარეა საკმარისია 6 საათის საუბრის, ან 210 საათი ლოდინის რეჟიმში ყოფნისას. როდესაც თეკლა მატარებელში ჩაჯდა, ტელეფონი სრულად დატენილი ქონდა, ხოლო როდესაც მატარებლიდან გადმოვიდა, ტელეფონი დამუხდარი იყო. რამდენ ხანს იმგზავრა თეკლამ მატარებლით, თუ ის ტელეფონზე ლაპარაკობდა მგზავრობის ზუსტად ნახევარი დროის მანძილზე?

**I ხერხი.** თეკლას მობილური ტელეფონის ბატარეა 1 საათი საუბრის და 1 საათი ლოდინის რეჟიმში ხარჯავს დამუხტული ენერჯის  $\frac{1}{6} + \frac{1}{120} = \frac{6}{35}$  ნაწილს. რადგან თეკლა ტელეფონზე ლაპარაკობდა მგზავრობის დროის ზუსტად ნახევარი დროის მანძილზე და არ ლაპარაკობდა იმდენივე დროის მანძილზე და მგზავრობის შემდეგ მობილური ტელეფონი განმუხტული იყო, ეს ნიშნავს, რომ თეკლას მატარებლით მგზავრობის სრული დროა  $2 \cdot \frac{35}{6} = 11\frac{2}{3}$  (სთ).

**II ხერხი.** თუ თეკლა მობილურ ტელეფონზე ისაუბრებდა 210·6 საათის განმავლობაში და ჩუმად იქნებოდა 210·6 საათის განმავლობაში, მაშინ ტელეფონი სულ დაჯდებოდა  $210 + 6 = 216$  -ჯერ. ფაქტობრივად, თეკლას მობილური ტელეფონი ერთხელ დაჯდა, რაც ნიშნავს, რომ თეკლა მობილურზე სულ საუბრობდა  $210 \cdot 6 : 216 = \frac{35}{6}$  სთ და ჩუმად იყო ზუსტად იმდენივე სთ. ე.ი.

თეკლა მატარებლით მგზავრობდა  $\frac{35}{3} = 11\frac{2}{3}$  (სთ), ანუ 11 საათი და 40 წუთი.

**ამოცანა 16.** ვაშლი ცურავს წყალში, ისე რომ, მისი  $\frac{1}{5}$  წყლის ზემოთაა, ხოლო  $\frac{4}{5}$  წყალშია.

წყალში ვაშლის ჭამა დაიწყო თევზმა 120 გრ/წთ სიჩარით, იმავე დროს წყალს ზემოთ ვაშლის ჭამა დაიწყო ჩიტმა 60 გრ/წთ სიჩქარით. ვაშლის რა ნაწილი შეხვდება თევზს და რა ნაწილი ჩიტს?

მოსწავლეებს უნდა განვეუბნოთ, რომ სანამ ვაშლს მთლიანად არ შეჭამენ თევზი და ჩიტი, მისი ნაწილი წყალს ზემოთ იქნება და ნაწილი წყალში. ვაშლის ჭამას თევზი და ჩიტი დაამთავრებენ ერთდროულად.

რადგან თევზი ორჯერ უფრო სწრაფად ჭამს, ვიდრე ჩიტი, ამიტომ ის ჩიტთან შედარებით შეჭამს ორჯერ მეტს. ე.ი. ვაშლის  $\frac{2}{3}$  -ს შეჭამს თევზი,  $\frac{1}{3}$  -ს ჩიტი.

საკმაოდ მრავალრიცხოვანი ამოცანების განხილვა გამოწვეულია იმით, რომ მუშაობასა და შრომის ნაყოფიერებაზე საძიებო და განმავითარებელი ტექსტური ამოცანების სახეები საკმაოდ მრავალფეროვანია, მათი ამოხსნაც ასევე შესაძლებელია განსხვავებული მეთოდური მიდგომებით და ხერხებით. მუშაობაზე და შრომის ნაყოფიერებაზე განმავითარებელი და საძიებო ტექსტური ამოცანების ამოხსნა ხელს უწყობს მოსწავლეებში ლოგიკური უნარების ჩამოყალიბებას, მოსწავლეები ახდენენ სიტუაციების ანალიზს და ცდილობენ დამოუკიდებლად მოძებნონ სწორი თეორიული გამოსავალი.

## რეზიუმე

ეს ისეთი ტექსტური ამოცანებია, რომლებშიც განიხილება ადამიანური შრომის ნაყოფიერება (არხების გათხრა, დეტალების გამოჩარხვა ადამიანის მიერ, ღობის შეღებვა, ხელნაწერის დაბეჭდვა და სხვ.) ან სხვადასხვა მექანიზმების წარმადობა (მილების, ნასოსების, გვირაბის სათხრელი მანქანების, ტრაქტორების და სხვ.). ასეთი ამოცანების ამოხსნისას გა-მოიყენება დამოკიდებულება, რომელშიც მთლიანად შესრულებული სამუშაოს მოცულობა ტოლია შრომის ნაყოფიერების, ანუ დროის ერთეულში შესრულებული სამუშაოს ნამრავ-ლისა იმ დროზე, რომელიც საჭიროა მთელი სამუშაოს შესასრულებლად.

ასევე განხილული გვაქვს ერთობლივი მუშაობა, რომლის ძირითადი იდეა, გატარებულია ერთობლივი მუშაობის შემცველ განმავითარებელ და საძიებო ტექსტურ ამოცანებში (არხების გაჭრა, დეტალების გამოჩარხვა ადამიანის მიერ, ღობის შეღებვა, ხელნაწერის ბეჭდვა და ა.შ.). ამ ამოცანების სიუჟეტებში სამუშაოს ასრულებს არა ერთი, არამედ რამდენიმე შემსრულებელი, რომელთაგან თითოეული მუშაობს მუდმივი შრომის ნაყოფიერებით. განხილულია შესაბამისი ამოცანები და გაკეთებულის შესაბამისი მეთოდური დასკვნები.

**საკვანძო სიტყვები:** ამოცანა, ამოხსნის ძიება, მუშაობა, შრომის ნაყოფიერება, ანალიზი.

Irma Chkhikvadze

Akaki Tsereteli State University assistant professor,  
Georgia, Kutaisi

## One type of exploratory textual mathematical problems and methodical features of their solution

### Summary

These are such types of textual tasks that consider the productivity of human labor (digging canals, reboring details by man, painting a fence, printing manuscript, etc.) or the productivity of various mechanisms (pipes, pumps, tunnel excavators, tractors, etc.). In solving such tasks, an attitude is used in which the volume of work performed is equal to the productivity of labor, i.e. the product of the work performed per unit of time required to complete the entire work.

We also discuss collaborative work, the basic idea of which is in developing and searching textual tasks involving collaborative work (digging canals, reboring details by man, painting a fence, printing manuscript, etc.). In the stories of these tasks, the work is performed not by one, but by several performers, each of whom works with the productivity of constant labor. Relevant tasks and relevant methodological conclusions are discussed.

**Key words:** task, search for a solution, work, labor productivity, analysis.



## ერთი სახის არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდური თავისებურებები

საშუალო სკოლაში ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი ისეთი შინაარსის ამოცანების განხილვას, რომლებიც დაკავშირებულია ნატურალური რიცხვების უმცირეს საერთო ჯერადთან და უდიდეს საერთო გამყოფთან, რომ აღარაფერი რომ არ ვთქვათ დასახელებული სახის არასტანდარტულ ამოცანებზე. ეს თემა კი მეტად ვრცელია და მრავალ განხრას მოიცავს: დამოკიდებულებას ორი რიცხვს, მათ უდიდეს საერთო გამყოფს და უმცირეს საერთო ჯერადს შორის, რამდენიმე რიცხვის უმცირესი საერთო ჯერადის პოვნას, ევკლიდეს ალგორითმს, რიცხვთა გაყოფადობის ნიშნების გამოყენებას, თეორემას ნაშთიანი გაყოფის შესახებ, რიცხვის გამოყოფთა რაოდენობის დადგენას, წილადების შეკვეცას, წილადის მიერ მთელი მნიშვნელობების მიღებას და სხვ. რომელთა განხილვა განსაკუთრებით ეხმარება მოსწავლეებს ლოგიკური აზროვნების განვითარებაში და ხელს უწყობს მათემატიკის სისტემატიური კურსის წარმატებით ათვისებას.

შევნიშნავთ, რომ მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებში არ ეძლევათ ისეთი სა-ხის ამოცანებიც კი, რომელთა ამოხსნა მარტივად შეიძლება ორი რიცხვის უდიდეს საერთო გამყოფსა და უმცირეს საერთო ჯერადს შორის დამოკიდებულებიდან და მისგან გამომდინარე შედეგებიდან, არ არის განხილული ევკლიდეს ალგორითმი, მისი თვისებები და გამოყენება. ნაკლები ყურადღება ეთმობა სასკოლო სახელმძღვანელოებში რიცხვის გამოყოფის რაოდენობის გამოთვლას. სასკოლო კურსში არ განიხილება ისეთი სახის ამოცანები, რომელთა საშუალებით ხდება ჩამოთვლილი საკითხების შესახებ მიცემული თეორიული მასალის განმტკიცება, რადგან ამ საკითხების შესახებ თეორიული მასალა სასკოლო წიგნებში არ არის, ხოლო მისი მოძიება ქართულ ენაზე ლიტერატურის ნაკლებობის გამო სირთულეს წარმოადგენს.

შევეცდებით გარკვეულად შევაგვსოთ ეს ხარვეზი, მოვიყვანოთ დასახელებული ზოგიერთი საკითხის შესახებ თეორიული მასალა და მათი პრაქტიკული გამოყენება.

სასკოლო მეცადინეობაზე ჯგუფთან შესაძლებელია პრაქტიკულად ვაჩვენოთ ევკლიდეს ალგორითმის გამოყენება  $a$  და  $b$  ( $a > b$ ), ნატურალური რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფის პოვნისათვის, რომელსაც განხილვის შემდეგ ჩამოვუყალიბებთ წესის სახით:

$$\text{უსგ}(a, b) = \text{უსგ}(a - b, b).$$

ორი ნატურალური რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფი ტოლია ამ რიცხვებიდან დიდი და მცირე რიცხვების სხვაობით მიღებული რიცხვისა და მცირე რიცხვს შორის შორის უმცირესი საერთო გამყოფისა.

ამის შემდეგ მიზანშეწონილია მისგან გამომდინარე შედეგების გაცნობა. კერძოდ:

**თვისება 1.**  $\text{უსგ}(a, b) = \text{უსგ}(a, a + b)$ .

**თვისება 2.**  $\text{უსგ}(a, b) = \text{უსგ}(a, a - b)$ .

ასევე მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ ნატურალური რიცხვის გამოყოფის გამოთვლის წესი. კერძოდ, ნებისმიერი  $N$  რიცხვისათვის მისი გამოყოფის რაოდენობა გამოითვლება ასე:

ვთქვათ,  $N$  რიცხვის დაშლას მარტივ  $p_1, p_2, \dots, p_n$  თანამამრავლთა ნამრავლად აქვს სახე:

$$N = p_1^{\alpha_1} p_2^{\alpha_2} \dots p_n^{\alpha_n},$$

სადაც  $\alpha_1, \alpha_2, \dots, \alpha_n \in N$ , მაშინ  $\alpha_1 \in \{0, 1, 2, \dots, \alpha_1\}$ , რაოდენობა  $(\alpha_1 + 1)$ ,  $\alpha_2 \in \{0, 1, 2, \dots, \alpha_2\}$ , რაოდენობა  $(\alpha_2 + 1)$ , ...,  $\alpha_n \in \{0, 1, 2, \dots, \alpha_n\}$ , რაოდენობა  $(\alpha_n + 1)$ . ე.ი.  $N$  რიცხვის გამოყოფთა რაოდენობა ტოლია:

$$(\alpha_1 + 1)(\alpha_2 + 1) \cdots (\alpha_n + 1).$$

იმ მასალის გამეორების შემდეგ, რაც სასკოლო სახელმძღვანელოებშია მოცემული და ჩვენს მიერ მოწოდებული მასალის გაცნობის შემდეგ მიზანშეწონილია თემატიკის შემცველი ამოცანები ჩავრთოთ სასკოლო მეცადინეობაზე. რადგან ასეთი ტიპის ამოცანების მოძიება საკმაოდ ძნელია, ამიტომ გთავაზობთ ჩვენი აზრით ისეთებს, რომლებიც დაგეგმა-რებათ პრაქტიკაში. უნდა შევნიშნოთ, რომ ამოცანების სიმრავლეც ამ მიზეზითაა განპირობებული. შევთანხმდეთ და არასტანდარტული ამოცანები რიცხვთა გაყოფადობაზე დავეყოთ ნაწილებად: 1. ამოცანები საერთო გამყოფებზე, უდიდეს საერთო გამყოფზე; 2. ამოცანები საერთო ჯერადებზე, უმცირეს საერთო ჯერადზე და 3. სხვადასხვა სახის ამოცანები. განვიხილოთ თითოეული სახის ამოცანების ამოხსნის მეთოდური თავისებურებები.

### 1. ამოცანები საერთო გამყოფებზე, უდიდეს საერთო გამყოფზე

**ამოცანა 1.** დაამტკიცეთ, რომ წილადი  $\frac{12n+1}{30n+1}$  უკვეცია.

რადგან  $5(12n+1) - 2(30n+1) = 3$ , ამიტომ, უსჯ (12n + 1; 30n + 1) ან 1-ის ან 3-ის ტოლია. მაგრამ არც 12n + 1 და არც 30n + 1 სამზე არ იყოფიან. ამიტომ მოცემული წილადი უკვეცია.

**ამოცანა 2.** დაამტკიცეთ, რომ რიცხვები  $27x+4$  და  $18x+3$  ურთიერთმარტივია  $x$ -ის ნებისმიერი ნატურალური მნიშვნელობისათვის.

ეს ამოცანა წინა ამოცანის მსგავსია, მაგრამ სხვაგვარად არის ფორმირებული. ისე, რომ იყოს ფორმირებული, როგორც წინა ამოცანა მაშინ ამოცანის პირობას ექნებოდა სახე:

დაამტკიცეთ, რომ არ იკვეცება წილადი

$$\frac{27x+4}{18x+3}.$$

თუ წილადი იქნება კვეცადი, მაშინ წილადის მნიშვნელს და მრიცხველს ექნება საერთო მამრავლი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ადგილი აქვს ტოლობას:

$$3(18x+3) - 2(27x+4) = 1,$$

გამოვიტანთ დასკვნას, რომ 1-იც უნდა გაიყოს ამ მამრავლზე, რაც შეუძლებელია. ე.ი. რიცხვები  $27x+4$  და  $18x+3$  ურთიერთმარტივია  $x$ -ის ნებისმიერი ნატურალური მნიშვნელობისათვის.

**ამოცანა 3.** კუნძულ კვინტოეთის მცხოვრებლები, ისევე როგორც ჩვენ, დღე-ღამეს ყოფენ რამდენიმე საათად, საათს რამდენიმე წუთად, წუთებს-რამდენიმე წამად. მაგრამ მათ დღე-ღამეში 77 წუთი, ხოლო საათში 91 წამია. რამდენი წამია დღე-ღამეში კუნძულ კვინტოეთზე? (კვინტოეთი, ფულის ერთეული-კვინტო-ავტორის მიერ გამოგონილია).

თუ გავყოფთ 77-ს საათში წუთების რაოდენობაზე, მივიღებთ დღე-ღამეში საათების რაოდენობას. თუ გავყოფთ 91-ს წუთების რაოდენობაზე საათში, მივიღებთ წუთში წამების რაოდენობას. ეს ნიშნავს, რომ 77 და 91 უნაშთოდ იყოფა საათში წუთების რაოდენობაზე. მაგრამ,

$$\text{უსგ}(77; 91) = 7.$$

რადგან საათში 1 წუთზე მეტია, ამიტომ კუნძულ კვინტოეთზე ერთ საათში უნდა იყოს ზუსტად 7 წუთი და არავითარ შემთხვევაში სხვა რიცხვი, რადგან 7-სგან განსხვავებულ სხვა რიცხვზე 77 და 91 ერთდროულად არ იყოფა. მაშინ დღე-ღამეში კუნძულ კვინტოეთზე საათების რაოდენობა ტოლია  $77 : 7 = 11$ , დღე-ღამეში სულ კუნძულ კვინტოეთზე  $11 \cdot 91 = 1001$  წამია.

**ამოცანა 4.** დაამტკიცეთ, რომ წილადები უკვეცია ნებისმიერი  $n$  ნატურალური რიცხვისათვის

$$a) \frac{2n+13}{n+7}; b) \frac{2n^2-1}{n+1}; g) \frac{n^2-n+1}{n^2+1}.$$

ადვილი საჩვენებელია, რომ a)  $2(n+7) - (2n+13) = 1$ . ეს ნიშნავს, რომ

$$\text{უსგ}(2n + 13; n + 7) = 1.$$

ბ)  $2n^2 - 1 - 2(n + 1)(n - 1) = 1$ . ეს ნიშნავს, რომ  $\text{უსგ}(2n^2 - 1; n + 1) = 1$ .

გ)  $n^2 + 1 - (n^2 - n + 1) = n$ . ეს ნიშნავს, რომ  $\text{უსგ}(n^2 + 1; n^2 - n + 1) = 1$ .

**ამოცანა 5.** რომელ ნატურალურ რიცხვებზე შეიძლება შეკვეცვით წილადი  $\frac{3m - n}{5n + 2m}$ , თუ ცნობილია, რომ წილადი კვეცადია და  $m$  და  $n$  რიცხვები ურთიერთმარტივია.

თუ  $3m - n$  და  $5n + 2m$  იყოფა  $d$ -ზე, მაშინ

$$17m = 5(3m - n) + 5n + 2m \quad \text{და} \quad 17n = 3(5n + 2m) - 2(3m - n)$$

რიცხვებიც იყოფა  $d$ -ზე. მაგრამ  $\text{უსგ}(17m, 17n) = 17$ . ე.ი.  $d = 17$ . მაგალითად, ეს შესაძლებელია, როცა  $m = 1, n = 3$  (ან  $m = 6, n = 1$ ).

**ამოცანა 6.** ქალაქ კვინტოეთის ზარაფხანამ მისი 57-ე სკოლის საიუბილეოდ მოჭრა 57 კვინტოს ნომინალის მონეტა. ხოლო 239-ე სკოლის საიუბილეოდ 239 კვინტოს ნომინალის მონეტა. არცერთ სკოლას გული რომ არ დაწყვეტოდა ორივე შემთხვევაში ზარაფხანამ მოჭრა კვინტოების ერთნაირი რაოდენობა. შეუძლიათ თუ არა ზურას და მის 36 მეგობარს თანაბრად გაიყონ ყველა გამოშვებული მონეტა?

შეუძლიათ. რიცხვები 57 და 239 ურთიერთმარტივია, ამიტომ 57 კვინტოს რაოდენობის მონეტები ტოლია  $239n$ . ხოლო 239 კვინტოს ნომინალის მონეტები  $57n$ , სადაც  $n$  - რაიმე ნატურალური რიცხვია. ამრიგად, სულ კვინტოეთის ზარაფხანამ სულ გამოუშვა

$$(239 + 57)n = 296n$$

მონეტა. რადგან 296 იყოფა 37-ზე, ამიტომ ზურა და მისი 36 მეგობარი გამოშვებულ მონეტებს თანაბრად გაიყოფენ.

შესაძლოა ნატურალური რიცხვების უმცირესი საერთო ჯერადის და უდიდესი საერთო გამყოფის განხილვა მეთოდურად დაფუძვნიროთ მთელ რიცხვებში განტოლებათა ამოხსნას, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას. მაგალითად,  $ax + by = c$  განტოლების მთელ რიცხვებში ამონახსნებისათვის სამართლიანია ასეთი დებულება:

**ამოცანა 7.**  $a, b, c$ -მთელი რიცხვებია.  $a$  და  $b$  ნულისაგან განსხვავებული რიცხვებია. დაამტკიცეთ, რომ  $ax + by = c$  განტოლებას მთელ რიცხვებში ამონახსნი აქვს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა  $a$  რიცხვი იყოფა  $a$  და  $b$  რიცხვების უდიდეს საერთო  $d$  გამყოფზე.

აქვე შევნიშნოთ, რომ ამ დებულების დამტკიცება მოსწავლეებს არაფერს ახალს არ შემატებს, დებულება ღირებულია გამოყენების თვალსაზრისით. თუ მოსწავლეებს დააინტრესებს ამ დებულების დამტკიცება, ის რთული არ არის. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია შემოვიფარგლოთ მეთოდური მითითებით, კერძოდ მოსწავლეებს განვუმარტოთ, დებულების აუცილებლობა და საკმარისობა:

**აუცილებლობა:** ნებისმიერი  $ax + by$  სახის რიცხვი იყოფა  $a$  და  $b$  რიცხვების უდიდეს საერთო  $d$  გამყოფზე.

**საკმარისობა:** საკმარისია შევამოწმოთ, რომ ამონახსნი აქვს  $ax + by = d$  განტოლებას. გარდა ამისა შესაძლებელია ჩავთვალოთ, რომ  $a$  და  $b$  რიცხვები დადებითია.

**ამოცანა 8.** იპოვეთ მთელი  $n$  რიცხვი, რომელზეც შეიძლება შეიკვეცოს წილადები:

ა)  $\frac{n^2 + 2n + 4}{n^2 + n + 3}$ ; ბ)  $\frac{n^3 - n^2 - 3n}{n^2 - n + 3}$ .

ა) გარდავექმნათ გამოსახულებები:

$$\frac{n^2 + 2n + 4}{n^2 + n + 3} = \frac{(n^2 + n + 3) + (n + 1)}{n^2 + n + 3} = 1 + \frac{n + 1}{n^2 + n + 3};$$

$$\frac{n^2 + n + 3}{n + 1} = \frac{n(n + 1) + 3}{n + 1} = n + \frac{3}{n + 1}.$$

ე.ი. უსგ( $n^2 + 2n + 4, n^2 + n + 3$ ) = უსგ( $n + 1, 3$ ),

ამიტომ წილადი შეკვეცა შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა უსგ( $n + 1, 3$ ) = 3, ანუ როცა  $n = 3k - 1$ , სადაც  $k$  ნატურალური რიცხვია.

ბ) წინა შემთხვევის ანალოგიურად გარდავქმნათ გამოსახულება, მივიღებთ:

$$\text{უსგ}(n^3 - n^2 - 3n, n^2 - n + 3) = \text{უსგ}(n^2 - n + 3, 6n).$$

ანუ წილადი შეიძლება შეიკვეცოს ან 2-ზე, ან 3-ზე, ან  $n$  რიცხვის რომელიმე გამყოფზე. 2-ზე შეკვეცა შეუძლებელია, რადგან  $n^2 - n + 3$  ყოველთვის კენტია (რატომ? დაასაბუთეთ). 3-ზე გაყოფის შემთხვევაში  $n$  რიცხვი უნდა იყოს ან  $3k$  ან  $3k - 1$ . მესამე შემთხვევაში უსგ( $n^2 - n + 3, n$ ) = უსგ( $n, 3$ ). ამიტომ,  $n$  რიცხვი ისევ უნდა იყოს  $3k$  სახის. ე.ი. წილადი შეკვეცა შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა  $n = 3k - 1$  ან  $n = 3k$ , სადაც  $k$  ნატურალური რიცხვია.

მეთოდურად მიზაბშეწონილია, რომ ზოგჯერ თეორემები მოსწავლეებს შევთავაზოთ ამოცანების სახით და მოვახდინოთ ამ თეორემების დამტკიცება საკლასო მეცადინეობაზე. საშინაო დავალებად რთული თეორემების ამოცანების სახით მოსწავლეებისათვის მიცემა მეთოდურად გამართლებულად არ მიგვაჩნია. მაგალითად, საკლასო მეცადინეობაზე მასწავლებელმა შეიძლება განიხილოს ასეთი თეორემა:

**ამოცანა 9.** ვთქვათ,  $a, b, c, d, l$  - მთელი რიცხვებია. დაამტკიცეთ, რომ თუ წილადი  $\frac{al + b}{cl + d}$

იკვეცება რაიმე  $k$  რიცხვზე, მაშინ  $ad - bc$  იყოფა  $k$  -ზე.

რადგან პირობის ძალით  $\frac{al + b}{cl + d}$  წილადი იკვეცება  $k$  რიცხვზე, ამიტომ,

$$al + b = kn, \quad cl + d = km.$$

ცხადია, რომ ამ გამოსახულებების ჯამი და სხვაობა აგრეთვე იყოფა  $k$  რიცხვზე. გვაქვს:

$$(a + c)l = k(n + m) - (b + d);$$

$$(a - c)l = k(n - m) - (b - d).$$

საიდანაც გვაქვს:

$$\frac{a + c}{a - c} = \frac{k(n + m) - (b + d)}{k(n - m) - (b - d)}.$$

პროპორციის თვისებიდან დაწერეთ:  $ab - cd = k(ma - nc)$ . რაც ნიშნავს, რომ  $ab - cd$  იყოფა  $k$  -ზე.

**ამოცანა 10.** ნაცარქექიამ და ბომბორამ გზაზე 11 კვინტოიანების შეკვრა იპოვეს და ამ ფუ-ლით კაფეში შევიდნენ. ნაცარქექიამ 3 ჭიქა ყავა დალია, 4 ნამცხვარი და 5 ნაჭერი ტორტიც ზედ მიაყოლა, ხოლო ბომბორამ 9 ჭიქა ყავა დალია, 1 ნამცხვარი და 4 ნაჭერი ტორტი შეჭამა. ჭიქა ყავა, ნამცხვარი და ტორტის ნაჭერი კვინტოების მთელი რიცხვი ღირს. აღმოჩნდა, რომ ნაცარქექიას შეუძლია თავისი დანახარჯის გადახდა 11 კვინტოიანებით, ხურდის დაბრუნების გარეშე. აჩვენეთ, რომ თავისი დანახარჯის გადახდა 11 კვინტოიანებით, ხურდის დაბრუნების გარეშე შეუძლია ბომბორასაც.

რადგან ნაცარქექიამ თავისი დანახარჯი გადაიხდა 11 კვინტოიანებით, ხურდის დაბრუნების გარეშე და ჭიქა ყავა, ნამცხვარი და ტორტის ნაჭერი კვინტოების მთელი რიცხვი ღირს, ამიტომ კვინტოების მთელ რიცხვს გადაიხდიდა ნაცარქექია მაშინაც, თუ მისი დანახარჯი იქნებოდა 3-ჯერ მეტი, ე.ი. ის დალევდა 9 ჭიქა ყავას, მიირთმევდა 3 ნამცხვარს და 12 ნაჭერ ტორტს. თუ ამას გამოვაკლებთ იმას, რაც მიირთვა ბომბორამ, გვექნება, ნაცარქექიას შეეძლო მიერთვა ბომბორაზე

11 ნამცხვრით და 11 ტორტის ნაჭერით მეტი. ცხადია, რომ 11 ნამცხვრის და 11 ტორტის ნაჭრის ღირებულების თანხის გადახდა შესაძლებელია 11 კვინ-ტოიანებით ხურდის დაბრუნების გარეშე. რაც საბოლოო ჯამში იძლევა საფუძველს, რომ გავაკეთოთ დასკვნა: ბომბორასაც შეუძლია თავისი დანახარჯის გადახდა 11 კვინ-ტოი-ანებით, ხურდის დაბრუნების გარეშე.

**ამოცანა 11.** რიცხვი 2-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 1-ს, ხოლო 3-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 2-ს. რისი ტოლი იქნება ნაშთი ამ რიცხვის 6-ზე გაყოფისას?

6-ზე გაყოფისას შესაძლებელია მივიღოთ ერთ-ერთი ნაშთი რიცხვებიდან 0, 1, 2, 3, 4 ან 5. არაუარყოფით მთელ რიცხვთა სიმრავლე შესაძლებელია დავყოთ თანაუკვეთ რიცხვით სიმრავლეებად:

$$6k, 6k + 1, 6k + 2, 6k + 3, 6k + 4, 6k + 5. \text{ სადა } k = 0, 1, 2, 3, \dots$$

ამ სიმრავლეებიდან  $6k, 6k + 2, 6k + 4$  ლუწი რიცხვებისაგან შედგება და არ გამოდგება. რაც შეეხება  $6k + 1$  სახის რიცხვებს, ისინი 3-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 1-ს, ხოლო  $6k + 3$  სახის რიცხვები უნაშთოდ იყოფა 3-ზე. ე.ი. ამ სახის რიცხვებიც არ გამოდგება. დაგვრჩა  $6k + 5$  სახის რიცხვები, რომლებიც 2-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 1-ს, ხოლო 3-ზე გაყოფისას 2-ს. ასეთი  $6k + 5$  სახის რიცხვები 6-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 5-ს.

### რეზიუმე

საშუალო სკოლაში ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი რიცხვთა გაყოფადობაზე ამოცანების განხილვას, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთი სახის არასტანდარტულ ამოცანებზე. ეს თემა კი მეტად ვრცელია და მრავალ მიმართულებას მოიცავს, რომლებიც მოსწავლეებში აყალიბებს ლოგიკური აზროვნებას და ხელს უწყობს მათემატიკის სისტემატიური კურსის წარმატებით ათვისებას. ამ თემებზე თეორიული მასალა სასკოლო წიგნებში არ არის, ხოლო მისი მოძიება ქართულ ენაზე ლიტერატურის არ არსებობის გამო სირთულეს წარმოადგენს. თეორიული მასალა მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მიაწოდოს ამოცანების სახით, ხოლო თემატიკის შემცველი ამოცანები უნდა ჩავრთოთ სასკოლო მეცადინეობაზე შესაბამისი საკითხების გავლისას.

სტატიაში განვიხილეთ ისეთი ამოცანები, რომლებიც დაეხმარებათ მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც პრაქტიკული მიზნების განხორციელებაში. არასტანდარტული ამოცანები რიცხვთა გაყოფადობაზე დავყავით ნაწილებად: 1. ამოცანები საერთო გამყოფებზე, უდიდეს საერთო გამყოფზე; 2. ამოცანები საერთო ჯერადებზე, უმცირეს საერთო ჯერადზე და 3. სხვადასხვა სახის ამოცანები. განვიხილეთ თითოეული სახის ამოცანების ამოხსნა და მკითხველს შევთავაზეთ ასეთი ამოცანების ამოხსნის მეთოდური თავისებურებები.

**საკვანძო სიტყვები:** ამოცანა, გაყოფადობა, უმცირესი საერთო ჯერადი, უდიდესი საერთო გამყოფი, ამოხსნა, მეთოდი.

Nana Oniani-Saginadze  
Akaki Tsereteli State University Associate Professor,  
Georgia, Kutaisi

### **Non-standard problems on the division of numbers and methodical features of their solution Summary**

In high school, there is less attention given to the discussion of problems on the division of numbers, let alone non-standard problems of this kind. This topic is very extensive and includes many directions, which form logical thinking in students and contribute to the successful assimilation of the systematic course of mathematics. There is no theoretical material on these topics in school books, and finding it is difficult due to the lack of literature in the Georgian language. The teacher should provide the theoretical material to the students in the form of tasks, and the tasks containing the topic should be included in the school curriculum when passing relevant issues.

In the article, we discussed such tasks that will help both teachers and students to achieve practical goals. We divided the non-standard problems on the division of numbers into parts: 1. problems on common divisors, on the greatest common divisor; 2. problems on common multiples, least common multiple and 3. different types of problems. We discussed the solution of each type of problem and offered the reader methodical features of solving such problems.

**Key words:** task, division, least common multiple, greatest common divisor, solution, method.

თეიმურაზ გიორგაძე  
ასოცირებული პროფესორი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ქუთაისი

## მათემატიკის სწავლების პროცესში ამოცანების როლისა და მნიშვნელობის შესახებ


მათემატიკური სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი პირობის გააზრებაა. მათემატიკური ამოცანის თავისებურება ის არის, რომ მის ტექსტში პირდაპირ არ არის მითითებული, თუ რომელი მოქმედება ან მოქმედებები შესრულდეს იმისათვის, რომ კითხვაზე პასუხი გაიცეს.

ამოცანის ძირითადი ელემენტებია პირობა და კითხვა. რიცხვითი მონაცემები პირობის ელემენტებს წარმოადგენს, ხოლო საძიებელი რიცხვი ყოველთვის კითხვაში მდგომარეობს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში კითხვა შეიძლება შეიცავდეს პირობის ნაწილს, ან შესაძლოა, მთელი ამოცანა ფორმულირებული იყოს ერთი კითხვითი წინადადებების სახით. ზოგჯერ გვხვდება ამოცანები, სადაც რიცხვითი მონაცემები არ არის. ასეთი ამოცანები მითითებული ნიშნებისა და კავშირების საფუძველზე ლოგიკური მსჯელობის შედეგად იხსნება და კეთდება შესაბამისი დასკვნა. მაგალითად, მეოთხე კლასის ყველა მოსწავლემ იცის ცურვა, ლევანი სწავლობს ამ კლასში; იცის თუ არა ლევანმა ცურვა?

გვხვდება ისეთი ამოცანებიც, სადაც კითხვა არ არის. მაგალითად, იპოვეთ რიცხვი, რომელიც 21-ს 2-ჯერ აღემატება. ასევე კითხვები არ არის გამოყოფილი ამოცანებში, რომლებიც დამტკიცების საშუალებით იხსნება; მაგალითად, დაამტკიცეთ, რომ ორი კენტი რიცხვის ჯამი ლუწია.


მათემატიკური ამოცანის ამოხსნისას მოსწავლე შეიმეცნებს მრავალ ახალ სიტუაციას, რომელიც ამოცანაშია აღწერილი, შეიმეცნებს ამოხსნის ახალ მეთოდს, რომელიც ამოცანის ამოხსნისთვისაა აუცილებელი და ა.შ. სხვა სიტყვებით, მათემატიკური ამოცანების ამოხსნის დროს მოსწავლე იძენს ახალ ცოდნას, იმედებს თავის მათემატიკურ განათლებას. ამოცანების რომელიმე კლასის ამოხსნის მეთოდის დაუფლებისას მოსწავლეს უყალიბებდა ასეთი ამოცანების ამოხსნის უნარი, ხოლო საკმარისი ვარჯიშის შედეგად ჩვევაც, რაც აგრეთვე, ამდლეს მის მათემატიკურ განათლებას.

მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას მოსწავლე ეუფლება მათემატიკური ცოდნის პრაქტიკული საჭიროებისათვის გამოყენების ხერხებს, ემზადება პრაქტიკული საქმიანობისათვის შემდგომში, ემზადება ამოცანების ამოხსნისათვის, რომელსაც მის წინაშე დასვამს ცხოვრებისეული პრაქტიკა. ამოცანების ამოხსნა მიაჩვევს მოსწავლეს სხვადასხვა კომუნიკაციის ხერხებს, გამოუმუშავებს მოვლენების ახსნასა და მათი განჭვრეტის უნარს, ასწავლის სხვადასხვა ტიპის მოდელების შექმნას, რაც მომავალში სიტუაციების გასაანალიზებლად და პრობლემების გადასაჭრელად დასჭირდება. მაგალითად განვიხილოთ შემდეგი ამოცანა:



შეერთეთ A A-სთან, B B-სთან და C C-სთან, ისე რომ შემართებული ხაზები არ გადაიკვეთოს.

ამოხსნა. ამოხსნა შეიძლება წარმოვადგინოთ ნახაზის სახით:



შეიძლება ამოხსნის სხვა ვარიანტიც იქნას წარმოდგენილი.

განუზომლად დიდია ამოცანების მნიშვნელობა მოსწავლეთა აზროვნების განვითარებაში. მათემატიკური ამოცანების ამოხსნა აჩვენებს მოსწავლეებს, გამოყოს წანამძღვრები და დასკვნები, მოცემულობები; შეადაროს, შეაპირისპიროს ერთმანეთს ფაქტები. ამოცანის ამოხსნისას უყალიბდება სწორი აზროვნება და სწავლობს სრულყოფილ არგუმენტაციას. ამოცანების ამოხსნისას მოსწავლეს უყალიბდება აზროვნების განსაკუთრებული სტილი: მსჯელობის ფორმა. ლურ-ლოგიკური სქემის დაცვა, მიზნების ლაკონიურობის გამოხატვა, აზროვნების მიმდინარეობის მკაფიო დანაწევრება და ა.შ.

უპირველეს ყოვლისა, აღმზრდელიობითი მნიშვნელობა აქვს ამოცანის ფაბულას, მის ტექსტობრივ შინაარსს. ამიტომ ამოცანების ტექსტების შერჩევა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის მაღალი ზნეობრივი მახასიათებლების აღზრდაზე, სწორი მსოფლმხედველობის გამომუშავებაზე. აქ დიდი როლი ენიჭება არა მარტო ამოცანის ფაბულას, არამედ მათემატიკური ამოცანის ამოხსნის პროცესს საერთოდ. თუ ამოცანების ამოხსნის სწავლების მთელი მეთოდიკური სისტემა სწორადაა აგებული, მაშინ მოსწავლეებში იზრდება და ვითარდება მკაფიოობისა და სამართლიანობის გრძნობა, დაჟინებულობა სიმძნელეთა გადალახვაში, მისი ამხანაგების შრომის პატივისცემა, ვითარდება ნებისყოფა, მეხსიერება, პუნქტუალობა და სიფაქიზე.

ყოველი კონკრეტული სასწავლო მათემატიკური ამოცანა იმიტომ შემოდის სასწავლო პროცესში, რომ ის გამოყენებულ იქნას რომელიმე ან რამდენიმე მიზნის განსახორციელებლად. ეს მიზნებია: პედაგოგიური, დიდაქტიკური, სასწავლო. ეს მიზნები ხასიათდება როგორც ამოცანის შინაარსით, ისე მისი იმ დანიშნულებით, რომელსაც მას აძლევს მასწავლებელი. დიდაქტიკური მიზნები, რომლებსაც მასწავლებელი ამოცანებს უყურებს, სრულიად განსაზღვრავენ ამოცანების როლს მათემატიკის სწავლების პროცესში. თუ გავითვალისწინებთ ამოცანის შინაარსსა და ამოცანის დიდაქტიკურ მიზნებს, რომლებიც ეკისრება მას სწავლების



პროცესში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწავლებაში ამოცანის როლი მრავალფეროვანია. სწავლების ალზრდისა და განვითარების ზოგად პედაგოგიური შინაარსიდან გამომდინარე ამოცანის ყველა როლი დაიყვანება შემდეგზე: სასწავლო, განვითარებული და აღმზრდელობითი, რომელთაგან წამყვანია ამოცანის მასწავლებლური როლი.

სასწავლო როლის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ამოცანების შემდეგი სახეები:

1. ამოცანები, რომლებიც ორიენტირებულია მათემატიკური ცნების შეთვისებაზე. ცნობილია, რომ მათემატიკური ცნებების ფორმირება მიმდინარეობს ცნებაზე, მათ განსაზღვრაზე და თვისებებზე გაწეული შრომით. მოსწავლე ცნებას რომ დაეუფლოს, ამისათვის საკმარისი როდია იცოდეს მისი განსაზღვრა, აქ აუცილებელია მას ჰქონდეს მკაფიო ცოდნა ამ ცნების თვისებებისა; ეს კი მიიღწევა მხოლოდ ამოცანების ამოხსნით და შესაბამისი სავარჯიშოების შესრულებით.

2. ამოცანები, რომლებიც ორიენტირებულია მათემატიკური სიმბოლიკის უფლებაზე. მათემატიკის სწავლების ერთ-ერთი მიზანია, რომ მოსწავლე დაეუფლოს მათემატიკურ ენას. მათემატიკური ენა, უპირველესად, მათემატიკურ სიმბოლიკის სწორი გამოყენების სწავლება, შესაძლებელია ამოცანების ამოხსნისას. შესასწავლი სიმბოლიკის დაუფლებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ამოცანის პირობისა და ამოხსნის ჩანაწერებში სწორ გამოყენებას.

3. ამოცანები, რომლებიც ორიენტირებულია დამტკიცების, არგუმენტირების, დასაბუთების ჩვევების ფორმირებაზე. უმარტივესი ამოცანები, რომელთა ამოხსნითაც იწყება დასაბუთების, დამტკიცების მოთხოვნა, - ეს არის ამოცანა-კითხვები და ელემენტარული ამოცანები გამოკვლევაზე. მაგალითად, საინტერესო რიცხვია 1089 და არა მარტო იმიტომ რომ ის 33-ის კვადრატია (33 ქრისტეს ასაკია) და 1089 წელს დავით აღმაშენებელი გამეფდა; ავიღოთ ნებისმიერი სამნიშნა რიცხვი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ ორ პირობას:

ა) ერთეულების ციფრი 0 არ არის.

ბ) ასეულების ციფრი მეტია ათეულების ციფრზე და ათეულების ციფრი მეტია ერთეულების ციფრზე.

მაგალითად, ავიღოთ რიცხვი 321, გვაქვს:

$$321-123=198 \text{ და } 198+891=1089,$$

ასევე, გვაქვს რიცხვი 421-სათვის:

$$421-124=297 \text{ და } 297+792=1089.$$

დავამტკიცოთ, რომ ამ ორი მოთხოვნით შედგენილი ნებისმიერი სამნიშნა რიცხვი აკმაყოფილებს აღნიშნულ თვისებას, ანუ დავამტკიცოთ რიცხვი 1089 არის განსაკუთრებული რიცხვი.

დამტკიცება. ვთქვათ,  $a, b$  და  $c$  ციფრებია, მასთან  $C \neq 0$  და  $a > b > c$ . შევადგინოთ ამ ციფრებისაგან სამნიშნა რიცხვი, რომელსაც ექნება სახე  $100a+10b+c$ ; მაშინ გვექნება:

$$(100a+10b+c)-(100c+10b+a)=99a-99c=99(a-c)$$

$a$  და  $c$  ციფრებს შორის სხვაობა, მოცემულობის თანახმად არანაკლებია 2-ზე; ე.ი.  $99(a-c)$  შეიძლება იყოს:  $99 \cdot 2, 99 \cdot 3, 99 \cdot 4, 99 \cdot 5, 99 \cdot 6, 99 \cdot 7$  და  $99 \cdot 8$ . თითოეული ამ რიცხვისა და მისი ციფრების შებრუნებული თანმიმდევრობით ჩაწერილი რიცხვების ჯამი ტოლია 1089-ის. მართლაც,  $99 \cdot 2=198$  და  $198+891=1089$ ;  $99 \cdot 3=297$  და  $297+792=1089$ ;  $99 \cdot 4=396$  და  $396+693=1089$ ;  $99 \cdot 5=495$  და  $495+594=1089$ ;  $99 \cdot 6=594$  და  $594+495=1089$ ;  $99 \cdot 7=693$  და  $693+396=1089$ ;  $99 \cdot 8=792$  და  $792+297=1089$ . ყველა შემთხვევა განხილულია და ამრიგად, დამტკიცდა რიცხვი 1089-ის განსაკუთრებულობა.

ფსიქოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ერთი და იგივე კლასის სხვადასხვა მოსწავლეს ამოცანის აღქმის სხვადასხვა უნარი აქვს. მათემატიკისაკენ მიდრეკილი მოსწავლე აღიქვამს ამოცანის ერთეულად ელემენტებსაც, მისი ურთიერთდაკავშირებული ელემენტების

კომპლექსსაც და ამ კომპლექსში ყოველი ელემენტის როლსაც. საშუალო მოსწავლე აღიქვამს მხოლოდ ცალკეულ ელემენტებს. ამიტომ ამოცანების ამოხსნის სწავლებისას აუცილებელია მოსწავლეებთან ამოცანის ელემენტების ურთიერთკავშირებისა და მათ შორის მიმართებების სპეციალური ანალიზის ჩატარება. ამოცანის ამოხსნის დროს დიდ როლს თამაშობს მეხსიერება. მათემატიკისადმი მიდრეკილი მოსწავლის ინდივიდუალური მეხსიერება ინახავს არა მთელ ინფორმაციას, არამედ უპირატესად „განზოგადებულ ასოციაციებს“.

მათემატიკური ამოცანების სწორად ორგანიზებული ამოხსნა ზრდის მოსწავლეებში გონებრივი შრომის ისეთ ჩვევებს, როგორცაა: სიბეჯითე, ყურადღებიაზობა, მიზიდულობა. იზრდება და ვითარდება პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა, ეჩვევიან აკურატულობას, ლაკონიურობას და სიზუსტეს მათემატიკურ მეტყველებაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

მასწავლებლის ბიბლიოთეკა ინტერაქტიური მეთოდები, თბილისი, 2014 წელი.

<http://mastsavlebeli.ge>

**რეზიუმე**

მათემატიკური სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი პირობის გააზრებაა. მათემატიკური ამოცანის თავისებურება ის არის, რომ მის ტექსტში პირდაპირ არ არის მითითებული, თუ რომელი მოქმედება ან მოქმედებები შესრულდეს იმისათვის, რომ კითხვაზე პასუხი გაიცეს.

სტატიაში განვიხილავთ ამოცანის ძირითად ელემენტებს და ისეთ ამოცანებს, სადაც კითხვა არ არის. აქვე განვიხილავთ მოსწავლეთა შემეცნების ახალ სიტუაციებს.

სტატიაში საუბარია, ამოცანების იმ მეთოდების დაუფლებაზე, რომელიც მოსწავლეებს უყალიბებს საჭირო მათემატიკურ უნარ-ჩვევებს.

მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას მოსწავლე ეუფლება მათემატიკური ცოდნის პრაქტიკული საჭიროებისათვის გამოყენების ხერხებს და ემზადება შემდგომი პრაქტიკული საქმიანობისათვის. ამოცანების ამოხსნა მიაჩვევს მოსწავლეს სხვადასხვა კომუნიკაციის ხერხებს, გამოუმუშავებს მოვლენების ახსნასა და მათი განჭვრეტის უნარს, ასწავლის სხვადასხვა ტიპის მოდელების შექმნას.

**საკვანძო სიტყვები:** ლაკონიურობა; სიზუსტე; დამტკიცება; პედაგოგიური; დიდაქტიკური; სასწავლო;

**About the role and importance of tasks in the process of teaching mathematics**  
**Summary**

One of the important issues when solving mathematical exercises and problems is understanding the condition. The peculiarity of a mathematical problem is that its text does not directly indicate which action or actions should be performed in order to answer the question.

In the article, we will discuss the main elements of the task and those tasks where there is no question. Here we will discuss the new situations of students' knowledge.

The article talks about the mastering of the methods of the tasks, which form students the necessary mathematical skills.

When solving mathematical problems, the student learns the ways of using mathematical knowledge for practical needs and prepares for semi-practical activities. Solving the problems will accustom the student to different communication methods, develop the ability to explain events and foresee them, and teach the creation of different types of models.

თეონა აბრამიშვილი

სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლის მათემატიკის  
წამყვანი მასწავლებელი, დოქტორანტი,  
საქართველო, ქუთაისი

## საძიებო ამოცანები, როგორც დაწყებითი კლასების მოსწავლეების მათემატიკური აზროვნების განვითარების საშუალება

დაწყებითი სკოლის ყველა მასწავლებელს სურს მისი მოსწავლეები ენთუზიაზმით, ინტერესით სწავლობდნენ მათემატიკას. ისწავლონ არა მხოლოდ თვლა-ანგარიში, არამედ აზროვნებაც, რათა დაწყებითი საფეხურის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებში ჩამოყალიბებული იყოს როგორც ალგორითმული, ისე ლოგიკური და სივრცითი აზროვნება.

ამის მიღწევა შესაძლებელია დაწყებითი კლასებში მათემატიკის შესწავლისას, მოსწავლეების მიერ ცნებების შესწავლის დაწყებიდან საძიებო ამოცანების ჩათვლით, რომლებიც სცილდება დაწყებითი კლასების მათემატიკის სასწავლო პროგრამას. ასეთ ამოცანებს შორის დიდი წილი უნდა მოდიოდეს გასართობი ხასიათის ლოგიკურ ამოცანებზე. მათ ამოსახსნელად მოსწავლეებს სჭირდებათ სიღრმისეული ძიება, რომლის ამოხსნის შედეგად ხშირად მოსწავლეებისთვის რამდენადმე მოულოდნელია. ასეთი ამოცანების პირობები ხშირად უჩვეულოდ არის ფორმულირებული, ზოგჯერ ამოცანის ამოხსნა საკმაოდ მარტივია, მაგრამ მოითხოვს მოსწავლის მნიშვნელოვან გონებრივ ძალისხმევას ამოცანის პირობაში მოცემული მონაცემების სრულფასოვნად გასაგებად. ასეთი ამოცანების ამოხსნისთვის საჭირო მათემატიკური ცოდნა და უნარები არ უნდა გაცდეს მოსწავლეებისთვის მათემატიკის პროგრამიდან ნასწავლ მასალას, მაგრამ ამოხსნის პროცესში ზოგჯერ შეიძლება გამოყენებული იქნეს ამოცანის ამოხსნის ისეთი ხერხები ან/და მეთოდები, რომლებიც არ შედის მათემატიკის სასკოლო პროგრამაში.

დაწყებითი კლასების მათემატიკის ყველა მასწავლებელს სურს თავის მოსწავლეებს ასწავლოს საძიებო ამოცანების ამოხსნისთვის საჭირო მიდგომები, ხერხები ან/და მეთოდები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება ასეთი ამოცანების ამოხსნაში. ამოცანების ამოხსნის გზების ძიება და მიდგომები შეიძლება დაფუძნებული იყოს ლოგიკურ ცხრილებზე, გრაფიკებზე, განზოგადებაზე, აბსტრაქციაზე, ანალიზზე, ეილერ-ვენის დიაგრამებზე და სხვ., რომელთა გამოყენებით მოსწავლეები მარტივად მოახერხებენ საძიებო ამოცანების ამოხსნას.

საძიებო ამოცანების მათემატიკის გაკვეთილზე ჩართვისას შეიძლება მეთოდურად ზოგჯერ მიზანშეწონილიც კი არ იყოს ერთი და იმავე მათემატიკის მასწავლებლის მიერ ერთი კლასის სხვადასხვა პარალელურ ჯგუფებში ერთი და იგივე ამოცანების განხილვა, რადგან მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ არა მარტო ერთი და იგივე კლასის სხვადასხვა პარალელურ ჯგუფში განსხვავდება მოსწავლეების მომზადების დონე, არამედ მოსწავლეთა მათემატიკური ცოდნის დონე საკმაოდ განსხვავებული შეიძლება იყოს ერთსა და იმავე კლასის მოსწავლეებს შორისაც კი, რადგან ერთი ჯგუფის მოსწავლეები ერთმანეთისაგან შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ინტელექტით და აზროვნების დონეების მიხედვით.

დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებელმა თითოეულ კლასში განსახილავი ამოცანები უნდა დააღაგოს გაკვეთილზე ჯგუფთან განსახილავ, ან მოსწავლეებისთვის ინდივიდუალურად მისაცემ საშინაო დავალებისთვის ან კლასგარეშე აქტივობისთვის, მათ შორის მათემატიკის წრის მეცადინეობაზე განსახილველად. საჭირო მასალის შერჩევასა და მასწავლებელი თითოეული მოსწავლისათვის არჩევს იმ სირთულის ამოცანას, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება მოსწავლის ასაკობრივ და გონებრივ განვითარებასთან, მის ფსიქო-

ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, ამავე დროს მასწავლებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მოსწავლისთვის მიცემული საძიებო ამოცანის ამოხსნას მოსწავლე შეძლებს დამოუკიდებლად, რადგან საძიებო ამოცანის ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე მოსწავლეს შეიძლება მშობელი ვერ დაეხმაროს და ამოცანის ამოუხსნელობამ მოსწავლეში მათემატიკის შესწავლისადმი გულაცრუება გამოიწვიოს. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა ამოხსნას მოსწავლეებთან განსახილველი, თუ საშინაო დავალებისთვის განკუთვნილი თითოეული ამოცანა და დაადგინოს, რამდენად რთულია საძიებელი ამოცანა, რა დრო შეიძლება დაჭირდეს მის ამოხსნას შეესაბამება თუ არა იგი მოცემულ გაკვეთილის თემას, კლასგარეშე მეცადინეობის თემატიკას ან გაკვეთილზე განხილულ ამოცანის ამოხსნის ხერხს.

საშინაო დავალებები მათემატიკის შესწავლის პროცესში დაწყებითი კლასების მოსწავლეების განვითარებასა და მათემატიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე მიზანმიმართული და სისტემატური მუშაობის ორგანიზების ერთ-ერთი აქტიური საშუალებაა. საშინაო დავალებად მიცემული მათემატიკური ამოცანების ამოხსნით მოსწავლეები იძენენ ახალ მათემატიკურ ცოდნას, ააქტიურებენ გონებას, ახდენენ მიღებული ცოდნის კონსოლიდაციას და უნარების გაუმჯობესებას.

მათემატიკური ამოცანების ამოხსნა დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ასწავლის დაუკავშირონ ერთმანეთს ამოცანის პირობა და დასკვნა, ამოიციონ ამოცანის პირობაში ის მონაცემები, რომლებიც ეხმარება მათ საძიებელი სიდიდეების პოვნაში. ამოცანის ამოხსნის გზის ძიების პროცესში ხდება ამოცანის პირობაში მოცემული მონაცემების და ფაქტების შეპირისპირება და შედარება. ამ შინაარსით და ფორმით წარმართული ამოცანის ამოხსნის გზის ძიების პროცესი ხელს უწყობს დაწყებითი კლასის მოსწავლეებში სწორი აზროვნების ჩამოყალიბებას და მათ უყალიბდებათ ფაქტების ან/და მოვლენების მიმართ სრულფასოვანი არგუმენტაციის უნარები, მათში ვითარდება აზროვნების განსაკუთრებული სტილი, ნარჩუნდება მსჯელობის ლოგიკური სქემა. მოსწავლე აზრებს გამოთქვამს ლაკონიურად, სწორად იყენებს მათემატიკურ სიმბოლოებს და უყალიბდება ფაქტების და მოვლენების სწორად და მრავალმხრივ აღქმის უნარები.

ამოცანები მათემატიკაში მოსწავლეთა ცოდნის მონიტორინგისა და შეფასების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. დაწყებითი კლასების მოსწავლეების მიერ ტექსტური ამოცანების დამოუკიდებლად ამოხსნა შესაძლებელია განხილული იქნეს როგორც მოსწავლემასწავლებელს შორის უკუკავშირის საშუალება, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ არითმეტიკული ან სხვა მოქმედებების სწორად შერჩევისა და შესრულების უნარი, ხოლო მასწავლებლებს-განსაჯონ სკოლის მოსწავლეთა აზროვნების განვითარება.

მოსწავლეების შესაფასებლად ამოცანები შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ახალი ცოდნის დანერგვის და ბავშვების მიერ უკვე შეძენილი ცოდნის გამოყენების საშუალება, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მსოფლმხედველობის ელემენტების ფორმირებაში. ამოცანების ამოხსნით მოსწავლე რწმუნდება, რომ ბევრი მათემატიკური ცნება (რიცხვი, არითმეტიკული მოქმედებები და ა.შ.) გამომდინარეობს რეალური ცხოვრებიდან, ადამიანების პრაქტიკული საქმიანობიდან.

დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების ერთ-ერთი ამოცანაა მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეს მათემატიკური კულტურა, რომელიც აუცილებელია სკოლის მოსწავლეების საგანმანათლებლო საქმიანობაში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის. მათემატიკა უნიკალური საშუალებაა ინდივიდის არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ ზოგადად, გონებრივად განვითარების და ინტელექტუალური პოტენციალის ფორმირებისთვის.

დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლები აწყდებიან პრობლემებს მოსწავლეთა მათემატიკური აზროვნების განვითარებაში, ე.ი. პრობლემებია მათემატიკურ ობიექტებზე

აგებულ თეორიულ აზროვნებაში, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია დაწყებითი კლასის მოსწავლეებში აბსტრაქტული მათემატიკური ცნებების წარმატებით დაუფლებაში. ამასთან დაკავშირებით პრობლემები ჩნდება დაწყებითი სკოლის მოსწავლეებში მათემატიკური აზროვნების ეფექტური განვითარების პირობების ძიებასა და განსაზღვრაში.

ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით ჯერ ამოცანის ამოხსნის გზის ძიება და შემდეგ ამოცანის ამოხსნის პროცესი დადებით ზეგავლენას ახდენს დაწყებითი კლასების მოსწავლეების გონებრივ განვითარებაზე, რადგან, როგორც ამოცანის ამოხსნის გზის ძიება, ისე ამოცანის ამოხსნის პროცესი მოითხოვს ისეთი გონებრივი ოპერაციების შესრულებას, როგორებიცაა: ანალიზი და სინთეზი, კონკრეტიზაცია და აბსტრაქცია, შედარება, განზოგადება და სხვ. ამრიგად, ნებისმიერი ამოცანის ამოხსნისას მოსწავლე ახორციელებს ანალიზს, გამოყოფს კითხვას პირობიდან, ირჩევს მონაცემებს და საჭირო რიცხვებს; ამოცანის ამოხსნის გეგმის შედგენისას კი ახორციელებს სინთეზს, კერძოდ კი კონკრეტიზაციას-გონებაში ახდენს ამოცანის წარმოდგენას მდგომარეობათა სივრცეში და ირჩევს საჭირო არითმეტიკულ ან სხვა მოქმედებას.

საძიებო მათემატიკური ამოცანების სისტემატური ამოხსნის შედეგად მოსწავლეში ყალიბდება უნარი და ისინი ახდენენ იმ ცოდნის განზოგადებას, რომელიც არსებობს ამოცანის პირობების მონაცემებსა და საპოვნ სიდიდეებს შორის არსებულ ღია და ფარულ კავშირებში, რასაც საბოლოოდ მოსწავლეები მიჰყავს ამ სახის საძიებო ამოცანების ამოხსნის ზოგად მეთოდთან.

მათემატიკურ აზროვნებას აქვს თავისი სპეციფიკური თავისებურებები და მახასიათებლები. მათემატიკური აზროვნება არის ძალიან აბსტრაქტული და თეორიული, რომლის ობიექტები ძალიან ხშირად რეალური ობიექტებიც კი არ არიან და სხვადასხვა მოსწავლის მიერ მოხდეს ამ ობიექტების თვითნებური ინტერპრეტაცია, მაგრამ დაცული უნდა იქნეს პირობა, რომ შენარჩუნდება ამოცანის პირობაში ობიექტებს შორის მითითებული ურთიერთობები.

დაწყებით კლასებში საძიებო ამოცანების ამოხსნისას ყალიბდება მოსწავლეთა ლოგიკური აზროვნება და გონებრივი უნარები, მათთან ერთად აღქმა და მეხსიერება. საძიებო მათემატიკური ამოცანების ამოხსნა მოითხოვს მრავალი გონებრივი უნარის გამოყენებას: მოცემული სიტუაციის გაანალიზებას, ახალი მონაცემების მოძიებას და ამოცანის პირობებში მოცემულ მონაცემებთან შედარებას, ამოსახსნელი ამოცანის შედარებას ადრე ამოხსნილ მსგავს ამოცანებთან, ამოცანის პირობაში მოცემული სიტუაციიდან ფარული თვისებების გამოვლენას, მათემატიკური მოდელების აგებას, სააზროვნო ექსპერიმენტის ჩატარებას, სინთეზირებას, ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მონაცემების ან/და ინფორმაციის შერჩევას, სისტემატიზაციას, გრაფიკულ წარმოდგენებს, მოსწავლის მოსაზრებების მოკლედ და ნათლად ჩამოყალიბებას, ამოცანის ამოხსნისას მიღებული შედეგების ობიექტურად შეფასებას, ამოხსნილი ამოცანის განზოგადებას, ამოცანაში ყველა შესაძლო და განსაკუთრებული შემთხვევების გამოკვლევას და ა.შ. ყოველივე ზემოთქმული მეტყველებს საძიებო ამოცანების ამოხსნის სწავლებისას ფსიქოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინების აუცილებლობაზე [3].

მათემატიკის შეგნებული შესწავლა და მოსწავლეთა აზროვნების განვითარების სტიმულირება ხდება ამოხსნილი საძიებო ამოცანების მსგავსი საძიებო მათემატიკური ამოცანების მოსწავლეების მიერ დამოუკიდებლად შედგენით. მოსწავლეების მიერ საძიებო ამოცანების დამოუკიდებლად შედგენით პირველ რიგში ხდება მოსწავლეების დამოუკიდებლობის ხელშეწყობა, რადგან ამოცანების შედგენის პროცესში მოსწავლეები ეყრდნობიან შესწავლილ მასალას სხვადასხვა სასწავლო საგნებიდან და მათთვის ცნობილ მასალას რაოდენობრივად აკავშირებენ მათემატიკურ ფაქტებთან, ე.ი. განიხილავენ და აფასებენ ობიექტების თვისებებს, იხილავენ მსგავს და განსხვავებულ მახასიათებლებს და მეორე, ვითარდება მათი შემოქმედებითი გონებრივი აქტივობა, ამოცანების შედგენის პროცესში

მოსწავლეები თავს შემოქმედებად გრძნობენ და შემდგომში ამაყობენ თავიანთი შედგენილი ამოცანებით.

ამრიგად, მათემატიკის კურსში საძიებო ამოცანების ჩართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაწყებითი კლასების მოსწავლეებში მათემატიკური აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

## რეზიუმე

ნაშრომში დასაბუთებულია დაწყებით კლასებში მოსწავლეთა ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბების პრობლემის აქტუალობა. გაკეთებულია საკითხის ირგვლივ ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზი. ამ შრომებზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნა, რომ შემოქმედებითი სწავლა/სწავლებისთვის მიზანშეწონილია დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა ასაკი. ნაშრომში ჩამოყალიბებულია კონცეფცია, რომ საძიებო მათემატიკური ამოცანების სისტემის საშუალებით შესაძლებელია დაწყებითი კლასების მოსწავლეების ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბება და განვითარება, რისთვისაც მათემატიკის გაკვეთილებზე საჭიროა ჩართული იქნეს სასწავლო თემების შესაბამისი სპეციალური საძიებო ამოცანები ანალოგიების გამოყენებით, ლოგიკური ამოცანები და არასტანდარტული ამოცანები (სითხის გადასხმაზე, ანაგრამებზე, კროსვორდებზე და სხვ). ასეთი ამოცანების ამოხსნისას მოსწავლე ახორციელებს ანალიზს, სინთეზს, ახდენს კონკრეტიზაციას, ადარებს და განაზოგადებს ფაქტებს, რითაც უვითარდება ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარები.

**საკვანძო სიტყვები:** არასტანდარტული ამოცანა, საძიებო ამოცანები, ლოგიკური აზროვნება, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია.

**Teona Abramishvili**  
**of Mathematics of Public School N17 of Kutaisi city**  
**Leading teacher, PhD student,**  
**Georgia, Kutaisi**

## **Search tasks as a means of developing mathematical thinking of primary school students**

### **Summary**

The paper substantiates the relevance of the problem of forming the logical thinking of students in primary grades. An analysis of the research conducted by psychologists has been made. Based on these works, it is concluded that the age of primary school students is appropriate for creative learning/teaching. The paper establishes the concept that through the system of search mathematical problems, it is possible to form and develop the logical thinking of elementary school students, for which special search problems corresponding to educational topics using analogies, problems with logical load and non-standard problems (on liquid transfer, anagrams, crosswords, etc.) should be included in mathematics lessons ). When solving such tasks, the student analyzes, synthesizes, concretizes, compares and generalizes facts, thereby developing intellectual and creative skills.

**Key words:** non-standard task, research tasks, logical thinking, pedagogy, psychology.

მამული ბუჭუხიშვილი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოც. პროფესორი.  
საქართველო, ქუთაისი

## ცნებათა კლასიფიკაციის შესახებ

ნებისმიერ საგანს გააჩნია ისეთი თვისებები, რომლებიც შეიძლება საერთო იყოს სხვა საგანებთან, ან საერთოდ განსხვავდებოდეს მისი თვისებებისაგან. საგანთა ასეთ თვისებას მათემატიკაში ვუწოდებთ ნიშნებს, რომელთაგან ცალკე აღებული ნიშანი წარმოადგენს აუცილებელ პირობას, ხოლო ყველა ერთდ აღებული ნიშანი საკმარის პირობას. ამ პირობებისა და ნიშნების მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ ესა თუ ის საგანი ერთმანეთისაგან.

ცნებებში ძირითადად ნიშნებთან ერთად შეიძლება შეგვხვდეს არაძირითადი და არაარსებითი ნიშნები. ამ თვისებებიდან ყოველ მათემატიკურ ობიექტს ახასიათებს ძირითადი (არსებითი) და არაძირითადი (არაარსებითი) ნიშნები. აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ცნება არის წარმოდგენა საგანზე (ობიექტზე), რომელშიც შემჩნეულ (ცნების მახასიათებელ (არსებით თვისებებს) ნიშნებს ერთად ვაკავშირებთ და ერთი ცნებით გამოვხატავთ.

ამიტომ ცნება განსხვავდება:

ა) წარმოდგენისაგან ან ჭვრეტისაგან, რომელიც მუდამ მარტივია, მაშინ როდესაც ცნება მრავალის შეერთებაა; ასე, მაგალითად, მთვარის მკრთალი ფერი არის ჭვრეტა, მისი მრავალი ნიშნის შეერთება კი არის ცნება.

ბ) იდეისაგან - იმით, რომ ცნება არის განსჯის ნაყოფი, იდეა კი ეკუთვნის გონებას; ცნება გამოხატავს ნივთებს ისე, როგორც ისინი გრძნობებს წარმოესახება, იდეა კი მიეკუთვნება მათ ერთდაერთ შესაძლებლობას; ცნებები, ეკუთვნიან ცდის სფეროს, აუცილებელნი არიან და გულისხმობენ განსჯაში ათვისებადობას და ვნებითობას, მაშინ როდესაც იდეა გონების უმაღლესი მოქმედების ნაყოფია.

ყოველ ცნებაში არის:

ა) მატერია-წარმოსადგენი საგანი, რომელიც ყოველთვის სხვადასხვაგვარია; ბ) ფორმა - ის, რაც ყოველ ცნებაში აუცილებლად არის, და რაც, მაშასადამე, ყველა ცნებისთვის საერთოა, მიუხედავად მათი საგნების სხვაობისა. წარმოდგენათა საყოველთაო ფორმები, ანუ კანონები ორგვარია: ა) გრძნობადნი, რომლებიც დამახასიათებელია გრძნობადობისათვის, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, წარმომქმნელი წარმოსახვისათვის; ასეთებია: სივრცე და დრო, რომელთაგან პირველი კანონია გარეგანი გრძნობისათვის, მეორე კი შინაგანი და გარეგანი გრძნობისათვის. მათი საყოველთაოობით და აუცილებლობით ცხადად მტკიცდება მათი წარმოშობა გონებიდან; ამ ჭეშმარიტების საფუძველი უნდა გვიჩვენოს მეტაფიზიკამ. ბ) გონებისეული, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გონებისათვის დამახასიათებელი; ისინი წარმოადგენენ მხოლოდ იმ ძირითად ცნებებს, რომლებიც გამოყვანილია მსჯელობის არსიდან და რომლებიც გონების აუცილებელ კანონებს შეესაბამებიან; ასეთებია:

ა) რაოდენობა:

1. მთლიანობა.
2. მრავლობითობა;
3. მხოლობითობა.

ბ) თვისობრიობა:

1. დადებითობა.
2. შემზღუდველობა.



3. უარყოფითობა.

გ) მიმართება-ნივთიერებისა ურთიერთშორის:

1. არსებობა და შემთხვევითობა.
2. ურთიერთდაკავშირებულობა.
3. მიზეზი და შედეგი.

დ) გონებისადმი:

1. აუცილებლობა და შემთხვევითობა.
2. მყოფობა (ნამდვილობა) და არმყოფობა (არანამდვილობა).
3. შესაძლებლობა და შეუძლებლობა.

ამ ძირითადი ცნებებით მთლიანად იფარგლება და იზომება ჩვენი განსჯის მთელი სამოქმედო სარბიელი.

იმ ცნებებს, რომლებიც სკოლაში შეისწავლება, ჩვეულებრივ, ძირითადად ოთხ ჯგუფად ყოფენ:

1. ცნებები, რომლებიც დაკავშირებულია რიცხვებთან და მათზე მოქმედებებთან - რიცხვი, შეკრება, გამრავლება, გასაყოფი, მეტი და ა.შ.
2. ცნებები, რომლებიც დაკავშირებულია ალგებრულ წარმოდგენებთან - გამოსახულება, ტოლობა და ა.შ.
3. ცნებები, რომლებიც დაკავშირებულია გეომეტრიულ წარმოდგენებთან - წრფე, მონაკვეთი, კვადრატის და ა.შ.
4. ცნებები, რომლებიც დაკავშირებულია სიდიდეებთან და მათ გაზომვასთან - მანძილი, დრო და ა.შ.

გარდა ამისა, მათემატიკის შესწავლა ხელს უწყობს უამრავი სხვა ცნების ფორმირებას.

ცნების შინაარსსა და მოცულობას შორის არსებობს კავშირი, რაც უფრო „მეტია“ ცნების მოცულობა, მით უფრო „ნაკლებია“ ცნების შინაარსი და პირიქით.

იმისათვის, რომ მოსწავლე კარგად ერკვეოდეს ცნების მოცულობაში, მას უნდა შეეძლოს ცნებათა კლასიფიცირება, რადგან მხოლოდ კლასიფიკაციის მეშვეობით შეიძლება ცნების მოცულობის არსის გახსნა.

კლასიფიკაცია არის საგანთა სიმრავლის დაყოფა კლასებად რაიმე ნიშანთვისების მიხედვით (გვაქვს, მაგალითად, ცხოველთა კლასიფიკაცია ბიოლოგიაში, მცენარეთა კლასიფიკაცია ბოტანიკაში, ნივთიერებათა კლასიფიკაცია ქიმიაში და სხვ.) კლასიფიკაციის საფუძველია იმ ნიშანთვისებათა ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ხდება დაყოფა.

კლასიფიკაციისათვის საჭიროა:


ა) სიმრავლეში შემავალი ყოველი საგანი კლასიფიკაციის რომელიმე კლასში შედიოდეს (ადეკვატურობის პირობა), თან არცერთი კლასი ცარიელი არ არის.

ბ) ერთი და იგივე ელემენტი არ უნდა შედიოდეს ერთზე მეტ კლასში ანუ კლასიფიკაციის კლასებს საერთო ელემენტი არ უნდა ჰქონდეს (გამიჯნულობის პირობა).

კლასიფიკაცია მჭიდრო კავშირშია ცნების დაყოფასთან, გაყოფაში განასხვავებენ:


- ა) ცნებას, რომლის მოცულობაც იყოფა;
- ბ) სახეობით ცნებებს, რომლებიც მიიღება დაყოფის შედეგად;
- გ) მახასიათებელ ნიშანს, რომლის მიხედვითაც ხდება დაყოფა.

დაყოფა ორი სახისაა: ა) ნიშნის სახეცვლილების მიხედვით და ბ) დიქოტომიური. ე.ი. გვაქვს კლასიფიკაცია სახეცვლილებითი ნიშნის მიხედვით და დიქოტომიური კლასიფიკაცია. ნიშნის სახეცვლილების (სახეობითი განსხვავების) მიხედვით დაყოფის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახეები გვარის მიმართ თანადაქვემდებარებულნი არიან. ასეთია, მაგალითად, შემდეგი კლასიფიკაცია:




დიქტომატიური დაყოფის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გვარობითი ცნების მოცულობიდან გარკვეული ნიშნის მიხედვით გამოიყოფა სახე და შეიქმნება მისი დამატება. ეს არის ცნების მოცულობის ორ კლასად თანმიმდევრული, მრავალსაფერხურიანი დაყოფა ამა თუ იმ თვისების მეშვეობით (ორწევრა დაყოფა ანუ „დიქტომია“).

თუ აღნიშნავთ გასაყოფ ცნებას A ასოთი და მისი მოცულობიდან გამოყოფილ სახეს a ასოთი, მაშინ ამ წესით გაყოფა მიიღებს სახეს: ზოგადად ეს პროცესი ასე წარმოგვიდგება:




დიქტომატიური დაყოფის მაგალითებია:

პარალელოგრამი




დიქტომატიური კლასიფიკაცია მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ მას გააჩნია ერთი ნაკლი. ცნების ორ საწინააღმდეგო კლასად დაყოფის დროს ბუნდოვნად რჩება ის სახეობითი ცნება, რომლის შესაბამისი ტერმინი შეიცავს „არ“ ნაწილს. მაგალითად,

ტრაპეცია



თუ განტოლებათა კლასს დავყოფთ უმარტივეს და არაუმარტივეს განტოლებათა სახეებად, ბუნდოვნად რჩება არაუმარტივეს განტოლებათა კლასის მოცულობა.

მოსწავლეებისათვის ცნებათა კლასიფიკაციის, მოცულობის, შინაარსისა და მათ შორის კავშირის ღრმად გააზრება ხელს უწყობს მათემატიკური და სააზროვნო უნარების განვითარებას.



**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. <https://www.hplg.gov.ge>
2. ჯემალ ჯინჯიხაძე მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები. თბილისი, 2012 წელი.

**რეზიუმე**

ცნება არის წარმოდგენა საგანზე (ობიექტზე), რომელშიც შემჩნეულ (ცნების მახასიათებელ (არსებით თვისებებს) ნიშნებს ერთად ვაკავშირებთ და ერთი ცნებით გამოვხატავთ. ამიტომ ცნება განსხვავდება: ა) წარმოდგენისაგან ბ) წარმოდგენისაგან.

ყოველ ცნებაში არის: ა) მატერია-წარმოსადგენი საგანი; სტატიაში განვიხილავთ მიმართებებს ნივთიერებებსა და ურთიერთაშორის; აუცილებლობასა და შემთხვევითობას; შესაძლებლობასა და შეუძლებლობას. აქვე განვიხილავთ ძირითად ცნებებს, რომლებიც შეისწავლებიან სკოლაში. განვიხილავთ კავშირს ცნების მოცულობასა და შინაარსს შორის. ასევე შემოგვაქვს ცნებათა კლასიფიკაცია და დიქტომათიური დაყოფის არსი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გვარობითი ცნების მოცულობიდან გარკვეული ნიშნის მიხედვით გამოიყოფა სახე და შეიქმნება მისი დამატება.

**საკვანძო სიტყვები:** ნიშნები; კლასიფიკაცია; რაოდენობა; უარყოფა; აუცილებლობა; დიქტომათიური კლასიფიკაცია;

Mamuli Buchukhishvili  
Akaki Tsereteli State University,  
Georgia, Kutaisi

## About the classification of concepts

### Summary

A concept is, representation of subject (object), in which we connect the observed (characteristic (essential properties) of the concept) signs together and express it with one concept. Therefore, concept differs from: representation b) representation

In every concept there is: matter-representative subject; In the article we will discuss the relations between substances and each other; necessity and contingency; possibility and impossibility. Here we will discuss the basic concepts that will be studied in school. We will consider the relationship between the scope and content of the concept. We also introduce the classification of concepts and the essence of dictomatic division, which consists in the fact that face is separated from the scope of the genitive concept according to certain sign and its addition is created.

**Key words:** signs; classification; quantity; denial; necessity; dictomatic classification.

## კერძო დაწყებითი სკოლები XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის დასავლეთ საქართველოში

XIX საუკუნის 80–90–იან წლებში მომრავლდა კერძო სკოლები და მოსამზადებელი კურსები, რომლებსაც ოფიციალური სკოლების მასწავლებლები და შინამასწავლებლის წოდების მქონე პირები სასწავლო ოლქის ნებართვით ხსნიდნენ. კერძო სკოლები მუშაობდნენ ოფიციალური დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმითა და პროგრამით. ზოგიერთ კერძო სკოლას ჰქონდა პანსიონი. სწავლის ქირა კერძო სკოლებში აღმატებოდა ოფიციალურ სკოლებში დაწესებულ სწავლის ქირას, სამაგიეროდ კერძო სკოლების მოსწავლეთა მომზადების დონე საგრძნობლად მაღალი იყო.

1880 წელს კავკასიაში სულ 72 კერძო სკოლა იყო, მათ შორის მარტო თბილისის გუბერნიაში 24, ქუთაისის გუბერნიაში-5. კერძო სკოლებიდან პირველი კატეგორიის იყო თბილისის მონასტერცევის გიმნაზია, ტერ-აკოპოვის რეალური სასწავლებელი (შემდეგში გიმნაზია) და მელიქ ბეგლაროვის რეალური სასწავლებელი.

ქუთაისის გუბერნიაში 1885 წლისათვის 8 კერძო სკოლა იყო, სულ საქართველოში კი-46. კერძო სკოლათა რიცხვს აკუთვნებდნენ ზოგიერთი საზოგადოების სკოლებსაც, მაგალითად, თბილისის და ქუთაისის სააზნაურო სკოლები, წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლები და ა.შ. [1].

1890 წელს საქართველოში სულ 38 კერძო სკოლა იყო 2317 მოსწავლით. ყველაზე მეტი მოსწავლე ჰყავდა ქუთაისის სააზნაურო სკოლას-260, თბილისის სააზნაურო სკოლას-146, სენაკის სააზნაურო სკოლას – 113 და სხვ.

დასავლეთ საქართველოში პოპულარული იყო ჯორჯიკიას და მატარაძის კერძო სკოლები, რომლებიც ქუთაისში მდებარეობდნენ. კერძო სკოლების ქსელი მუდმივ ცვალებადობაში იყო. ყოველწლიურად ბევრი იხურებოდა და ბევრიც იხსნებოდა. დახურვის მიზეზი იყო უსახსრობა და გაწეული ხარჯების აუნაზღაურებლობა, ასევე სწავლის დიდი ქირის გამო მოსწავლეთა თანდათანობითი ჩამოცილება. კერძო სკოლების არსებობა მყარი არ იყო, ისინი სულ რამდენიმე წელს არსებობდა.

მოსწავლეთა და მასწავლებელთა შემადგენლობით საზოგადოებრივი სკოლების მხრივ ყველაზე დიდი იყო ნინა ჯაფარიძის სკოლა ქუთისში 240 მოსწავლე და 9 მასწავლებელი, ე. ბახტაძის სკოლა ხონში – 63 მოსწავლე და 8 მასწავლებელი, კორძაიას სკოლა ქუთაისში – 74 მოსწავლე და 8 მასწავლებელი და სხვ. 1900 წელს 60 კერძო სკოლიდან ვაჟთა სკოლა იყო 15, ქალთა-6 და შერეული – 39. ყველა სკოლაში სწავლობდა 3895 მოსწავლე, რომელთგან ვაჟი იყო 2743 და ქალი – 1152. ეროვნული შემადგენლობით ქართველი იყო 2324 (66,8%).

ზოგიერთი კერძო სკოლის მუშაობის გაცნობისას აშკარა ხდება, მათი სერიოზული ნაკლოვანებები, რაც მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაციის დაბალი დონით მჟღავნდებოდა. კერძო სკოლების ზოგიერთ მფლობელს დიდი ხნით ადრე ჰქონდა მოპოვებული მასწავლებლობის უფლება და მოწყვეტილი იყო სასკოლო ცხოვრებას.

1864 წელს დამტკიცებული „დებულება საერო დაწესებულებათა შესახებ“, რომლის თანახმად დაშვებულ იქნა თვითმმართველობები, რაც მოსახლეობას ადგილობრივი საქმეების მართვის უფლებას აძლევდა, მათ შორის იყო განათლებასთან დაკავშირებული საკითხებიც.

მოსახლეობას უფლება მიეცა აერჩიათ ერობების ხმოსნები. ხმოსნებს ირჩევდნენ სამი წლის ვადით. ერობის ხმოსნებს შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიღება მეურნეობის და კულტურის დარგებში. ერობებს უფლება ეძლეოდათ თავიანთი ხარჯით გაეხსნათ დაწყებითი სკოლები, მაგრამ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ჩარევა ეკრძალებოდათ. ეს სახალხო განათლების სამინისტროს ფუნქციას წარმოადგენდა. ერობებმა მიუხედავად ამ შეზღუდვებისა დიდი საქმე გააკეთეს, მთელს იმპერიაში ერობების გადაწყვეტილებით დაახლოებით ათი ათასზე მეტი სკოლა გაიხსნა ერობების ხაზით. მეცხრამეტე საუკუნის 70–80-იან წლებში საქართველოში ერობები არ არსებობდა. ხელისუფლება მის ჩამოყალიბებას ყოველმხრივ აფერხებდა. [2, გვ. 17].

ამ რეფორმებს რუსეთის განაპირა გუბერნიებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა. 1867 წელს დამტკიცდა „კავკასიის და ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის დებულება“, რომელიც ძირითადად იმეორებდა 1864 წლის რეფორმის შინაარსს, მაგრამ მათ შორის იყო არსებითი სხვაობაც. სწავლება კავკასიის სკოლებში პირველი სამი წლის განმავლობაში მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა, რუსული ენა ისწავლებოდა როგორც ერთ-ერთი საგანი. მშობლიურ ენაზე სწავლის დაწყება პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ ის დიდხანს არ გაგრძელებულა. 1871 წლის წესდებით რუსეთის მთელ იმპერიაში დამკვიდრდა უნიფიცირებული, ყველასათვის სავალდებულო სასწავლო გეგმები და პროგრამები.

1865 წელს საქართველოში არსებობდა ყველა ტიპის 265 სკოლა 11868 მოსწავლით [3, გვ. 304]. 1867 წლის 25 ივნისის დებულების შემდეგ საქართველოში გაიხსნა შვიდი დაწყებითი სკოლა, მათგან სამი დაწყებითი სკოლა გაიხსნა აღმოსავლეთ საქართველოში –ორი დაწყებითი სკოლა გაიხსნა თბილისში, ერთი–ახალქალაქში, ოთხი დაწყებითი სკოლა გაიხსნა დასავლეთ საქართველოში. მათგან ორი სამეგრელოში, კერძოდ ზუგდიდსა და სოფელ მარანში (აბაშა), ერთი იმერეთში. სოფელ საქარაში (შორაპნის მაზრა) და ერთი ლეჩხუმში, კერძოდ ცაგერში.

1861 წლიდან გლეხები თავიანთი ხარჯებით აარსებდნენ და ინახავდნენ ე.წ. „საზოგადოებრივ სკოლებს“. ეს სკოლები მთავრობიდან არავითარ დახმარებას არ იღებდნენ. ასეთი სკოლების გახსნა მარტივი იყო. საკმარისი იყო ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვა. სკოლებზე კონტროლსაც ადგილობრივი ხელისუფლება აწესებდა. მიუხედავად მატერიალური შესაძლებლობების სიმწირისა, გლეხობა მაინც ცდილობდა გაეფართოებინა დაწყებითი სკოლების ქსელი. მაგრამ ზოგჯერ ამის შესაძლებლობა მათ ერთმეოდათ, რადგან კავკასიის სასწავლო ოლქი უარს ამბობდა სკოლების გახსნაზე. მოტივი მარტივი იყო – არ ყოფნიდათ მასწავლებელთა კონტინგენტი, განსაკუთრებით კი ინსპექტორები. ამ მხრივ დასავლეთ საქართველოში მდგომარეობის გაუმჯობესება მოხდა მას შემდეგ, რაც 1869 წელს დაარსდა ქუთაისის სკოლათა ინსპექცია.

საზოგადოებრივი სკოლების მოსწავლეთა რიცხვი მცირე იყო. ამას ადასტურებს 1873 წელს ნიკო ნიკოლაძის რაჭაში მოგზაურობა და მისი დაინტერესება საზოგადოებრივი სკოლების მდგომარეობით. ის გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვი მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისი არ არისო. ყოველი ათი ბავშვიდან ერთი სწავლობს და ხშირად ისიც ტოვებს მას. [4].

საზოგადოებრივი სკოლების მიზანი იყო წერა–კითხვის და ანგარიშის შესწავლა, აგრეთვე მარტივი სამეურნეო ცოდნის გავრცელება ხალხში. ეს იდეა გლეხობას მოსწონდა, მაგრამ მატერიალური სიდუხჭირის გამო მათი უმრავლესობისათვის მიუწვდომელი იყო ელემენტარული განათლების მიღებაც კი.

საზოგადოებრივი სკოლების რაოდენობის მხრივ 1870 წლისათვის დასავლეთ საქართველოში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. მარტო ქუთაისის გუბერნიაში ამ პერიოდში იყო 56 საზოგადოებრივი სკოლა 2000-ზე მეტი მოსწავლით, მაშინ როცა თბილისის გუბერნიაში ასეთი 27 სკოლა არსებობდა 1200-მდე მოსწავლით. ქუთაისის მაზრაში 16 სკოლა იყო, ოზურგეთის მაზრაში – 18, სენაკის მაზრაში – 11, ლეჩხუმის მაზრაში – 4, ზუგდიდის მაზრაში – 3, შორაპნის მაზრაში – 3, რაჭის მაზრაში – 1. [5, გვ. 44–56].

სამხედრო ნაწილებთან იქმნებოდა ელემენტარული დაწყებითი სკოლები ორწლიანი კურსით. ამ სკოლების დანიშნულება იყო სამხედრო ნაწილებთან ტერიტორიულად ახლოს მცხოვრები ბავშვებისათვის განათლების მიცემა და სამხედრო საქმით დაინტერესება. ერთი ასეთი სკოლა გაუხსნიათ 1863 წელს ზუგდიდში, სადაც პირველ წელს 58 მოსწავლე მიუღიათ, მათგან 35 ქართველი ყოფილა. სკოლის სათავეში იდგა ოფიცერი, მაგრამ სასწავლო დარგში მას კონტროლს საგუბერნიო სკოლების დირექცია უწევდა. ზუგდიდში გახსნილი სკოლების ტიპის სკოლები თანდათანობით ჩამოცილდნენ სამხედრო ნაწილებს და დაექვემდებარენ კავკასიის სასწავლო ოლქს დაწყებითი სკოლების უფლებით. [2, გვ. 19].

ჩვენს მიერ დადგენილი იქნა კონკრეტულად როდის გადაწყდა საქართველოს მას-შტაბით რკინიგზის სკოლების დაარსების საკითხი. ამაზე პასუხს იძლევა „ივერიის“ 1890 წლის 3 მაისის №93 ნომერში მოთავსებული ინფორმაცია, რომელზეც დღემდე ქართული პედაგოგიკის ისტორიაში არავითარი ცნობა არ არსებობდა. გაზეთში ასეთი შიანაარსის ინფორმაციაა განთავსებული: „ჩვენი რკინიგზის უფროსის ბ–ნ ფრიდეს თაოსნობით განზრახულია ყველა დიდ პირველხარისხოვან სადგურზე გაიმართოს თითო პირველდაწყებითი სკოლა რკინიგზის მოხელეთა შვილების სასწავლებლად, ხოლო თვით ტფილისში დაარსდეს ორკლასიანი სასწავლებელი. იმ აზრით, რომ როცა ბავშვი გაათავებს სწავლას პირველდასაწყის სკოლაში, მერე გადავიდეს ტფილისის სკოლის მეორე კლასში, საცა ყმაწვილებს სხვა და სხვა სასწავლებლისათვის მოამზადებენ, უფრო კი რკინიგზისავე სატექნიკო სასწავლებლებში შესასვლელად“. [6].

ქართული პერიოდული პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა დასავლეთ საქართველოში დაწყებითი სკოლების გახსნის, მათში სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და სწავლა–აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ მხრივ აქტიური პოზიციები ეჭირა თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემას. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მწყემსი“ და სხვ.

პერიოდული გამოცემები თავიანთი კორესპონდენტების საშუალებით მოიცავდნენ არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ მთლიანად მთელ საქართველოს. ქვეყნდებოდა ცნობები ქუთაისის მაზრის სოფლებში დაწყებითი სკოლების დაარსების შესახებ [7], ხარაგაულის სკოლის მდგომარეობის შესახებ, სამეგრელოს რეგიონის ხობის სკოლის წარმატება, შორაპნის მაზრის სოფელ ჩხარში მეთოდე ქათამაძის ზრუნვა სკოლის დასაარსებლად, ბაღდადის სოფელ დიშში სკოლის ორკლასიანად გადაკეთება, ბაღდადელი კორესპონდენტი აკეთებდა ანალიზს სკოლების შესახებ, ბაღდადში ორკლასიანი სასწავლებლების დაარსების შესახებ, სამტრედიაში სკოლის დაარსება, გურიიდან სოფელ ბასილეთის სასწავლებლის შესახებ, გურიიდან, სოფელ ბახვიში გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ დაარსებული სკოლის ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთების საკითხი, სოფელ ბახვის სკოლის მდგომარეობის შესახებ, ბახვის სკოლის იუბილის შესახებ, ქუთაისის სოფელ გუბის სკოლის წარმატება და სკოლის ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთების საკითხი, გურიის სოფელ ხრიალეთში სკოლის გახსნის საკითხი. მწვავე წერილი

გამოქვეყნდა, სადაც კრიტიკულად იყო შეფასებული მამასახლისების უყურადღებობა ორკლასიანი სასწავლებლის გახსნის ნებართვის დროულად და ეფექტურად შეუსრულებლობის გამო, გურიის სოფელ ბასილეთის სასწავლებლის შესახებ, რაჭის სოფელ ღებში საერო დაწყებითი სკოლის მდგომარეობა, განსაკუთრებული ფაქიზი დამოკიდებულება ჰქონდათ აჭარის რეგიონის მიმართ, განიხილავდნენ ხულოს სკოლის ბედ-იღბალს, აჭარის სოფელ ჩურუქსუს სკოლის შესახებ, ქუთაისის მაზრის სოფელ ჯიქთომამში სკოლის არქონის შესახებ, სამეგრელოში, სენაკში სოფელ გორდში ერთკლასიანი სასწავლებლის ორკლასიანად გადაკეთების საკითხი, დიდი ჯიხაიშის სკოლის ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთებაში ალ.ჩხეიძის ღვაწლზე, დიდი ჯიხაიშის დაწყებითი სკოლის შესახებ, მეტად მწვავე შეფასებები მოყვა სამეგრელოს პირველდაწყებით სკოლებში ქართული ენის სწავლების შეწყვეტას [8], გურიის სოფელ ნიგოთში დაწყებითი სკოლის შესახებ, ხარაგაულში სკოლის გახსნის შესახებ, იმერეთის სოფელ სამიქაოს სკოლის შესახებ, იმერეთის სოფელ საქარაში სკოლების შენობების აგების შესახებ, საჩხერეს სოფელ ჩიხაში სკოლის კურთხევის შესახებ, გურიაში სოფელ ახალშენში სკოლის მდგომარეობის შესახებ, იმერეთის სოფელ უხუთში სკოლების დაარსება, იმერეთში სოფელ ქვიტირის სკოლის შესახებ, სამტრედიამში სკოლის დაარსების შესახებ, გურიის სოფელ ძიმითის სკოლის კურთხევა, გურიის სოფელ ჭინათში სკოლის დაარსება, იმერეთის სოფელ ზეკარის ახალი სკოლის გახსნა, იმერეთში სოფელ კულამის სკოლის შესახებ, გურიის სოფელ ნიგოეთში მეორე სკოლის გახსნის საჭიროება, გურიის სოფელ ნიგოეთის სკოლაში ცვლილებების შესახებ, გურიის სოფელ დვაბზუს სკოლის ორკლასიანად გადაკეთების საკითხისადმი მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულება, გურიის სოფელ ებალაურში სკოლის შენობის საჭიროების შესახებ, სამეგრელოს სოფელ ზანაში სკოლის დაარსება, გურიაში სოფელ შემოქმედში ორკლასიანი სამონასტრო სკოლის კურთხევა, ლეჩხუმის მაზრის სოფელ ბარდნალში ადგილობრივი სკოლის მდგომარეობა, სოფლის სკოლების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, სოფლის სკოლების შესახებ, აფხაზეთში, სოჩაში სკოლის კურთხევის შესახებ, გურიაში, სოფელ ძიმითის სკოლის შესახებ, სამეგრელოს სოფელ ჭალადიში სკოლის გახსნა, ნ.ჩიკვაიძის მეუღლის ელისაბედის გარდაცვალება და მის სახელზე ფულის შეწირვა სკოლის დასაარსებლად, შემოწირულობა სოფელ ალისუბნის სამრევლო სკოლისადმი, ნ.ჩიკვაიძის მიერ საეკლესიო სკოლის აგება, სოფელ ალისუბნის სამრევლო სკოლის კურთხევა [9], ლანჩხუთის სკოლები, გურიის დაწყებითი სკოლების შესახებ, იმერეთის სოფელ სამიქაოს სკოლის შესახებ, ვანის სოფლის სკოლები, ქუთაისის მაზრის სოფლებში დაწყებითი სკოლების დაარსება და სხვ.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კავკასიის სასწავლო ოლქის 1886 წლის ანგარიში.
2. გაგუა ვ., სახალხო განათლება XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, გამომცემლობა „განათლება“ თბილისი, 1974 წ., 323 გვ.
3. კავკასიის სასწავლო ოლქის 1885 წლის ანგარიში.
4. გაზეთი „დროება“, 1873 წელი, №10.
5. სსცა, ფ. 422, საქმე 1018.
6. გაზეთი „ივერია“, 1890 წელი, №93.
7. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1896 წელი, №60.
8. გაზეთი „ივერია“, 1889 წელი, №91.
9. ჟურნალი „მწყემსი“, 1891 წელი, №20.



## რეზიუმე

XIX საუკუნის 80–90–იან წლებში მომრავლდა კერძო სკოლები, რომლებსაც ოფიციალური სკოლების მასწავლებლები და შინამასწავლებლის წოდების მქონე პირები სასწავლო ოლქის ნებართვით ხსნიდნენ. კერძო სკოლები მუშაობდნენ ოფიციალური დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმითა და პროგრამით. ზოგიერთ კერძო სკოლას ჰქონდა პანსიონი. სწავლის ქირა კერძო სკოლებში მნიშვნელოვნად აღემატებოდა ოფიციალურ სკოლებში დაწესებულ სწავლის ქირას, სამაგიეროდ კერძო სკოლების მოსწავლეთა მომზადების დონე საგრძნობლად მაღალი იყო. ზოგიერთი კერძო სკოლის მუშაობის გაცნობისას აშკარა ხდება, მათი სერიოზული ნაკლოვანებები, რაც მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაციის დაბალი დონით მქლავნდებოდა.

სამხედრო ნაწილებთან იქმნებოდა ელემენტარული დაწყებითი სკოლები ორწლიანი კურსით. ამ სკოლების დანიშნულება იყო სამხედრო ნაწილებთან ტერიტორიულად ახლოს მცხოვრები ბავშვებისათვის განათლების მიცემა და სამხედრო საქმით დაინტერესება. ასეთი სკოლები თანდათანობით ჩამოცილდნენ სამხედრო ნაწილებს და დაექვემდებარენ კავკასიის სასწავლო ოლქს დაწყებითი სკოლების უფლებით.

ჩვენს მიერ დადგენილი იქნა კონკრეტულად როდის გადაწყდა საქართველოს მასშტაბით რკინიგზის სკოლების დაარსების საკითხი.

ქართული პერიოდული პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა დასავლეთ საქართველოში დაწყებითი სკოლების გახსნის, მათში სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და სწავლა–აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ მხრივ აქტიური პოზიციები ეჭირა თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემას. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მწყემსი“ და სხვ.

**საკვანძო სიტყვები:** კერძო სკოლა, სწავლის ქირა, პანსიონი, მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პერიოდული პრესა.

Tamar Dograshvili

Akaki Tsereteli State University Associate Professor,  
Georgia, Kutaisi

### Private primary schools of the last quarter of the 19th century in the western part of the country Summary

In the 80s and 90s of the 19th century, there was an increase in private schools, which were opened by teachers of official schools and persons with the rank of home teacher with the permission of the educational district. Private schools followed the curriculum and syllabus of the official primary school. Some private schools had boarding facilities. Tuition fees in private schools were significantly higher than those charged in official schools, but the level of education of students in private schools was significantly

higher. When getting acquainted with the work of some private schools, their serious shortcomings become apparent, which were revealed by the low level of qualifications of their students.

Elementary elementary schools with a two-year course were established near the military units. The purpose of these schools was to provide education to children living territorially close to military units and to interest them in military affairs. Such schools will gradually be removed from the military units and will be subordinated to the Caucasus Education District with the right of primary schools.

We determined exactly when the issue of establishing railway schools on the scale of Georgia was decided.

The Georgian periodical press paid a lot of attention to the opening of primary schools in West Georgia, the course of the educational process in them, and issues related to education and upbringing. Almost all periodicals take active positions in this regard. Among them, "Iveria", "Tsishne Shetsi", "Shepherd" and others were especially distinguished.

**Key words:** private school, tuition fee, boarding school, teacher qualification, periodical press.

**მაია ახვლედიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
საქართველო, ქუთაისი

**ნინო ორჯონიკიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
საქართველო, ქუთაისი

**ლალი აბდალაძე**

შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
საქართველო, ქუთაისი

### **ალექსი ჭიჭინაძის ეროვნულ-საგანმანათლებლო იდეები, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა**

მუსლიმანური გარემოცვით, გამუდმებული ბრძოლებით დასუსტებული საქართველო იძულებული გახდა მფარველობა ერთმორწმუნე რუსეთისათვის ეთხოვა. 1783 წელს ერეკლე მეორის სურვილებისამებრ ხელი მოეწერა ტრაქტატს, ხელშეკრულებას, რომელიც გულისხმობდა რუსეთის მფარველობაში შესვლას ნებაყოფლობით, სუვერენული უფლებების შენარჩუნებით. აღთქმული მფარველობა 1801 წლის მანიფესტის საფუძველზე ანექსიით შეიცვალა. ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი წინ აღუდგა რუსეთის კოლონიურ ხედვას, შეთქმულებათა მონაწილენი სასტიკად დაისაჯნენ.

ცარისტული პოლიტიკის განხორციელებაში დიდი როლი ჰქონდა დაკისრებული საგანმანათლებლო სისტემის რუსულ ყაიდაზე მოწყობას, ანექსირებულთა მომავალი თაობა უნდა აღზრდილიყო რუსეთის ერთგულ მოხელეებად, რომლებსაც აღარ ექნებოდათ ეროვნული ხედვები და არც თავისუფალი აზროვნების უფლება. ამ მიზნით გააუქმეს არსებული სამონასტრო სკოლების და სემინარიების ქსელი, აღკვეთეს სწავლება ქართული ენის გამოყენებით გიმნაზიებსა და სამაზრო სასწავლებლებში, შემოიღეს რუსეთის სკოლებისთვის შემუშავებული გეგმებითა და პროგრამებით სწავლება, ზეპირობის მეთოდი. ასეთმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ მალე გამოიღო მძიმე შედეგი. ქართველი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა გვარების რუსულ ყაიდაზე გადაკეთებით, სასწავლებლებში რუსული ენის გაბატონებით, მთავრობის ერთგული მოხელის ავტორიტეტის მოპოვებას მიჰყო ხელი. ქართველმა დედაებმაც შვილების მომავლისათვის რუსულ ყაიდაზე აღზრდა ამჯობინეს. ასეთ დედაებს იაკობ გოგებაშვილმა მითიური ანთეოსის ბედი უწინასწარმეტყველა, რომელიც დედამიწიდან მოწყვეტამ დალუპა.

ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ჩაება დისკუსიაში ელოდა თუ არა კვდომა ქართულ ენას, როგორც მცირე ერის ენას, შეერწყმებოდა თუ არა იგი სხვა ენას. დაიწყო ქართული ენის და კულტურის დევნა სასწავლებლიდან, ეკლესიებიდან, ოჯახებიდან. პროგრესულად მოაზროვნე მამულიშვილთა აშკარა თუ ფარული წინააღმდეგობის მიუხედავად რუსული კოლონიური პოლიტიკა თავის საქმეს აკეთებდა.

ბრძოლას განსაკუთრებული ძალა შესძინა სამოციანელთა აქტიურმა პოზიციამ. ეროვნული ხედვების აღორძინების საყრდენი საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გახდა. მისი ეგიდით დაარსდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაწყებითი ეროვნული სკოლები, შეგროვდა ეროვნული საუნჯე-ხელნაწერები, ისტორიული და ეთნოგრაფიული

მასალები, დაიწყო ქართული წიგნების შექმნა გამოცემა, მთარგმნელობითი, საბიბლიოთეკო საქმიანობა და სასცენო ხელოვნების პოპულარიზაცია.

სწორედ ამ პერიოდში გამოვიდა სამოღვაწეოდ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის და პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული ალექსი ჭიჭინაძე. იგი უნივერსიტეტის სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად ეზიარა სამოციანელთა მოძღვრებას და გადაწყვიტა, სამშობლოში დაბრუნებისთანავე გაეხსნა კერძო გიმნაზია, სადაც მშობლიური ენა სწავლების საფუძველთა საფუძველი იქნებოდა. მართლაც, დაბრუნდა თუ არა ახალგაზრდა იურისტი ქუთაისში, დააყენა საკითხი დაწყებითი ქართული სკოლის დაარსების შესახებ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა საბჭომ და მზრუნველმა ნევეროვმა ექვის თვალით შეხედეს ალექსი ჭიჭინაძის ინიციატივას. მის განზრახვაში ფარული საეჭვო სწრაფვა დაინახეს და ლამის ჩაუშალეს ქართული სკოლის დაარსების საქმე, მაგრამ თბილისის გუბერნიის სკოლების დირექტორმა ბესარიონ ლოღობერიძემ დაარწმუნა საბჭოს წევრები, რომ ჭიჭინაძის განზრახვას მხოლოდ საქმის კეთების პატიოსანი და მამულიშვილური მიზანი - ხალხის სამსახური ჰქონდა საფუძველად ჩადებული. ალექსი ჭიჭინაძემ მიიღო რა სკოლის დაარსების ნებართვა, 1875 წელს ქუთაისში მესხეთის ქუჩაზე (ამჟამინდელი ნინოშვილის ქუჩა) გახსნა სასწავლებელი.

1879 წელს კავკასიის სკოლათა მზრუნველის ნევეროვის შემცვლელი იანოვსკი ეწვია სკოლას. მოეწონა მოსწავლეთა ცოდნის დონე, დირექტორი შეაქო, მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი შრომისათვის. როცა გაიგო, რომ სკოლის ხელმძღვანელი იურისტი იყო და მასწავლებლობა ამჯობინა იურისტის სავარძელს, გაცემულმა იკითხა, როგორ გაცვალა ახალგაზრდა სპეციალისტმა იურისტის შემოსავლიანი ადგილი კერძო სკოლის პედაგოგის ადგილზე. ალექსი ჭიჭინაძემ გაბედულად უპასუხა, რომ მასწავლებლობა მას უფრო პატიოსან და ნაყოფიერ საქმიანობად მიაჩნდა. მართლაც, ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა იგი სკოლაში. ოთხი წელი იმუშავა ახალგაზრდა ალექსი ჭიჭინაძემ პედაგოგად და ხელმძღვანელად მის მიერ დაარსებულ კერძო სკოლაში. სკოლამ რამდენიმეჯერ შეიცვალა ბინა, ბოლოს ივანოვის (ახლანდელი თბილისის) ქუჩაზე დაბინავდა ქორქაშვილების სახლში. ბინა სრული და კარგი იყო. დიდი ოდა, 8-9 ნათელი ოთახი, დიდი ეზო, ბურთის სათამაშო და სავარჯიშო მოედნები, ხეებით დაჩრდილული გარემო. სკოლა უზრუნველყოფილი იყო სასწავლო ინვენტარით, ავეჯით, სპორტული მოედნებით და საწვრთნელი იარაღებით. მთავრობის მიერ დაარსებული ბევრი სკოლის მოსწავლეებს ვერ ჰქონდათ ისეთი პირობები, როგორც ჭიჭინაძისეული სკოლის მოსწავლეებს. მიუხედავად გულმოდგინებისა, სკოლას თანდათან შემოეღია სახსრები. მოსწავლეთა კონტიგენტი მეტად ღარიბი იყო. მშობლები სწავლის გადასახადს ვერ უხდიდნენ შვილებს.

კერძო სკოლის ხელმძღვანელობის პარალელურად დაიწყო აქტიური საზოგადოებრივი შრომა, ცნობილ საზოგადო მოღვაწის ანტონ ლორთქიფანიძის მიერ დაწყებულ ბევრ საშვილიშვილო საქმეში, მისი მონაწილეობით შეიქმნა ქუთაისში პირველი სამკითხველო, დაარსდა თეატრალური დასი.

ამ პერიოდს დაემთხვა (1879 წ.) თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორის გათავისუფლება (შიო შიუკაშვილის). არჩევანი ორ კანდიდატურას შორის უნდა მომხდარიყო, ან საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებული ივანე მაჩაბელი უნდა დაენიშნათ სკოლის დირექტორად, ან უკვე აღიარებული პედაგოგი ალექსი ჭიჭინაძე. ილია ჭავჭავაძის აქტიური ჩარევით ივანე მაჩაბლის კანდიდატურამ გაიმარჯვა. ამასთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი მის მოგონებებში ალექსი ჭიჭინაძის პედაგოგიურ გამოცდილებას ანიჭებს უპირატესობას და თვლის,

რომ გადაწყვეტილება ნაჩქარევად და არასწორად იქნა მიღებული. აკაკის ალლომ არ უმტყუნა. ივანე მაჩაბელი ვერ გაუძღვა სასწავლებელს.

ალექსი ჭიჭინაძე 1880 წელს, ქ. ქუთაისის ახლად დაარსებულ სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად მიიწვიეს. მან დახურა მის მიერ დაარსებული კერძო დაწყებითი სკოლა, თან წაიყვანა მოსწავლეთა ერთი ჯგუფი და დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ახალ ვითარებაში მუშაობას. ის გრძნობდა, რომ უდიდეს ეროვნულ საქმეს ედგა სათავეში და ეროვნულ გეგმებს იქ უკეთ განახორციელებდა.

შვიდი წელი დაჰყო მან ამ სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად. სკოლა გაიხსნა პირველი ორი განყოფილებით. ალექსი ჭიჭინაძემ ოთხ პროგიმნაზიულ კლასამდე გაზარდა სასწავლებელი. ბევრი დამწყები პედაგოგის დაოსტატებით, ფართო სასწავლო და მეთოდური მუშაობით, გულისხმიერებითა და სიკეთით გაითქვა სახელი.

მძიმე იყო იმ პერიოდში სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულების ხელმძღვანელობა. ქუთაისში ძნელად თუ აღმოაჩენდით მასწავლებელს, რომელიც მშობლიურ ენაზე შეძლებდა სასწავლო დისციპლინების სწავლებას, რუსული საგანმანათლებლო პოლიტიკის წყალობით მშობლიურ ენაზე უჭირდათ გაკვეთილის ჩატარება, არ იყო სახელმძღვანელოები, არ არსებობდა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია, ამიტომ უწევდა ალექსი ჭიჭინაძეს ფართო მეთოდური და სასწავლო-სააღმზრდელო ღონისძიებების მოფიქრება და განხორციელება.

ალ. ჭიჭინაძემ ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელი კერძო მოსახლის ბინიდან სპეციალურად აგებულ სასკოლო შენობაში გადაიყვანა. კოლექტივის წევრებად განათლებულ და ენთუზიასტ სპეციალისტებს მოუყარა თავი. შემოიღო იმ ეპოქის მოთხოვნების შესაბამისობაში მყოფი სრულყოფილი ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები. მათი საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ იაკობ გოგებაშვილმა 1886 წლის 21 იანვარს ისაუბრა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე.

იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ალექსი ჭიჭინაძის პედაგოგიურ ალლოს, სჯეროდა მისი. 1883 წელს სტატიაში „უკუღმართი ნაბიჯი“ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა-გიმნაზიის გამოცდილი პედაგოგის ალექსი ჭიჭინაძის, ეროვნული სკოლის ხელმძღვანელის მამულიშვილურ, გაბედულ ქმედებაზე წერს, იწონებს სწავლების მეთოდებს და ეროვნულ სასწავლო პროგრამებს. იაკობ გოგებაშვილი ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო სკოლის შემოწმების შედეგებზე საუბრისას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე საგაზეთო სტატიით საჯაროდ მადლობის გადახდას ითხოვდა ალექსი ჭიჭინაძისადმი.

ალ. ჭიჭინაძეს კარგად ესმოდა, რომ საქართველოს მომავალი ბევრად იყო დამოკიდებული ახალგაზრდა თაობის მსოფლმხედველობის სწორად ჩამოყალიბებაზე. ის, როგორც პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე მზად იყო ახალი თაობა აღეზარდა ეროვნული სიამაყის გრძნობით, გონიერი და თავდადებული. საამისოდ იგი პრაქტიკულ მოქმედებას ითხოვდა ყველასაგან.

„მარტო ოხვრა-გოდება არ კმარა... საჭიროა გაბედული ხმა, ცხადად მოთხოვნა ადამიანური უფლებისა. თუ ხმას არ ამოვიღებთ, როგორ შეიტყონ, რომ მოთხოვნილება გვაქვს უმეტესისა და უკეთესის? ნუ შეგვეშინდება მისი, რომ ვითომ ეჭვს დაგვდებენ, რასმე შეგვწამებენ... მედგრად ბრძოლა, რომელიც სჩვევია ხოლმე ქართველებს, მარტო ომის დროს კი არ არის საჭირო, – არა იგი მოუცილებლად საჭიროა განსაკუთრებით ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ერისათვის“ [1]

რუსეთის კოლონიურ იმპერიაში თავშეფარებულ ქართველობას, გარეშე მტერი ვერ უბედავდა თავდასხმებს. ასეთ ვითარებას „მშვიდობიან ყოფას“ უწოდებდნენ. ალექსი ჭიჭინაძე თვით „მშვიდობის“ ცნებას განიხილავს და მშვიდობიანად არ თვლის მოცემულ დროს.

„სად არის მშვიდობა, როცა შენი სისხლით გაჟღენთილ მიწა-წყალს, გაპოხიერებულს შენი მამა-პაპის ძვლებით სხვა გგლეჯს ხელიდან და მშველელი არავინ არის. არა, ეგრეთ წოდებული „მშვიდობიანი ცხოვრება“ ბევრად უარესია ვიდრე ნამდვილი ომი, ომში ცხადად მაინც ხედავ იარაღს, შენსკენ მომართულს და იცი, ვის ებრძოლო“ [1]

ცარიზმის პოლიტიკა თანმიმდევრობით მუშაობდა წყნარად და შეუმჩნეველად იპყრობდა ადამიანთა გულებს, უქმნიდა პირობებს ინტელიგენციის რჩეულ ნაწილს, რათა მიწოდებოდა მმართველობას და ქედი მოეხარა მის მიერ შექმნილი „მშვიდობისა“ და „კეთილდღეობისათვის“.

„მშვიდობიანს ბრძოლაში კი გეპარებინ, გამშვიდებენ, ნუ გეშინიათ, ჩვენ აქ არა ვართ, და ბოლოს ნუგემის მცემელები ჩალას გამოგვაველებენ პირში... ვინც მშვიდობიანს ცხოვრებას განვაგრძობთ, ვალდებული ვართ აქ ვიბრძოლოთ, სისხლის მაგიერ ოფლი ვღვაროთ, ვებრძოლოთ სიბნელეს, გაუგებრობას, უსამართლობას, რომ ცხოვრების გზაზე არავინ დაგვჩაგროს.“ [1]

ალ. ჭიჭინაძემ კარგად იცის, რომ რუსულ ყაიდაზე აღზრდილი ახალგაზრდობა თავს არიდებს ეროვნული თავისუფლების მოპოვებაზე ფიქრსაც კი. ასეთი ახალგაზრდობა მიაჩნია მას სიბნელის, წყვედიადში. მათ ვითარებაში გარკვევას ითხოვს ეროვნული სკოლების და სასწავლებლების მეშვეობით.

ალ. ჭიჭინაძე მთელი არსებით გამოეხმაურა 1914 წლის კანონს, რომელიც უფლებას ანიჭებდა ჩაგრულ ერებს მშობლიურ ენაზე განეხორციელებინათ სწავლება. სწორედ ეს ჩათვალა მან სიბნელეში შემოჭრილ რიჟრაჟად და დაიწყო ბრძოლა რიჟრაჟიდან განთიადამდე მისულიყო. საამაყო წარსულის და დიდი შინაგანი პოტენციის ერი განათლების სისტემაში არსებული ყველა რეზერვის გამოყენების გზით ალ. ჭიჭინაძე დარწმუნებულია, რომ მთავრობის სახაზინო სკოლები ვერ გადაჭრინან საქართველოსათვის ღირსეული კადრების აღზრდის საქმეს.

მისი აზრით ზოგადი განათლება ეროვნულმა სკოლებმა, ეროვნულ ენაზე უნდა მიაწოდონ მოსწავლეებს ცოდნა და ამავე გზით ჩამოუყალიბონ ეროვნული სული და ზნეობა.

ამ პრინციპებით შრომობდა იგი ქუთაისისა და თბილისის სათავადაზნაურო სკოლებში, ხონის საოსტატო სემინარიაში. მისი მოწოდება იყო შთაენერგა მომავალი თაობისათვის, რომ „შთამომავლობა ვართ იმ ქართველებისა, რომლებსაც წინა საუკუნეებში საკმაოდ ჰყავდა მოღვაწე, განათლებული იმ ცოდნით, იმ ფილოსოფიით და ხელოვნებით, რომელიც ძველმა ათინა-რომმა უანდერძა ევროპას... ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ მტრებს და მოყვარესაც, რომ ჩვენ განათლებულნი, ქრისტეს მოძღვრებით, მეოთხე საუკუნეში რომელნიც ვებრძოდით მრავალი საუკუნეების განმავლობაში ურიცხვ მტერს ქრისტიანობის დასაცავად, არ მოვმკვდარვართ, კიდევ სული გვიდგია და ღირსნი ვართ ადამიანური არსებობისა“ [2].

ალექსი ჭიჭინაძის პედაგოგიურ-მეთოდურ საქმიანობაშიც ნათლად იგრძნობა რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის ერი ისტორია, ახალგაზრდობაში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება და ეროვნული სიამაყის ჩენერგვა.

ისტორიის სწავლების სათანადო წარმართვისათვის მას საჭიროდ მიაჩნია, რომ პედაგოგი საპროგრამო მასალის გადაცემასთან დაკავშირებით კითხულობდეს მოცემული პერიოდის ამსახველ მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას, განსაკუთრებით ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებს, უნდა ადგენდეს რუქებს, გენეოლოგიური ხასიათის სქემებს. გადასაცემი მასალის კონსპექტს, ნიშნავდეს წერით საკონტროლო გაკვეთილებს, ატარებდეს სავარჯიშო სამუშაოს

განვიხილოთ მასალაში. იგი მოითხოვს მასწავლებელმა გააცნობიეროს მოსწავლეები ისე, რომ მათ შეძლონ წარსულის ღრმად შესწავლა, აწმყოს პირობებში მეტრძოლი სულის შენარჩუნება და სამომავლო მიზნების სწორად განსაზღვრა.

ალ. ჭიჭინაძე კარგი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, სამაგალითო პიროვნება, პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ მეთოდურ და თეორიულ-საგანმანათლებლო მუშაობას. მისი თხზულება „რიჟრაჟზე სათქმელი“ მნიშვნელოვანი პედაგოგიურ-დიდაქტიკური ნაწარმოებია, იმ დროისათვის გაბედული სიტყვაა ცარისტული საგანმანათლებლო რეჟიმის წინააღმდეგ, იგი მოწოდებას წარმოადგენს ეროვნული სკოლების მუშაობის გარდასაქმნელად ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისობაში.

ეს პრინციპები ამოქმედებდა მას როცა აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „დროებაში“, ებმებოდა პოლიტიკურ დისკუსიებში, წერდა სახელმძღვანელოებს, პროგრამებს, გეგმებს ეროვნული სკოლებისათვის, ამჟიდროვებდა მისი ხელმძღვანელობით მომუშავე პედაგოგიურ კოლექტივებს. აქტიურად და შემოქმედებითად თანამშრომლობდა კოლეგებთან, რათა აღზრდილიყო ქვეყნის წარსულის და საამაყო ტრადიციების ღრმად მცოდნე, თანადროულ ვითარებაში სრულყოფილად გარკვეული, მომავლისთვის მეტრძოლი ახალი თაობა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭიჭინაძე ალ., „რიჟრაჟზე სათქმელი“, ჟ. განათლება 1915 წ. №7.
2. ჭიჭინაძე ალ., „რიჟრაჟზე სათქმელი“ ჟ. განათლება 1915 წ. №8, №9.
3. ახვლედიანი მ., სოხაძე ნ., ალექსი ჭიჭინაძე, ქუთაისი. 2005 წ.

### რეზიუმე

ალექსი ჭიჭინაძე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას ეწეოდა ქუთაისისა და თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლებში, ხონის საოსტატო სემინარიაში, ხელმძღვანელობდა ერევნისა და თერგის სკოლათა საქმიანობას, იყო კარგი პედაგოგი, პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ მეთოდურ, თეორიულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივ მუშაობას გამოდიოდა გაზეთ „დროების“ ფურცლებზე. იგი ქუთაისში ბიბლიოთეკის, თეატრალური დასის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, უსასყიდლოდ მუშაობდა ხონის ვაჟთა პროგიმნაზიაში, ასევე ემსახურებოდა ქალთა გიმნაზიას, თავკაცობდა ბევრ საზოგადო და საქველმოქმედო საქმეს.

თხზულება „რიჟრაჟზე სათქმელი“ მნიშვნელოვანი პედაგოგიურ-დიდაქტიკური ნაწარმოებია, გაბედული სიტყვაა იმ დროის საგანმანათლებლო სისტემის წინააღმდეგ, მოწოდებაა ეროვნული სკოლების მუშაობის გარდასაქმნელად ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისობაში.

**საკვანძო სიტყვები:** საგანმანათლებლო სისტემა, სასწავლო გეგმა, პროგრამა, განათლება, მეთოდები.

**Maya Akhvlediani**

Akaki Tsereteli State University,  
Associate Professor, Georgia, Kutaisi

**Nino Orjonikidze**

Akaki Tsereteli State University;  
Associate Professor, Georgia, Kutaisi

**Lali Abdaladze**

Shota Meskhi State University;  
Associate Professor, Georgia, Kutaisi

## **Alexi Chichinadze's national - educational ideas, pedagogical and public activities**

### **Summary**

Aleksi Chichinadze successfully conducted teaching and educational activities at Tbilisi and Kutaisi nobility schools, Khoni seminary; directed schools in Erevan and Thergi. He was an excellent educator, who, apart from practical activities, carried out fruitful methodological and public-educational work. Al. Chichinadze contributed to the newspaper “Droeba” and was one of the founders of Kutaisi library and theatrical group. He worked gratis at Khoni single-sex high schools and had charge of a great deal of public and charitable activities.

“To be said at dawn” by A. Chichinadze is an important pedagogic and didactic piece of writing, then representing a brave word against the education system and a call for reforming the national schools in accordance with the requirements of the epoch.

**Key words:** educational system, curriculum, program, education, methods.



## **საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია**

საქართველო, თბილისი, 0186, პოლიტკოვსკაიას ქ. №61

ტელ: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42

e-fosta: ganatlebisakademia@gmail.com

ვებ-გვერდი: [www.sgma.ge](http://www.sgma.ge)

## **ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA**

61, Politkovskaya Str., 0186, Tbilisi, Georgia

Tel: (+995 595) 44 91 21; (+995 593) 62 88 42

E-mail: [ganatlebisakademia@gmail.com](mailto:ganatlebisakademia@gmail.com)

WEB-page: [www.sgma.ge](http://www.sgma.ge)

